ეროვნულ ანგარიშთა სისტემა

ლექციების კურსი
ბაკალავრებისთვის

მარინე მინდორაშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა
2018

SYSTEM OF NATIONAL ACCOUNTS

COURSE OF LECTURES FOR BACHELORS

Marine Mindorashvili

TSU Faculty of Business and Economics
Economic and Social Statistics Department
2018

წინასიტყვაობა

არ გპირდებით, რომ ეს საგანი ადვილი იქნება. სამაგიეროდ, საშუალება მოგეცემათ იფიქროთ, იაზროვნოთ და გარკვეული ბიძგის შემდეგ დამოუკიდებლად გააკეთოთ პატარ-პატარა აღმოჩენები ეკონომიკასა და სტატისტიკაში, რაც ძალიან სასიამოვნო პროცესია და გაგიტაცებთ კიდეც. თუმცაღა, თუ წინა თაობის ბაკალავრების შეხედულებებს დავეყრდნობით, დასაწყისში დიდი ჯაფა და წვალება მოგიწევთ. მეტიც, ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ძალიან მოსაბეზრებელი და უინტერესო საგანია და მას მხოლოდ სტატისტიკის მოდულის სტუდენტები უნდა სწავლობდნენ... ისე, მე თუ დამიჯერებთ, ეს „ბუზღუნა“ სტერეოტიპები იოლად დაიმსხვრევა ამავე სემესტრის განმავლობაში.
აბა, მზად ხართ? გამომყვებით?

შინაარსი

თემა 1. ეროვნული ანგარიშიანობა - საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგიის საფუძველი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საგანი, მეთოდი და ამოცანები 8

1. რა არის საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგია? მითები და რეალობა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) შესახებ 9

2. ეას-ის, როგორც საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგიის დანერგვის მიზანი და ამოცანები 11

3. პრინციპული განსხვავებები ეროვნულ ანგარიშთა სისტემასა (ეას) და სახალხო მეურნეობის ბალანსს (სმბ) შორის 12

4. ეას-ის შესწავლის საგანი, ობიექტი, მიზანი და ამოცანები 14

5. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდი 15

6. ეას-ის მონაცემების ძირითადი მომხმარებლები 19

7. ეას-ის მონაცემების ანალიზის ძირითადი მიმართულებები 20

8. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის კავშირი სხვა მეცნიერებებთან 27

საკვანძო მომენტები.....47

გამოყენებული ლიტერატურა 48

ტესტები და სავარჯიშოები 49

თემა 2. ეროვნულ ანგარიშიანობის ძირითადი კონცეფციები, ცნებები და კატეგორიები 68

1. ეას-ში გამოყენებული კონცეფციები და დებულებები.....69

წარმოების კონცეფცია.....69

შემოსავლების კონცეფცია.....79

მნიშვნელოვანი დებულებები.....83

2. შიდა და ეროვნული ეკონომიკა და მასთან დაკავშირებული კატეგორიები..85

საკვანძო მომენტები.....95

გამოყენებული ლიტერატურა.....97

ტესტები და სავარჯიშოები 98

თემა 3. ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი დაჯგუფებები და კლასიფიკაციები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში 107

1. ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაცია ეკონომიკის სექტორების მიხედვით 108

2. ეკონომიკური ოპერაციების კლასიფიკაცია.....117

3. ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია 120

4. პროდუქციის კლასიფიკაცია საქმიანობის სახეობათა მიხედვით.....124

5. ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით 126

6. სახელმწიფო მართვის ორგანოების ფუნქციების კლასიფიკაცია 127

7. გადასახადებისა და სუბსიდიების კლასიფიკაცია 128

საკვანძო მომენტები.....130

გამოყენებული ლიტერატურა 131

ტესტები და სავარჯიშოები 132

თემა 4. კრებსითი ეროვნული ანგარიშების სისტემის სტრუქტურა და აგების ზოგადი პრინციპები. წარმოების ანგარიში 141

1. ეას-ის სტრუქტურა და აგების ძირითადი პრინციპები.....142

2. წარმოების ანგარიში 146

3. შუალედური მოხმარების არსი და გაანგარიშების ზოგადი პრინციპები 156

საკვანძო მომენტები.....165

გამოყენებული ლიტერატურა 166

ტესტები და სავარჯიშოები 167

თემა 5. შემოსავლების განაწილების, გადანაწილებისა და გამოყენების ანგარიშები

ნაწილი I

1. შემოსავლების ფორმირების ანგარიში 177

ტესტები და სავარჯიშოები 188

ნაწილი II

2. პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში 198

3. შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში 204

4. შემოსავლების გამოყენების ანგარიში 208

საკვანძო მომენტები 214

გამოყენებული ლიტერატურა 215

ტესტები და სავარჯიშოები 216

თემა 6. დაგროვების ანგარიშები 223

ნაწილი I

1. დაგროვების ანგარიშები 224

მომიჯნავე შემთხვევები 225

აქტივების კლასიფიკაცია 227

აქტივების შეფასება 231

2. კაპიტალის ანგარიში 232

ტესტები და სავარჯიშოები 240

ნაწილი II

3. ფინანსური ანგარიში 248

4. საქონლისა და მომსახურების ანგარიში 252

5. „დანარჩენი მსოფლიოს“ სექტორის ანგარიშები 253

6. ეროვნული სიმდიდრე 255

საკვანძო მომენტები.....260

გამოყენებული ლიტერატურა 261

ტესტები და სავარჯიშოები 262

თემა1

ეროვნული ანგარიშიანობა - საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგიის საფუძველი

ამ თემაში განხილულია ეას-ის ადგილი საერთაშორისო სტატისტიკურ მეთოდოლოგიაში, მითები და რეალობა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შესახებ, მისი დანერგვის მიზანი და ამოცანები, პრინციპული განსხვავებები ეროვნულ ანგარიშთა სისტემასა და სახალხო მეურნეობის ბალანსს (სმბ) შორის. გამიჯნულია ეას-ის შესწავლის საგანი, ობიექტი და ამოცანები. ჩამოყალიბებულია ეას-ის მეთოდი, ეას-ის კავშირი სხვა მეცნიერებებთან, იდენტიფიცირებულია ეას-ის მონაცემების ძირითადი მომხმარებლები და ანალიზის ძირითადი მიმართულებები.

1. რა არის საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგია? მითები და რეალობა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) შესახებ

უპირველეს ყოვლისა, გავარკვიოთ რა არის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა?
დავიწყოთ მსჯელობა: ერთი შეხედვით,

- რადგან ეს საგანი ეკონომიკის მიმართულების ბაკალავრების კურიკულუმშია, მაშინ მას გარკვეული შეხება უნდა ჰქონდეს ეკონომიკასთან;
- თუ ანგარიშებია - საბუღალტრო აღრიცხვასთან;
- თუ ეროვნულია - ქვეყანასთან;
- თუ სისტემაა - გარკვეულ წესრიგთან, რომელიც დაფუძნებულია რისამე ნაწილების გეგმაზომიერ განლაგებასა და ურთიერთკავშირზე.

დიახ, ცალკე აღებული ყველა ეს მოსაზრება სწორია, მაგრამ რა გამოდის მთლიანობაში? თუ ,,ეროვნული ანგარიშიანობის" ტერმინის (რომელიც შემოთავაზებულ იქნა XX საუკუნის 30-იან წლებში) ავტორს, ჰოლანდიელ ეკონომისტ ვან კლიფს დავესეხებით, ეას არის „ეროვნული მეურნეობის მდგომარეობის ამსახველი ანგარიში მთლიანად ქვეყნის მასშტაბით". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვან კლიფი მხოლოდ ამ ტერმინის, და არა მთლიანად ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ავტორია[1].

შეესაბამება თუ არა კლიფის მიერ შემოთავაზებული ტერმინოლოგია ეას-ის არსს? შემდეგში კიდევ გვექნება შეხება ეას-ის ფუძემდებლებთან.

"ეკონომიკური ჰამბურგერი"

როგორც მაკროეკონომიკური სტატისტიკის გამოჩენილი ჰოლანდიელი ექსპერტი **ფრიც ბოსი** აღნიშნავდა, ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკონომიკური ჰამბურგერი, რომელსაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით აწარმოებენ და მოიხმარენ. პრობლემად რჩება გავრცელებული შეხედულებები და წარმოდგენები მის შესახებ. ტრადიციულად, ეროვნული ანგარიშების მისამართით კრიტიკასა და ქედმაღალ გამონათქვამებს არ იშურებენ:

- ეკონომისტ-თეორეტიკოსები - „უტვინო და მოსაწყენი ბუღალტერია“, „ჭუჭყიანი კონცეფცია“, „აღწერა, მაგრამ არა ანალიზი“, „რეალური პოლიტიკისთვის გამოუსადეგარი“;
- პრაქტიკოს-ეკონომისტები - „ჩვენ პრაქტიკულ საქმიანობაში ვიყენებთ ეროვნულ ანგარიშებს და რა საჭიროა ფუძემდებლური კონცეფციებისა და გაზომვის მეთოდების ცოდნა?“;
- და სტატისტიკოსები, რომლებიც შერჩევის თეორიას ანიჭებენ უპირატესობას და უარყოფენ ეას-ის წარმოების „არამეცნიერულ“ მეთოდებს[2].

ხომ არ დადგა დრო, რომ შევცვალოთ ეას-ის იმიჯი და სინამდვილეში გავიგოთ ამ „ეკონომიკური ჰამბურგერის“ გემო? ☺

ეროვნულ ანგარიშებს გრძელი ისტორია აქვს, თუმცა ეროვნული ეკონომიკებისთვის ის მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქცა უნივერსალურ სტატისტიკურ ინსტრუმენტად. დღეისათვის, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფართოდ გამოიყენება ეროვნული ეკონომიკების მართვისა და ანალიზის ისეთი საკვანძო ინდიკატორები, როგორიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპი, ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე და ბიუჯეტის დეფიციტის წილი მშპ-ში. მეტიც, ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უშუალოდ ეროვნული ანგარიშების სტატისტიკის საფუძველზე მიიღება. მაგალითად, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო დონის ხელშეკრულებებში ითვალისწინებენ ეროვნული ანგარიშების საფუძველზე გაანგარიშებულ ფასებისა და ფიზიკური მოცულობის ინდექსებს; ასევე, ცალკეული სახელმწიფოს საწევრო შენატანი გაეროსა და ევროკავშირში ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ფიქსირებული პროცენტის ბაზაზე გაიანგარიშება და სხვა.
მიმდინარე ეტაპზე, ეკონომიკური ანალიზის მრავალი მიმართულებისთვის ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სტატისტიკურ ჩარჩოს წარმოადგენს. მაგალითად, მას იყენებენ დანახარჯები-გამოშვების ცხრილების, საგადასახდელო ბალანსის, საჯარო ფინანსების, მონეტარული სტატისტიკისა და ეკონომიკური ანალიზის შემდეგ მიმართულებებში: ეკონომიკური ზრდის ტემპები, გასატარებელი სახელმწიფო პოლიტიკა, საგადასახადო შემოსავლები და სხვ.

ახლა, უფრო დაწვრილებით გავარკვიოთ, რა გამოყენება აქვს ეას-ს ეკონომიკასა და ბიზნესში და რატომ უნდა ვიცოდეთ ეას-ის ძირითადი ცნებები, დებულებები, ანგარიშები და მეთოდოლოგიური საკითხები. რაც მთავარია - აუცილებელია თუ არა ეას-ის შესწავლა? დასაწყისისთვის გირჩევთ ნახოთ საქსტატის მიერ გავრცელებული ეას-ის წლიური კრებულის ელ. ვერსია და შეაფასოთ აქ განთავსებული ინფორმაციის მოცულობა და მასშტაბი: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/krebuli2015.pdf

აღსანიშნავია, რომ ეას-ის თეორიისა და მეთოდოლოგიის განვითარებაში, მისი მაჩვენებლების საერთაშორისო *შესადარისობის, სისტემატიზაციისა და გავრცელების* საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო)
   http://unstats.un.org/unsd/nationalaccount/sna.asp,
2. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ)
   https://www.imf.org/external/pubs/ft/sna/,
3. მსოფლიო ბანკმა (მბ)
   http://www.worldbank.org/en/topic/macroeconomics,
4. ევროკავშირის სტატისტიკის ბიურომ (ევროსტატი)
   http://ec.europa.eu/eurostat/search?p_auth=VsjBgYV5&p_p_id=estatsearchportlet_WAR_estatsearchportlet&p_p_lifecycle=1&p_p_state=maximized&p_p_mode=view&_estatsearchportlet_WAR_estatsearchportlet_action=search&text=sna
5. და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (ეთგო) http://www.oecd-ilibrary.org/economics/data/oecd-national-accounts-statistics_na-data-en.

2. ეას-ის, როგორც საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგიის დანერგვის მიზანი და ამოცანები

რა არის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა?

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა არის ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მაკროეკონომიკური პროცესების აღწერისა და ანალიზის მიზნით.

ეროვნულ ანგარიშიანობას **საფუძვლად უდევს** ეროვნული შემოსავლის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების პროცესი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების განსაზღვრული კანონზომიერებისა და სტრუქტურის ფარგლებში.

ეას-ში ხდება ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე მიღებული აღრიცხვის (ოპერატიული, საბუღალტრო, საბანკო, სტატისტიკა) მონაცემების შეჯამება მთელი ეკონომიკის მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ ეას-ის მაჩვენებლები ***უნიფიცირებულია ანუ შესაბამისობაშია საგადასახდელო ბალანსისა და დარგთაშორისი ბალანსის მაჩვენებლებთან.***

ეას-ის შექმნას წინ უძღოდა განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის რეგულირებასა და ეკონომიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნილების წარმოშობა.

შესაბამისად, ეროვნული სტატისტიკის გადასვლა გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ რეკომენდებულ მეთოდოლოგიაზე განაპირობა საბაზრო ურთიერთობების დანერგვამ საქართველოში. ეას წარმოადგენს ***საერთაშორისო სტანდარტულ სტატისტიკურ მეთოდოლოგიას,*** შესაბამისად, მისი გამოყენებით მიიღწევა ქვეყნების ოფიციალურ სტატისტიკაში ინფორმაციის მოპოვების ხერხებისა და ეკონომიკური საქმიანობისა და მისი შედეგების აღრიცხვის მეთოდების ერთიანობა, რაც განაპირობებს ***ყველა ქვეყნის მაჩვენებელთა შესადარისობას და მნიშვნელოვნად ამარტივებს საერთაშორისო შედარებების მექანიზმსა და საიმედოობას მსოფლიოს მასშტაბით.***

სტატისტიკის მეთოდოლოგიური ერთიანობა ხელს უწყობს მთელ მსოფლიოში საერთაშორისო ***თანამშრომლობისა და ინტეგრაციული პროცესების გაფართოებას*** (ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების პერსპექტივას მომავალი თაობებისათვის). თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის მთავარი იდეა სამყაროს გადარჩენა და შემდგომი რაციონალური და თანმიმდევრული განვითარების უზრუნველყოფაა.

გლობალიზაციის პირობებში სტატისტიკის ერთიან საერთაშორისო მეთოდოლოგიაზე გადასვლა სხვადასხვა ქვეყნისათვის შესანიშნავი საშუალებაა ***უტყუარი, შესადარისი და ყველასათვის გასაგები ინფორმაციის*** მისაღებად. ამასთან, ეროვნული სტატისტიკური სამსახურების ცალკეული თავისებურება არ არღვევს საერთაშორისო მეთოდოლოგიური პრინციპების ერთიანობას.

3. ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა (ეას) და სახალხო მეურნეობის ბალანსის (სმბ) მსგავსება და პრინციპული განსხვავება

1993 წლამდე ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის შესაფასებლად მსოფლიო სტატისტიკურ პრაქტიკაში გამოიყენებოდა გაეროს სტატისტიკურ კომისიაში წარდგენილი ორი თანაბარი მნიშვნელობის მქონე განსხვავებული მეთოდოლოგია.

1. ერთი ეფუძნებოდა ეროვნულ ანგარიშიანობას და მას იყენებდა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები,
2. ხოლო მეორე – სახალხო მეურნეობის ბალანსს (სმბ), რომლის უმთავრეს ფუნქციას გეგმის შესრულების კონტროლი შეადგენდა და მას იყენებდა სოციალისტური ქვეყნები.

მეთოდოლოგიური სხვაობის მიუხედავად, ორივე კონცეფცია **საბალანსო მეთოდს** იყენებს, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური პროცესების კომპლექსურ, ურთიერთდაკავშირებულ სტატისტიკურ დახასიათებას რესურსებისა და გამოყენების დაბალანსების საფუძველზე.

ძირითადი მსგავსება და განსხვავება ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის (სმბ) მეთოდოლოგიებს შორის შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

მსგავსება

1. ორივე წარმოადგენს სტატისტიკურ სისტემას, რომელთა მიზანია ქვეყანაში წარმოების მოცულობის გაანგარიშება.
2. ორივე სტატისტიკური სისტემა განიხილავს ეროვნული ეკონომიკის ურთიერთქმედებას სხვა ქვეყნებთან.
3. ორივეში გამოიყენება დაჯგუფებები და კლასიფიკაციები, სტატისტიკურად აისახება საქონლისა და მომსახურების ნაკადები წარმოებიდან საბოლოო გამოყენებამდე.

განსხვავება

1. სმბ-ს თეორიულ საფუძვლად ედო ადამ სმითის შრომის მწარმოებლურობის კონცეფცია, ვინაიდან ის შეესაბამებოდა ეკონომიკური ზრდის ისეთ მოდელს, სადაც მომსახურების ხვედრითი წილი ეროვნულ შემოსავალში პრაქტიკულად შეუმჩნეველი იყო. სმბ-საგან განსხვავებით, ეას-ს საფუძვლად უდევს ნებისმიერი შრომის მწარმოებლურობის თეზისი, განურჩევლად იმისა, ეს საქმიანობა მატერიალურ-ნივთობრივ (საქონლის) წარმოებასთან იქნება დაკავშირებული, თუ მომსახურების გაწევასთან.
2. განსხვავებულია ეას-ისა და სმბ-ის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შემადგენლობა.
3. ეას-ში შემოსავლების განაწილება ხდება ხარჯებად და დანაზოგებად. სმბ-ში - ,,დანაზოგის" მაჩვენებელი არ არის.

როგორც ერთმა, ისე მეორე კონცეფციამ განვითარების გრძელი გზა განვლო და ორივე მიჩნეულია მსოფლიო სტატისტიკური თეორიისა და პრაქტიკის სერიოზულ მონაპოვრად.

4. ეას-ის შესწავლის საგანი, ობიექტი, მიზანი და ამოცანები

- **ეროვნული ანგარიშიანობის საგანს** წარმოადგენს შიდა ეკონომიკისა და ,,დანარჩენი მსოფლიოსათვის" ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შედგენის მეთოდოლოგია (მოიცავს ანგარიშების აგების პრინციპებისა და მეთოდების, მათი არსის, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებელების, მათი ურთიერთკავშირისა და გაანგარიშების მეთოდების, სექტორული ანგარიშების დანიშნულებისა და შედგენის თავისებურებების გაშუქებას).
- **ეროვნულ ანგარიშთა სისტემის აგების თანმიმდევრობა** კვლავწარმოების ციკლის სტადიებს (ფაზებს) ემთხვევა: საქონლისა და მომსახურების წარმოების ეკონომიკური პროცესები და ამ პროცესებთან დაკავშირებული შემოსავლებისა და მთლიანი მოგების შექმნა, შემოსავლების პირველადი განაწილება და გადანაწილება, მათი გამოყენება საბოლოო მოხმარებისა და დაგროვებისათვის (მარტივად: წარმოება, განაწილება, გადანაწილება, მოხმარება).
- **ეროვნული ანგარიშიანობის მიზანია** იმ მაკროეკონომიკური პროცესებისა და მათი შედეგების რაოდენობრივი დახასიათება, რომლებიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან, შემოსავლების წარმოქმნასთან, განაწილებასთან, გადანაწილებასა და მოხმარებასთან, საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობასთან.
- **ეას-ის შესწავლის ობიექტია** ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკა, სექტორები, საქმიანობის სფეროები, ცალკეული ეკონომიკური პროცესები.
- **ეას-ის ძირითადი ამოცანებია:**
  1. საერთაშორისო სტატისტიკურ პრაქტიკაში მიღებული ცნებებისა და კატეგორიების გამოყენება ეკონომიკის დახასიათებისათვის;
  2. ეას-ში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციებისა და დაჯგუფებების განხილვა;
  3. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სისტემისა და მათი გაანგარიშების მეთოდების გაშუქება;
  4. ეას-ის შედგენის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდოლოგიის დაუფლება;

5. ცალკეული ანგარიშების შედგენის მეთოდოლოგიის შესწავლა;
6. ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესწავლა;
7. ეას-ის ანალიზის ძირითადი მიმართულებებისა და მეთოდების განხილვა.

ახლა შეგვიძლია კიდევ უფრო გავაფართოვოთ ეას-ის განმარტება:

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა არის მაკროეკონომიკური ანგარიშების თანმიმდევრული (კოჰერენტული) და ინტეგრირებული (ურთიერთდაკავშირებული) ნაკრები საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული კონცეფციების, განმარტებების, კლასიფიკაციების და აღრიცხვის წესების საფუძველზე.

ეას-ს იყენებენ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი ქვეყნები, რაზეც მეტყველებს ქვემოთ ცხრილი1. როგორც ირკვევა, გაეროს 193 წევრი-ქვეყნიდან ეას-ის მომხმარებელი 137 ქვეყანა განვითარებადია (2014 წლის მონაცემებით):

ცხრილი1. ეას-ის გამოყენების სტატისტიკა გაეროს წევრი-ქვეყნების მიერ

	ქვეყნების საერთო რაოდენობა
გაეროს წევრი-ქვეყნები	**193**
განვითარებული ქვეყნები	44
აღმოსავლეთ ევროპა, კავკასია და შუა აზია	12
განვითარებადი ქვეყნები	137
აფრიკა	54
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი	33
აზია	38
ოკეანეთი	12

წყარო: https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/sna/nn38-en.pdf

SNA News. Number 38, December 2015. An information service of the Intersecretariat Working Group on National Accounts (ISWGNA) published by UNSD.

5. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდი

ცალკე უნდა გამოვყოთ ის მეთოდები, რომლებიც ერთი მხრივ, გამოიყენება ეას-ის *მაჩვენებლების გაანგარიშებისა* და მეორე მხრივ, საკუთრივ *სისტემის აგების დროს.*

ეას-ის მაჩვენებლების გაანგარიშებისთვის უმნიშვნელოვანესია **საბალანსო მეთოდი.** სისტემის თითოეული ანგარიში წარმოადგენს ბალანსს (ტოლობას) ამა თუ

იმ რესურსის მოცულობასა და გამოყენებას შორის, რაც მიიღწევა *დამაბალანსებელი მუხლის* მეშვეობით.

რამდენადაც ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში აისახება ინტერვალური მაჩვენებლები, მათი საშუალოწლიური დონის გასაანგარიშებლად გამოიყენება **საშუალოების მეთოდი.**

ეას-ის ანალიზის პროცესში ინფორმაციის მოცვის ხარისხისა და ანალიზის მიმართულების შესაბამისად ფართოდ გამოიყენება თანამედროვე **მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების სრული არსენალი**.

ეას-ში აგრეთვე ფართოდ გამოიყენება **კლასიფიკაციებისა და დაჯგუფების მეთოდები,** რაც უზრუნველყოფს შესასწავლი ეკონომიკური პროცესების მრავალმხრივ დახასიათებასა და ეკონომიკური მაჩვენებლების სტრუქტურის შესწავლას.

დინამიკაში ყველა ეკონომიკური პროცესი შეისწავლება **დინამიკის მწკრივებისა და საინდექსო მეთოდების** გამოყენებით. ინფლაციის პირობებში მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკაში შესწავლისათვის გამოიყენება ფიზიკური მოცულობის ინდექსი, რაც ითვალისწინებს ყველა ღირებულებითი მაჩვენებლის წინასწარ გადაფასებას შესადარ ფასებში.

ეროვნული ანგარიშების აგების მეთოდებს შორის სტატისტიკის საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრდა ანგარიშთა აგების შემდეგი მეთოდები:

- **თანმიმდევრული, და**
- **სასაქონლო ნაკადების.**

ზოგადად, ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება ინფორმაციის არსებობაზეა დამოკიდებული. ინფორმაციის დეფიციტის პირობებში გამოიყენება **გამარტივებული ან მიახლოებითი მეთოდები**, რაც იძლევა მაჩვენებლის დონის მიახლოებითი შეფასების ან მისი განვითარების ტენდენციის დადგენის საშუალებას (იხ.ჩანართი1)

თანმიმდევრული აგების მეთოდი მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულია. ანგარიშები აიგება თანმიმდევრულად, კვლავწარმოების ციკლის ეტაპების მიხედვით (წარმოება, განაწილება, გადანაწილება, მოხმარება). მიღებული მაჩვენებლების ერთმანეთთან დაკავშირება ხდება **„საქონლისა და მომსახურების" ანგარიშში** როგორც მთელი ეკონომიკის, ისე ცალკეული სექტორების მიხედვით. თითოეული ანგარიშისათვის დამაბალანსებელ მუხლს (აბალანსებს რესურსებს და გამოყენებას) აქვს არა მხოლოდ ის დანიშნულება, რომ მისი საშუალებით ვახასიათებთ ცალკეული ეკონომიკური პროცესის შედეგს, არამედ ის აგრეთვე გამოიყენება ყოველი მომდევნო ანგარიშის დასაკავშირებლად წინა ანგარიშთან. აქედან გამომდინარე, კვლავწარმოების ციკლის ეტაპების მიხედვით იქმნება ურთიერთდაკავშირებულ

მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს კომპლექსურად, რაოდენობრივად დავახასიათოთ ეკონომიკური პროცესები და მათი შედეგები.

ზოგიერთ ქვეყანაში ფართოდ დაინერგა **სასაქონლო ნაკადების მეთოდი.** როგორც წესი, ეს მეთოდი გამოიყენება ინფორმაციის დეფიციტის, ან თანმიმდევრობით შედგენილ ანგარიშებში გამოვლენილი მნიშვნელოვანი სხვაობის შემთხვევაში. ასეთ დროს ჩვეულებრივ იწყებენ შეცდომის ძებნას, თუმცა ეს არც ისე ადვილია. ინფორმაციის დეფიციტის პირობებში ოპერატიული გაანგარიშებისთვის ანგარიშებს აგებენ ისეთი მათემატიკური მოდელების საფუძველზე, როგორიცაა **დანახარჯები-გამოშვების ცხრილები**. **სასაქონლო ნაკადების მეთოდის** არსი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ანგარიშის მიხედვით ცალკეული სახეობის პროდუქტის (ნომენკლატურის) რესურსების მაჩვენებელი უნდა შეედაროს მისივე გამოყენების მაჩვენებელს. ასეთი ხერხით დგინდება გადახრები და შესაბამისად ხდება კორექტირება. აღნიშნულ მეთოდს უმეტეს ქვეყნებში იყენებენ როგორც დამხმარეს, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში, (მაგ. დანიაში) ის ძირითად მეთოდად არის მიჩნეული.

ჩანართი 1. **მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ოპერატიული შეფასება პირობითი გამოთვლებით (გამარტივებული ან მიახლოებითი მეთოდის გამოყენების მაგალითი)**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგჯერ, მიახლოებითი შედეგის მისაღებად შესაძლებელია **პირობითი გამოთვლების** ჩატარება. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: კვარტალური ან თვიური ანგარიშების შედგენისას ხშირად აღარ რჩება დრო საწარმოებიდან გამოშვებისა და შუალედური მოხმარების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. თუმცა, საქონელ-წარმომადგენელზე დაკვირვების შედეგად შეიძლება მოვიპოვოთ ინფორმაცია უმნიშვნელოვანესი სახის პროდუქციის მოცულობისა (ნატურალურ ერთეულებში) და ფასების შესახებ. გამოშვებაზე (ნატურალურ გამოსახულებაში) დაკვირვების შედეგად შეიძლება ყოველი დარგის მიხედვით წარმოების ფიზიკური მოცულობის ინდექსის აგება. პრაქტიკაში პრობლემა დაიყვანება ნატურალური მაჩვენებლის სწორ შერჩევამდე. ფასებზე დაკვირვებით იგება ფასების ინდექსი. ამ დროს ითვალისწინებენ პროდუქციის ღირებულების $I_{qp} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}$, ფასებისა $I_p = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1}$ და პროდუქციის ფიზიკური მოცულობის $I_q = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$ ინდექსების ურთიერთკავშირს:

$$I_{qp} = I_p \times I_q \text{ ანუ } \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} \times \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}.$$

სადაც,

$q_1 q_0$ - პროდუქციის (მომსახურების) მოცულობაა ნატურალურ გამოსახულებაში საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში, და

$p_1 p_0$ - პროდუქციის (მომსახურების) ერთეულის ფასი საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

ამ ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება გამოშვებისა და შუალედური მოხმარების მაჩვენებლების გაანგარიშება შემდეგი სქემის მიხედვით:

1. შესაბამისი დარგის საბაზისო პერიოდის გამოშვების ღირებულება $\sum q_0 p_0$ მრავლდება მოცემული დარგის გამოშვების (მაგალითად, წლის განმავლობაში) ფიზიკური მოცულობის ინდექსზე I_q, მიიღება საანგარიშო პერიოდში მოცემული დარგის გამოშვების ღირებულება წინა წლის შესაბამის ფასებში:

$$\sum q_0 p_0 \times \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \sum q_1 p_0 .$$

2. მიღებული შედეგი მრავლდება მოცემული დარგის პროდუქციის ფასების ინდექსზე და მიიღება საანგარიშო პერიოდში მოცემული დარგის გამოშვების ღირებულება საანგარიშო პერიოდის ფასებში $\sum q_1 p_1$:

$$\sum q_1 p_0 \times \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = \sum q_1 p_1 .$$

3. თუ მიღებულ შედეგს - მოცემული დარგის პროდუქციის გამოშვებას მიმდინარე ფასებში გავამრავლებთ მოცემული დარგის გამოშვებაში დამატებული ღირებულების ხვედრით წილზე ($d = \text{დღ}/\text{ბგ}$), მივიღებთ მოცემული დარგის მთლიან დამატებულ ღირებულებას მიმდინარე ფასებში:

$$\sum q_1 p_1 \times d .$$

ამ ხერხით ხორციელდება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ოპერატიული შეფასება.

დამატებითი ინფორმაციის მიღების შემდეგ ხდება მიღებული მაჩვენებლის დაზუსტება. აღნიშნული პრაქტიკა გავრცელებულია როგორც ჩვენთან, ისე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სტატისტიკურ სამსახურში. მაგალითად, წლიური გაანგარიშებების განხორციელების შემდეგ, როგორც წესი, კორექტირდება კვარტალების მიხედვით მიღებული შედეგები. ამისათვის არსებობს განსაზღვრული პროცედურები. წლიური შედეგების მიღების შემდეგ კვარტალური შედეგების

კორექტირებისათვის მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება ცნობილი ჰოლანდიელი სტატისტიკოსის, **ფრიც ბოსის** მეთოდი. ეს მნიშვნელოვანწილად ფორმალური, მათემატიკური მეთოდია.
წლიური გაანგარიშებები, როგორც წესი, კორექტირდება დარგთაშორისი ბალანსის აგების შემდეგ, რომელიც იძლევა გარკვეული უზუსტობების გამოვლენის საშუალებას. ევროპის ქვეყნების პრაქტიკაში მიღებულია გაკორექტირება 10-12-ჯერ.

6. ეას-ის მონაცემების ძირითადი მომხმარებლები

ეას-ის მომხმარებელთა წრე საკმაოდ ფართოა, თუმცა უპირველეს ყოვლისა, ეას-ის მონაცემები განკუთვნილია **სახელმწიფო მართვის ორგანოებისათვის,** რომლებიც შეიმუშავებენ ეკონომიკურ პოლიტიკას და იღებენ გადაწყვეტილებებს საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ღონისძიებების შესახებ. ეს შეიძლება ეხებოდეს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას, მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის რაოდენობას, საპროცენტო განაკვეთების რეგულირებას, ინფლაციასთან ბრძოლის ღონისძიებებსა და დასაქმებას, მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფების სოციალურ დახმარებას, შემოსავლების განაწილებას, საგარეო ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური კავშირების უზრუნველყოფას. გადაწყვეტილების მიღება მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამ მნიშვნელოვან საკითხებში უნდა ემყარებოდეს შესაბამის მაკროეკონომიკურ ინფორმაციას, რომელსაც უზრუნველყოფს ეას. ზოგიერთ ქვეყნაში (მაგალითად, საფრანგეთი) ეას-ის მონაცემები საფუძვლად უდევს საშუალო და მოკლევადიანი პროგნოზების შემუშავებას, რომლებიც შემდგომ კომპეტენტურ ორგანოებს აძლევს ეკონომიკური პოლიტიკის დაზუსტების, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების, ექსპორტის სტიმულირების, მიმიქცევაში ფულადი მასის შეზღუდვის საშუალებას და ა.შ.
გარდა ამისა, ეას-ის მონაცემების ძირითადი მომხმარებლები არიან: **მეწარმეები, მენეჯერები, კომპანიის ხელმძღვანელები, ბიზნესის წარმომადგენლები,** რომლებსაც სურთ იცოდნენ, თუ როგორ მაკროეკონომიკურ გარემოში ფუნქციონირებს მათი კომპანია ან საწარმო, ციკლის რომელ წერტილში იმყოფება ეკონომიკა კონკრეტული მომენტისათვის. ამგვარი ინფორმაცია საჭიროა წარმოების გაფართოებისა და ინვესტიციების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად, აგრეთვე არსებული ეკონომიკური კონიუნქტურის შესაფასებლად, რომლის გარეშე შეუძლებელია მათი წარმატებული საქმიანობა.
ეას-ის მონაცემების მომხმარებლები არიან ასევე **სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები**, რომლებიც მაკროეკონომიკური თეორიის შემუშავებით არიან

დაკავებული, შეისწავლიან კავშირებს უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის, აგებენ ეკონომიკურ და ეკონომეტრიკულ მოდელებს ეკონომიკური პროცესების პროგნოზირებისათვის. ამ საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა ეას-ის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების სტატისტიკური მონაცემების მწკრივები.

ასევე, ეას-ის მონაცემების მომხმარებლები არიან **ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები**, ისინი შეასწავლიან სტუდენტებს ეას-ის ძირითად კონცეფციებსა და განსაზღვრებებს, უხსნიან მათ, თუ რა ელემენტებისაგან შედგება თანამედროვე მაკროეკონომიკა და როგორია კავშირი მის მნიშვნელოვან ელემენტებს შორის.

ეას-ის მონაცემების მომხმარებლები არიან **საერთაშორისო ორგანიზაციები** (გაერო, სსფ, მბ და სხვა). ისინი მონაცემების შესადარისობის უზრუნველსაყოფად შეიმუშავებენ საერთაშორისო სტანდარტებს და იყენებენ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს არა მხოლოდ მსოფლიო და რეგიონული ეკონომიკის განვითარების ანალიზის, არამედ კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის მიზნითაც (ქვეყნების წილის განსაზღვრა ამ ორგანიზაციების ბიუჯეტის შენატანების სკალაში, განვითარებადი ქვეყნებისთვის კრედიტის გამოყოფა, დახმარების გაწევა და ა.შ.).

ამდენად, ეას-მა შეაღწია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ის წარმოადგენს თავისებურ ენას, რომელზეც ურთიერთობენ ეკონომისტები, მეცნიერ-ეკონომისტები, პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოღვაწეები და სტატისტიკოსები.

7. ეას-ის მონაცემების ანალიზის ძირითადი მიმართულებები

ეას-ის მონაცემების ანალიზის ძირითადი მიმართულებებია: ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და ეკონომიკურ კონიუნქტურაში მიმდინარე რხევების განსაზღვრა; ეკონომიკის სტრუქტურისა და მისი დროში ცვლილებების შესწავლა, მაკროეკონომიკური ცვლადების, როგორიცაა მშპ, მთლიანი დაგროვება, საბოლოო მოხმარება, წმინდა ექსპორტი და ა.შ. დინამიკის განსაზღვრა.

ეს მონაცემები ფართოდ გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოკლე და საშუალოვადიანი პროგნოზების შესადგენად, რომელთა საფუძველზეც მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებასთან დაკავშირებით. თანამედროვე პირობებში მშპ - ეას-ის ცენტრალური აგრეგატი - იქცა იმ მაჩვენებლად, რომლის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების დასაბუთება.

ასევე, ეას-ის მონაცემების ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულებებია: ეროვნული დანაზოგის, როგორც ინვესტირების ძირითადი წყაროს გაზომვა, წმინდა დაკრედიტების ან წმინდა სესხების მოცულობის დადგენა, საგარეო-ეკონომიკური კავშირების გამოკვლევა. ეას-ის სექტორული ანგარიშების შემუშავება იძლევა მოსახლეობის ცხოვრების დონის ელემენტების, ეკონომიკის ცალკეული სექტორების მდგომარეობის გამოკვლევისა და ანალიზის გაღრმავების საშუალებას.

ზემოაღნიშნული და ეას-ის სხვა მონაცემები ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებლებთან ერთად ფართოდ გამოიყენება ფისკალური და ფულადი პოლიტიკის საკითხების გადასაწყვეტად. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა *მშპ-სა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის თანაფარდობის* მაჩვენებელმა, რომელსაც მთავრობა იყენებს ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად. სხვა მაკრომაჩვენებლებთან ერთად, ევროკავშირში ეს კოეფიციენტი გამოიყენება ქვეყნების სავალუტო ფონდში დაშვების საკითხის *გადასაჭრელად. ამავე კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა აქვს მიღებული გადასახადების, სახელმწიფო ვალის, საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების სალდოსა და მშპ-ის თანაფარდობის* მაჩვენებლებს, რის მიხედვითაც მთავრობამ კონკრეტული გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს საგადასახადო სისტემის რეფორმის, სავალუტო კურსისა და საგარეო ვალების სფეროში პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ეას იძლევა ეკონომიკური პროცესის აღწერას მთლიანობაში, რაც უზრუნველყოფს მაკროეკონომიკური პროცესების საერთო დახასიათებას. უფრო კონკრეტულად, ეას-ის მაჩვენებლები იძლევიან საშუალებას დავახასიათოთ:

- **მშპ-ის მოცულობა** - ეს მაჩვენებელი ხშირად იტერპრეტირდება, როგორც ბაზრის მოცულობის მაჩვენებელი, ვინაიდან ის ახდენს მოცემულ ქვეყანაში დროის ამა თუ იმ პერიოდში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების გაზომვას. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მშპ გამოიყენება ეკონომიკური განვითარების დონის დასახასიათებლად (სხვა ქვეყნებთან ან დროის სხვა პერიოდებთან შედარებით).
- **ეკონომიკური ზრდის ტემპები** - მიიღება სხვადასხვა პერიოდის მუდმივ ფასებში გაანგარიშებული მშპ-ის მაჩვენებლების შედარების გზით. ეს ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების, გასატარებელი რეფორმებისა და პროგრამების ეფექტურობის ერთ-ერთი კრიტერიუმია.
- **ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა** - ამ მიზნისათვის გამოიყენება მონაცემები მშპ-ის დარგობრივი სტრუქტურის შესახებ. ის უჩვენებს, თუ როგორია ეკონომიკის ცალკეული დარგების ხვედრითი წილი ეკონომიკაში.

სხვადასხვა პერიოდის მიხედვით მშპ-ის დარგობრივ სტუქტურაზე მონაცემები გვიჩვენებს ამა თუ იმ პერიოდში ეკონომიკის სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს.

- **წარმოებული პროდუქტის გამოყენების სტრუქტურა** - ექსპორტის, მოხმარებისა და დაგროვებისათვის. მშპ-ის გამოყენების სტრუქტურული მაჩვენებლები მნიშვნელოვანია წარმოების გაფართოების შესაძლებლობის შესაფასებლად, ცხოვრების დონის ანალიზისათვის და ა.შ.
- **მშპ-ის კვარტალური მონაცემები** - გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკურ კონიუნქტურაში მიმდინარე ცვლილებების ანალიზისათვის.
- **მშპ-ის თვიური მონაცემები** - აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება კეთდება წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით.
- **შრომის მწარმოებლურობა და მთლიანი მწარმოებლურობა** - რომელიც გაიანგარიშება, როგორც მშპ-ის შეფარდება შრომის დანახარჯებთან ან შრომისა და კაპიტალის მთლიან დანახარჯებთან. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვანია ეკონომიკური ეფექტიანობისა და ეკონომიკური ზრდის ფაქტორების ანალიზისათვის.
- **ეროვნული სიმდიდრის განაწილებისა და გადანაწილების პროცესები** - ამ პროცესების ანალიზისათვის გამოიყენება ეას-ის მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც აღწერს შემოსავლების პირველად და მეორად განაწილებას და აგრეთვე განკარგვადი (საბოლოო) შემოსავლების ფორმირებას. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის შედეგების ანალიზისათვის შემოსავლების განაწილებაში, ცხოვრების დონის ამაღლებაში და ა.შ.
- **მოსახლეობის საბოლოო მოხმარება** - ამ მიმართულებით ანალიზისათვის გამოიყენება მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ხარჯებს საბოლოო მოხმარებაზე, ანუ ე. წ. ფაქტობრივ მოხმარებას, საბოლოო მოხმარების სასაქონლო სტრუქტურასა და აგრეთვე სხვა ასპექტებს.

- **საინვესტიციო პროცესი** - მისი ანალიზისათვის ეას-ში გამოიყენება მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ახასიათებს კაპიტალური დანახარჯების დაფინანსების წყაროებს, ინვესტიციების სტრუქტურას, მათ დინამიკას და ა.შ.
- **ოპერაციები ფინანსური ინსტრუმენტებით** - რომელთა ანალიზისთვის ეას-ში გამოიყენება ეკონომიკის ცალკეული სექტორების მიერ ფინანსური აქტივების შეძენისა და ფინანსური ვალდებულებების მიღების მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლები იძლევა ეკონომიკის ერთ სექტორში გამოუყენებელი და სხვა სექტორებში გადაცემული რესურსების მოცულობის გამოვლენის საშუალებას, კაპიტალური დანახარჯების დაფინასების მიზნებისათვის.
- **დანარჩენი მსოფლიოს დაკრედიტების** ან დანარჩენი მსოფლიოსგან სესხების პროცესები.
- **ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ოპერაციები** - ექსპორტი, იმპორტი, კაპიტალის მოძრაობა საზღვარგარეთ და სხვ.
- **ეკონომიკის ცალკეული სექტორებისა და დარგების მდგომარეობა** - ამ მიზნით გამოიყენება დამატებული ღირებულების, შემოსავლებისა და ხარჯების, აქტივებისა და პასივების და აგრეთვე სხვა მაჩვენებლები.
- **დარგთაშორისი პროპორციები და კავშირები** - ეს ასპექტი გამოიკვლევა დარგთაშორისი ბალანსის ცხრილის მეშვეობით, რომელიც თანამედროვე ეას-ის მნიშვნელოვანი ორგანული ნაწილია.

ეკონომიკური ანალიზისათვის გამოიყენება ეას-ის წარმოებული მაჩვენებლები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან;
2. მიმდინარე ოპერაციების მიხედვით საგადასახდელო ბალანსის სალდოს შეფარდება მშპ-თან;
3. ფულადი მასის ზრდის ტემპებისა და მშპ-ის თანაფარდობა;
4. მშპ-ის ენერგოტევადობა (წარმოებაში მოხმარებული ენერგიის ღირებულების შეფარდება მშპ-თან);
5. მშპ-ის შეფარდება წარმოებაში გამოყენებული კაპიტალის მთლიან ჯამთან.

ეას-ის მაჩვენებლები შეიძლება წარმოადგენდეს ინტერესს ეკონომიკური განვითარების დონეების საერთაშორისო შედარებებისთვის ეკონომიკის სტრუქტურის, წარმოებული პროდუქტის გამოყენების სტრუქტურის, შრომის მწარმოებლურობის, ცხოვრების დონის მაჩვენებლების მიხედვით და აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის რეგიონული ანალიზისათვის. ქვეყნის რეგიონებისათვის მშპ-ის მონაცემები რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის შეფასებისა და საინვესტიციო მოთხოვნილების შესწავლის საფუძველია.

ეას-ის მონაცემების ანალიზის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამოკიდებულების გამოვლენას ეკონომიკური ზრდის ტემპებსა (მშპ-ის ფიზიკური მოცულობის ინდექსი) და შემდეგ მაჩვენებლებს შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-თან მიმართებით, მშპ-ის მთლიან მოცულობაში სახელმწიფო აპარატის შენახვის ხარჯების წილი, შიდა და საგარეო ვალის თანაფარდობა მშპ-თან მიმართებაში. სხვადასხვა ქვეყნაში ამ თანაფარდობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ, როგორც წესი, რამდენადაც მაღალია ბიუჯეტის თანაფარდობა მშპ-თან, მით უფრო დაბალია ეკონომიკური ზრდის ტემპი. რამდენადაც მაღალია სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში, მით უფრო დაბალია მშპ-ის ზრდის ტემპი. რამდენადაც მაღალია სახელმწიფო ვალის შეფარდებითი სიდიდე, მით უფრო დაბალია ეკონომიკური ზრდის ტემპები.

აღსანიშნავია, რომ ეას იძლევა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მაკროეკონომიკურ ცვლადებზე ზემოქმედების შესაძლო ვარიანტების გათვლისა და გაანალიზების საშუალებას.

მაგალითად, ეას შეიძლება გამოვიყენოთ იმის გამოსავლენად, თუ როგორ აისახება მთავრობის გადაწყვეტილება სახელმწიფოს შიდა ვალის შემცირებაზე მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ვინაიდან ვალის დაფარვამ და სახელმწიფო სესხის ობლიგაციების გამოსყიდვამ (მათი ძირითადი მფლობელები შეიძლება იყვნენ კერძო ბანკები) შეიძლება გადასახადების გადიდება მოითხოვოს. მოსალოდნელია, ამას მოჰყვეს სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნისა და მოსახლეობის მეტად უზრუნველყოფილი ფენების დანაზოგების შემცირება, რომლებსაც შეიძლება არ მოუნდეთ თავისი მოთხოვნის დონის შემცირება. საბოლოო ანგარიშში, ეს ცვლილებები ნეგატიურად აისახება როგორც ინვესტიციების, ასევე ეკონომიკური ტემპების ზრდაზე. სახელმწიფო ვალის მოსალოდნელ შემცირებასა და გადასახადების ზრდაზე მონაცემების არსებობის პირობებში ეას-ის ანგარიშების სტრუქტურის გამოყენებით შეიძლება გავიანგარიშოთ აღნიშნული პოლიტიკის გატარების შედეგად ეას-ის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების მოსალოდნელი რაოდენობრივი პარამეტრები: მშპ, საბოლოო მოხმარება, დანაზოგი და ინვესტიციები. ასეთი ანალიზი ხელს უწყობს მიზანშეწონილი გადაწყვეტილებების მიღებას ეკონომიკურ საკითხებში.

მეორე მაგალითი: მოსახლეობის ნაკლებად და მეტად უზრუნველყოფილ ფენებს შორის კეთილდღეობის დონეებს შორის გარღვევის შემცირების მიზნით, მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას შეამციროს გადასახადები ღარიბებისათვის და გაადიდოს მდიდრებისათვის. ეას-ის ანგარიშების გარეშე რთულია რაოდენობრივად შეფასდეს, თუ რა გავლენას მოახდენს აღნიშნული ღონისძიებები მაკროეკონომიკურ

ცვლადებზე. ასეთმა ანალიზმა შეიძლება გვაჩვენოს, რომ მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების შემოსავლებზე გადასახადების შემცირებას შედეგად მოჰყვება საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა, თუმცა იმავე მოცულობით საქონლისა და მომსახურების მიწოდებამ შეიძლება ინფლაცია გამოიწვიოს. ეას-ის საშუალებით შესაძლებელია აღნიშნული ღონისძიებების გავლენის რაოდენობრივი გათვლები ინფლაციის სავარაუდო მასშტაბების შესახებ.

ჩანართი 2. **ეას-ის გამოყენების უმნიშვნელოვანესი მიმართულებები**

- **ეკონომიკური განვითარების მონიტორინგი.** ეას-ის საკვანძო ინდიკატორები, როგორიცაა მშპ და მეშ ერთ სულ მოსახლეზე, საყოველთაოდ აღიარებულია და ფართოდ გამოიყენება ანალიტიკოსების, პოლიტიკური მოღვაწეების, პრესის, ბიზნესის წარმომადგენლებისა და მთლიანად საზოგადოების მიერ როგორც ეკონომიკური საქმიანობისა და კეთილდღეობის კრებსითი, გლობალური ინდიკატორები. ამ აგრეგატების დინამიკისა და მასთან დაკავშირებული ფასებისა და ფიზიკური მოცულობის მონაცემები ეკონომიკური საქმიანობის შედეგების განზოგადებული შეფასებისა და შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებისა და წარუმატებლობის იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენება. ეროვნული ანგარიშები მრავალფეროვან ინფორმაციას იძლევა როგორც ეკონომიკური საქმიანობის სახეების, ისე ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის მიხედვით. ეს საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ისეთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ნაკადებს, როგორიცაა წარმოება, შინამეურნეობების მოხმარება, სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარება, კაპიტალის დაგროვება, ექსპორტი, იმპორტი და ა.შ., როგორც მიმდინარე, ისე შესადარ ფასებში; ასევე, უმნიშვნელოვანესია ინფორმაცია იმ დამაბალანსებელი მუხლების შესახებ, რომელთა დახმარებით შემდეგში ხდება ისეთი თანაფარდობების დადგენა მთელი ეკონომიკის, ან ცალკეული სექტორების მიხედვით, როგორიცაა ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი, შემოსავლების წილები დაგროვებისა და მოხმარებისთვის, საგარეო ვაჭრობის სალდო და ა.შ. ასევე, ეას-ში გვხვდება მაჩვენებლები, რომლებიც მოკლევადიანი ინდიკატორების დინამიკის შეფასებისა და ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა: სამრეწველო წარმოების თვიური ინდექსები, სამომხმარებლო და მწარმოებელთა ფასების ინდექსები. რა თქმა უნდა, ეკონომიკის მონიტორინგი მნიშვნელოვნად ეფექტური იქნებოდა, შესაძლებელი რომ იყოს ეას-ის ყველა ინდიკატორის გამოთვლა არა წლიურად,

არამედ ყოველკვარტალურადაც, თუმცა ზოგიერთი ანგარიში, აქტივებისა და ვალდებულებების ცხრილები და ბალანსები წელიწადში მხოლოდ ერთხელ დგება.

- **მაკროეკონომიკური ანალიზი.** ეროვნულ ანგარიშებს იყენებენ აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების შესასწავლად. ჩვეულებრივ, ეს მიზანი მიიღწევა ეკონომეტრიკული მოდელების დახმარებით, სადაც ცვლადებად გვევლინება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფარგლებში ფორმირებული ფასისა და ფიზიკური მოცულობის დინამიკის მწკრივები. ასეთი კვლევებისთვის გამოყენებული მაკროეკონომიკური მოდელები შეიძლება განსხვავდებოდეს ეკონომიკური სკოლების მიხედვით, თუმცა ეას საკმაოდ მოქნილი სისტემაა და სრულიად აკმაყოფილებს სხვადასხვა ეკონომიკური მიმდინარეობის მოთხოვნებს, თუ მათში გაზიარებული იქნება ეას-ის ფუძემდებლური კონცეფციები: წარმოების, მოხმარების, შემოსავლებისა და ა.შ.

  მოკლევადიან პერსპექტივაში ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება ეკონომიკის მიმდინარე მდგომარეობისა და უკანასკნელი ტენდენციების საფუძველზე ხდება სამომავლო ცვლილებების ზუსტი პროგნოზის გათვალისწინებით, რაც ზემოაღნიშნული ეკონომეტრიკული მოდელებით მიიღწევა. საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში კი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება საერთო ეკონომიკური სტრატეგიის კონტექსტში უნდა მოხდეს.

  ჩვეულებრივ, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და გადაწყვეტილებების მიღება სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე ხორციელდება - როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კორპორაციების დონეზე. მულტინაციონალური კორპორაციები თვითონ ქმნიან საკუთარ მაკროეკონომიკურ მოდელებს, რისთვისაც ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებლებს იყენებენ. მსხვილ კორპორაციებსაც ასევე სჭირდებათ ეას-ის მონაცემები საინვესტიციო პროგრამებისთვის გრძელვადიანი ეკონომიკური მოლოდინების შესამუშავებლად. ასევე, არსებობს სპეციალური სააგენტოები, რომლებიც ცალკეული კლიენტების პროგნოზების აგებაზე მუშაობენ. ასეთ სააგენტოებსაც სჭირდებათ ეას-ის საკმაოდ დეტალიზებული მაჩვენებლები.

- **საერთაშორისო შედარებები.** ეას-ის ინდიკატორები საერთაშორისო სტანდარტულ სტატისტიკურ მეთოდოლოგიას ეფუძნება, სადაც გამოყენებულია საერთაშორისო დონეზე მიღებული კონცეფციები, განსაზღვრებები და კლასიფიკაციები, ამიტომ მიღებული შედეგები ფართოდ

გამოიყენება საერთაშორისო შედარებებისთვის. მაგალითად, მშპ ერთ სულ მოსახლეზე ან ინვესტიციების, გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების ფარდობა მშპ-სთან. მსგავსი, ან ანალოგიური განვითარების დონის მქონე ქვეყნების ეკონომიკების ფუნქციონირების ეფექტურობის დასადგენად ასეთი შედარებების შედეგებს ფართოდ იყენებენ ეკონომისტები, მედია, ექსპერტები და ანალიტიკოსები. შედარებების შედეგად ყალიბდება როგორც საზოგადოებრივი, ისე პოლიტიკური აზრი ქვეყნებში გამოყენებული ეკონომიკური პროგრამების შედარებითი ეფექტიანობის შესახებ. გარდა ამისა, მონაცემთა ბაზები ქვეყნების ჯგუფების მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომეტრიკულ ანალიზში, სადაც გაერთიანდება დინამიკის მწკრივები და ჯვარედინი საკლასიფიკაციო მონაცემები, რაც ზრდის ფაქტორების ფუნქციური ურთიერთკავშირების შეფასების დიაპაზონს. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-სა და მეშ-ის შეფარდებით მაჩვენებლებს ფართოდ იყენებენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც, იმ მიზნით, რომ გაარკვიონ, შეიძლება თუ არა სესხის გაცემა ამა თუ იმ ქვეყნისთვის, რა დახმარება შეიძლება გაეწიოთ მათ და რა პირობებით. თუ ამოცანა მდგომარეობს ქვეყნების მიხედვით საქონლისა და მომსახურების წარმოების ან მოხმარების მოცულობების შედარებაში ერთ სულზე, მაშინ ეროვნულ ვალუტაში გამოსახული მონაცემები ერთიან ვალუტაში უნდა გამოვსახოთ არა გაცვლითი კურსის, არამედ მყიდველუნარიანობის პარიტეტების საშუალებით. სწორედ ასეთი წესით გაანგარიშებული მაჩვენებლები გამოიყენება წევრი-ქვეყნების შენატანების დასადგენად საერთაშორისო ორგანიზაციების ბიუჯეტებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეას-ის შექმნის მთავარი მიზანი არ იყო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ეას-ის მაჩვენებლების გამოყენება. ეს სისტემა უნივერსალური, ე.ი. სტანდარტული იმის გამო გახდა, რომ ის უპირველეს ყოვლისა, ქვეყნებს ეხმარება ეროვნული ამოცანების გადაჭრაში. სწორედ ამიტომ არის მათთვის მნიშვნელოვანი ეას-ის შემდგომი განვითარება და დახვეწა.

წყარო: SNA 2008, p.62-63.

8. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის კავშირი სხვა მეცნიერებებთან

ეროვნული ანგარიშიანობა დაკავშირებულია მეცნიერებისა და პრაქტიკის მრავალ დარგთან, უპირველეს ყოვლისა კი, **მაკროეკონომიკურ სტატისტიკასთან**. ეას დასრულებულ სახეს აძლევს მაკროეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებელთა

სისტემას, უზრუნველყოფს მათ ურთიერთკავშირს. მასში აისახება ეროვნული სიმდიდრის ფორმირების, განაწილების, გადანაწილებისა და მოხმარების ყველა ძირითადი მაკროეკონომიკური პროცესი, კვლავწარმოების მთელი ციკლი.

ეროვნული ანგარიშიანობა დაკავშირებულია აგრეთვე **დარგობრივ სტატისტიკებთან** (ეკონომიკის ყველა დარგის სტატისტიკასთან). იგი ასახავს დარგების ფუნქციონირებისა და კვლავწარმოების ციკლის ყველა სტადიაზე მათი მონაწილეობის შედეგებს, განსაზღვრავს მათი საქმიანობის მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიის ზოგად პრინციპებს. საქმიანობის ცალკეული სახის სპეციფიკით განპირობებული მაჩვენებლების გაანგარიშების თავისებურებანი დარგობრივ (მიკრო) დონეზე არ არღვევს გამოშვების, მთლიანი დამატებული ღირებულების, შუალედური მოხმარებისა და ეას-ის სხვა მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიური პრინციპების ერთიანობას.

ეროვნული ანგარიშიანობა დაკავშირებულია **საერთაშორისო სტატისტიკასა და საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკებთან,** რამდენადაც ის წარმოადგენს საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკური სამსახურების ფუნქციონირების სპეციფიკური თავისებურებების შესწავლის ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველს.

ეროვნული ანგარიშიანობა, განსაკუთრებით კი ეას-ის ,,შინამეურნეობების" სექტორი, დაკავშირებულია **დემოგრაფიასა და სოციალურ სტატისტიკასთან.** ეროვნული ანგარიშიანობა მჭიდროდ უკავშირდება აგრეთვე **ეკონომიკურ თეორიას,** განსაკუთრებით მის იმ დებულებებს, რომლებიც ეას-ის მეთოდოლოგიის თეორიულ საფუძველს წარმოადგენენ.

ეროვნული ანგარიშიანობა მჭიდრო კავშირშია ყველა დონის **მენეჯმენტთან** (როგორც სახელმწიფო, ასევე ფირმის მენეჯმენტთან). ეას-იდან მიღებული ინფორმაცია ხელს უწყობს სახელმწიფოს დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საკითხებში, მეწარმეებს კი - მაკროეკონომიკური სიტუაციის, ინვესტირების მიზანშეწონილობის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და რისკების შეფასებაში.

მნიშვნელოვანია ეას-ის კავშირი **მათემატიკურ სტატისტიკასთან, მათემატიკასთან, ეკონომეტრიკასთან, ბუღალტერიასთან და პროგრამირებასთან.**

ჩანართი 3. **ეას და საბუღალტრო აღრიცხვა**

ეროვნული ანგარიშიანობა დაკავშირებულია მეცნიერებისა და პრაქტიკის მრავალ დარგთან, თუმცა მათ შორის წინააღმდეგობრივი ნიუანსებიც გვხვდება. სახელდობრ, ეას-ის შინაარსი და სტრუქტურა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკის

თეორიასა და საბუღალტრო აღრიცხვის პრაქტიკაზე. ითვლება, რომ ეკონომიკის თეორია განსაზღვრავს ეას-ის საბაზისო კატეგორიებს, როგორიცაა წარმოება, მოხმარება და კაპიტალის დაგროვება. ამასთან, თუ საბუღალტრო აღრიცხვის პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის ეკონომიკის თეორიასთან, მაშინ პრიორიტეტი ამ უკანასკნელს ენიჭება, რადგან ეას უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია ეკონომიკური ანალიზისა და ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად.

განსხვავება ეკონომიკის თეორიასა და ბუღალტერიას შორის შეიძლება თვალსაჩინოდ წარმოვაჩინოთ ეას-ში ფართოდ გამოყენებული წარმოების დანახარჯების კონცეფციის საფუძველზე.

ჩვეულებრივ (მაგრამ არა ყოველთვის), ბუღალტერიაში ხარჯების გათვალისწინება ისტორიული ღირებულების საფუძველზე ხდება, რაც ნაწილობრივ ობიექტურობის დაცვას ისახავს მიზნად. ისტორიული ღირებულების მიხედვით აღრიცხვა გულისხმობს, რომ საქონლისა და აქტივების აღრიცხვა უნდა მოხდეს მათი შესყიდვის დროს მოქმედი ფასების (მიუხედავად შესყიდვის შემდეგ გასული დროისა) ანუ თავდაპირველი ღირებულების (აქტივის წარმოებაზე, ტრანსპორტირებასა და დამონტაჟებაზე გაწეული ხარჯები) მიხედვით. თუმცა, ისტორიული ან თავდაპირველი ღირებულების ნაცვლად, ეას-ში გამოიყენება ეკონომიკის თეორიაში გავრცელებული ალტერნატიული ღირებულება (კრებსითი სარგებელი, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა მოცემული საქონლის ან აქტივის ალტერნატიული გზებით გამოყენების შემთხვევაში). პრაქტიკაში, ალტერნატიული ღირებულებით ხარჯების შეფასებასთან ყველაზე კარგი მიახლოებაა საქონლისა და აქტივების შეფასება ფაქტობრივი ან მიმდინარე საბაზრო ღირებულებით. ზოგჯერ, მიმდინარე ღირებულებით შეფასებას მოიხსენიებენ როგორც შეფასებას აღდგენითი ღირებულებით (მიმდინარე პერიოდში აქტივის წარმოებაზე გაწეული ხარჯები) - თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ გამოყენების შემდეგ აქტივს აუცილებლად შეცვლიან.

აღრიცხვის დროს მიმდინარე ღირებულების გამოყენება ეას-ზე ყოველმხრივ ახდენს გავლენას. კერძოდ, ეს აისახება ყველა ანგარიშზე, დამაბალანსებელ მუხლსა და აქტივებისა და პასივების ბალანსებზე. მთლიანი დამატებული ღირებულების, და შესაბამისად, მთლიანი შიდა პროდუქტის გაზომვის ფუძემდებლური პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პროდუქციის გამოშვებისა და შუალედური მოხმარების შეფასება უნდა მოხდეს მათი წარმოების პროცესში არსებული ფასებით. აქედან გამომდინარეობს, რომ მარაგებიდან ამოღებული საქონლის შეფასება უნდა ხდებოდეს მათი ამოღების მომენტში არსებული და არა მარაგში ჩადების ფასებით. ბუღალტერიაში შეფასების აღნიშნული მეთოდი მატერიალური საბრუნავი

საშუალებებისთვის არ გამოიყენება. ამასთან, ზოგჯერ ამ მეთოდის გამოყენებამ შეიძლება სრულიად სხვა შედეგებამდე მიგვიყვანოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მარაგების მოცულობის ცვლილება ფასების მატების დროს ხდება. ანალოგიურად, ეას-ში ძირითადი კაპიტალის მოხმარების შეფასება ალტერნატიული ღირებულების საფუძველზე ხდება, რაც განსხვავდება ამ აქტივების შეძენის ღირებულებისგან, რაც გულისხმობს, რომ მაშინაც კი, თუ მოხმარებული ძირითადი კაპიტალის შეცვლა არ მოხდება, წარმოების ხარჯებში ასახული ძირითადი კაპიტალის მოხმარება საკმარისი უნდა იყოს მისი შენაცვლებისთვის (სურვილის შემთხვევაში). იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეას-სა და ბუღალტერიაში ერთნაირი დაშვებები იქნება გამოყენებული აქტივების სამსახურის ვადებთან და ფიზიკური და მორალური ცვეთის ნორმებთან დაკავშირებით, სტაბილური ინფლაციის პირობებში ძირითადი კაპიტალის მოხმარება შეიძლება ბევრად მეტი აღმოჩნდეს ამორტიზაციაზე (რომელიც ისტორიული ღირებულების ბაზაზე გაიანგარიშება). ამიტომ, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ეას-ში გამოიყენება ტერმინი „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“, ხოლო ბუღალტერიაში „ამორტიზაცია“.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ბუღალტერიაში გამოყენებული საბალანსო მუხლი „მოგება“ ეას-ში სხვა შინაარსს იძენს. კერძოდ, მუხლი „მეწარმის შემოსავალი“ უფრო უახლოვდება მოგებას გადასახადების გადახდამდე, ხოლო „განკარგვადი შემოსავალი“ - მოგებას გადასახადების გადახდის შემდეგ. ბუღალტრული აღრიცხვისგან განსხვავებით, ეას-ში შემოსავლების გაანგარიშების დროს გამოირიცხება აქტივების მატება ან კლება კაპიტალური ტრანსფერტების შედეგად, რაც ინსტიტუციურ ერთეულებს შორის მხოლოდ სიმდიდრის გადანაწილებას ახდენს. ასევე, აქტივების ნებისმიერი შემოსვლა ან გასვლა არაეკონომიკური ხასიათის მოვლენებთან დაკავშირებით, როგორიცაა მიწისძვრა, სხვა სტიქიური კატაკლიზმები ან საომარი მოქმედებები. წარმოების შედეგად შექმნილი შემოსავლებიდან გამოირიცხება ჰოლდინგური მოგება ან ზარალი, რაც გამოწვეულია აქტივებსა და ვალდებულებებზე შეფარდებითი ფასების ცვლილებით.

ეას-2008-ის დამახასიათებელი თავისებურებაა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ფართო გამოყენების ცნობა კორპორაციებისა და საჯარო სექტორის მიერ.

წყარო: SNA 2008, p. 68-69

ჩაულრმავდით

ეას-ის როლი სტატისტიკის კოორდინაციაში და ძირითადი საინფორმაციო წყაროები

ეას მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა სტატისტიკური სისტემის ჰარმონიზაციის საქმეში. ერთი მხრივ, ეას-ში ხდება სტატისტიკის სხვადასხვა სფეროში გამოყენებული განსაზღვრებებისა და კლასიფიკაციების უნიფიცირება, ხოლო მეორე მხრივ, ის ანგარიშთა სისტემის ბაზაზე უზრუნველყოფს სხვადასხვა წყაროდან - საწარმოები, შინამეურნეობების კვლევა, საგარეო ვაჭრობა, ადმინისტრაციული წყაროები - მოპოვებული ციფრობრივი ინფორმაციის არითმეტიკულ შეთანხმებას. ამასთან, ჰარმონიზაციის პროცესი გულისხმობს სპეციფიკური სტატისტიკური წყაროების - საგადასახდელო ბალანსის, ფინანსური სტატისტიკისა და შრომის სტატისტიკის საკითხების შეთანხმებას (შესაბამისობაში მოყვანას), რაც ზრდის მათ ანალიტიკურ შესაძლებლობებს.

ეას-ის ძირითადი საინფორმაციო წყაროები

ეას-ის მაჩვენებლების გაანგარიშება ეფუძნება ინსტიტუციური ერთეულების (სამეურნეო სუბიექტების - საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, ფიზიკური პირები) საქმიანობის შესახებ სხვადასხვა წყაროდან შემოსული პირველადი ინფორმაციის სისტემას. საქართველოში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ასაგებად ინფორმაციის მოპოვების საკითხებს უზრუნველყოფს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge, ეროვნული ბანკი https://www.nbg.gov.ge, ფინანსთა სამინისტროს http://www.mof.ge საგადასახადო http://www.rs.ge/4771 და საბაჟო სამსახურები http://www.rs.ge/5625. მაკოორდინირებელ როლს ამ საქმიანობაში ასრულებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ის ახორციელებს მთლიანად ქვეყნის მასშტაბით სტატისტიკური საქმიანობის ხელმძღვანელობას, ერთიანი მეთოდოლოგიის საფუძველზე ახდენს სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზებას, ურთიერთქმედებს სახელმწიფო მართვის ორგანოების საინფორმაციო სისტემებთან და მონაცემთა ბაზების (ბანკების) მქონე სხვა ორგანიზაციებთან.

სახელმწიფო მართვის ორგანოების ჩარჩოებში ინფორმაციის მოპოვებითა და დამუშავებით დაკავებული ყველა ძირითადი დაწესებულების თანამშრომლობა გამოიხატება კონცეფციების, პროგრამებისა და მონაცემთა მოპოვების მეთოდების, ანალიზის მეთოდებისა და კითხვარების შეიმუშავებაში, უწყებებს შორის მონაცემთა ბაზის მეშვეობით ინფორმაციის გაცვლის ფორმების დახვეწაში. კვლევების დაგეგმვისას, მონაცემთა უფრო ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით, ყველა სამინისტრო და უწყება კონსულტაციას უნდა გადიოდეს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში და უსასყიდლოდ უნდა გადასცეს მას გამოკვლევის შედეგები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური შეიმუშავებს კლასიფიკაციების დანერგვის პროცედურებს და ახსნა-განმარტებებს უტარებს სხვა უწყებებს, თუ

როგორ გამოიყენონ საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ეკონომიკური კლასიფიკაციები მათგან მიღებული მონაცემების სწორი ინტერპრეტირებისა და ეფექტიანი გამოყენების მიზნით.

საქსტატი, ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვებითა და დამუშავებით დაკავებულ სხვა ორგანიზაციებთან ერთად, მუდმივად სრულყოფს ინფორმაციის წყაროებს, მონაცემთა მოპოვებისა და დამუშავების მეთოდებს და ახდენს მიღებული ინფორმაციის გამოქვეყნებას მხოლოდ აგრეგირებული სახით, რათა დაცულ იქნეს მათი კონფიდენციალობა (კონფიდენციალობა უზრუნველყოფილია კანონით „სტატისტიკის შესახებ", მუხლი 4, პარ. 1, „ვ" პუნქტი). კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემები – ეს არის სტატისტიკური მიზნით შეგროვებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა, http://www.geostat.ge/cms/site_images/saqstatis_kanoni.pdf.

ძირითადი საინფორმაციო წყაროების მიმოხილვა და მათი ზოგადი დახასიათება

სტატისტიკურ მონაცემთა ძირითადი წყაროები იყოფა: **შიდა და გარე წყაროებად.**

შიდა წყაროებს მიეკუთვნება სტატისტიკური დაკვირვების ის კითხვარები, რომელთა შემუშავება, ტესტირება, მომხმარებლამდე მიტანა და შეგროვება ხდება საქსტატის მიერ. მათ მიეკუთვნება:

1. საწარმოთა ანგარიშგება
   http://www.geostat.ge/?action=page&p_id=697&lang=geo
2. ბიზნეს რეგისტრი
   http://br.geostat.ge:8080/register_geo/index.php?action=search
3. გამოკვლევები და აღწერები
   http://census.ge/ge/results/census

გარე წყაროებს მიეკუთვნება სტატისტიკური დაკვირვების ის სახეები და ფორმები, რომლებსაც ახორციელებენ სხვა უწყებები:

1. ადმინისტრაციული წყაროები;
2. მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა;
3. საგადასახდელო ბალანსი;
4. საბაჟო სტატისტიკა.

შიდა წყაროები. საწარმოთა ანგარიშგება

საწარმოთა ანგარიშგების სისტემა შედგება ინფორმაციის ორი ნაკადისაგან: ბუღალტრული ანგარიშგება და სტატისტიკური ანგარიშგება.

ანგარიშგების ეს სახეები მჭიდროდაა ერთმანეთთაცნ დაკავშირებული, ვინაიდან ეფუძნებიან ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს, თუმცა მათ შორის არის განსხვავებებიც.
სოციალიზმისგან განსხვავებით, სადაც სტატისტიკური სისტემა ეფუძნებოდა ყველა სამეურნო სუბიექტის მიერ წარდგენილ სავალდებულო სტატისტიკურ და ბუღალტრულ ანგარიშგებებს, საბაზრო ურთიერთობებს თან სდევს მნიშვნელოვანი სტრუქტურული და ინსტიტუციური ცვლილებები საანგარიშგებო დისციპლინის შესუსტებით, რამაც გავლენა იქონია ანგარიშგების ხარისხზე. ამის გარდა, მრავალრიცხოვანი წვრილი საწარმოების შექმნა და შინამეურნეობების არაფორმალური საწარმოო საქმიანობის განვითარება ართულებს მათზე ანგარიშგების მეშვეობით მონაცემების მოპოვებას. მრავალი საწარმო, განსაკუთრებით არასახელმწიფო, არ წარადგენს ანგარიშგებას ან არასწორ ინფორმაციას იძლევა.
ამგვარად, საწარმოს ანგარიშგების ახალ ეკონომიკურ პირობებთან შესაბამისობაში მოსაყვანად საჭირო გახდა მთელი სტატისტიკური სისტემის შეცვლა. როგორც წესი, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში რეგულარული ანგარიშგება უზრუნველყოფს ინფორმაციის სრულად მიღებას ძირითადად მსხვილი საწარმოებიდან, ხოლო საშუალო და მცირე საწარმოებიდან ის მოიპოვება შერჩევითი კვლევების მეშვეობით.
სტატისტიკური ანგარიშგება აუცილებელია ეკონომიკის სხვადასხვა დარგის მდგომარეობის ანალიზისა და განვითარებისათვის, სახელმწიფო მართვის ორგანოების უზრუნველსაყოფად ისეთი მონაცემებით, რომელთა საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილებები ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში. სტატისტიკური კვლევის კითხვარები მტკიცდება საქსტატის მიერ.
დღეისთვის სტატისტიკური ანგარიშგება - ანგარიშგების მნიშვნელოვანი სახეა საქსტატის ინფორმაციულ ბაზაში, ხოლო სტატისტიკური დაკვირვების კითხვარები უნიფიცირებულია სხვადასხვა დარგის საწარმოებისათვის. ამავდროულად იზრდება სტატისტიკური დაკვირვების შერჩევითი მეთოდის როლი პერიოდული და ერთდროული აღწერებისა და გამოკვლევების მეშვეობით.

სტატისტიკური ანგარიშგება ეფუძნება ბუღალტრულ აღრიცხვას, მაგრამ მასში მაჩვენებელთა წრე უფრო ფართოა, ვიდრე საბუღალტრო ანგარიშებში და ზოგიერთი მათგანის მისაღებად საჭიროა სპეციალური გაანგარიშებები და შეფასებები.

ანგარიშგების გაუმჯობებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფა, მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისა და ახალი კატეგორიებისა და ოპერაციების (შემოსავლები საკუთრებიდან,

შემოსავლები პრივატიზაციიდან, არამატერიალური აქტივები, ოპერაციები აქციებით, სხვა ფასიანი ქაღალდებით, მიწასთან დაკავშირებული და ა.შ.) ასახვის მიზნით.

ბუღალტრული ანგარიშგება ასახავს საწარმოს ეკონომიკურ მდგომარეობას. ის ძირითადად ორიენტირებულია საწარმოების ხელმძღვანელებისა და მფლობელების უზრუნველყოფაზე ინფორმაციით სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ და საწარმოო პროცესის ანალიზისა და მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად.

საწარმოს ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტებია:

- ბუღალტრული ბალანსი, რომელშიც აისახება საწარმოს ქონება (აქტივებისა და ვალდებულებების განთავსება) საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის, რაც იძლევა მისი მოცულობისა და სტრუქტურული ცვლილებების შესწავლის საშუალებას;
- მოგება-ზარალისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისები, სადაც აისახება შემოსულობების წყაროები და სახსრების ხარჯვის მიმართულებები, რომელთა საფუძველზეც ხდება საწარმოს მოგებისა და ზარალის ფორმირება.

სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრი ინფორმაციის მნიშვნელოვანი შიდა წყაროა http://br.geostat.ge:8080/register_geo/. ის უზრუნველყოფს საწარმოთა შერჩევის დაგეგმვისა და ორგანიზებისათვის მონაცემთა ბაზების მიწოდებას. რეგისტრი მოიცავს მასში შემავალ ყველა საწარმოზე შემდეგ მონაცემებს:

1 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა სექციების მიხედვით

2 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით

3 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა საკუთრების ფორმების მიხედვით

4 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

5 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

6 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით საქმიანობის სახეების ჭრილში - ნაზარდი ჯამი

7 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით საქმიანობის სახეების ჭრილში - კონკრეტულ წელს რეგისტრირებული

8 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჭრილში - ნაზარდი ჯამი

9 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჭრილში - კონკრეტულ წელს რეგისტრირებული.

რეგისტრის აქტუალიზაცია, ანუ განახლება, მისი შენარჩუნება სამუშაო მდგომარეობაში ხორციელდება მონაცემების რეგულარული შეყვანით ახალ საწარმოებზე, ადრე რეგისტრირებული საწარმოების სტატუსისა და ადგილმდებარეობის ცვლილების, მათი გაყოფის, შერწყმის და აგრეთვე ლიკვიდირებული საწარმოების რეგისტრიდან ამოღებისა და ფუნქციონირებაშეწყვეტილი საწარმოების გამოვლენის გზით, რომლებიც უნდა გამოირიცხოს შერჩევიდან გამოკვლევებისა და აღწერების ჩატარებისას. ეკონომიკური ერთეული აქტიურია, თუ იგი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს:

- ბრუნვა>0 (დღ-ს, საშემოსავლო და სხვა დეკლარაციები)
- დასაქმებულთა რაოდენობა>0 (დღ-ს, საშემოსავლო და სხვა დეკლარაციები)
- ხელფასი ან დასაქმებულთა რაოდენობა>0 (სახელფასო ცნობები)
- აქვს მოგება ან ზარალი (მოგების დეკლარაცია)
- გადაიხადა ნებისმიერი სახის გადასახადი, გარდა მხოლოდ ქონების გადასახადისა.

საქსტატი შეიმუშავებს სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრს, რომელიც გამოიყენება ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე.

http://www.geostat.ge/?action=page&p_id=61&lang=geo

კვლევები და აღწერები. საბაზრო ეკონომიკა, მისი მოძრავი და ცვალებადი ხასიათიდან გამომდინარე, მოითხოვს სტატისტიკური სისტემის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების მოქნილობას. სტატისტიკურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს დროული ინფორმაციის მიღება და მისი კორექტირება შექმნილი მდგომარეობისა და საინფორმაციო წყაროების ცვალებადობის გათვალისწინებით. ამ მიზნით, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების სტატისტიკური სამსახურები რეგულარული გამოკვლევებიდან შემოსულ მონაცემებს ავსებენ სპეციალური წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით. სტატისტიკაში გავრცელებული პრაქტიკაა სრული ეკონომიკური აღწერების ჩატარება რამდენიმე წელიწადში ერთხელ და აღწერებს შორის მათი შევსება შერჩევითი გამოკვლევებით.

ეკონომიკური აღწერები არის საწარმოო ერთეულების სტატისტიკური გამოკვლევის ერთ-ერთი ფორმა, რაც გამოიხატება საწარმოს სრულ გამოკვლევაში. მისი მეშვეობით ერთიანი კრიტერიუმების მიხედვით ღებულობენ ზუსტ მონაცემებს საწარმოთა გეოგრაფიული და ფუნქციური მახასიათებლების შესახებ რომელიმე თარიღისათვის. ეკონომიკური აღწერის დროს დგინდება საწარმოთა სამართლებრივი სტატუსი, დარგობრივი კუთვნილება, დასაქმებულთა რიცხვი, საშუალო ხელფასი და ა.შ. ასეთი სახის აღწერების მონაცემები სხვა გამოკვლევათა მონაცემების შემოწმების

საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, აღწერებისა და გამოკვლევების მეშვეობით დგინდება იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც სტატისტიკურ ორგანოებს აწვდიან ანგარიშგებას.

შერჩევითი კვლევების მომზადება ტერიტორიულ-ორგანიზაციული პრინციპის საფუძველზე, ბიზნეს რეგისტრის გამოყენებით ხელს უწყობს ადგილზე რეგულარულ შემოწმებებს, აღურიცხავი მცირე საწარმოების გამოვლენასა და მათი საქმიანობის სპეციფიკის დაზუსტებას.

აღწერებისა და გამოკვლევების ჩატარების პროგრამებში გათვალისწინებულია როგორც დარგობრივი სტატისტიკების, ასევე მაკროეკონომიკური სტატისტიკის, კერძოდ, ეროვნული ანგარიშების მოთხოვნები.

საქსტატი ყოველკვარტალურად ახორციელებს აგრეთვე მცირე საწარმოთა შერჩევით გამოკვლევას. გამოკვლევის დროს მოიპოვებენ მონაცემებს დასაქმებულთა რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების, წარმოების მოცულობის, ფინანსური შედეგების, ძირითადი კაპიტალის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ.

მრავალი ქვეყნის სტატისტიკურ პრაქტიკაში შერჩევითი გამოკვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია შინამეურნეობების ბიუჯეტების გამოკვლევა, რომელიც იძლევა მათი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მონაცემების მიღების საშუალებას. ამ მონაცემების მეშვეობით დგინდება მათი მოხმარება, დაგროვება, დანაზოგი. შინამეურნეობების გამოკვლევის მონაცემები უზრუნველყოფს ოპერატიულ და ვრცელ ინფორმაციას მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ცხოვრების დონეზე, მოსახლეობის დიფერენციაციას შემოსავლების დონის მიხედვით და გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსის გასაანგარიშებლად (შინდა 01-07 კითხვარები):

http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/kitxvarebi/shinda/Shinda03_2017_Geo.pdf

http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/kitxvarebi/shinda/Shinda04_2017_Geo.pdf

http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/kitxvarebi/shinda/Shinda05_2017_Geo.pdf

http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/kitxvarebi/shinda/Shinda05-1_2017_Geo.pdf

საქართველოში შინამეურნეობათა ბიუჯეტების გამოკვლევა დაფუძნებულია მათი წევრების უშუალო გამოკითხვასა და მოხმარების მიმდინარე დანახარჯების შესახებ ჩანაწერებზე. ცალკეული შინამეურნეობის გამოკვლევის პერიოდულობა კვარტალურია. გამოკვლევის პროგრამა გულისხმობს ასევე შინამეურნეობების

შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ისეთი საკითხებზე, როგორიცაა: საბინაო პირობები, გრძელვადიანი მოხმარების საგნების გამოყენება, პირუტყვის ბრუნვა, შინამეურნეობების წევრების განათლების დონე და ა.შ.

შინამეურნეობათა შერჩევის სქემა დაფუძნებულია შემთხვევით შერჩევაზე საცხოვრებელი ადგილისა და სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ნიშნის გათვალისწინებით: შინამეურნეობის სიდიდე, საცხოვრებელი სახლის ტიპი, საარსებო საშუალებების წყაროები, განათლების დონე, ეროვნება და სხვ.). ასევე, ტარდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების, სამუშაო ძალის გამოკვლევები და სხვ.

ადმინისტრაციული წყაროები

მონაცემთა ადმინისტრაციული წყაროები (ადმინისტრაციული წყარო – სახელმწიფო რეესტრი ან სხვა მონაცემთა ბაზა როგორც ელექტრონული, ისე სხვა ფორმით, რომელსაც აწარმოებს ან ფლობს ადმინისტრაციული ორგანო) მოიცავს ყველა დონის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების (ცენტრალური, რეგიონული, ადგილობრივი), სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდებისა და საგადასახადო სამსახურების ანგარიშგებას (სტატისტიკური მიზნებისათვის მონაცემები შეიძლება შეგროვდეს ყველა სახის წყაროდან – სტატისტიკური გამოკვლევებიდან ან/და ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციიდან. სტატისტიკის მწარმოებელმა სტატისტიკური წყარო ხარისხის, დროულობის, დანახარჯებისა და რესპონდენტის დატვირთვის გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს. საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ):
http://www.geostat.ge/cms/site_images/saqstatis_kanoni.pdf

ანგარიშგება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

მოცემული ანგარიშგებების შემუშება ხდება ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს მიერ და წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების შესახებ ძირითად წყაროს. ის მოიცავს მონაცემებს ყველა დონის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტისა და მისი დაფინანსების წყაროების შესახებ: http://www.rs.ge/4771

ბიუჯეტის შემოსავლებში გამოიყოფა საგადასახადო შემოსავლები, სახელმწიფო საკუთრების გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლები (მაგალითად, ბუნებრივი რესურსების გამოყენების გადასახადები, სახელმწიფო კრედიტზე პროცენტები და სხვ.), შენატანები სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან, ტრანსფერტები. ბიუჯეტის ხარჯების კლასიფიკაცია წარმოებს ეკონომიკური და ფუნქციური ნიშნების მიხედვით.

დანახარჯების ეკონომიკური ნიშნით კლასიფიკაცია ასეთია: მიმდინარე დანახარჯები საბიუჯეტო დაწესებულებების ფუნქციონირებაზე, მოსახლეობაზე, პენსიებისა და დახმარებათა გადახდა, საწარმოების სუბსიდიები და ტრანსფერტები, ბიუჯეტიდან მშენებლობაზე, მოწყობილობათა შეძენაზე, კაპიტალურ რემონტზე, სახელმწიფო რეზერვების შექმნაზე, მიწისა და არამატერიალური აქტივების შეძენაზე გამოყოფილი კაპიტალური დანახარჯები და სხვ.

ბიუჯეტის დანახარჯების ფუნქციური კლასიფიკაცია გვიჩვენებს სახელმწიფო რესურსების განაწილებას შემდეგი მიმართულებების მიხედვით: დაბანდებები ეკონომიკაში, სოციალურ განვითარებაში, მეცნიერებაში, თავდაცვაში და ა.შ.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშება არასაბაზრო მომსახურებათა ღირებულება, დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე და სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლები სახელმწიფო მმართველობის სექტორის საქმიანობის შესახებ.

საგადასახადო სტატისტიკა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საგადასახადო სამსახურები განაზოგადებენ სამეურნეო სუბიექტებისა და ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყველა სახის შემოსავალსა და მათ მიერ გადახდილ გადასახადებს. ამ მონაცემებს სტატისტიკური ორგანიზაციები გამოიყენებენ შემოსავლებსა და ხარჯებზე სხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების გადასამოწმებლად. ინდივიდუალური საგადასახადო დეკლარაციების კონფიდენციალობის დასაცავად და საქმიანი წრეების მხრიდან ნდობის უზრუნველსაყოფად, სტატისტიკური ორგანოები გაანგარიშებებსა და პუბლიკაციებში იყენებენ მხოლოდ აგრეგრირებულ მონაცემებს.

მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა

2010 წლის 17 მაისიდან საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის წევრია. მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი უზრუნველყოფს ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით დაინტერესებული საზოგადოებისათვის, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც, რაც დაბალანსებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებისა და ამავდროულად, პოტენციური საგარეო ეკონომიკური პარტნიორებისა და ინვესტორების დაინტერესების გარანტია. მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი უადვილებს წევრ ქვეყნებს კაპიტალის ბაზრებზე მონაწილეობას.

ამდენად, საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული სტატისტიკური სისტემის შემადგენელ ნაწილს, რომლის მიზანია აწარმოოს და მიაწოდოს მომხმარებელს ობიექტური სტატისტიკური ინფორმაცია სტატისტიკის შემდეგი დარგების მიხედვით:

- მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა
  საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკა
- საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სტატისტიკა
  საგარეო ვალის სტატისტიკა
- საერთაშორისო რეზერვებისა და უცხოური ვალუტის ლიკვიდობის სტატისტიკა
- გაცვლითი კურსების სტატისტიკა
- საპროცენტო განაკვეთების სტატისტიკა.

2007 წლის იანვრიდან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე სისტემატურად ქვეყნდება სტატისტიკურ მონაცემთა მწკრივები, სათანადო მეთოდოლოგიურ განმარტებებთან ერთად. ეს ღონისძიება ნაკარნახევია მომხმარებელთათვის მრავალფეროვანი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობით. სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება ხდება "სტატისტიკური პუბლიკაციების კალენდრის" მიხედვით.

საგადასახდელო ბალანსი

საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს სტატისტიკურ ანგარიშს, რომელიც ასახავს დროის გარკვეული პერიოდში (ჩვენს შემთხვევაში ყოველკვარტა-ლურად) ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორცი-ელებულ ეკონომიკურ ოპერაციებს. მასში აისახება ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენ-ტებს შორის. საგადასახდელო ბალანსი შედგება 2 ძირითადი ანგარიშისგან. ესენია: მიმდინარე ანგარიში და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში. მიმდინარე ანგარიშში ასახულია მიმდინარე

ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის, კერძოდ, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა, შრომითი და საინვესტიციო შემოსავლები, მიღებული და გაცემული ტრანსფერები. ფინანსური ანგარიში ასახავს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებულ ინვესტიციებს და არარეზდენტების მიერ საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს. ისინი იყოფა როგორც: პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელის ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები, სხვა ინვესტიციები და სარეზერვო აქტივები.

საგადასახდელო ბალანსი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მდგომარეობისა და განვითარების ანალიზის ძირითადი ინსტრუმენტია. ის გვიჩვენებს, როგორ ვითარდება საგარეო ვაჭრობა და ფორმირდება ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების სალდო, რა მოცულობის მიმდინარე შემოსავლებსა და ტრანსფერტებს ღებულობს და იხდის ქვეყანა, რა მოცულობითა და რა ფორმით მიმდინარეობს უცხო ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვა ან ხორციელდება ინვესტირება სხვა ქვეყნების ეკონომიკაში, როგორ ხდება საგარეო დავალიანების დაფარვა. საგადასახდელო ბალანსის მონაცემები გვევლინება ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ,,დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშის აგების ძირითად წყაროდ, ფართოდ გამოიყენება არა მხოლოდ საგარეო-ეკონომიკური, არამედ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის, ასევე შიდა სავალუტო ბაზრისა და სავალუტო კურსების რეგულირებისათვის. ბალანსის შემუშავება ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის საფუძველზე.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (სსპ) ასახავს დროის გარკვეულ მომენტში საგარეო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს. სსპ აერთიანებს არარეზიდენტებისადმი მოთხოვნებსა და მათ მიმართ სხვადასხვა სახის ვალდებულებებს ეკონომიკის შემდეგი სექტორების მიხედვით: ცენტრალური ბანკი (ჩვენს შემთხვევაში ეროვნული ბანკი), დეპოზიტური კორპორაცი-ები ეროვნული ბანკის გარდა, სამთავრობო და სხვა სექტორები. სსპ–ის ძირითადი მუხლები საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის მუხლების იდენტურია და მოიცავს: პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებუ-ლებს, სხვა ინვესტიციებსა (სხვა სააქციო კაპიტალი, ნაღდი ფული და დეპოზიტები, სესხები, სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები სავაჭრო კრედიტები და ავანსები, სხვა მოთხოვნები/ვალდებულები) და სარეზერვო აქტივებს.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია პერიოდის ბოლოს იანგარიშება, როგორც ნაშთს პერიოდის დასაწყისში დამატებული პერიოდის განმავლობაში მომხდარი

ოპერაციული ცვლილება, მოცულობის სხვა ცვლილება, გაცვლითი კურსისა და ფასის სხვა ცვლილება. ოპერაციული ცვლილება შეესაბამება საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის ტრანზაქციებს. სხვაობა ეკონომიკის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეადგენს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას. ამდენად, სსპ შეიძლება იყოს წმინდა კრედიტული ან წმინდა დებეტური.

მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკა მოიცავს მონაცემებს ქვეყნის ფინანსური ვალდებულებების შესახებ უცხოელების მიმართ. ე.ი. ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი დროის მოცემული მომენტისათვის არის ფაქტიური, უპირობო ვალდებულებების გადაუხდელი თანხა, რომელიც მოითხოვს ამ ქვეყნის რეზიდენტის მიერ არარეზიდენტისათვის ძირითადი ან/და პროცენტის გადახდას მომავალი დროის რომელიმე მომენტში. ანუ ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც მომავალ პერიოდში გადასახდელი იქნება არარეზიდენტისთვის, შედის ქვეყნის მთლიან საგარეო ვალში https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306

საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციისა და მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკის საანგარიშო ერთეულია აშშ დოლარი.

საბაჟო სტატისტიკა

საბაჟო სტატისტიკა საგარეო ვაჭრობაზე მონაცემების ძირითადი წყაროა, რაც აუცილებელია ეას-ის ცალკეულ ანგარიშებში ასახული საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლების გასაანგარიშებლად. საერთაშორისო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციამ გამოიწვია იმის აუცილებლობა, რომ საბაჟო სამსახურებს შეემუშავებინათ საერთაშორისო პრაქტიკის შესატყვისი საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის მეთოდიკა. ეს მეთოდიკა ეფუძნება საქართველოს საბაჟო კოდექსის პრინციპებს და ითვალისწინებს ევროსტატის მეთოდიკას. საბაჟო

სტატისტიკის მონაცემთა ძირითადი წყაროა საბაჟო დეკლარაცია საქონლის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ http://asycuda.rs.ge/
საქსტატი და საბაჟო სამსახური ერთობლივად შეიმუშავებენ საგარეო ვაჭრობის განმარტებებსა და კონცეფციებს http://www.geostat.ge/?action=page&p_id=745&lang=geo მათი თანამშრომლობის მიზანია აგრეთვე არარეგისტრირებული ვაჭრობის აღმოფხვრა.

ტექნიკური ჩანართი

როგორ გავიადვილოთ ეას-ის მაჩვენებლების სტატისტიკური დამუშავება და პრეზენტაცია: PC Axis-ით სარგებლობის მოკლე ინსტრუქცია

ნაბიჯი 1. საქსტატის ვებ გვერდზე მოძებნეთ მართკუთხა ღილაკი **მონაცემთა ბაზები PC Axis:**



ნაბიჯი 2. დააწკაპუნეთ ისრით მითითებულ ღილაკზე, გამოვა შემდეგი ფანჯარა:



ნაბიჯი 3. ეს-ის მონაცემების მისაღებად დააწკაპუნეთ საქაღალდეზე **„ეროვნული ანგარიშები“** . საქაღალდე ასე ჩამოიშლება:



ნაბიჯი 4. დააწკაპუნეთ თქვენთვის საინტერესო მაჩვენებელზე, მაგ. **მთლიანი შიდა პროდუქტი**, მონიშნეთ CTRL-ით საქმიანობის სახე ან სახეები და პერიოდი(წლები ან

კვარტალები).



ნაბიჯი 5. მონაცემების მიღება შესაძლებელია როგორც ცხრილის, ისე გრაფიკის სახით. მაგალითად, თუ მივუთითებთ **ცხრილების განლაგება 1**-ს და დააწკაპუნებთ ღილაკზე **გაგრძელება**, მიიღებთ:



	2010	2011	2012	2013	2014	2015
A+B სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	1 509,9	1 854,9	1 933,3	2 195,0	2 328,1	2 507,6
C სამთამოპოვებითი მრეწველობა	181,0	208,8	230,8	210,3	204,3	300,1
D დამამუშავებელი მრეწველობა	1 654,8	2 085,6	2 288,5	2 468,5	2 664,7	2 753,7
E ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	534,2	634,8	637,0	699,8	712,0	847,7
C1 პროდუქციის გადამუშავება მინამეურნეობების მიერ	536,9	655,8	601,0	658,4	662,9	713,8
F მშენებლობა	1 100,0	1 407,9	1 756,9	1 568,2	1 772,4	2 157,9
G ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	3 024,9	3 552,7	3 769,5	4 026,8	4 385,5	4 588,7
H სასტუმროები და რესტორნები	411,7	466,3	510,6	526,2	595,6	693,9
I1 ტრანსპორტი	1 415,1	1 573,4	1 703,9	1 789,2	1 928,9	2 181,7
I2 კავშირგაბმულობა	661,9	638,6	691,6	662,0	692,9	714,8
J საფინანსო საქმიანობა	476,7	536,1	633,5	706,1	863,8	1 044,5
K ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	887,8	1 138,7	1 232,5	1 351,9	1 517,8	1 784,6
K1 საკუთარი საცხოვრებლის გამოყენების პირობითი რენტა	590,3	665,9	730,5	791,6	841,0	887,8
L სახელმწიფო მმართველობა	2 343,1	2 443,0	2 526,3	2 365,4	2 478,9	2 546,2
M განათლება	874,0	1 050,0	1 092,3	1 202,5	1 276,1	1 338,6
N ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1 202,0	1 275,5	1 362,2	1 338,5	1 514,9	1 647,5
O სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	825,5	1 021,7	1 066,2	1 069,6	1 032,4	1 199,9
P მინამოსამსახურის საქმიანობა და მინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	20,1	25,2	29,3	29,6	28,4	30,3
ფინანსური მუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი მუამავლობა	-235,5	-259,5	-290,8	-324,7	-405,1	-471,1
(=) მშპ საბაზისო ფასებში	18 014,4	20 975,4	22 505,3	23 335,0	25 095,7	27 468,4
(+) გადასახადები პროდუქციაზე	2 834,3	3 492,7	3 790,0	3 659,5	4 203,6	4 445,4
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	105,3	124,1	128,0	147,2	148,8	158,3
(=) მშპ საბაზრო ფასებში	20 743,4	24 344,0	26 167,3	26 847,4	29 150,5	31 755,6
მშპ ერთ სულზე, ლარი**	4 675,7	5 447,1	5 818,1	5 987,6	6 491,6	8 550,9
მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი**	2 623,0	3 230,7	3 523,4	3 599,6	3 676,2	3 766,6
მშპ, მლნ. აშშ დოლარი	11 636,5	14 438,5	15 846,8	16 139,9	16 507,8	13 988,1
ფაფუძველი კურსი, აშშ დოლარი/ლარი, პერიოდის საშუალო	1,7826	1,6860	1,6513	1,6634	1,7659	2,2702

გრაფიკის არჩევის შემთხვევაში აირჩიეთ ღილაკი **დიაგრამა(რომელიმე სახეობა)**, მიიღებთ:



მიღებული ინფორმაციის შენახვა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატში.

ამ გზით მარტივად შეძლებთ დიდი სტატისტიკური პრობლემების მოგვარებას. გისურვებთ წარმატებებს!

საკვანძო მომენტები

- ❖ ეროვნულ ანგარიშებს გრძელი ისტორია აქვს, თუმცა ეროვნული ეკონომიკებისთვის ის მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქცა უნივერსალურ სტატისტიკურ ინსტრუმენტად.
- ❖ მიმდინარე ეტაპზე ეკონომიკური ანალიზის მრავალი მიმართულებისთვის ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სტატისტიკურ ჩარჩოს წარმოადგენს.
- ❖ ეას-ის თეორიისა და მეთოდოლოგიის განვითარებაში, მისი მაჩვენებლების საერთაშორისო შესადარისობის, სისტემატიზაციისა და გავრცელების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა.
- ❖ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა – ეს არის ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მაკროეკონომიკური პროცესების აღწერისა და ანალიზის მიზნით.
- ❖ ეას-ის მაჩვენებლები უნიფიცირებულია ანუ შესაბამისობაშია საგადასახდელო ბალანსისა და დარგთაშორისი ბალანსის მაჩვენებლებთან.
- ❖ ეას-ის შექმნას წინ უძღოდა განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის რეგულირებასა და ეკონომიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნილების წარმოშობა.
- ❖ გლობალიზაციის პირობებში სტატისტიკის ერთიან საერთაშორისო მეთოდოლოგიაზე გადასვლა სხვადასხვა ქვეყნისათვის შესანიშნავი საშუალებაა უტყუარი, შესადარისი და ყველასათვის გასაგები ინფორმაციის მისაღებად.
- ❖ 1993 წლამდე ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის შესაფასებლად მსოფლიო სტატისტიკურ პრაქტიკაში გამოიყენებოდა გაეროს სტატისტიკურ კომისიაში წარდგენილი ორი თანაბარი მნიშვნელობის მქონე განსხვავებული მეთოდოლოგია.
- ❖ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა არის მაკროეკონომიკური ანგარიშების თანმიმდევრული (კოჰერენტული) და ინტეგრირებული ნაკრები

საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული კონცეფციების, განმარტებების, კლასიფიკაციების და აღრიცხვის წესების საფუძველზე.

- ეას-ის მაჩვენებლების გაანგარიშებისთვის უმნიშვნელოვანესია საბალანსო მეთოდი. სისტემის თითოეული ანგარიში წარმოადგენს ბალანსს (ტოლობას) ამა თუ იმ რესურსის მოცულობასა და გამოყენებას შორის, რაც მიიღწევა *დამაბალანსებელი მუხლის* მეშვეობით.
- ეროვნული ანგარიშების აგების მეთოდებს შორის სტატისტიკის საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრდა ანგარიშთა აგების შემდეგი მეთოდები: თანმიმდევრული აგების და სასაქონლო ნაკადების.
- ეას-მა შეაღწია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ის წარმოადგენს თავისებურ ენას, რომელზეც ურთიერთობენ ეკონომისტები, მეცნიერ-ეკონომისტები, პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოღვაწეები და სტატისტიკოსები.
- ეას-ის გამოყენების უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია ეკონომიკური განვითარების მონიტორინგი, მაკროეკონომიკური ანალიზი და საერთაშორისო შედარებები.
- ეას მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა სტატისტიკური სისტემის ჰარმონიზაციის საქმეში. ერთი მხრივ, ეას-ში ხდება სტატისტიკის სხვადასხვა სფეროში გამოყენებული განსაზღვრებებისა და კლასიფიკაციების უნიფიცირება, ხოლო მეორე მხრივ, სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ციფრობრივი ინფორმაციის არითმეტიკული შეთანხმება.
- ეას-ის მაჩვენებლების გაანგარიშება ეფუძნება ინსტიტუციური ერთეულების საქმიანობის შესახებ სხვადასხვა წყაროდან შემოსული პირველადი ინფორმაციის სისტემას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. THE EVOLUTION OF MODERN ECONOMIC ACCOUNTS Review of Zoltan Kenessey (Ed.), The Accounts of Nations, IOS Press, Amsterdam, 1994, pp. vii + 25 1 (ISBN 90-5199-1 56-8). http://www.roiw.org/1994/457.pdf ;

Statistica Neerlandica, 2006, vol. 60, nr. 2. The development of the Dutch national accounts as a tool for analysis and policy Frits Bos1 Netherlands Bureau for Economic Policy Analysis (CPB), P.O. Box 80510, NL- 2508 GM, The Hague, The Netherlands https://www.researchgate.net/publication/4791311_The_development_of_the_Dutch_national_accounts_as_a_tool_for_analysis_and_policy]

A History of National Accounting. A. Vanoli. IOS Press. 2005 A History of National Accounting. A. Vanoli. IOS Press. 2005
Maddison, Angus (2003). *The World Economy: Historical Statistics*. Development Centre Studies, OECD, Paris. Maddison, Angus (2003). The World Economy: Historical Statistics. Development Centre Studies, OECD, Paris.]
2. THE NATIONAL ACCOUNTS AS A TOOL FOR ANALYSIS AND POLICY; IN VIEW OF HISTORY, ECONOMIC THEORY AND DATA COMPILATION ISSUES. FRITS BOS, 2009. https://mpra.ub.uni-muenchen.de/23582/1/MPRA_paper_23582.pdf

ტესტები და სავარჯიშოები

1. „ეროვნული ანგარიშიანობის“ ტერმინის ავტორია ჰოლანდიელი ეკონომისტი:

ა) იაკობ ვან გოლდენენი

ბ) ფრიც ბოსი

გ) ვან კლიფი

დ) ერნსტ ვან დერ ბიგელი

2. თუ ეას-ის ტერმინის ავტორს დავესეხებით, ეას არის:

ა) ქვეყნის მდგომარეობის ამსახველი ანგარიში მთლიანობაში

ბ) ეროვნული მეურნეობის მდგომარეობის ამსახველი ანგარიში მთლიანად ქვეყნის მასშტაბით

გ) შიდა ეკონომიკის მდგომარეობის ამსახველი ანგარიში ქვეყნის მასშტაბით

დ) სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ამსახველი ანგარიში მთლიანად ქვეყნის მასშტაბით

3. დააკავშირეთ ცხრილის ქვემდებარე შემასმენელის სწორ ვერსიასთან:

მითები ეას-ის შესახებ →	რა საჭიროა კონცეფციებისა და გაზომვის მეთოდების ცოდნა?	მხოლოდ შერჩევის თეორია და არავითარი ალტერნატიული მეთოდები!	ეს მხოლოდ ფაქტების აღწერა და გამოუსადეგარი,მოსაწყენი ბუღალტერიაა

თეორეტიკოსები			
პრაქტიკოსები			
სტატისტიკოსები			

4. ეროვნული ეკონომიკების მართვისა და ანალიზის საკვანძო ინდიკატორებია:

ა) მშპ-ის ზრდის ტემპი

ბ) მშპ-ის მოცულობა

გ) ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე

დ) ბიუჯეტის დეფიციტის წილი მშპ-ში

5. გადანომრეთ თემები საქსტატის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წლიური კრებულის სარჩევის თანმიმდევრობის მიხედვით:

#	**თემები**
	ძირითადი კონცეფციები და განმარტებები
	რესურსების და გამოყენების ცხრილები
	ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძირითადი კატეგორიები
	შრომის მწარმოებლურობა
	სამრეწველო პროდუქციის ინდექსი
	კონსოლიდირებული ანგარიშები
	ეროვნული ანგარიშების კვარტალური მაჩვენებლები
	მთლიანი დამატებული ღირებულება რეგიონების მიხედვით
	სეზონური შესწორებები
	დაუკვირვებადი ეკონომიკა

6. ეას-ის თეორიისა და მეთოდოლოგიის განვითარებაში, მისი მაჩვენებლების საერთაშორისო შესადარისობის, სისტემატიზაციისა და გავრცელების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა:

ა) ეთგომ

ბ) გაერომ

გ) შსო-მ

დ) ევროსტატმა

ე) სსფ-მ

ვ) მბ-მ

ზ) საქსტატმა

7. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა – ეს არის ურთიერთდაკავშირებულ ---------- სისტემა, რომელიც გამოიყენება --------- ეკონომიკის ქვეყნებში ---------- პროცესების ---------- და ანალიზის მიზნით.

8. ეროვნულ ანგარიშიანობას საფუძვლად უდევს ეროვნული შემოსავლის ----------, ---------- და ---------- პროცესი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების განსაზღვრული კანონზომიერებისა და სტრუქტურის ფარგლებში.

9. აღრიცხვის რომელი სახეები უზრუნველყოფს ეას-ის მაჩვენებლების უნიფიცირებას საგადასახდელო ბალანსსა და დარგთაშორის ბალანსთან?

პასუხი: ----------.

10. რა უძღოდა წინ ეას-ის შექმნას?

პასუხი: ----------

11. რამ განაპირობა ეას-ის დანერგვა საქართველოში?

პასუხი: ----------

12. რა განაპირობებს ყველა ქვეყნის მაჩვენებელთა შესადარისობას?

პასუხი: ----------

13. რა კავშირია სტატისტიკის მეთოდოლოგიურ ერთიანობასა და მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებს შორის?

პასუხი: ----------

---

14. დააკავშირეთ ჩამოთვლილი ნიშნები სმბ-სთან/ ეას-თან (ან ორივესთან):

დამახასიათებელი ნიშნები	**სმბ**	**ეას**	**სმბ და ეას**
მიზანია ქვეყანაში წარმოების მოცულობის გაანგარიშება			
გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში			
საფუძვლად უდევს სმიტის შრომის მწარმოებლურობის თეზისი			
შემოსავლები ნაწილდება ხარჯებად და დანაზოგებად			
გამოიყენება დაჯგუფებები და კლასიფიკაციები			
მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მშპ			
იყენებს საბალანსო მეთოდს			
უმთავრესი ფუნქციაა გეგმის შესრულების კონტროლი			
განიხილავს ეროვნული ეკონომიკის ურთიერთქმედებას სხვა ქვეყნებთან			
საფუძვლად უდევს ნებისმიერი შრომის მწარმოებლურობის თეზისი			
სტატისტიკურად აისახება საქონლისა და მომსახურების ნაკადები წარმოებიდან საბოლოო გამოყენებამდე			
მიჩნეულია მსოფლიო სტატისტიკური თეორიისა და პრაქტიკის სერიოზულ მონაპოვრად			

15. შეადგინეთ 4 ტესტი ქვემოთ მოტანილ საკითხებთან დაკავშირებით:

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის	განმარტება
საგანი	შიდა ეკონომიკისა და ,,დანარჩენი მსოფლიოსათვის" ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შედგენის მეთოდოლოგია (მოიცავს ანგარიშების აგების პრინციპებისა და მეთოდების, მათი არსის, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებელების, მათი ურთიერთკავშირისა და გაანგარიშების მეთოდების, სექტორული ანგარიშების დანიშნულებისა და შედგენის თავისებურებების გაშუქებას)
აგების თანმიმდევრობა	კვლავწარმოების ციკლის სტადიებს (ფაზებს) ემთხვევა: საქონლისა და მომსახურების წარმოების ეკონომიკური პროცესები და ამ პროცესებთან დაკავშირებული შემოსავლებისა და მთლიანი მოგების შექმნა, შემოსავლების პირველადი განაწილება და გადანაწილება, მათი გამოყენება საბოლოო მოხმარებისა და დაგროვებისათვის (მარტივად: წარმოება,

	განაწილება, გადანაწილება, მოხმარება)
მიზანი	იმ მაკროეკონომიკური პროცესებისა და მათი შედეგების რაოდენობრივი დახასიათება, რომლებიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან, შემოსავლების წარმოქმნასთან, განაწილებასთან, გადანაწილებასა და მოხმარებასთან, საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობასთან
ობიექტი	ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკა, სექტორები, საქმიანობის სფეროები, ცალკეული ეკონომიკური პროცესები
ამოცანები	1. საერთაშორისო სტატისტიკურ პრაქტიკაში მიღებული ცნებებისა და კატეგორიების გამოყენება ეკონომიკის დახასიათებისათვის; 2. ეას-ში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციებისა და დაჯგუფებების განხილვა; 3. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სისტემისა და მათი გაანგარიშების მეთოდების გაშუქება; 4. ეას-ის შედგენის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდოლოგიის დაუფლება; 5. ცალკეული ანგარიშების შედგენის მეთოდოლოგიის შესწავლა; 6. ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესწავლა; 7. ეას-ის ანალიზის ძირითადი მიმართულებებისა და მეთოდების განხილვა.

***

დამოუკიდებლად შეადგინეთ 4 ტესტი (ტესტებში სავარაუდო პასუხების მაქსიმალური რაოდენობა არ არის შეზღუდული):

1.

2.

3.

4.

16. რა მსგავსება და/ან განსხვავებაა ეას-ის ამ ორ განმარტებას შორის?

1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა – ეს არის ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მაკროეკონომიკური პროცესების აღწერისა და ანალიზის მიზნით.
2. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა არის მაკროეკონომიკური ანგარიშების თანმიმდევრული (კოჰერენტული) და ინტეგრირებული ნაკრები საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული კონცეფციების, განმარტებების, კლასიფიკაციების და აღრიცხვის წესების საფუძველზე.

პასუხი:----------

---

17. სწორია /არასწორია:

ა) 2014 წლის მონაცემებით, გაეროს წევრი ქვეყნების 23 პროცენტი განვითარებულია

ბ) განვითარებადი ქვეყნების 28% ლათინური ამერიკის ქვეყნებზე მოდის

გ) აღმოსავლეთ ევროპა, კავკასია, შუა აზია და აფრიკა ჯამში 12%-ია

დ) ოკეანეთი გაეროს ქვეყნების 9% და განვითარებადი ქვეყნების 6%-ია

---

18. გამოყენების სვეტს შეუსაბამეთ ეას-ში გამოყენებული მეთოდი:

გამოყენება	**ეას-ის მეთოდი**
რესურსების მოცულობასა და გამოყენებას შორის ტოლობის უზრუნველყოფა	
ინტერვალური მაჩვენებლების შესწავლა	
ეკონომიკური პროცესების შესწავლა დინამიკაში	
ეკონომიკური მაჩვენებლების მრავალმხრივი დახასიათება და სტრუქტურის შესწავლა	
ანალიზის პროცესში ინფორმაციის მოცვის ხარისხისა და ანალიზის მიმართულების შესაბამისად	

19. თანმიმდევრული აგების მეთოდი:

ა) მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულია

ბ) გამოიყენება თანმიმდევრობით შედგენილ ანგარიშებში გამოვლენილი მნიშვნე-ლოვანი სხვაობის შემთხვევაში

გ) გამოიყენება ინფორმაციის დეფიციტის შემთხვევაში

დ) გულისხმობს ანგარიშების აგებას კვლავწარმოების ციკლის ეტაპების მიხედვით

20. სასაქონლო ნაკადების:

ა) მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ანგარიშის მიხედვით ცალკეული სახეობის პროდუქტის (ნომენკლატურის) რესურსების მაჩვენებელი უნდა შეედაროს მისივე გამოყენების მაჩვენებელს

ბ) მეთოდით დგინდება გადახრები ცალკეული სახეობის პროდუქტის რესურსებსა და გამოყენებას შორის

გ) მეთოდით ხდება ცალკეული სახეობის პროდუქტის რესურსებსა და გამოყენებას შორის გადახრების კორექტირება

დ) მეთოდს უმეტეს ქვეყნებში იყენებენ როგორც დამხმარეს, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში, (მაგ. დანიაში) ის ძირითად მეთოდად არის მიჩნეული

21. როგორც სტატისტიკა2-იდან ცნობილია, უცვლელ ფასებში მშპ-ის გამოსახვის მიზნით ვიყენებთ შემდეგ ფორმულას და ამ მეთოდს ეწოდება:

ა) $\sum q_0 p_0 \times \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \sum q_1 p_0$ ორმაგი დეფლირება

ბ) $\sum q_1 p_1 : \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = \sum q_0 p_0$ პირდაპირი გადაანგარიშება

გ) $\sum q_1 p_0 \times \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = \sum q_1 p_1$ დეფლირება

დ) $\sum q_0 p_0 \times \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \sum q_1 p_0$ ექსტრაპოლაცია

22. საბაზისო (2015) წელს ტრანსპორტის გამოშვებამ ($\sum q_0 p_0$) საბაზისო ფასებში 3 474 მლნ ლარი შეადგინა. $\frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = 1{,}1$, ხოლო $\frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = 1.5$. დამატებული ღირებულების (მდღ) წილი მთლიან გამოშვებაში 63%-ია. გამოიყენეთ პირობითი გაანგარიშებების მეთოდი და განსაზღვრეთ მდღ მიმდინარე ფასებში საანგარიშო პერიოდში.

ამოხსნა (ჩაწერეთ ინდექსების დახმარებით):

(პასუხი: 3 611 მლნ ლარი).

23. განსაზღვრეთ დარგის გამოშვების მოცულობა საანგარიშო პერიოდში მოქმედ ფასებში, თუ ცნობილია, რომ გამოშვებამ საანგარიშო პერიოდში წინა წლის ფასებში შეადგინა 15 000 მლნ. ლარი, ხოლო ფასები გაიზარდა 2%-ით.

ამოხსნა:

(პასუხი: 15 300 მლნ. ლარი)

24. გვაქვს შემდეგი მონაცემები:

- კავშირგაბმულობის გამოშვების მოცულობა წინა წლის IV კვარტალში 120 მლნ. ლარი;
- მიმდინარე წლის IV კვარტალში წინა წლის IV კვარტალთან შედარებით პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსმა შეადგინა 1,07;
- დარგის ფასების ინდექსმა შეადგინა 1,12;
- დამატებული ღირებულების ხვედრითმა წილმა შეადგინა 52%.

ოპერატიული გაანგარიშებების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განსაზღვრეთ:

1. დარგის გამოშვების მოცულობა საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდის ფასებში;
2. საანგარიშო პერიოდის გამოშვება საანგარიშო პერიოდის ფასებში;
3. დარგის საანგარიშო პერიოდის მთლიანი დამატებული ღირებულება მიმდინარე ფასებში.

ამოხსნა:

25. შეავსეთ ძირითადი მომხმარებლების მიერ ეას-ის გამოყენების სფეროების სვეტი:

ეას-ის ძირითადი მომხმარებლები	გამოყენების სფერო
სახელმწიფო მართვის ორგანოები	
მეწარმეები, მენეჯერები, კომპანიის ხელმძღვანელები, ბიზნესის წარმომადგენლები	
სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები	
ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები	
საერთაშორისო ორგანიზაციები	

26. მოიტანეთ რამდენიმე მაგალითი მასმედიის საშუალებებიდან, სადაც ქართველი ან უცხოელი ეკონომისტები, მეცნიერ-ეკონომისტები, პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოღვაწეები და სტატისტიკოსები საუბრობენ ეას-ის ენაზე:

1.

2.

27. შეავსეთ ცხრილი და მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე: „ეას-ის წარმოებული მაჩვენებლები და მათი როლი ეკონომიკურ ანალიზში“:

წელი	**2012**	**2013**	**2014**	**2015**
სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი				
მშპ				
სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან				
საგადასახდელო ბალანსის სალდო მიმდინარე				

ოპერაციების მიხედვით				
მიმდინარე ოპერაციების მიხედვით საგადასახდელო ბალანსის სალდოს შეფარდება მშპ-თან				
ფულადი მასის ზრდის ტემპი				
ფულადი მასის ზრდის ტემპებისა და მშპ-ის თანაფარდობა				
(წარმოებაში მოხმარებული ენერგიის ღირებულება				
მშპ-ის ენერგოტევადობა (წარმოებაში მოხმარებული ენერგიის ღირებულების შეფარდება მშპ-თან)				
კაპიტალის მთლიანი ღირებულება				
მშპ-ის შეფარდება წარმოებაში გამოყენებული კაპიტალის მთლიან ჯამთან				

28. შეავსეთ ცხრილი და მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე: „დამოკიდებულება ეკონომიკური ზრდის ტემპებსა (მშპ-ის ფიზიკური მოცულობის ინდექსი) და შერჩეულ (ქვემოთ მოტანილ) მაჩვენებლებს შორის“:

წელი	**2012**	**2013**	**2014**	**2015**
მშპ-ის ზრდის ტემპი				
სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი/მშპ				
სახელმწიფო აპარატის შენახვის ხარჯები/მშპ				
შიდა ვალი/მშპ				
საგარეო ვალი/მშპ				

როგორც წესი, რამდენადაც მაღალია ბიუჯეტის თანაფარდობა მშპ-თან, მით უფრო დაბალია ეკონომიკური ზრდის ტემპი. რამდენადაც მაღალია სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში, მით უფრო დაბალია მშპ-ის ზრდის ტემპი. რამდენადაც მაღალია სახელმწიფო ვალის შეფარდებითი სიდიდე, მით უფრო დაბალია ეკონომიკური ზრდის ტემპები. ცხრილის გაანგარიშებების საფუძველზე დაასაბუთეთ, რამდენად მართლდება ეს სტერეოტიპი საქართველოში. შეგიძლიათ საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებაც.

29. ეას იძლევა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მაკროეკონომიკურ ცვლადებზე ზემოქმედების შესაძლო ვარიანტების გათვლისა და გაანალიზების საშუალებას. დაასაბუთეთ ეს თეზისი თეორიაში არსებული შესაბამისი მაგალითებით.

დასაბუთება:

30. რომელი საკვანძო ინდიკატორები გამოიყენება ანალიტიკოსების, პოლიტიკური მოღვაწეების, პრესის, ბიზნესის წარმომადგენლებისა და მთლიანად საზოგადოების მიერ როგორც ეკონომიკური საქმიანობისა და კეთილდღეობის კრებსითი, გლობალური ინდიკატორები?

---

31. რომელი მაჩვენებლები გვხვდება ეას-ში მოკლევადიანი ინდიკატორების დინამიკის შეფასებისა და ინტერპრეტაციისთვის?

---

32. რა შემთხვევაში იქნებოდა ეკონომიკის მონიტორინგი მნიშვნელოვნად ეფექტური?

---

33. ეროვნულ ანგარიშებს ასევე იყენებენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების შესასწავლად. რა საშუალებით მიიღწევა ეს მიზანი?

---

34. სახელმწიფო მართვის რომელ დონე(ებ)ზე ხორციელდება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და გადაწყვეტილებების მიღება და როლი ენიჭება ამ საქმეში ეას-ს?

---

35. რა უწყობს ხელს ეას-ის მაჩვენებლების ფართო საერთაშორისო შესადარისობას?

---

36. ქვეყნების ეკონომიკების ფუნქციონირების ეფექტურობის დასადგენად საერთაშორისო შედარებების შედეგებს ფართოდ იყენებ(ენ)ს:

ა) ეკონომისტები

ბ) მთავრობა

გ) ექსპერტები

დ) ანალიტიკოსები

ე) საერთაშორისო ორგანიზაციები

ვ) მედია

ზ) შინამეურნეობები

37. ეას-ის შექმნის მთავარი მიზანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ეას-ის მაჩვენებლების გამოყენება კი არ იყო, არამედ ----------.

38. მიუთითეთ, რა სახის კავშირი აქვს თითოეულ დარგს ეას-თან:

დარგი	**კავშირის სახე ეას-თან**
მაკროეკონომიკური სტატისტიკა	
დარგობრივი სტატისტიკა	
საერთაშორისო და საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა	
დემოგრაფია და სოციალური სტატისტიკა	
ეკონომიკური თეორია	

მენეჯმენტი	
მათემატიკური სტატისტიკა, მატემატიკა, ეკონომეტრიკა, პროგრამირება	
ბუღალტერია	

38. რამ გამოიწვია ის ფაქტი, რომ ეას-ში გამოიყენება ტერმინი „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“, ხოლო ბუღალტერიაში „ამორტიზაცია“?

---

39. ბუღალტრული აღრიცხვისგან განსხვავებით, ეას-ში შემოსავლების გაანგარიშების დროს გამოირიცხება:

ა) ხელფასი

ბ) აქტივების მატება ან კლება კაპიტალური ტრანსფერტების შედეგად

გ) აქტივების ნებისმიერი შემოსვლა ან გასვლა არაეკონომიკური ხასიათის მოვლენებთან დაკავშირებით

დ) მოგება

ე) ჰოლდინგური მოგება ან ზარალი

40. დაახასიათეთ სტატისტიკურ მონაცემთა შიდა და გარე წყაროები:

---

41. სტატისტიკური ანგარიშგება ეფუძნება ---------- აღრიცხვას, მაგრამ მასში მაჩვენებელთა წრე უფრო ----------, ვიდრე ---------- ანგარიშებში და ზოგიერთი მათგანის მისაღებად საჭიროა ---------- გაანგარიშებები და შეფასებები.

42. საწარმოს ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტებია:

- ----------, რომელშიც აისახება საწარმოს ქონება (აქტივებისა და ვალდებულებების განთავსება) საანგარიშო პეროდის დასაწყისისა და ბოლოსათვის, რაც იძლევა მისი მოცულობისა და სტრუქტურული ცვლილებების შესწავლის საშუალებას;
- ---------- და ---------- მოძრაობის უწყისები, სადაც აისახება შემოსულობების წყაროები და სახსრების ხარჯვის მიმართულებები, რომელთა საფუძველზეც ხდება საწარმოს მოგებისა და ზარალის ფორმირება.

43. როგორ უნდა შეარჩიოს სტატისტიკის მწარმოებელმა სტატისტიკური წყარო?

---

44. რომელი წლიდან არის საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის წევრი და რას უზრუნველყოფს ეს სტანდარტი?

---

45. არის თუ არა საქართველოს ეროვნული ბანკი ქვეყნის ეროვნული სტატისტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილი და რომელი დარგების შესახებ გვაწვდის სტატისტიკურ ინფორმაციას?

---

46. საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში აისახება მიმდინარე ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის, კერძოდ:

ა) შრომითი და საინვესტიციო შემოსავლები

ბ) რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციები

გ) საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა

დ) მიღებული და გაცემული ტრანსფერები

47. საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია ასახავს:

ა) მონაცემებს ქვეყნის ფინანსური ვალდებულებების შესახებ უცხოელების მიმართ დროის მოცემული მომენტისათვის

ბ) მონაცემებს საგარეო ვაჭრობაზე დროის გარკვეული პერიოდში

გ) საგარეო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს დროის გარკვეულ მომენტში

დ) ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ოპერაციებს დროის გარკვეული პერიოდში

48. რომელი წლიდან გამოიყენება PC Axis და რომელი ქვეყნ(ებ)ის ოფიციალურ სტატისტიკაში გამოიყენება ის? პასუხის გასაცემად მიყევით ბმულს:
https://www.scb.se/sv_/PC-Axis/About-PC-Axis/Introduction-and-history/

---

49. PC Axis-ის დახმარებით ცხრილის სახით (ნებისმიერ ფორმატში - ელექტრონულად ან ამობეჭდილი) წარმოადგინეთ ეროვნული შემოსავალი და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატული მაჩვენებლები ბოლო 4 წლის მანძილზე.

50. PC Axis-ის დახმარებით დიაგრამის სახით წარმოადგინეთ მშპ-ისა და ეროვნული შემოსავლის დინამიკა 2003-2016 წლებში.

თემა 2

ეროვნულ ანგარიშიანობის ძირითადი კონცეფციები, ცნებები და კატეგორიები

ამ თემაში განხილულია ეას-ში გამოყენებული კონცეფციები და დებულებები; წარმოების საზღვრები; საბაზრო და არასაბაზრო წარმოება, წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის; შიდა და ეროვნული ეკონომიკა და მასთან დაკავშირებული კატეგორიები.

1. ეას-ში გამოყენებული კონცეფციები და დებულებები

ეას ეფუძნება მეცნიერულად დასაბუთებულ ეკონომიკურ კონცეფციებს, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური პროცესების ადეკვატურ აღწერას.

ეკონომიკურ მეცნიერებაში **წარმოების კონცეფცია** ერთ-ერთი ცენტრალურია. იგი განსაზღვრავს საქმიანობის სახეებს, სადაც იქმნება ღირებულება. აღსანიშნავია, რომ ეს კონცეფცია საზოგადოებისა და საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა. მაგალითად, ფიზიოკრატები მიიჩნევდნენ, რომ წარმოება მოიცავდა მხოლოდ სოფლის მეურნეობასა და მოპოვებით მრეწველობას. ეს თეორია წარმოიშვა იმ დროს, როცა ეკონომიკის წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობა იყო. კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში, როდესაც ადგილი ჰქონდა დამამუშავებელი მრეწველობის დომინირებას, აშკარა გახდა ამ თეორიის ნაკლოვანებები.

ეკონომიკური წარმოების თანამედროვე კონცეფციის თანახმად, წარმოების სფეროში შედის საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ყველა სახე.

ეკონომიკური წარმოება შეიძლება განვმარტოთ როგორც ინსტიტუციური ერთეულების მიერ კონტროლირებადი შრომისა და კაპიტალის დანახარჯების გაწევა საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის.

ბუნებრივი პროცესები არ ითვლება ეკონომიკურ წარმოებად, თუმცა მათ შედეგებს შეიძლება ეკონომიკური ღირებულება ჰქონდეს. მაგალითად, თევზის არარეგულირებადი მომრავლება საერთაშორისო წყლებში არ არის წარმოება, ხოლო თევზის მოშენება - წარმოებაა.

ეკონომიკური აზრით, საწარმოო საქმიანობა შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რასაც ახორციელებს ერთი ადამიანი მეორისათვის, ხოლო ძილი, კვება, ფიზიკური ვარჯიში - ადამიანის პირველად საქმიანობათა რიგს განეკუთვნება და არა წარმოებას, რაც შეეხება რეცხვას, საკვების მომზადებას, ბავშვების მოვლას, ეს საქმიანობა შეიძლება სხვას გადავაბაროთ, ამიტომ ისინი წარმოების საზღვრებში ექცევიან.

წარმოების საზღვრებში არ ჩაირთვება:

1. საშინაო მომსახურებანი - საცხოვრისის დალაგება და ტექნიკური მომსახურება, მცირე რემონტის ჩათვლით; ხანგრძლივი მოხმარების საგნების მომსახურება; საკვების მომზადება და მიწოდება; ავადმყოფებისა და ბავშვების მოვლა და სხვ.;
2. საქმიანობა, რომლის შედეგი არ წარმოადგენს წარმოების მიზანს, ე.ი. წარმოების პროცესის თანამდევი პროდუქტები, რომლებიც თავისთავად სავსებით

ლეგალურია, მაგრამ შეუძლიათ პროდუქტის მომხმარებლის გარდა, ზემოქმედება მოახდინონ სხვა ინსტიტუციურ ერთეულებზეც (დაბინძურება, გამონაბოლქვი და ა.შ.). ამავე კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით ქრთამის აღება, გამოძალვა და პროდუქტის მოპარვა.

ამგვარად, ეას-ში ეკონომიკური წარმოება მოიცავს საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სახეს, გარდა შინამეურნეობების იმ საქმიანობისა, რომლებიც დაკავშირებულია პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან (საკვების მომზადება, შენობის დალაგება, ბავშვების აღზრდა და ა.შ). საქმიანობის ამ სახეების, მათი მოცულობის განსაზღვრისა და შეფასების სირთულის გამო, გაანგარიშება ხორციელდება ცალკე ცხრილებში.



რაც შეეხება შინამეურნეობების საკუთარი მოხმარებისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს (საკუთარ სახლში ცხოვრების ღირებულება), ისინი ეას-ის მეორე ვერსიიდან დაწყებული (1968 წ.) ეკონომიკური წარმოების სფეროში ერთიანდებიან.

ჩანართი 1. **წარმოების საზღვრები ეას-ში**

... ახლა ვნახოთ, რას მოიცავს ზუსტად გამოშვება. ამისთვის საჭიროა „წარმოების საზღვრების“ დადგენა, რაც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ რა შევიტანოთ მშპ-ში და რა გამოვრიცხოთ. მშპ-ში შესატანი მუხლების უმრავლესობა საკამათო არ არის. პირველ ეტაპზე, გამოშვებაში შეაქვთ ის, რაც ქმნის საქონელსა და მომსახურებას

შინამეურნეობების ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის და რასაც ფირმები შეისყიდიან საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად. აქ საყურადღებო სიტყვაა „ყიდვა“, რაც გულისხმობს, რომ მშპ-ში შედის ყველა „მონეტიზებული“ ტრანსაქცია. მაგრამ, რა შეიძლება ითქვას საჯარო მოხელეებსა და შეირაღებული ძალების წარმომადგენლებზე? მინისტრების ან მეომრების გამოშვებას არავინ ყიდულობს. შემდეგი ბუნდოვანება ჩნდება შინამეურნეობების მიერ გაწეულ მომსახურებაში. თუ პირი მეორე პირისთვის წმენდს ფანჯრებს, ეს გამოშვებაა, რადგან მომსახურებაში ხდება ფულის გადახდა. მაგრამ, თუ პირი თავის საკუთარ ფანჯარას წმენდს? შედის თუ არა ეს წარმოების საზღვრებში? როგორც მოგვიანებით ვნახავთ, სამთავრობო დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურების შეტანა მშპ-ში ძირითადი შეთანხმების შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მომსახურება არ იყიდება, ის მაინც შეაქვთ გამოშვებაში (დამატებულ ღირებულებაში) და ეროვნულ ანგარიშებში მას **სამთავრობო დაწესებულებების არასაბაზრო მომსახურება** ეწოდება. სამთავრობო სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის ეთგო-ს ქვეყნების მშპ-ის 15-20%-ს შეადგენს. ამის საპირისპიროდ, შინამეურნეობების მიერ გაწეული ისეთი არასაბაზრო მომსახურებები, როგორიცაა საკვების მომზადება, დასუფთავება, ბავშვების აღზრდა და ა.შ., ერთი გამონაკლისის გარდა, არ შედის ეროვნულ ანგარიშებში. ეს **გამონაკლისია საკუთარ სახლში ცხოვრების მომსახურება**. ამ ტიპის მომსახურება ეროვნულ ანგარიშებში სახლის მესაკუთრის მიერ საკუთარი თავისთვის გაწეულ მომსახურებად განიხილება. ეას-ის ენაზე, ეს არის „იმპუტირებული“ ტრანსაქცია, რომელიც ისე უნდა შეფასდეს, როგორც საცხოვრებლის დაქირავების შემთხვევაში გადახდილი ბინის ქირა. აღნიშნული იმპუტირებული რენტა ემატება რეალურ რენტას და გამოითვლება „საცხოვრებელზე გაწეული დანახარჯები“.

იმპუტაციების გამოყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება. მაგალითად, როდესაც საჭიროა მაკროეკონომიკური აგრეგატების ცვლილებების ანალიზი დროში ან ქვეყნებს შორის. სწორედ ასე ხდება ბინათმფლობელების იმპუტურებული რენტის შემთხვევაშიც. თუ ამ გამოშვებას არ შევიტანთ მშპ-ში, მაშინ ეს დროთა განმავლობაში გამოიწვევს მშპ-ის სტრუქტურულ ცვლილებას, რადგან საკუთრებაში არსებული სახლების გრძელვადიან ტრენდს ავტომატურად მოჰყვება ფაქტობრივი რენტის დაღმავალი ტრენდი (და შესაბამისად, მშპ-ისაც, სხვა თანაბარ პირობებში). ასევე გაძნელდება სხვადასხვა ქვეყნის მშპ-ის შედარებებიც, რადგან ბინების მესაკუთრეთა დონე ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებულია. იმპუტაციის შემდეგი მაგალითია შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის დამზადებული საქონელი (უმეტესად საკვები). ეს საკმაოდ მცირე

მუხლია ეთგო-ს ქვეყნების გამოშვებაში, თუმცა, განვითარებად ქვეყნებში საკმაოდ მაღალია საკუთარი წარმოების პროდუქციის მოხმარების ხვედრითი წილი. ზოგ ქვეყანაში ფერმერები და შინამეურნეობები მოიხმარენ საკუთარი წარმოების იარაღებს, შენობა-ნაგებობებს და ტანსაცმელს. შეთანხმების მიხედვით, ეროვნულ ანგარიშებში ასეთი სახის პროდუქციის იმპუტირება გამოშვებაში იმ ფასებით ხდება, რაც ბაზარზე აქვს აღნიშნულ საქონელს. მეორე მხრივ, როგორც ვნახეთ, შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის დამზადებული საქონლისაგან განსხვავებით, მათ მიერ გაწეული მომსახურების იმპუტირება არ ხდება ეროვნულ ანგარიშებში, გარდა საკუთარ სახლში ცხოვრების მომსახურებისა. ასევე არ შეიტანება ანაზღაურების გარეშე შინამეურნეობების მიერ გაწეული მომსახურებაც (მეზობლის გაფუჭებული წყალგაყვანილობის შეკეთება ანაზღაურების გარეშე).

ნახაზი 1. **წარმოების გადაწყვეტილებათა ხე**



წყარო: ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/SNA%20-%2025.11.2015.pdf

საწარმოო საქმიანობა ეას-ის პრინციპების შესაბამისად მოიცავს პროდუქტებისა და მომსახურების **საბაზრო წარმოებას, არასაბაზრო წარმოებას და წარმოებას საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის**.

საბაზრო წარმოებაში შედის:

- საქონელი და მომსახურება, რომლის *გაყიდვა* ხორციელდება ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასებში
- საქონელი და მოსახურება, რომელიც *ბარტერით გაიცვლება* სხვა საქონელზე, მომსახურებასა და აქტივებზე
- საქონელი და მომსახურება, რომელიც დამქირავებლის მიერ თავისი მომუშავეებისათვის გაიცემა შრომის ასანაზღაურებლად, *ნატურალური ფორმით*
- საქონელი და მომსახურება, რომელიც წარმოებულია საწარმოს ერთი დაწესებულების მიერ და მიწოდებულია *ამავე საწარმოს მეორე დაწესებულებისთვის*, ამ უკანასკნელის მიერ წარმოებაში გამოსაყენებლად
- *მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება* ზემოთ აღნიშნული რომელიმე მიზნით გამოყენებისთვის
- სავაჭრო დარიცხვა საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, სატრანსპორტო ხარჯები, დარიცხვები ფინანსური აქტივების რეალიზაციის ოპერაციებზე

არასაბაზრო წარმოება მოიცავს:

- სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და
- არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობას (საქონლის წარმოებით ან ინდივიდუალური ან კოლექტიური მომსახურებით) სხვა ინსტიტუციებისთვის ან საზოგადოებისთვის უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებში

საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის წარმოებაში შედის:

- საქონლის ღირებულება, რომელიც წარმოებულია შინამეურნეობის არაკორპორირებული საწარმოს მიერ და მოხმარებულია იმავე შინამეურნეობის მიერ

- მომსახურების ღირებულება, რომელიც ანაზღაურებადი შინამოსამსახურის მიერ არის გაწეული
- პირობითად გამოთვლილი საბინაო მომსახურების ღირებულება, რომელიც წარმოებულია ბინათმფლობელის მიერ საკუთარი მოხმარებისთვის
- საწარმოს მიერ ძირითადი კაპიტალის წარმოება საკუთარი გამოყენებისთვის (ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება)
- საწარმოს მიერ ძირითადი კაპიტალის წარმოება საკუთარი გამოყენებისთვის ზემოთ აღნიშნული რომელიმე მიზნით გამოყენებისთვის
- გამონაკლის შემთხვევებში - გამოშვება, რომელიც საკუთარ შუალედურ მოხმარებაში შედის

საბოლოო ჯამში, **ეას-ში წარმოების საზღვრებში ჩართული საქმიანობა** შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- პროდუქტებისა და მომსახურების ინდივიდუალური და კოლექტიური წარმოება, რომელიც განკუთვნილია სხვა ერთეულებისთვის **საბოლოო მოხმარებისათვის**, ან სხვა პროდუქტებისა და მომსახურების წარმოებისათვის **(შუალედური მოხმარება)** და აგრეთვე **ექსპორტისა** და **დაგროვებისათვის**;
- ყველა საქონლის წარმოება, რომელსაც **მწარმოებლები იტოვებენ საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის ან მთლიანი დაგროვებისათვის,** მწარმოებელთან მარაგებში გადასული მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ჩათვლით;
- **ცოდნის მარაგის შემცველი პროდუქტების წარმოება,** რომელიც მწარმოებლების საბოლოო მოხმარების ან დაგროვებისთვის გამოიყენება, თუმცა გამოირიცხება შინამეურნეობების მიერ წარმოებული ასეთი პროდუქციის გამოყენება საკუთარი მოხმარებისთვის
- **საცხოვრისების მესაკუთრეთა მიერ საბინაო მომსახურების გაწევა**
- **საშინაო და პირადი მომსახურების გაწევა დაქირავებული ანაზღაურებადი მოსამსახურის მიერ**

წარმოებამ უნდა მოიცვას აგრეთვე **ჩრდილოვანი ეკონომიკისა და აკრძალული (არალეგალური და იატაქვეშა) საქმიანობის სახეების შედეგები.**

ჩანართი 1-ის დიაგრამაზე ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული ლეგალური და არალეგალური წარმოება. ამიტომ, შეიძლება დავასკვნათ, რომ არალეგალური საქმიანობები წარმოების საზღვრებში შედის და მაშასადამე, მშპ-შიც გაითვალისწინება. ასეთი საქმიანობა ორი სახისაა: (1) **არალეგალური (არაკანონიერი)** - კანონით აკრძალული საქონლისა და მომსახურების წარმოება, როგორიცაა ვაჭრობა

მოპარული საქონლით, ორგანიზებული პროსტიტუცია (იმ ქვეყნებში, სადაც ეს არაკანონიერია), ნარკოტიკების წარმოება-გასაღება, გავრცელება ან ფლობა; აგრეთვე საწარმოო საქმიანობა, რომელიც ჩვეულებრივ ლეგალურია, მაგრამ კანონსაწინააღმდეგო ხდება, თუ ამ საქმიანობით დაკავებულ პირებს არ გააჩნიათ მასზე ნებართვა, მაგალითად, არალიცენზირებული კერძო საექიმო პრაქტიკა. და (2) **კანონიერი, მაგრამ კანონის დარღვევით წარმოებული საქმიანობა,** საქმიანობის ზოგიერთი, სავსებით კანონიერი სახე (განსაზღვრული წესებისა და სტანდარტების დაცვის პირობებში), რომელიც ხორციელდება სახელმწიფო ორგანოებისათვის გადასახადების დაფარვითა (საშემოსავლო, სოციალური დაზღვევის და სხვა გადასახადები) და კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაზე (მინიმალური ხელფასი, მაქსიმალური სამუშაო დღე და სხვა) თავის არიდებით. *მაგალითად,* წყალმომარაგების სისტემის გაყვანა ან შეკეთება ნაღდი ანგარიშსწორებით საგადასახადო სამსახურში დეკლარირების გარეშე. ასეთი ტიპის საქმიანობას ჩრდილოვან ეკონომიკასაც უწოდებენ.

ჩრდილოვანი ეკონომიკა - ტრადიციული საქონლისა და მომსახურების იატაკქვეშა წარმოება შემოსავლების დაბეგვრისაგან დაფარვის მიზნით. ის გულისხმობს პირად ურთიერთობებსა და უშუალო კონტაქტებს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის და არაფორმალური კავშირების შექმნას. რეგისტრირებისგან დაფარულ ეკონომიკას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ფორმა. მისი ფუნქციონირების შედეგების აღრიცხვა ყოველთვის შეადგენდა სტატისტიკის განსაკუთრებულ პრობლემას. რეკომენდებულია ჩრდილოვანი ეკონომიკის გამოყოფა კრიმინალური საქმიანობისაგან, რომელიც არ არის დაკავშირებული პროდუქტების, შემოსავლებისა და აქტივების მოძრაობასთან და არ არის ეას-ის კვლევის საგანი, ის განიხილება მორალურ სტატისტიკაში.

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ეთგო-ს უმეტეს ქვეყნებში არალეგალური საქმიანობა უმნიშვნელოა. გაანგარიშებებით, უმეტეს შემთხვევაში, ის მშპ-ის 1%-ზე ნაკლებს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ასეთი საქმიანობები შედის მშპ-ში, პრაქტიკაში მათი გაანგარიშება არ ხდება და ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ციფრები არ ფიგურირებენ მშპ-ში.* მეორე მხრივ, კანონიერი საქმიანობები, რომელთა წარმოება არალეგალურად ხდება (გადასახადებისა და სოციალური შენატანებისგან თავის არიდების მიზნით), ქმნის „შავ“ ან „ფარულ“ ეკონომიკას და

* უნდა აღინიშნოს, რომ სულ უფრო მეტი ქვეყანა ცდილობს არალეგალურ საქმიანობებზე „ხელის ჩავლებას“. 2014 წლიდან ევროკავშირში ახალი სტანდარტებით სავალდებულო გახდა ასეთი საქმიანობების შეფასება ყოველი წლის ბოლოსათვის.

შეფასებების მიხედვით, ეთგო-ს ქვეყნებში ის მშპ-ის 2-დან 15%-მდეა. ეს ხვედრითი წილი იმდენად დიდია, რომ ეროვნულ მოანგარიშეებს უხდებათ სპეციალური მეთოდების შემუშავება მშპ-ში მათ შესატანად. ასეთი ტიპის მონაცემები „დაუკვირვებად“ ეკონომიკას მიეკუთვნება, რადგან ჩვეულებრივი დაკვირვებებით შეუძლებელია მათზე ინფორმაციის მიღება. ეს დამატებული ღირებულების ის ხვედრითი წილია, რომლის გაანგარიშება სპეციალური მეთოდების გამოყენებით ხერხდება. ამიტომ, არასწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეროვნული მოანგარიშეები არ ითვალისწინებენ „იატაკქვეშა“ ეკონომიკას.

მაგალითად, არალეგალური წარმოება, როგორიც არის პროსტიტუცია ან არალეგალური ნარკოტიკების კულტივაცია და წარმოება, ეას-ის მიხედვით უნდა შევიდეს წარმოების საზღვრებში, თუმცა ის აშშ-ის NIPA (შემოსავლისა და წარმოების) ანგარიშებიდან გამორიცხულია მონაცემთა წყაროების არარსებობის გამო.

ეას დიდ ინტერესს იჩენს **„დაუკვირვებადი“** ეკონომიკის მიმართ. ეს ტერმინი იმ საქმიანობებისთვის გამოიყენება, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო რეგულარული სტატისტიკური კვლევების მიღმა რჩება. ამის ერთ-ერთი მიზეზია ასეთი საქმიანობების არაფორმალური ხასიათი და ამის გამო გაუთვალისწინებლობა ფორმალური ეკონომიკის კვლევებში, ან ის რომ, მწარმოებელი ეწევა კანონიერ საქმიანობას და მალავს მას, ან არაკანონიერ საქმიანობას ეწევა და ამიტომ მალავს მას.

ჩაულრმავდით

შინამეურნეობების მომსახურება

ოფიციალური ეროვნული ანგარიშების შემადგენლობაში არ შეაქვთ შინამეურნეობის წევრების მიერ გაწეული საშინაო და პერსონალური მომსახურება საკუთარი მოხმარებისთვის. ეს ნიშნავს, რომ ისეთი საქმიანობები, როგორიცაა საკვების მომზადება, სახლის დასუფთავება, ტანსაცმლის რეცხვა და ბავშვებისა და მოხუცების მოვლა, გამორიცხულია მშპ-დან, თუ ეს საქმიანობები არაანაზღაურებადია. საკითხის ასე დაყენებამ ცნობილი ეკონომისტი და ეროვნული ანგარიშების პიონერი ჯონ ჰიქსი იმ შენიშვნამდე მიიყვანა, რომ შესაძლებელია მშპ შემცირდეს, თუ ვინმე თავის მზარეულს ცოლად შეირთავსო.

ასეთი სახის საქმიანობების გამორიცხვა მშპ-დან ეროვნული მოანგარიშეების მიერ პრაქტიკული მოსაზრებების გამო მოხდა: ეს არის სიძნელეები, რაც თან ახლავს ასეთი საქმიანობებისთვის ღირებულების იმპუტაციას და შედეგები, რაც შემდგომ შეიძლება მოჰყვეს მშპ-ის ვარიაციის ანალიზს, რადგან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი სრულიად „გამოგონებული“ იქნებოდა. მართლაც, როგორ უნდა შეფასდეს დედის მომსახურება,

რომელიც თავისი ოჯახისთვის ამზადებს სადილს? იმ ფასით, რომლითაც სწრაფი კვების ობიექტში აფასებენ ჰამბურგერის მომზადებას, თუ იმ ფასით, რომელსაც შეფ-მზარეულს უხდიან სამვარსკვლავიან რესტორანში? ეს მეთოდი განეკუთვნება „აღდგენით (შენაცვლების) ღირებულებას“. მეორე მხრივ, ზოგიერთის აზრით, დედის იმპუტირებული ანაზღაურების შეფასებისთვის უნდა გამოეყენებინათ „ფარული დანახარჯები“, სხვა სიტყვებით, რა შემოსავალი შეიძლება ჰქონოდა დედას, მას რომ ემუშავა შინამეურნეობის გარეთ. შეფასების ამ მეთოდის გამოყენებამ შეიძლება ძალიან განსხვავებული შედეგები მოგვცეს. მაგალითად, თუ დედა არის უფროსი აღმასრულებელი, მისი ფარული დანახარჯები ბევრად მაღალი იქნება იმასთან შედარებით, თუ ის მოლარე იქნებოდა სუპერმარკეტში. დამატებით სირთულეს წარმოშობს ისეთი საქმიანობები, სადაც ერთობლივი წარმოებაა. მაგალითად, მამა, რომელიც ბოსტნეულს ჭრის სადილისთვის, თვალს ადევნებს ახალშობილს და მეორე ბავშვს ეხმარება საშინაო დავალების შესრულებაში. როგორ უნდა გავანაწილოთ დრო თითოეულ ამ საქმიანობაზე? შეიძლება თუ არა, რომ ამ საქმიანობების ღირებულება შემცირდეს, რადგან ისინი ერთდროულად სრულდება?

ეთგო-ს სამუშაო მოხსენებაში „შინამეურნეობის არასაბაზრო წარმოების ჩართვა მატერიალური კეთილდღეობის საერთაშორისო შედარებებში“ (Incorporating Estimates of Household Production of Non-Market Services into International Comparisons of Material Well-Being”, Ahmad and al., 2011) ახსნილია განსხვავებები ამ ორ მიდგომას შორის, რომელიც ქვემოთ არის მოტანილი ციფრებში. გაერთიანებული სამეფოს მაგალითში შეფასებების განსხვავება ძალიან კარგად არის ნაჩვენები. თუ შინამეურნეობების არასაბაზრო წარმოებას აღდგენითი ღირებულებით გამოვთვლით, ის მშპ-ის 26.0%-ია, ხოლო თუ ფარული დანახარჯების მეთოდით, მაშინ - 68.0%.

ნახაზი 2. **შინამეურნეობების არასაბაზრო მომსახურების წარმოება**

მშპ-ის %



წყარო: Ahmad, N. and S. Koh (2011), "Incorporating Estimates of Household Production of Non-Market Services into International Comparisons of Material Well-Being", *OECD Statistics Working Papers*, No. 2011/07, OECD Publishing, doi: http://dx.doi.org/10.1787/5kg3h0jgk87g-en.

StatLink http://dx.doi.org/10.1787/888933143768

ეროვნულ ანგარიშებში აუნაზღაურებელი საყოფაცხოვრებო მომსახურების გატანა წარმოების საზღვრებს მიღმა კვაზი-წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილება იყო. ბევრ ქვეყანაში აუნაზღაურებელი მომსახურება ძირითადად ქალების მხრებზეა და ისევე მნიშვნელოვანია ზოგადად კეთილდღეობისთვის, როგორც ანაზღაურებადი მომსახურება, რომელიც წარმოების საზღვრებში ხვდება. ძირითადად, ამ მომსახურების გამორიცხვა პრაქტიკული მოსაზრებების გამო მოხდა. მეტიც, ამ საქმიანობების შეტანა წარმოების საზღვრებში სხვა ინდიკატორების მნიშვნელობებსაც შეცვლიდა, როგორიც არის შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავალი და საბოლოო მოხმარების დანახარჯები. ორივე ეს ინდიკატორი აუნაზღაურებელი მომსახურების ტოლი ღირებულებით გაიზრდებოდა. შედეგად, მას, ვინც სამუშაოს დაკარგავდა, შეიძლება აღმოეჩინა, რომ მისი შემოსავალი იზრდება, რადგან სხვა დამატებითი აუნაზღაურებელი საქმიანობებიდან მიღებული შემოსავალი გადაამეტებდა მის დანაკარგებს ნაღდ ვალუტაში. მიუხედავად ამისა, საზოგადოების მეტი ინფორმირებულობის მიზნით, ზოგიერთი სტატისტიკური სამსახური აქვეყნებს ე.წ. სატელიტურ ანგარიშებს, რომლებშიც მოტანილია აუნაზღაურებელი საშინაო მომსახურების შეფასებები. ეს ანგარიშები დანართის სახით ახლავს ეროვნულ ანგარიშებს და გვიჩვენებს, თუ რის ტოლი იქნებოდა მშპ, თუ აუნაზღაურებელი საშინაო მომსახურება იქნებოდა მასში შეტანილი.

ჩაულრმავდით

ცხრილი 1. **შინამეურნეობების წარმოების საზღვრები. რა უნდა შევიტანოთ/ არ შევიტანოთ შინამეურნეობების წარმოების საზღვრებში**

არ შედის წარმოების საზღვრებში	**შედის წარმოების საზღვრებში**
საცხოვრებელში სისუფთავის დაცვა, გალამაზება, ტექნიკური მომსახურება კოსმეტიკური რემონტის ჩათვლით, რასაც ჩვეულებრივ აკეთებენ ხოლმე დამქირავებლები და ბინის მესაკუთრეები	სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანა და მათი შემდგომი შენახვა; კენკრისა და სხვა ველური მცენარეების შეგროვება; სატყეო მეურნეობა, ხის ჭრა და შეშის შეგროვება; ნადირობა და თევზჭერა
შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი მოხმარების საგნებისა და სხვა საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით, რომელიც შინამეურნეობების მიზნებისთვის გამოიყენება, წმენდა, მომსახურება და რემონტი	სხვა საარსებო პროდუქტების წარმოება, როგორიცაა მარილის, ტორფის მოპოვება და ა.შ.
საკვების მომზადება და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა	სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამუშავება; მარცვლეულისს დაფქვა; წისქვილში ფქვილის წარმოება; ტყავის გამოყვანა და წარმოება; ხორცისა და თევზეულის წარმოება და შენახვა; ხილის დამუშავება გამოშრობისა და დაკონსერვების გზით; რძის პროდუქტების, როგორიცაა ყველი და კარაქი, წარმოება; ლუდის, ღვინის ან სპირტის წარმოება; კალათების, წნულებისა და სხვ. წარმოება
ბავშვების მოვლა, აღზრდა და სწავლება	ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის დამუშავება და გადამუშავება, თიხის ნაკეთობების, ჭურჭლის ან სხვა საგნების წარმოება; ავეჯის წარმოება და სხვ.
ავადმყოფების, უძლურებისა და მოხუცების მოვლა	წყლის მიწოდება (მიტანა)
შინამეურნეობის წევრების გადაყვანა და მათი საქონლის გადატანა	

შემოსავლების კონცეფცია განსაზღვრავს ეას-ში შემოსავლების მაჩვენებლების შინაარსს. ის შემუშავებულია ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ჯ. ჰიქსის მიერ და ინტეგრირებულია ეას-ში. ამ კონცეფციის თანახმად, შემოსავალის წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ დამატებული ღირებულება. არ შეიძლება შემოსავლად განხილულ იქნეს: აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები და ინფლაციის შედეგად აქტივების ღირებულების ცვლილება.

ჩანართი 2. **ჯონ ჰიქსის შემოსავლების კონცეფცია და მისი კონკრეტიზაცია ეას-ში**

ეას-ი შემოსავლების ყველა მაჩვენებლის თეორიულ საფუძვლად იყენებს ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატ სერ ჯონ რიჩარდ ჰიქსის კონცეფციას.

ამ კონცეფციის თანახმად, დროის კონკრეტულ პერიოდში წარმოებული შემოსავლის საერთო მოცულობა უნდა განისაზღვროს როგორც მაქსიმალური თანხა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს მოხმარებაზე საწყისი კაპიტალის მოცულობის შეუცვლელად. პრაქტიკული მიზნებისათვის მაკროეკონომიკურ ანალიზში ჯ. ჰიქსის კონცეფციის კონკრეტიზაციამ განაპირობა ეას-ის განმარტებებისა და კლასიფიკაციების უნიფიცირებული სისტემის შექმნა, რომელიც შემუშავებულია და გამოიყენება სისტემის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების გასაანგარიშებლად – მთლიანი შიდა პროდუქტი, პირველადი შემოსავლების სალდო, განკარგვადი შემოსავალი, დანაზოგი და ა.შ.

რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ეკონომიკურ მეცნიერებაში შემოსავლის გაგება ერთ-ერთი ურთულესთაგანია. ჯ. ჰიქსი თავის ნაშრომში "ღირებულება და კაპიტალი" აღნიშნავდა, რომ სხვადასხვა მეცნიერების მიერ შემოსავლის განმარტებები იმდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რომ ეს ფაქტი ხშირად აბნევდა და წინააღმდეგობრივი მოსაზრებებისაკენ უბიძგებდა მათ.

ეას-ის შემოსავლების მაჩვენებლებს საფუძვლად დაედო ჰიქსის კონცეფცია, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: შემოსავალი არის მაქსიმალური თანხა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს მოხმარებაზე გარკვეული დროის განმავლობაში აქტივების საწყისი ღირებულების შენარჩუნების პირობებში. ჰიქსმა შემოიტანა შემოსავლების ორი კატეგორია.

პირველი კატეგორია, რომელსაც იგი მოსალოდნელს უწოდებს ex-ante, - ეს არის რეგულარული, პროგნოზირებადი შემოსულობების ნაკადი; მეორე კატეგორია ex-post, განხორციელებული ანუ ფაქტიური ნაკადი. მისი აზრით მრავალი მიზეზის გამო ანალიზში უპირატესობა უნდა მივანიჭოთ პირველ კატეგორიას, რადგან ის უკეთესად ხსნის სამეურნეო სუბიექტის ქცევას. მის მისაღებად მეორე კატეგორიიდან უნდა გამოვრიცხოთ შემთხვევითი, მოულოდნელი შემოსულობები, კერძოდ აქტივების ღირებულების ზრდა ინფლაციის შედეგად. ჰიქსის ზოგადი კონცეფციიდან შეიძლება შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ:

- ყველა შემოსული თანხა არ შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლად. ცხადია, შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც აუცილებელია წარიმართოს წარმოების საშუალებათა დანახარჯების ანაზღაურებისათვის, არ წარმოადგენს შემოსავალს.
- დანაზოგი არ შეიძლება გავაიგივოთ ფულადი სახსრების, დეპოზიტებისა და სხვა ფინანსური აქტივების (აქციები, ობლიგაციები და ა.შ.) ღირებულების ზრდასთან, რადგან ფინანსური აქტივების მატება შეიძლება გამოწვეული იყოს ასეთი აქტივების ფორმის შეცვლით, ან ვალდებულების აღებით და არა დანაზოგების ზრდის შედეგად, როგორც ეს ჰიქსს მიაჩნდა. მეორე მხრივ, დანაზოგი შეიძლება გამოყენებული იყოს მატერიალური აქტივების (მიწა, ბინები) შესაძენად. ამ შემთხვევაშიც ფინანსური აქტივების მატება დანაზოგის მხოლოდ ნაწილის ტოლი იქნება, რომელიც ჰიქსის აზრით წარმოადგენს სხვაობას განკარგვად შემოსავალსა და მოხმარებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის.
- კაპიტალის მატება, რომელიც გამოწვეულია შემთხვევითი მოვლენებით (ინფლაცია ან აქტივების ღირებულების ზრდა გარე ფაქტორების ზემოქმედებით, მაგალითად, მიწის ფასის ზრდა მის მახლობლად სარკინიგზო ხაზის გაყვანასთან დაკავშირებით), არ განიხილება როგორც შემოსავალი.

ახალ ეას-ში შემოსავლების ზოგადმა თეორიამ კონკრეტული აზრი შეიძინა ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების კლასიფიკაციასა და განსაზღვრაში, როგორიცაა: მშპ, ეროვნული შემოსავალი, განკარგვადი შემოსავალი, დანაზოგი და ა.შ. უპირველეს ყოვლისა ეს ასახვას პოულობს შემოსავლებისა და დამატებული ღირებულების ტოლობის განსაზღვრაში. სხვა სიტყვებით (თუ გამოვრიცხავთ საგარეო-ეკონომიკურ კავშირებს), ეროვნული შემოსავალი ეკონომიკის ყველა სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამის ტოლია. ამ განმარტების თანახმად, შემოსავალში არ შედის ჰოლდინგური მოგება და ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული ქონების ღირებულების მატება.

მაგალითად, თუ A საწარმომ წლის დასაწყისში აწარმოა 100 ერთეული პროდუქცია (თითოეულის ფასი 5 ლარი), ხოლო 3 თვის შემდეგ 8 ლარად გაყიდა, მაშინ ეას-ის

მიხედვით წარმოებული პროდუქციის ღირებულება ტოლია 500(100*5) და არა 800(100*8), როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს, რადგან 800 ლარი **ჰოლდინგური მოგების სახით** მოიცავს 300 ლარს, რომელიც უნდა გამოირიცხოს. ეს 300 ლარი ინფლაციის შედეგად წარმოიქმნა.

როგორც წესი, წარმოებული პროდუქციის ღირებულების გასაანგარიშებლად უნდა გამოვიყენოთ მონაცემები რეალიზაციისა და არარეალიზებული პროდუქტების (მზა პროდუქცია და დაუმთავებელი წარმოება) შესახებ. როგორც ერთი, ისე მეორე ელემენტი შეიძლება ჩავრთოთ ჰოლდინგურ მოგებაში, რომელიც უნდა გამოირიცხოს. ამიტომ ეას გვთავაზობს პროდუქციის გამოშვების გაანგარიშებას შემდეგი ფორმულით:

$$P = R + L - M,$$

სადაც P - პროდუქციის გამოშვების ღირებულებაა;

R - პროდუქციის რეალიზაციის ღირებულება;

L - მარაგებში გადასული პროდუქციის ღირებულება;

M - მარაგებიდან ამოღებული პროდუქციის ღირებულება.

მოცემული ფორმულა საშუალებას გვაძლევს გავიანგარიშოთ პროდუქციის ღირებულება და შემოსავლები ჰოლდინგური მოგების გარეშე.

ზემომოყვანილი მაგალითის მიხედვით, მოცემული ფორმულის გამოყენებით, მივიღებთ ასეთ შედეგს: $500(P) = 800(R) + 500(L) - 800(M)$.

აღსანიშნავია, რომ ჰოლდინგური მოგება წარმოიშობა აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ შესაძენ ნედლეულსა და მასალებზე ფასები ნაკლებია იმ მომენტთან შედარებით, როდესაც ხდება მათი ფაქტობრივი ხარჯვა.

ჰიქსის თეორიის მიხედვით წმინდა შემოსავლის გაანგარიშება უნდა მოხდეს ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამორიცხვით აღდგენითი და არა თავდაპირველი ღირებულებიდან, რაც თავის მხრივ წინააღმდეგობებს ქმნის ეას-ში შემოსავლების გაგებასა და მის პრაქტიკულ გაანგარიშებას შორის.

მესამე კონცეფცია ეყრდნობა **წარმოების ფაქტორების თეორიას,** რომლის თანახმად, ღირებულება იქმნება შრომით, მიწითა და კაპიტალით. ეროვნული შემოსავლის შეფასება ფაქტორული შემოსავლებით გამოიყენებოდა და გამოიყენება მრავალ ქვეყანაში (აშშ, ინგლისი, გერმანია და სხვ.), თუმცა ეას არ ითვალისწინებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებას ფაქტორული შემოსავლების მიხედვით. იგი გვთავაზობს **საბაზრო ფასების** გამოყენებას, რომლებიც **განსხვავდებიან ფაქტორული შემოსავლებისაგან წარმოებაზე გადასახადებისა და სუბსიდიების სალდოთი**. ეას-2008 ფაქტორული შემოსავლების ნაცვლად იყენებს

,,პირველადი შემოსავლების" კატეგორიას - ანუ შემოსავლებისა, რომელსაც ღებულობენ ეკონომიკური პროცესის მონაწილეები (აგენტები) შექმნილი ღირებულების პირველადი განაწილების შედეგად. პირველადი განაწილების შედეგად შემოსავალს ღებულობენ არა მხოლოდ საწარმოები, კორპორაციები და შინამეურნეობები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ წარმოებაში, არამედ სახელმწიფო მართვის ორგანოებიც (წარმოებასა და იმპორტზე გადასახადების სახით).

აღსანიშნავია, რომ ეას ეფუძნება არა მხოლოდ ზოგად ეკონომიკური ხასიათის კონცეფციებს, არამედ რიგ **დებულებებს**, რომლებიც განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავებისა და მოწესრიგების ხერხებს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი შედეგებისა და პროპორციების გამოვლენის მიზნით. ეს მნიშვნელოვანი **დებულებებია:**

- **განსხვავება ნაკადებსა და მარაგებს შორის:**
  ნაკადი - ეს არის მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ პროცესის სიდიდეს (მოცულობას) დროის პერიოდში (მაგალითად წარმოება, საქონლის ყიდვა, ხელფასის გაცემა და ა.შ.)
  მარაგი - მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს რესურსების (აქტივების და ვალდებულებების) არსებობას ამა თუ იმ თარიღისათვის. ნაკადებისა და მარაგების მაჩვენებლები ერთმანეთთან დაკავშირებულია შემდეგი ტოლობით: პერიოდის ბოლოსთვის მარაგის სიდიდე უდრის პერიოდის დასაწყისისთვის მარაგის სიდიდეს პლუს ნაკადი, რომელიც ახასიათებს მოცემული რესურსის გადასვლას მარაგში მინუს მოცემული რესურსის მარაგიდან ამოღება.
- **განსხვავება ეკონომიკურ ოპერაციებსა და სხვა ეკონომიკურ ნაკადებს შორის:**
  სხვა სიტყვებით, **ნაკადები შედგება ეკონომიკური ოპერაციებისა და სხვა ეკონომიკური ნაკადებისაგან.**
  ეკონომიკური ოპერაცია წარმოადგენს ეკონომიკურ ნაკადს, რომელიც ჩნდება ორი ინსტიტუციური ერთეულის ერთმანეთთან ნებაყოფილობითი ურთიერთმოქმედების შედეგად (მაგალითად, ხელფასის გაცემა, საქონლის ყიდვა და ა.შ.). ცალკეულ შემთხვევებში ეკონომიკური ოპერაცია შეიძლება განხორციელდეს ერთი ინსტიტუციური ერთეულის ფარგლებში, თუ ის გამოდის ორი სხვადასხვა სახით.
  სხვა ეკონომიკური ნაკადები - ეს არის ცვლილებები აქტივებსა და ვალდებულებში, რომლებიც ეკონომიკური ოპერაციების შედეგს არ წარმოადგენენ (მაგალითად, ხანძრის, ან წყალდიდობის შედეგად საქონლის

მარაგის ცვლილება. ამავე კატეგორიას განეკუთვნება მარაგების ღირებულების ცვლილება ინფლაციის შედეგად).

- **მკვეთრი განსხვავება რეალურ (არაფინანსურ) და ფინანსურ აქტივებს შორის,** ფინანსური აქტივების ნაკადებსა და რეალურ ნაკადებს შორის.

  რეალური ნაკადები ძირითადად წარმოიქმნება წარმოების (ანუ ტრანსფორმაციის პროცესში, როდესაც იქმნება საქონელი და მომსახურება და ხდება სხვა საქონელისა და მომსახურების მოხმარება) პროცესში. წარმოების პროცესი გულისხმობს ისეთი ფაქტორების გაერთიანებასა და ურთიერთქმედებას, როგორიცაა: შრომა, მიწა, კაპიტალი. რეალურ (არაფინანსურ) აქტივებს აგრეთვე განეკუთვნება ისეთი არაწარმოებული აქტივები, როგორიცაა: მიწა, ბუნებრივი წიაღისეულის მარაგები და სხვა. **ფინანსური აქტივი** შეიძლება წარმოიქმნას (მათ შორის საქონლისა და მომსახურების წარმოების ფარგლებს გარეთ), დაიფაროს, გადაეცეს სხვა პირებსა და ეკონომიკის სექტორებს.

- **განსხვავება, ერთი მხრივ, საქონლისა და მომსახურების ნაკადებსა და მეორე მხრივ, შემოსავლების ნაკადებს შორის**, ანუ აუცილებელია განვასხვაოთ **საქონლისა და მომსახურების** მოძრაობა **შემოსავალის** მოძრაობისაგან და მათი რეგისტრირება მოხდეს ცალკე ცხრილებსა და ანგარიშებში.

- **განსხვავება შუალედურ და საბოლოო პროდუქციას შორის:**

  საბოლოო მოხმარების პროდუქტის შეძენა ხდება საბოლოო მოხმარებისათვის, ინვესტირების (დაგროვების) ან ექსპორტირების მიზნით და არა შემდგომი გადამუშავებისათვის.

  შუალედური პროდუქცია - ეს არის პროდუქცია, რომელიც გამოიყენება საწარმოო მოხმარებისათვის, ანუ წარმოებაში დახარჯული შრომის საგნები - ნედლეული, მასალა, სათბობი, ენერგია და აგრეთვე მომსახურება წარმოების სფეროში. ეს განსხვავება მნიშვნელოვანია, რადგან საბოლოო მოხმარების პროდუქტი მოიცავს შუალედური საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე დახარჯული საქონლის ღირებულებას.

  მაგალითად, ავტომობილის ღირებულება მოიცავს ფოლადის ღირებულებას, რომლისაგანაც დამზადებულია მისი ძირითადი ნაწილები და დეტალები და დახარჯული ენერგიის, საღებავის და ა.შ. ღირებულებას.

  შუალედური და საბოლოო პროდუქტების განსხვავება მნიშვნელოვანია ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ზუსტი განსაზღვრისათვის, განმეორებითი აღრიცხვის გარეშე. ცხადია, პროდუქტის ფიზიკური

მახასიათებლები ყოველთვის არ არის საკმარისი შუალედური ან საბოლოო პროდუქციის განსაზღვრისათვის.

მაგალითად, პურის ქარხნის მიერ შეძენილი ფქვილი - ეს შუალედური მოხმარებაა, ხოლო დიასახლისის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის - საბოლოო მოხმარება.

ამ ორიდან ერთ-ერთ ჯგუფში პროდუქტის კლასიფიცირება შეიძლება მხოლოდ საქონლის *ფაქტობრივი გამოყენების* მონაცემების საფუძველზე.

- **განსხვავება მიმდინარე და კაპიტალურ დანახარჯებს შორის,** რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯების რეგისტრაცია სხვადასხვა ცხრილსა და ანგარიშში უნდა ხდებოდეს. მათი მექანიკური დაჯამება არამართლზომიერია.

2. შიდა და ეროვნული ეკონომიკა და მასთან დაკავშირებული კატეგორიები

ეროვნულ სტატისტიკურ პრაქტიკაში ანგარიშიანობის საერთაშორისო მეთოდოლოგიაზე გადასვლამ განაპირობა ახალი ცნებებისა და კატეგორიების შემოღების, ხოლო ადრე არსებულში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

შეიცვალა წარმოდგენები ეკონომიკურ საქმიანობაზე, მის საზღვრებსა და შედეგებზე; ეკონომიკაში გაჩნდა ახალი ცნებები - მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული შემოსავალი; გადაიხედა მომსახურების სფერო და მისი როლი საზოგადოებრივ წარმოებაში; ეკონომიკა დაიყო სექტორებად; დაზუსტდა ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ცნება: გამოშვება, საქონელი და მომსახურება; საჭირო გახდა ტრანსფერტების, რეზიდენტის, არარეზიდენტის, ეკონომიკური ტერიტორიისა და სხვა ცნებებისა და კატეგორიების დაკონკრეტება.

ეას-ის 1993 წლის (მესამე) ვერსიის მიღებამდე ეკონომიკურ საქმიანობასა და საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენებოდა შიდა და ნაციონალური (ეროვნული) ეკონომიკის ცნებები, რამაც განაპირობა ეკონომიკური საქმიანობის შედეგების გაანგარიშება ორი მაჩვენებლით: **მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული პროდუქტი**. ახლა ეს განსხვავება აღარ გვხვდება, თუმცა ამერიკაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში კვლავ ითვლიან ამ მაჩვენებლებს.

შიდა ეკონომიკა მოიცავს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე როგორც რეზიდენტების, ისე არარეზიდენტების საქმიანობას.

ეროვნული ეკონომიკა მოიცავს მხოლოდ რეზიდენტების საქმიანობას მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად.

შიდა ეკონომიკის საზღვრების გამიჯვნისათვის ეას-ში იყენებენ შემდეგ კატეგორიებს:

- ეკონომიკური ტერიტორია;
- რეზიდენტი;
- ეკონომიკური ინტერესების ცენტრი;

ეკონომიკური ტერიტორია არის მოცემული ქვეყნის ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციულად მართვადი ტერიტორია, რომლის საზღვრებში ადამიანები, საქონელი და ფული თავისუფლად გადაადგილდება. ეკონომიკურ ტერიტორიას მიეკუთვნება აგრეთვე:

- საჰაერო სივრცე, მოცემული ქვეყნის ტერიტორიული წყლები და კონტინენტური შელფი საერთაშორისო წყლებში, სადაც მოცემულ ქვეყანას აქვს ნედლეულის, საწვავის მოპოვებაზე და ა.შ. განსაკუთრებული (ექსკლუზიური) უფლება;
- ე. წ. ,,ტერიტორიული ანკლავები" საზღვარგარეთ, ე.ი. ზონები სხვა ქვეყნებში, რომლებსაც იყენებენ მოცემული ქვეყნის სამთავრობო დაწესებულებები (არენდის ან საკუთრების უფლების საფუძველზე), დიპლომატიური, სამხედრო, სამეცნიერო ან სხვა მიზნებისთვის, მაგალითად, საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო და სამეცნიერო ბაზები;[ანკლავი - ფრანგ. enclave – ერთი სახელმწიფოს ტერიტორია ან ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიებით და არ გააჩნია საზღვაო სანაპირო.]
- ე. წ. ,,ექსტერიტორიული ანკლავები" , ანუ ქვეყნის კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი, რომელიც საერთაშორისო შეთანხმების ან სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად გამოიყენება სხვა ქვეყნების სახელმწიფო დაწესებულებების მიერ (ანკლავში შემავალ მიწაზე ან გაყიდვისას მასზე განლაგებულ ნაგებობებზე საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების ნაწილში);
- ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ა.შ. მარაგები ქვეყნის კონტინენტური შელფის საზღვრებს გარეთ მდებარე ტერიტორიულ წყლებში, თუ მათი დამუშავება ხდება მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ.

მაკროეკონომიკურ აგრეგატების და განსაკუთრებით ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების დროს პრინციპული მნიშვნელობა აქვს რეზიდენტებისა და არარეზიდენტების საქმიანობების აღრიცხვაში არსებულ განსხვავებებს.

რეზიდენტი - წარმოადგენს ინსტიტუციურ ერთეულს, რომლის ეკონომიკური ინტერესების ცენტრი მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზეა, ე.ი. რომელიც ახორციელებს ან აპირებს მნიშვნელოვანი მასშტაბის ეკონომიკურ საქმიანობას დროის განუსაზღვრელ ან ხანგრძლივ პერიოდში (1 წელი და მეტი). სხვა სიტყვებით, რეზიდენტი - ეს არის საწარმო, ორგანიზაცია და შინამეურნეობა, რომელიც მონაწილეობს ეკონომიკურ საქმიანობაში ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (წელზე მეტი), აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიაზე წელიწადზე მეტი ხნით მცხოვრები პირი.

მოცემული ქვეყნის რეზიდენტები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. ერთნი **ეწევიან წარმოებას,** ახორციელებენ ფინანსურ, სადაზღვევო და განაწილებით ოპერაციებს, მიწისა და მასზე არსებული ნაგებობების საკუთრების შეცვლასთან დაკავშირებული ოპერაციების გარდა;
2. მეორენი ძირითადად **მოიხმარენ** და ახორციელებენ მოხმარებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, მიწისა და მასზე არსებული ნაგებობების საკუთრების შეცვლასთან დაკავშირებული ოპერაციების გარდა;
3. დანარჩენები **ფლობენ მიწასა** და მასზე არსებულ ნაგებობებს.

პირველი ჯგუფის ერთეულების ნაწილი შეიძლება ახორციელებდეს თავის საქმიანობას მხოლოდ მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე და ამიტომაც ეს ერთეულები იწოდებიან ამ ქვეყნის რეზიდენტებად; ნაწილი ერთეულებისა შეიძლება ერთი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში საქმიანობდეს რამდენიმე სხვა ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე, ამიტომ ისინი არ ითვლებიან მოცემული ქვეყნის რეზიდენტებად.

მეორე ჯგუფის ერთეულებიდან მოცემული ქვეყნის რეზიდენტებს მიეკუთვნებიან ის შინამეურნეობები, რომელთაც ინტერესების ცენტრი გააჩნიათ ამ ქვეყანაში, თუნდაც ეს ერთეულები მიემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ ხანმოკლე (1 წელზე ნაკლები) დროით. მათ მიეკუთვნებიან:

- საზღვრის მუშები, ე.ი. ის მუშები, რომლებიც მუშაობენ მეზობელ ქვეყნებში და ყოველდღე უწევთ საზღვრის გადაკვეთა;
- სეზონური მუშები, რომლებიც სეზონურად სხვა ქვეყანაში მიემგზავრებიან სამუშაოდ;

- ტურისტები, პაციენტები, სტუდენტები, ოფიციალური ვიზიტით წასული პირები, ბიზნესმენები, მეზღვაურები, მსახიობები, საზღვარგარეთ გასული ეკიპაჟის (საზღვაო, საჰაერო და ა.შ.) წევრები;
- ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, რომლებიც დაქირავებული არიან შტატგარეშე მუშაკებად საზღვარგარეთის მთავრობების ექსტერიტორიულ ანკლავებში; სამხედრო და საერთაშორისო სამოქალაქო ორგანიზაციების შტატი, რომელთა შტაბბინა მდებარეობს ექსტერიტორიულ ანკლავებში;
- ტერიტორიულ ანკლავებში მყოფი მოცემული ქვეყნის მთავრობების ჩინოვნიკები, სამოქალაქო და სამხედრო წარმომადგენლები (მათი შინამეურნეობების ჩათვლით).

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ყველა ის ერთეული, რომელიც ფლობს მიწას ან მასზე არსებულ ნაგებობებს, ისინი ითვლებიან იმ ქვეყნის რეზიდენტებად, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს აღნიშნული მიწა და ნაგებობები.

ჩანართი 3. **რეზიდენტობის და ეკონომიკური ტერიტორიის გაგებისთვის**

... აუცილებელია სამი მნიშვნელოვანი კონცეფციის განსაზღვრა:
ეკონომიკური ტერიტორია, რეზიდენტობა და დანარჩენი მსოფლიო.

ეს კონცეფციები აუცილებელია ექსპორტისა და იმპორტის ზუსტი განსაზღვრისთვის. ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორია არის სახელმწიფოს გეოგრაფიული ტერიტორია. ის მოიცავს საჰაერო სივრცეს, ტერიტორიულ წყლებს, მის ტერიტორიულ ანკლავებს (მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს საელჩოები საზღვარგარეთის ქვეყნებში) და თავისუფალ ზონებს. საპირისპიროდ, მასში არ შედის გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე არსებული სხვა ქვეყნების საელჩოები. ეკონომიკური ტერიტორიის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რადგან ეროვნულ ანგარიშებში ჩაიწერება მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე არსებული გამოშვება. გაერთიანებული სამეფოს უცხოური ფილიალი გაერთიანებული სამეფოს ეროვნული ანგარიშების თვალთახედვით პროდუქტიული არ არის, ამიტომ იმ ქვეყნის გამოშვებაში აისახება, სადაც მდებარეობს შვილობილი კომპანია. ეროვნული ანგარიშებით მოცული ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკურმა ტერიტორიამ გარკვეული ცვლილება განიცადა. მაგალითად, არც თუ ისე დიდი ხანია (1999 წელს), რაც საფრანგეთის ეროვნულ ანგარიშებში შეაქვთ საზღვარგარეთული დეპარტამენტები. ადრე, საფრანგეთის ეკონომიკურ ტერიტორია შეზღუდული იყო მეტროპოლიებისთვის. ამის გამო, ამ დეპარტამენტების გამოშვება საფრანგეთის ეროვნულ ანგარიშებში კი არა, არამედ ექსპორტ-იმპორტის სახით აისახებოდა. ახლა

სიტუაცია შეიცვალა და ამ მეტროპოლიების გამოშვება უკვე აისახება საფრანგეთის ეროვნულ ანგარიშებში. ასეთი ტიპის განსხვავებები ქვეყნის ოფიციალური და ეკონომიკური ტერიტორიების განსაზღვრაში იშვიათი არ არის; მაგალითად, აშშ-ის ეროვნულ ანგარიშებში არ შეაქვთ პუერტო-რიკო. თუმცა, აღნიშნულის რაოდენობრივი ეფექტი ანგარიშებზე უმნიშვნელოა. რეზიდენტობის კონცეფცია ეკონომიკურ ტერიტორიასთან არის დაკავშირებული. ერთეული ითვლება მოცემული ქვეყნის რეზიდენტად, თუ მისი „ეკონომიკურ ინტერესთა ცენტრი“ ამ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზეა. ეს ნიშნავს, რომ ერთეული მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში საქმიანობს. ეროვნული ანგარიშების ინსტიტუციურ სექტორებში მხოლოდ რეზიდენტი ერთეულები შეაქვთ. ფირმების უმრავლესობა, არაკორპორირებული საწარმოების ჩათვლით, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე საქმიანობენ, რეზიდენტებად განიხილება. შინამეურნეობების შემთხვევაში ძირითადი პირობაა ის, თუ სად ხარჯავენ ისინი შემოსავალს. რეზიდენტად მიიჩნევა ის შინამეურნეობა, რომელიც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობს მოცემულ ტერიტორიაზე და სამომხმარებლო დანახარჯების უდიდეს ნაწილს აქვე ახორციელებს. გამოირიცხებიან შინამეურნეობის ის წევრები, რომლებიც მუშაობენ ქვეყანაში, მაგრამ ცხოვრობენ და ხარჯავენ შემოსავლებს საზღვარგარეთ. მაგალითად, თუ გაერთიანებულ სამეფოში სეზონური მომუშავეები ჩადიან რამდენიმე თვით, ისინი არ განიხილებიან რეზიდენტებად, რადგან მათი განკარგვადი შემოსავალი არ შედის გაერთიანებული სამეფოს შინამეურნეობების განკარგვად შემოსავალში. საპირისპიროდ, თუ ბრიტანელი მომუშავეები ცხოვრობენ და მოიხმარენ გაერთიანებულ სამეფოში, ხოლო ირლანდიაში მუშაობენ, მაშინ ისინი გაერთიანებული სამეფოს რეზიდენტები არიან. უცხოელი ტურისტები, რომლებიც გაერთიანებულ სამეფოში მოიხმარენ მხოლოდ მოკლე პერიოდის (ჩვეულებრივ, რამდენიმე კვირა) განმავლობაში, არ ჩაითვლებიან რეზიდენტებად. დანარჩენი მსოფლიო შედგება არარეზიდენტი ერთეულებისგან, რომლებიც ტრანსაქციებს ახორციელებენ განსახილველ ქვეყანასთან, ამ შემთხვევაში გაერთიანებულ სამეფოსთან. ამიტომ, დანარჩენი მსოფლიო მოიცავს ყველა არარეზიდენტ ერთეულს, რომელიც თავის პროდუქციას ყიდის გაერთიანებული სამეფოს რეზიდენტებზე (გაერთიანებულ სამეფოს თვალთახედვით, ეს გაყიდვები იმპორტს მიეკუთვნება), ხოლო ყველა შესყიდვა, რომელსაც არარეზიდენტები ახორციელებენ გაერთიანებული სამეფოდან, ექსპორტს მიეკუთვნება. საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი დანარჩენ მსოფლიოსთან ძირითადი ტრანსაქციებია, თუმცა აქ კიდევ სხვა მრავალი კატეგორიაა: შრომის ანაზღაურება არარეზიდენტი შინამეურნეობებისთვის;

იმიგრანტი რეზიდენტი მომუშავეების მიერ თავიანთი შინამეურნეობებისთვის გაგზავნილი შემოსავლის ნაწილი; ევროპული სუბსიდიების გადარიცხვა გაერთიანებული სამეფოსთვის; გაერთიანებული სამეფოს მიერ ევროპისთვის დღგ-ს გადახდა და ა.შ. მთლიანობაში ეს ტრანსაქციები აისახება დანარჩენი მსოფლიოს ანგარიშში, რომლის ძირითადი წყაროა საგადასახდელო ბალანსი.

ჩაულრმავდით

ეას-ის შემქმნელების შესახებ

ეას-ის შემუშავების ისტორია განვითარებულ ქვეყნებში უკავშირდება გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისს. ამ პროცესს სათავე დაუდო ,,დიდმა დეპრესიამ". ეას-ის ჩამოყალიბების იდეა პრაქტიკული ამოცანებიდან გამომდინარეობდა: ეკონომიკის კონიუნქტურული შეფასებისა და ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო გახდა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სისტემის ჩამოყალიბება, რასაც წინ უსწრებდა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებანი.

ეროვნული ანგარიშიანობის თეორიულ ,,მამად" მიჩნეულია ჯონ მეინარდ კეინზი. მაკროეკონომიკური ანალიზის კვლევებში დიდი წვლილი შეიტანეს მისმა წინამორბედებმა: უილიამ პეტიმ, გრიგორი კინგმა, ფრანსუა კენემ, კარლ მარქსმა. თეორიულ კვლევებში XX საუკუნის პირველ ნახევარში დიდი წვლილი შეიტანეს ალფრედ მარშალმა, ირვინგ ფრიშმა, იან ტინბერგენმა, ვასილი ლეონტიევმა, პაულ სტუდენსკიმ; მეთოდოლოგიური საკითხების კვლევებში მონაწილეობდნენ: რიჩარდ სთოუნი, ენტონი გილბერტი, ედვარდ დენისონი, დევიდ კენდრიკი, ჯონ რიჩარდ ჰიქსი.

დიდია საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი გაეროს როლი ეას-ის შემუშავებასა და დახვეწაში.

ეროვნული ანგარიშების დანერგვის ძირითადი ეტაპები საზღვარგარეთ

ეროვნული ანგარიშიანობის ჩანასახები თანამედროვეობამდე დიდი ხნით ადრე გვხვდება. მაგალითად, ცნობილია, რომ ინგლისელმა ეკონომისტებმა **უილიამ პეტიმ და გრეგორი კინგმა** 300 წლის წინ ინგლისში პირველად გაიანგარიშეს ინგლისისა და საფრანგეთის ეროვნული შემოსავალი და ამით საფუძველი ჩაუყარეს ეროვნული შემოსავლის კვლევების მდიდარ ისტორიას, რაც შემდგომში ეას-ის გაანგარიშებებში გადაიზარდა. აღსანიშნავია, რომ უ. პეტი ისახავდა სავსებით კონკრეტულ პრაქტიკულ მიზნებს, კერძოდ, მან გამოიკვლია დაბეგვრის სისტემის სრულყოფის ღონისძიებების გავლენა ეკონომიკასა და შემოსავლების განაწილებაზე.

გ.კინგმა პირველად შეძლო ინგლისის ეროვნული შემოსავლის ჭეშმარიტად მეცნიერული გაანგარიშება. მან სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და კლასის მიხედვით გაიანგარიშა შემოსავალი, ხარჯები და დანაზოგი ერთ სულ მოსახლეზე. მისი გაანგარიშებები ფაქტობრივად ეროვნული საბალანსო ცხრილების შექმნას ნიშნავდა.

XVIII საუკუნის დასაწყისში ფრანგმა **პიერ ლეჰეზან ბუაგილბერმა** (1646-1714) ჩამოაყალიბა თავისი მიდგომა ცნებასთან ,,ეროვნული შემოსავალი". ის მიიჩნევდა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილის ხარჯები - ეს ერთდროულად საზოგადოების დანარჩენი ნაწილის შემოსავლებია. მაშასადამე, შემოსავალი ბუაგილბერის თანახმად, მოსახლეობის ერთობლივ (სამომხმარებლო) ხარჯებს წარმოადგენს.

ეყრდნობოდნენ რა გრეგორი კინგის გაანგარიშებებს, ფრანგმა ეკონომისტმა **ფრანსუა კეტმა** და შოტლანდიელმა **ადამ სმითმა** (1723-1790) 1869 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "ბუნება და პოლიტიკა. დაკვირვებები და დასკვნები ინგლისის მდგომარეობისა და პირობების შესახებ" თავიანთი თეორიული სქემები წარმოადგინეს.

ეროვნული ანგარიშიანობის მეთოდის მამამთავრად **ფრანსუა კენე** (1694-1774) გვევლინება. მის ნაშრომში ,,ეკონომიკური ტაბულა" (1758) მოცემულია პირველი მაკროეკონომიკური ბალანსი, რომელშიც იგი კვლავწარმოების ანალიზს საზოგადოებრივი პროდუქტის ნატურალურ (ნივთობრივ) და ღირებულებით ელემენტებს შორის საბალანსო პროპორციების დამყარების საფუძველზე აკეთებს.

ეროვნული ანგარიშიანობის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა ფრანგი ეკონომისტის **ჟან ბატისტ სეის** (1767-1832) წარმოების ფაქტორების თეორიამ, რომლის თანახმად შრომა, მიწა და კაპიტალი, როგორც წარმოების ფაქტორები, თანაბრად მონაწილეებენ ეროვნული პროდუქტისა და შემოსავლების წარმოებაში. წარმოების ამ სამი ფაქტორის გარდა, სეი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა მეწარმეს -საწარმოო პროცესის ორგანიზატორს. იგი თავის შეხედულებებს მეწარმოებაზე გადმოსცემს ნაშრომში "პოლიტიკური ეკონომიის სრული კურსი"(1828). მაკროეკონომიკური ანალიზის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გერმანელმა ეკონომისტმა **კარლ მარქსმა** (1818-1883). ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმის ასახსნელად მის მიერ შემოთავაზებული კვლავწარმოების მარტივი და გაფართოებული სქემები მაკროეკონომიკური მოდელის აგების მცდელობას წარმოადგენდა.

მოცემულ კონტექსტში ყურადღებას იმსახურებს **ალფრედ მარშალი** (1842-1924) - ავტორი სამეურნეო სუბიექტის ქცევის ანალიზის იდეისა, რაც შემდგომში ეას-ში აისახა. ნაშრომში ,,ეკონომიკის პრინციპები" (1925) მან ჩამოაყალიბა წლიური წმინდა

ეროვნული შემოსავლის განმარტება, რომელიც დღემდე საფუძვლად უდევს ეას-ის მაჩვენებლების გაანგარიშებას. ამ განმარტების თანახმად, ქვეყნის წლიური ეროვნული შემოსავალი არის წარმოებული საქონლის ჯამური ღირებულება (რასაც ემატება უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი), წარმოებაზე დახარჯული საქონლისა და ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის გამოკლებით.

ისტორიის შემდგომ ეტაპებზე მრავალი წლის განმავლობაში ეროვნული ანგარიშიანობა არ გამოიყენებოდა სამეურნეო პრაქტიკაში, ხოლო კრებსითი ეკონომიკური მაჩვენებლები ამ სისტემის გარეშე გაიანგარიშებოდა.

1929-1933 წლების დიდი დეპრესია გახდა ის მოვლენა, რამაც თვალნათლივ დაანახა "ეკონომიკის მამებს" მაკროეკონომიკური გაანგარიშებების შეზღუდულობა და კონიუნქტურის თეორიის განვითარების აუცილებლობა, რომელიც ეფუძნება ეროვნული პროდუქტის ფორმირების ფაქტორების, დასაქმების უზრუნველყოფისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთა პროგნოზირებას.

ჯონ მეინარდ კეინზი (1883-1946) ერთ-ერთი იმ მეცნიერთგანია, რომელმაც თანმიმდევრულად დაასაბუთა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების იდეა და მეთოდები. მან შეიმუშავა ეკონომიკური ანალიზისა და რეგულირებისათვის საჭირო საინფორმაციო სისტემის ფორმირების რამდენიმე პრინციპი ურთიერთდაკავ-შირებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლთა სისტემაზე დაყრდნობით და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: *სახელმწიფოს შეუძლია ცალკეულ მაჩვენებლებზე ზემოქმედებით შეცვალოს დანარჩენი მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის შესწავლის იდეა ერთ-ერთი ფუძემდებლურია ეას-ის ფორმირებაში.*

ეროვნული შემოსავლის სტატისტიკისა და ეას-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს აგრეთვე ნობელის პრემიის ლაურეატებმა: ინგლისელმა **კოლინ კლარკმა** (1905-1989) და ამერიკელმა **საიმონ კუზნეცმა** (1901-1985). კ. კლარკმა დაასაბუთა ეროვნული შემოსავლისა და ეროვნული პროდუქტის კატეგორიების მნიშვნელობა და ინფლაციური პროცესების გათვალისწინებით მოახდინა ამ სიდიდების შეფასება საბაზრო ფასებში.

ეროვნული პროდუქტისა და შემოსავლის თეორიის საკითხებთან დაკავშირებით მრავალი ფუნდამენტური ნაშრომი გამოაქვეყნა საიმონ კუზნეცმა. ის დიდ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ გაწეული მომსახურების შეფასების საკითხებს, განსხვავებას საბოლოო და შუალედურ მოხმარებებს შორის, ეროვნული პროდუქტის გაანგარიშებას საბოლოო მოხმარების მეთოდით (ყველა სამეურნეო სუბიექტის მოხმარების, დაგროვებისა და ექსპორტ-იმპორტის სალდოს დაჯამება). ის მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო მმართველობის

ორგანოების არასაბაზრო მომსახურების მნიშნელოვან ნაწილს შუალედური მოხმარების ხასიათი აქვს, ამიტომ ამ მომსახურების მთლიანი ღირებულების ჩართვა საბოლოო მოხმარებაში გამოიწვევდა ეროვნული პროდუქტის განმეორებით აღრიცხვას.

ეკონომიკური კვლევების მეთოდიკების სრულყოფაში დიდი წვლილი შეიტანა ამერიკელმა ეკონომისტმა **ვასილი ლეონტიევმა** (1906-1998). იგი დარგთაშორისი ბალანსის ავტორია. ამ მეთოდის მეშვეობით გამოიკვლევა ეკონომიკის დარგებს შორის კავშირი და დამოკიდებულება ისეთ ცვლადებს შორის, როგორიცაა: გამოშვება, შუალედური მოხმარება და საბოლოო მოხმარება.

ჩაულრმავდით

ეას-ის შექმნის ძირითადი ეტაპები

რა თქმა უნდა, დიდია ცალკეული მეცნიერების ღვაწლი ეას-ის ჩამოყალიბების ისტორიაში, თუმცა ,,ეროვნულ ანგარიშთა სისტემა" შემუშავებულ იქნა 20-იანი წლების ბოლოს ამერიკელი მეცნიერების ჯგუფის მიერ ეკონომიკური კვლევების ეროვნულ ბიუროში შემდგომში ნობელის პრემიის ლაურიატ **საიმონ კუზნეცის** ხელმძღვანელობით.

პირველი სამუშაოები უკავშირდება ეას-ის გაანგარიშებას პალესტინისათვის 1936 წელს, ხოლო, რაც შეეხება ოფიციალურ გაანგარიშებებს, პირველად მოხდა დიდ ბრიტანეთში 1946 წელს, 1947 წელს - აშშ-ში, 1949 წელს კი - საფრანგეთში. 1953 წლიდან გამოიყენება გაეროს სტანდარტული ანგარიშთა სისტემა, რომელსაც მოჰყვა **1968** წელს ეას-ის II ვერსია, **1993** წელს - მესამე, ამჟამად კი მოქმედებს **2008** წელს შემუშავებული მეოთხე ვერსია.

ეას-ის ოფიციალური დაბადების წლად ითვლება **1952 წელი,** როდესაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ეგიდით ექსპერტთა ჯგუფის მიერ კეინზის მოწაფისა და მიმდევრის **რიჩარდ სტოუნის** ხელმძღვანელობით მომზადდა შესაბამისი კვლევა. პარალელურად ასეთივე სამუშაოები მიმდინარეობდა გაეროს სტატისტიკური ბიუროს ეგიდითაც. ერთობლივი ძალისხმევის შედეგად შეიქმნა "ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გამარტივებული სტანდარტი". ერთიანი ეას-ის შექმნას საფუძვლად დაედო საერთაშორისო ინტეგრაცია, განსაკუთრებით - ევროპული ქვეყნების.

ეას-ის პირველი ვარიანტი არასრულყოფილი იყო, რადგან არ ითვალისწინებდა სხვადასხვა ქვეყნის განვითარების თავისებურებებს. ეს კი ართულებდა მის დანერგვას ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკაში. ამის გამო ,,გამარტივებული სისტემა"

1958 წელს გარდაიქმნა უფრო მეტად უნიფიცირებულ ,,ეროვნული ანგარიშიანობის სტანდარტულ სისტემად”.
60-იანი წლების შუა პერიოდისათვის მსოფლიოში მოქმედებდა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის რამდენიმე ვარიანტი, რაც ართულებდა ქვეყანათაშორის შედარებებს. ამის გამო საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე დადგა საკითხი ეას-ის განსხვავებული ვერსიების შეთანხმების შესახებ. პროცესში აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.
შემდგომ წლებშიც (80-იანი წლების დასაწყისიდან) სტაბილურად ვითარდებოდა აღნიშნული ორგანიზაციების თანამშრომლობა გაეროსთან, რომლის საფუძველზეც სამუშაოების შემდგომი კოორდინაციის მიზნით შეიქმნა საერთაშორისო ჯგუფი.
1993 წლის თებერვლიდან ამოქმედდა ახალი, გაუმჯობესებული სტანდარტი, რომელშიც გათვალისწინებული იყო საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნების თავისებურებანი.
1960-იანებში ახალგაზრდა ევროკავშირი მიხვდა, რომ მას სჭირდებოდა ჰარმონიზებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტატისტიკა წევრი ქვეყნებისთვის, ამიტომ ანგარიშების ევროპული სისტემა გამოქვეყნდა 1970, 1979 და 1995 წელს.
2008 წლის ახალ ვერსიაზე გადასვლასთან ერთად 1995 წლის ევროპული ანგარიშებიც განახლდა 2010 წლის ვერსიით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეას-ის განვითარების ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი ეტაპი:
პირველი ეტაპია - მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდი. მას ახასიათებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ინტერესის გაძლიერება ეროვნული შემოსავლის სტატისტიკისადმი, რომლის საფუძველზეც შემდგომში მოხდა ეას-ის ფორმირება. ეს ინტერესი სტიმულირებული იყო 1929-1933 წლების დიდი ეკონომიკური დეპრესიითა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნილებით ინფორმაციაზე საბაზრო ეკონომიკის კრიზისული მოვლენების (ინფლაცია, უმუშევრობა და სხვა) დასაძლევად. ამ ეტაპზე ბევრი რამ გაკეთდა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების პრინციპების ჩამოყალიბებისათვის, გადაწყდა მნიშვნელოვანი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების ერთიან სისტემაში
მეორე ეტაპი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ომის დამთავრებამ სტიმული მისცა ეროვნული ანგარიშიანობის შემდგომ განვითარებას. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებს უნდა მოეხდინათ ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებებისა და ამოცანების შემუშავება, რამაც გაზარდა მოთხოვნილება ისეთ მაკროეკონომიკურ სტატისტიკაზე, რომელიც

უზრუნველყოფდა ეკონომიკური პროცესების სხვადასხვა ასპექტის შეთანხმებულ აღწერას. ეას-ის განვითარების ამ ეტაპის მნიშვნელოვანი თავისებურებაა მაკროეკონომიკური სტატისტიკის რიგი ახალი ბლოკების ინტეგრაცია სისტემაში, მათი კოორდინაცია პირველ ეტაპზე ფორმირებულ მონაცემთა ბლოკთან (ეროვნული შემოსავლი/პროდუქტი) და მის კომპონენტებთან. მეორე ეტაპზე ეას-ში ინტეგრირებულ იქნა მონაცემთა შემდეგი ბლოკები: ეროვნული სიმდიდრის, ფინანსური რესურსების მოძრაობის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და სხვ. ამ ეტაპის მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ საერთაშორისო ეკონომიკურმა ორგანიზაციებმა აქტიური როლი ითამაშეს ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავებისა და პრაქტიკული დანერგვის შემდგომ განვითარებაში.

საქართველოში ეას-ის კრებსითი ანგარიშების შედგენის პირველი ექსპერიმენტული სამუშაოები (1990-1992 წლების მონაცემების მიხედვით) 1992 წლის იანვარში დაიწყო და 1993 წლის ბოლოსათვის დასრულდა.

საერთაშორისო ორგანიზაციები საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას ეროვნული ანგარიშების დარგში აწარმოებენ ორი მიზნით: 1) ძირითადად, დაინტერესებული, განვითარებადი ქვეყნებისათვის ხელის შეწყობა სტატისტიკის აღნიშნული სფეროს განვითარებაში და 2) მონაცემების მოპოვებისა და სისტემატიზაციის ერთიანი საფუძვლის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საერთაშორისო შესადარისობისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ ეას-ი არის სტატისტიკური სისტემა, რომელიც მუდმივად განახლებადია, სულ უფრო ფართოდ გამოიყენება და მასში ხდება ახალი ეკონომიკური ძვრების გათვალისწინება. საინტერესოა, რომ ეას-ის ახალი ვერსიების კვალდაკვალ ხდება მშპ-ის გაზომვის მოდიფიცირება წარმოების საზღვრების რეგულარული გაფართოების ხარჯზე, რაც მშპ-ის ზრდას იწვევს. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა ეას 2008-ის შემთხვევაში კვლევებისა და განვითარების და ასევე, საბრძოლო იარაღის კაპიტალიზაციის საფუძველზე. სავარაუდოდ, ეს პროცესი გაგრძელდება.

საკვანძო მომენტები

- ეკონომიკური წარმოების თანამედროვე კონცეფციის თანახმად, წარმოების სფეროში შედის საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ყველა სახე.
- ეკონომიკური წარმოება შეიძლება განვმარტოთ როგორც ინსტიტუციური ერთეულების მიერ კონტროლირებადი შრომისა და კაპიტალის დანახარჯების გაწევა საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის.
- ეკონომიკური აზრით, საწარმოო საქმიანობა შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რასაც ახორციელებს ერთი ადამიანი მეორისათვის, ხოლო ძილი, კვება, ფიზიკური ვარჯიში - ადამიანის პირველად საქმიანობათა რიგს განეკუთვნება და არა წარმოებას, რაც შეეხება რეცხვას, საკვების მომზადებას, ბავშვების მოვლას, ეს საქმიანობა შეიძლება სხვას გადავაბაროთ, ამიტომ ისინი წარმოების საზღვრებში ექცევიან.
- ეას-ში ეკონომიკური წარმოება მოიცავს საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სახეს, გარდა შინამეურნეობების იმ საქმიანობისა, რომლებიც დაკავშირებულია პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან.
- საწარმოო საქმიანობა ეას-ის პრინციპების შესაბამისად მოიცავს პროდუქტებისა და მომსახურების საბაზრო და არასაბაზრო წარმოებას და წარმოებას საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის.
- ჰიქსის შემოსავლების კონცეფციის თანახმად, დროის კონკრეტულ პერიოდში წარმოებული შემოსავლის საერთო მოცულობა უნდა განისაზღვროს როგორც მაქსიმალური თანხა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს მოხმარებაზე საწყისი კაპიტალის მოცულობის შეუცვლელად.
- ეას-ის მესამე კონცეფცია ეყრდნობა წარმოების ფაქტორების თეორიას, რომლის თანახმად, ღირებულება იქმნება შრომით, მიწითა და კაპიტალით.
- ნაკადი - ეს არის მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ პროცესის სიდიდეს (მოცულობას) დროის პერიოდში (მაგალითად წარმოება, საქონლის ყიდვა, ხელფასის გაცემა და ა.შ.)
- მარაგი - მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს რესურსების (აქტივების და ვალდებულებების) არსებობას ამა თუ იმ თარიღისათვის.
- ეროვნული ეკონომიკა მოიცავს მხოლოდ რეზიდენტების საქმიანობას მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად, ხოლო შიდა ეკონომიკა მოიცავს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე როგორც რეზიდენტების, ისე არარეზიდენტების საქმიანობას.

- ეკონომიკური ტერიტორია არის მოცემული ქვეყნის ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციულად მართვადი ტერიტორია, რომლის საზღვრებში ადამიანები, საქონელი და ფული თავისუფლად გადაადგილდება.
- რეზიდენტი - წარმოადგენს ინსტიტუციურ ერთეულს, რომლის ეკონომიკური ინტერესების ცენტრი მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზეა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქეთევან მარშავა, მაია მინდორაშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თეორია, პრაქტიკა, ანალიზი. თსუ, 2008.

2. The 2008 SNA – conceps in brief. A complement to the System of National Accounts. World Bank
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/2008SNA-ConceptsBrief.pdf

3. The 2008 SNA – compilation in brief. A complement to the System of National Accounts. World Bank
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/2008SNA-CompilationBrief.pdf

4. The System of National Accounts, 2008 (2008 SNA)
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf

ტესტები და სავარჯიშოები

1. ეს ეფუძნება:

ა) მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებულ ეკონომიკურ კონცეფციებს, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური პროცესების ადეკვატურ აღწერას

ბ) არა მხოლოდ ზოგად ეკონომიკური ხასიათის კონცეფციებს, არამედ რიგ დებულებებსაც

გ) მხოლოდ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავებისა და მოწესრიგების ხერხებს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი შედეგებისა და პროპორციების გამოვლენის მიზნით

დ) მხოლოდ წარმოებისა და შემოსავლების კონცეფციებს და განსხვავებას ნაკადებსა და მარაგებს შორის

2. ეკონომიკური წარმოების თანამედროვე კონცეფციის თანახმად, წარმოების სფეროში შედის:

ა) საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ზოგიერთი სახე

ბ) მხოლოდ საქონლის წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ყველა სახე

გ) საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ყველა სახე

დ) საქონლის წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ყველა სახე და მომსახურების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ზოგიერთი სახე

3. პროცესები არ ითვლება ეკონომიკურ წარმოებად, თუ:

ა) ეს არ არის ინსტიტუციური ერთეულების მიერ კონტროლირებადი შრომისა და კაპიტალის დანახარჯების გაწევა საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის

ბ) არ ხდება ერთი ადამიანის მიერ მეორესათვის მომსახურების გაწევა

გ) არ გამოიყენება კაპიტალი, შრომა ან მატერიალური რესურსები საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად

დ) ეს ბუნებრივი პროცესებია მიუხედავად მათი შედეგების ეკონომიკური ღირებულებისა

4. ეკონომიკური წარმოებაა:

ა) თევზის ბუნებრივი გამრავლება წყალსატევებში

ბ) თევზის მოშენება ხელოვნურ წყალსატევებში

გ) ველური ტყის ზრდა

დ) ტყის გაშენება სატყეო მეურნეობაში

5. წარმოების საზღვრებში არ ჩაირთვება:

ა) ბინის დალაგება

ბ) ბინაში დამონტაჟებული კონდიციონერის გამოყენება

გ) საკვების მომზადება ოჯახის წევრებისთვის

დ) შინამეურნეობის წევრი ბავშვების მოვლა

6. წარმოების საზღვრებში ჩაირთვება:

ა) საქმიანობა, რომლის შედეგი არ წარმოადგენს წარმოების მიზანს, მაგალითად, გამონაბოლქვი

ბ) ტექნოლოგიით გათვალისწინებული მომყოლი (თანამდე) პროდუქცია, მაგალითად ტყავი ან ნახერხი

გ) ოჯახის წევრის მიერ ავადმყოფის მოვლა

დ) ქრთამის აღება საჯარო დაწესებულებაში

7. ეას-ში წარმოების საზღვრებში შეაქვთ:

ა) ყველა „მონეტიზებული“ ტრანსაქცია

ბ) სამთავრობო დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურება

გ) შინამეურნეობების მიერ საკვების მომზადება, დასუფთავება, ბავშვების აღზრდა და ა.შ.

დ) საკუთარ სახლში ცხოვრების მომსახურება

8. ეას-ში წარმოების საზღვრებში არ შეაქვთ:

ა) ფერმერების ან შინამეურნეობების მიერ საკუთარი წარმოების იარაღების მოხმარება

ბ) საკუთარ სახლში ცხოვრების მომსახურება

გ) მეზობლის კომპიუტერის შეკეთება ანაზღაურების გარეშე

დ) ფიზიკური ვარჯიში

9. ჩამოთვლილი ეკონომიკური საქმიანობის შედეგებიდან გამოყავით საბაზრო წარმოების კომპონენტები:

ა) პროდუქტები და მომსახურება, რომელიც გადაცემულია უფასოდ, ან მოთხოვნაზე მნიშვნელოვანი გავლენის არმქონე ფასებით ინსტიტუციური ერთეულებისთვის ან მთლიანად საზოგადოებისთვის

ბ) საქონელი და მომსახურება, რომელიც დამქირავებლის მიერ თავისი მომუშავეებისათვის გაიცემა შრომის ასანაზღაურებლად, ნატურალური ფორმით

გ) მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება, რომელიც განკუთვნილია არასაბაზრო გამოყენებისათვის და მწარმოებლის მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგში გადადის

დ) საქონელი და მოსახურება, რომლის გაყიდვა ხორციელდება ამ პროდუქტების მოთხოვნაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე ფასებით

10. ჩამოთვლილი საქმიანობის შედეგებიდან მონიშნეთ არასაბაზრო წარმოება:

ა) სავაჭრო დარიცხვა საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, სატრანსპორტო ხარჯები, დარიცხვები ფინანსური აქტივების რეალიზაციის ოპერაციებზე

ბ) საქონელი და მომსახურება, რომელსაც საწარმოები ნატურალური ფორმით გადასცემენ თავიანთ მუშაკებს შრომის ასანაზღაურებლად

გ) საქონელი და მომსახურება, რომელიც გაიცვლება ბარტერის სახით

დ) საწარმოო საქმიანობის თანამდევი პროდუქტები (გამონაბოლქვი, დაბინძურება)

ე) სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და არაკომერციული ორგანიზაციების მიერ კოლექტიური მომსახურების გაწევა საზოგადოებისთვის

11. მონიშნეთ წარმოების მუხლები საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის:

ა) პირობითად გამოთვლილი საბინაო მომსახურების ღირებულება, რომელიც წარმოებულია ბინათმფლობელის მიერ საკუთარი მოხმარებისთვის

ბ) პროდუქტებისა და მომსახურების წარმოება საბოლოო ან შუალედური მოხმარებისათვის

გ) საქონლის და მომსახურების წარმოება ექსპორტისათვის

დ) საკუთარი საცხოვრებლის დალაგება და ტექნიკური მომსახურება

ე) საქონლის ღირებულება, რომელიც წარმოებული და მოხმარებულია შინამეურნეობის არაკორპორირებული საწარმოს მიერ

ვ) მომსახურების ღირებულება, რომელიც ანაზღაურებადი შინამოსამსახურის მიერ არის გაწეული

12. წარმოების საზღვრებში შედის:

ა) კანონით ნებადართული და სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მიერ აღრიცხული ოფიციალური საქმიანობა

ბ) პროდუქტებისა და მომსახურების არაკანონიერი (იურიდიულად აკრძალული) წარმოება

გ) აღურიცხავი და საგადასახადო სამსახურებისთვის დაფარული პროდუქტებისა და მომსახურების წარმოება

დ) საქონლისა და მომსახურების იატაკქვეშა წარმოება

13. წარმოების საზღვრებში არ შედის:

- ნარკოტიკების წარმოება
- ალკოჰოლური პროდუქციით ვაჭრობა აქციზური მარკების გარეშე
- ბინათმფლობელის მიერ ჩატარებული კოსმეტიკური რემონტი
- შინამეურნეობების მიერ ხეხილის მოვლა საკუთარი მოხმარებისათვის
- შინამეურნეობების მიერ ბინის დალაგება-დასუფთავება
- საწარმოების მიერ პროდუქციის წარმოება საკუთარი დაგროვების მიზნით

- შინამეურნეობის წევრთა მიერ ხანგრძლივი მოხმარების საგნების რესტავრაცია
- ცოდნის მარაგის შემცველი პროდუქტების წარმოება
- პროდუქციის მოპარვა საწარმოდან
- ფინანსური დაწესებულებების საქმიანობა (ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები და სხვ.)

14. შეარჩიეთ საქმიანობის სახე, რომელიც ეას-ის კონცეფციით მიეკუთვნება წარმოებას:

- დედა ბავშვს ასწავლის გაკვეთილს
- აგარაკის მფლობელი ზაფხულში აქირავებს აგარაკს
- მოსწავლეს მუსიკაში ამეცადინებს მეზობელი ანაზღაურების გარეშე
- ბაბუა არემონტებს ანტიკვარულ ავეჯს
- დიასახლისი აკონსერვებს საკუთარ ბოსტანში მოყვანილ პროდუქტებს
- შპს არაკანონიერად აწარმოებს ალკოჰოლურ სასმელებს
- სატვირთო ავტომობილის მფლობელი ლიცენზიის გარეშე ახორციელებს ტვირთების გადატანას
- სტომატოლოგი ახორციელებს ნებადართულ პრაქტიკას საკუთარ სახლში
- ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ფირმა ბაზარზე ახორციელებს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას
- მენეჯერი თავისი მანქანით მიდის სამსახურში
- წყალდიდობის შედეგად განადგურდა ნათესები
- მეცხოველეობის ფერმის მუშაკებს რძის პროდუქტებით მისცეს ანაზღაურება
- სავაჭრო ორგანიზაციას აკონტროლებენ კრიმინალები
- შინამეურნეობის საკუთრებაში არსებული ავტომობილისთვის ზეთის გამოცვლა
- დამქირავებელმა სამზარეულოში ჩაატარა კოსმეტიკური რემონტი

15. შინამეურნეობების მიერ საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის გაწეული მომსახურების რომელი სახეები ჩაირთვება ეას-ის წარმოების საზღვრებში:

- შინამეურნეობის წევრების მიერ გაწეული შინამომსახურება
- საკუთარ სახლში ცხოვრებაზე გაწეული მომსახურება
- საწარმოს მიერ ძირითადი კაპიტალის წარმოება საკუთარი გამოყენებისთვის
- ანაზღაურებადი მოსამსახურის მიერ გაწეული მომსახურება
- მფლობელების მიერ სამომხმარებლო ნივთების შეკეთება
- საქონლის ღირებულება, რომელიც წარმოებულია შინამეურნეობის არაკორპორირებული საწარმოს მიერ და მოხმარებულია იმავე შინამეურნეობის მიერ

- მფლობელების მიერ სამომხმარებლო ნივთების გამოყენება
- საწარმოს მიერ ძირითადი კაპიტალის წარმოება საკუთარი გამოყენებისთვის

16. ცხრილი 1-ის გამოყენებით შეადგინეთ ორი ტესტი:

შინამეურნეობების წარმოების საზღვრებში შედის:

ა)

ბ)

გ)

დ)

17. შინამეურნეობების წარმოების საზღვრებში არ შედის:

ა)

ბ)

გ)

დ)

18. შემოსავლების კონცეფცია:

ა) განსაზღვრავს ეას-ში შემოსავლების მაჩვენებლების შინაარსს

ბ) შემუშავებულია ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ჯ. ჰიქსის მიერ

გ) შემოსავალის წყაროდ მიიჩნევს მხოლოდ დამატებულ ღირებულებაა

დ) შემოსავლად არ სცნობს აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს და ინფლაციის შედეგად აქტივების ღირებულების ცვლილებას

19. შემოსავლების კონცეფციის თანახმად, დროის კონკრეტულ პერიოდში წარმოებული შემოსავლის საერთო მოცულობა უნდა განისაზღვროს როგორც --------- თანხა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს მოხმარებაზე ---------- კაპიტალის მოცულობის ----------.

20. ჯ. ჰიქსმა შემოიტანაშემოსავლების ორი კატეგორია:

ა) პირველი კატეგორია, ex-ante, მოსალოდნელი, პროგნოზირებადი შემოსულობების ნაკადი

ბ) პირველი კატეგორია, ex-post, მოსალოდნელი, პროგნოზირებადი შემოსულობების ნაკადი

გ) მეორე კატეგორია, ex-ante, განხორციელებული ანუ ფაქტიური ნაკადი

დ) მეორე კატეგორია, ex-post, განხორციელებული ანუ ფაქტიური ნაკადი

21. ჰიქსის აზრით:

ა) უპირატესობა უნდა მიენიჭოს შემოსავლების პირველ კატეგორიას

ბ) პირველი კატეგორიის მისაღებად მეორე კატეგორიიდან უნდა გამოვრიცხოთ შემთხვევითი, მოულოდნელი შემოსულობები

გ) პირველი კატეგორიის მისაღებად მეორე კატეგორიიდან უნდა გამოვრიცხოთ აქტივების ღირებულების ზრდა ინფლაციის შედეგად

დ) უპირატესობა უნდა მიენიჭოს შემოსავლების მეორე კატეგორიას

22. ჰიქსის ზოგადი კონცეფციიდან გამომდინარე:

ა) ყველა შემოსული თანხა შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლად

ბ) წმინდა შემოსავლის გაანგარიშება უნდა მოხდეს ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამორიცხვით აღდგენითი და არა თავდაპირველი ღირებულებიდან

გ) დანაზოგი არ შეიძლება გავაიგივოთ ფულადი სახსრების, დეპოზიტებისა და სხვა ფინანსური აქტივების (აქციები, ობლიგაციები და ა.შ.) ღირებულების ზრდასთან

დ) კაპიტალის მატება, რომელიც გამოწვეულია ინფლაციით, შემოსავლად განიხილება

ე) კაპიტალის მატება, რომელიც გამოწვეულია მიწის ფასის ზრდით (მის მახლობლად სარკინიგზო ხაზის გაყვანასთან დაკავშირებით), არ განიხილება როგორც შემოსავალი

23. ეას-2008:

ა) ეყრდნობა წარმოების ფაქტორების თეორიას

ბ) მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებას ახდენს არა ფაქტორული, არამედ საბაზრო ფასებით

გ) ფაქტორული შემოსავლების ნაცვლად იყენებს ,,პირველადი შემოსავლების" კატეგორიას

დ) პირველადი შემოსავლის მიმღებთა შორის განიხილავს სახელმწიფო მართვის ორგანოებს

24. მონიშნეთ სწორი ვარიანტი:

ა) ნაკადი ახასიათებს ამა თუ იმ პროცესის სიდიდეს დროის პერიოდში

ბ) ნაკადი ახასიათებს რესურსების არსებობას რაიმე თარიღისათვის

გ) მარაგი ახასიათებს ამა თუ იმ პროცესის სიდიდეს დროის პერიოდში

დ) მარაგი ახასიათებს რესურსების არსებობას ამა თუ იმ თარიღისათვის

25. მონიშნეთ სწორი ვარიანტი:

ა) ხელფასის გაცემა ეკონომიკური ოპერაციაა

ბ) საქონლის ყიდვა ეკონომიკური ოპერაციაა

გ) ხანძრის შედეგად ტყის განადგურება სხვა ეკონომიკური ნაკადია

დ) ინფლაციის შედეგად მარაგების ღირებულების მატება ეკონომიკური ოპერაციაა

26. მონიშნეთ სწორი ვარიანტი:

ა) შუალედური პროდუქცია საბოლოო მოხმარებისთვის გამოიყენება

ბ) საბოლოო მოხმარების პროდუქტის შეძენა ხდება საბოლოო მოხმარებისათვის, და არა ინვესტირების (დაგროვების) ან ექსპორტირების მიზნით

გ) პროდუქტის ფიზიკური მახასიათებლები ყოველთვის არ არის საკმარისი შუალედური ან საბოლოო პროდუქციის განსაზღვრისათვის

დ) ეას არ ასხვავებს საქონლისა და მომსახურების მოძრაობას შემოსავლების მოძრაობისგან

27. შიდა ეკონომიკაში შედის:

ა) ეკონომიკა ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში

ბ) ეკონომიკა, რომელიც მოიცავს რეზიდენტების საქმიანობას ქვეყნის ოფიციალურად აღიარებულ ფარგლებში

გ) ეკონომიკა, რომელიც მოიცავს არარეზიდენტების საქმიანობას ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე

დ) რეზიდენტებისა და არარეზიდენტების ეკონომიკური საქმიანობა ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე

ე) რეზიდენტების მიერ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული საქონელი და მომსახურება

28. მონიშნეთ ქვეყნის „რეზიდენტის" ცნებისათვის დამახასიათებელი კატეგორიები:

ა) საქართველოს მოქალაქე

ბ) ქართველი

გ) ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პირები

დ) ქვეყნის საზღვრებს გარეთ მომუშავე ხომალდების, თვითმფრინავების ეკიპაჟები, რომლებიც რეზიდენტი-შინამეურნეობის წევრები არიან

ე) საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლები, როლებიც მუშაობენ ქვეყანაში ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში

ვ) მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე საწარმოო საქმიანობით დაკავებული ინსტიტუციური ერთეულები

29. მონიშნეთ ქვეყნის „არარეზიდენტის" ცნების დამახასიათებელი კატეგორიები:

ა) უცხოელები

ბ) საზღვარგარეთ მუდმივი საცხოვრებლის მქონე საქართველოსა და სხვა ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც არ არიან საქართველოს მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები

გ) საქართველოში მყოფი სხვა ქვეყნის დიპლომატიური და სავაჭრო წარმომადგენლობა

დ) უცხოელი სტუდენტები

30. ეროვნული ეკონომიკა მოიცავს:

ა) ინსტიტუციური ერთეულების საქმიანობას, რომელთა ეკონომიკური ინტერესის ცენტრი მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე მდებარეობს

ბ) მოცემულ ქვეყანაში ერთი წლის მანძილზე და უფრო ხანგრძლივად მცხოვრებ პირებს

გ) საზღვრის მუშებს

დ) სეზონურ მუშებს

ე) უცხოელ სტუდენტებს

ვ) საზღვარგარეთ მომუშავე თვითმფრინავებისა და საზღვაო ხომალდების ადგილობრივ ეკიპაჟებს

ზ) უცხოელი დიპლომატების საქმიანობას

31. მოცემული ქვეყნის არარეზიდენტები:

ა) ერთი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში საქმიანობენ სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ტერიტორიაზე

ბ) მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე ეწევიან წარმოებას და ახორციელებენ ფინანსურ, სადაზღვევო და განაწილებით ოპერაციებს

გ) სეზონურად სამუშაოდ მიემგზავრებიან სხვა ქვეყანაში

დ) ფლობენ მიწასა და მასზე არსებულ ნაგებობებს მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე

32. შინამეურნეობების რეზიდენტობის ძირითადი პირობაა ის, თუ სად ხარჯავენ ისინი შემოსავალს, შესაბამისად საქართველოს რეზიდენტი იქნება:

ა) ბრიტანელი მომუშავეები, რომლებიც ცხოვრობენ და მოიხმარენ საქართველოში, ხოლო აზერბაიჯანში მუშაობენ

ბ) ქართველი მომუშავეები, რომლებიც ცხოვრობენ, მუშაობენ და მოიხმარენ საქართველოში

გ) ბრიტანელი მომუშავეები, რომლებიც ცხოვრობენ და მოიხმარენ აზერბაიჯანში, ხოლო საქართველოში მუშაობენ

დ) ქართველი მომუშავეები, რომლებიც ცხოვრობენ, მუშაობენ და მოიხმარენ საბერძნეთში

33. მონიშნეთ სწორი ვარიანტი:

ა) ეას-ის შემუშავების ისტორიას სათავე დაუდო დიდმა დეპრესიამ

ბ) ეროვნული ანგარიშიანობის მთავარ თეორეტიკოსად კეინზს მიიჩნევენ

გ) თეორიულ კვლევებში XX საუკუნის პირველ ნახევარში დიდი წვლილი შეიტანეს ალფრედ მარშალმა, ირვინგ ფრიშმა, იან ტინბერგენმა, ვასილი ლეონტიევმა, პაულ სტუდენსკიმ

დ) მეთოდოლოგიური საკითხების კვლევებში მონაწილეობდნენ: რიჩარდ სთოუნი, ენტონი გილბერტი, ედვარდ დენისონი, დევიდ კენდრიკი, ჯონ რიჩარდ ჰიქსი

34. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები: „სახელმწიფოს შეუძლია ცალკეულ მაჩვენებლებზე ზემოქმედებით შეცვალოს დანარჩენი მაჩვენებლები“.

ა) კოლინ კლარკს

ბ) ჯონ მეინარდ კეინზს

გ) საიმონ კუზნეცს

დ) ვასილი ლეონტიევს

35. მონიშნეთ სწორი ვარიანტი:

ა) საქართველოში ეას-ის კრებსითი ანგარიშების შედგენის პირველი ექსპერიმენ-ტული სამუშაოები 1992 წლის იანვარში დაიწყო

ბ) ამჟამად მოქმედებს ეას-ის 1993 წლის ვერსია

გ) 1968 წლიდან ამოქმედდა ეას-ის მეორე ვერსია

დ) ეას-ის ახალი ვერსიების კვალდაკვალ ხდება მშპ-ის გაზომვის მოდიფიცირება წარმოების საზღვრების რეგულარული გაფართოების ხარჯზე, რაც მშპ-ის ზრდას იწვევს

თემა 3

ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი დაჯგუფებები და კლასიფიკაციები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში

ამ თემაში განხილულია ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაცია, ეკონომიკის სექტორების მიხედვით, ეკონომიკური ოპერაციების კლასიფიკაცია, ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ეკონომიკის დარგების მიხედვით, ძირითადი პროდუქტების კლასიფიკაცია, ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით, სახელმწიფო მართვის ორგანოების ფუნქციების კლასიფიკაცია და გადასახადებისა და სუბსიდიების კლასიფიკაცია.

1. ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაცია ეკონომიკის სექტორების მიხედვით

ეას-ში ქვეყნის ეკონომიკის სექტორებად დაყოფა განპირობებულია კორპორაციების, მთავრობისა და შინამეურნეობების განსხვავებული ქცევით. ცნობილია, რომ გადასახადებს იხდიან როგორც კორპორაციები, ისე შინამეურნეობები; მთავრობა ამ გადასახადებს იმისთვის იყენებს, რომ მომსახურება გაუწიოს როგორც მთლიანად საზოგადოებას, ისე მის ცალკეულ შინამეურნეობას. შინამეურნეობები და მთავრობა საბოლოო მომხმარებლები არიან და მათი დანახარჯები მიმართულია ადამიანური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც კორპორაციებისთვის არ არის დამახასიათებელი. ყველა დასაქმებული შინამეურნეობას მიეკუთვნება და მათი შრომის ანაზღაურება შინამეურნეობების შემოსავლის მთავარი წყაროა. ბაზარზე საქონელსა და მომსახურებას მხოლოდ კორპორაციების სექტორი ყიდის ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასებში და ეს მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა. ზემოაღნიშნულის საფუძველზე ისმის კითხვა: რა არის ეას-ში ეკონომიკის სექტორებად დაყოფის მთავარი მიზანი? ამ განსხვავებული ინტერაქციების მექანიზმის დანახვა და ანალიზი იმ მიზნით, რომ მთავრობამ მართებული პოლიტიკა შეიმუშაოს კორპორაციებისა და შინამეურნეობების განსავითარებლად.

ქვეყნის მთლიანი ეკონომიკა რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობას წარმოადგენს. **ეას-ში ეკონომიკა 5 სექტორად იყოფა: არაფინანსური კორპორაციები, ფინანსური კორპორაციები, მთავრობა (სახელმწიფო მართვის ორგანოები), შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ინსტიტუციები და შინამეურნეობები.** ამასთან, „დანარჩენი მსოფლიო“ ფაქტობრივად ეას-ის მეექვსე სექტორად განხილება. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში შიდა ეკონომიკის ურთიერთქმედება დანარჩენ მსოფლიოსთან რეალურად ძალიან მნიშვნელოვანია. ამის გარდა, განვითარებადი ქვეყნებისთვის საერთაშორისო დახმარება სასიცოცხლოდ აუცილებელია, რაც არსებით გავლენას ახდენს ქვეყნის შიდა ეკონომიკაზე, ამიტომ ეას-ში **დანარჩენი მსოფლიოს** სექტორი სრულიად მართებულად განიხილება მეექვსე სექტორად.

ნახაზი 1. **ეკონომიკის სექტორული კლასიფიკაცია ეას-ში**

სექტორი იქმნება ინსტიტუციური ერთეულების დაჯგუფებით. ინსტიტუციური ერთეული (იე) არის ეკონომიკური ერთეული, რომელიც ფლობს ეკონომიკურ აქტივებს, შეუძლია საკუთარი სახელით ვალდებულებების აღება, მონაწილეობს ეკონომიკურ საქმიანობაში და ახორციელებს ტრანსაქციებს სხვა ერთეულებთან. **იე-ს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:**

- **უფლება აქვს ფლობდეს საქონელს ან აქტივებს** და შეუძლია გაცვალოს ისინი სხვა ერთეულებთან ტრანსაქციის შემთხვევაში;
- **შეუძლია ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება** და მონაწილეობა ეკონომიკურ საქმიანობაში, რაზეც პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია კანონის წინაშე;
- **შეუძლია თავისი სახელით ვალდებულებების აღება**, სხვა სახის ვალდებულებების აღება ან პასუხისმგებლობების აღება სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებით და ხელშეკრულებების გაფორმება;
- უნდა **გააჩნდეს ანგარიშების სრული ნაკრები** აქტივებისა და პასივების ბალანსის ჩათვლით ან თუ ასეთი არ გააჩნია, მოთხოვნის შემთხვევაში უნდა შეეძლოს მათი შედგენა.



გამოყოფენ იე-ს ორ მთავარ სახეობას: **ფიზიკური პირები** (ინდივიდები ან ინდივიდთა ჯგუფები შინამეურნეობებში) და **იურიდიული ან საზოგადოებრივი (სოციალური) პირები.**



ერთგვაროვანი ინსტიტუციური ერთეულები სექტორებში ერთიანდება. ყველა სექტორი რეალურად ერთმანეთისგან განსხვავებულია ეკონომიკური მიზნებით, ფუნქციებით და ქცევით. სექტორში ერთეულების გაერთიანება ეკონომიკური საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე ხდება. **ეას-ში გამოიყოფა სამი ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა:** საქონლისა და მომსახურების **წარმოება**, **მოხმარება** ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით და სხვადასხვა სახის **კაპიტალის დაგროვება**. აქედან,

- **კორპორაციები** აწარმოებენ ან აგროვებენ (ან ორივე ერთად), მაგრამ არ არიან საბოლოო მომხმარებლები;

- **მთავრობა** აწარმოებს (თუმცა ეს წარმოება კორპორაციებისგან განხვავებული ტიპისაა), აგროვებს და საბოლოო მომხმარებელია მოსახლეობის სასარგებლოდ;

- ყველა **შინამეურნეობა** საბოლოო მომხმარებელია, ის ასევე შეიძლება ჩართული იყოს წარმოებისა და დაგროვების პროცესებში;

- **არაკომერციული ორგანიზაციები** ბუნებით განსხვავებული ინსტიტუციებია. ზოგიერთი თავისი ქცევით კორპორაციას გავს, ზოგი - მთავრობის ეფექტური ნაწილია, ხოლო დანარჩენი მთავრობის ტიპის საქმიანობას ეწევა, მაგრამ მთავრობისგან დამოუკიდებლად მოქმედებს.

მნიშვნელოვანი განსხვავება კორპორაციებსა და სახელმწიფო მართვის ორგანოებს შორის *წარმოების საფუძველზე* ყალიბდება. სახელდობრ, **კორპორაციები** აწარმოებენ ბაზრისთვის და მათი მიზანია პროდუქციის გაყიდვა ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასებში. ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასები ნიშნავს, რომ ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ როგორ მწარმოებლების მიწოდების, ისე მყიდველების შესყიდვების რაოდენობებზე. ასეთი ფასები გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს მოგების მიღებას და მომხმარებელთა არჩევანის თავისუფლებას ფასების გათვალისწინებით. კორპორაციები მოქმედებენ მათ მიმართ შეზღუდული პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების მქონე მფლობელებისგან განცალკავებულად. მათ მიეკუთვნებიან სააქციო საზოგადოებები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და სხვა.

საწარმოებს, რომლებიც არ საქმიანობენ მათი მფლობელი სამეურნეო ერთულისგან განცალკევებით **არაკორპორირებული საწარმოები** ეწოდება. თუ არაკორპორირებული საწარმოები მოქმედებენ როგორც კორპორაციები, ე.ი. აწარმოებენ დამოუკიდებელ აღრიცხვას, ახდენენ ბაზარზე თავიანთი პროდუქციის რეალიზაციას ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასებში, გააჩნიათ წარმოების პროცესისა და საშუალებების მართვის განსაზღვრული დამოუკიდებლობა, მაშინ მათ უწოდებენ **კვაზიკორპორაციებს** (მაგალითად, სახელმწიფო დაწესებულებები, უცხოური ფირმების ფილიალები).

სახელმწიფო მართვის ორგანოების მიზნები, ფუნქციები და ქცევა სრულიად განსხვავებულია. ისინი აფინანსებენ და ორგანიზებას უწევენ საქონლისა და მომსახურების მიწოდებას შინამეურნეობებისა და მთლიანად მოსახლეობისთვის, ამიტომ ეწევიან ხარჯებს საბოლოო მოხმარებაზე. მათ თვითონ შეუძლიათ ამ საქონლისა და მომსახურების უმეტესობის წარმოება, თუმცა მათი **მიწოდება უფასოდ, ან არასაბაზრო ფასებში ხდება. სამთავრობო ერთეულები ასევე ახდენენ შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილება-გადანაწილებას** გადასახადებისა და სხვა

ტრანსფერების გზით. სამთავრობო ერთეულები მოიცავს ასევე სოცდაზღვევის ფონდებს.

შინამეურნეობების მიზნები, ფუნქციები და ქცევა ასევე განსხვავებულია. ისინი უპირველესად მომხმარებლები არიან, თუმცა წარმოებაც შეუძლიათ. ხშირად ამ წარმოების მასშტაბი მცირეა და მოიცავს არაფორმალურ და არსებობისთვის აუცილებელ აქტივობებს.

როგორ უნდა მოხდეს ინსტიტუციური ერთეულების გაერთიანება სექტორებში? ეს საკმაოდ რთული პროცესია.

უპირველესად უნდა გავარკვიოთ, არის თუ არა იე მოცემული ქვეყნის **რეზიდენტი ან არარეზიდენტი** (დანარჩენი მსოფლიოს სექტორი), შემდეგ არის თუ არა ის **შინამეურნეობა**, ხოლო ამის შემდეგ **დანარჩენ სექტორებში** (სახელმწიფო მართვის ორგანოები, არაფინანსური კორპორაციები, ფინანსური კორპორაციები და შმაკო) მისი გაერთიანებისთვის **სამი ძირითადი კითხვა** უნდა დავსვათ:

1. რა ტიპის მწარმოებელია ანუ **საბაზრო თუ არასაბაზრო მწარმოებელია ერთეული?**

2. მეორე კითხვა უნდა დავუსვათ **არასაბაზრო მწარმოებელ ერთეულებს** (არასაბაზრო არაკომერციული ერთეულების ჩათვლით), რათა გავარკვიოთ, რომელ სექტორში უნდა გავაერთიანოთ ისინი, **სამთავრობო** თუ **შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციულ სექტორში (შმაკო)**.

3. მესამე კითხვა ეკუთვნის საბაზრო მწარმოებლებს რათა გავარკვიოთ, რომელ სექტორში უნდა გავაერთიანოთ ისინი: **არაფინანსური თუ ფინანსური კორპორაციების.**

ნახაზი 2. **სექტორების იდენტიფიკაციის ეტაპები**



თუ კითხვაზე: *ფინანსურ მომსახურებას ეწევა?* პასუხი დადებითია, მაშინ იე ხვდება ფინანსურ სექტორში, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში - არაფინანსურში. იმის მიხედვით, თუ ვინ აკონტროლებს კორპორაციას, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური კორპორაციები შეიძლება იყოს: **სახელმწიფო, კერძო და უცხოური.**

არაფინანსური სექტორის ძირითად ნაწილს შეადგენს ყველა რეზიდენტი არაფინანსური კორპორაცია (კოოპერატივი, შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კვაზიკორპორაცია და ა.შ.), თუმცა აქ შედის აგრეთვე ის **არაკომერციული ერთეულები**, რომლებიც საქონლისა და საბაზრო მომსახურების წარმოებაში არიან ჩართული. *მაგალითად: საავადმყოფო, სკოლა ან კოლეჯი, რომელთა მომსახურება ფასიანია ან სავაჭრო პალატა (ასოციაცია), რომელიც არაფინანსური კორპორაციების მიერ ფინანსდება, ან არაკორპორირებული საწარმოები, რომლებიც ახდენენ ასეთი კორპორაციების რეკლამირებას ან მათი ინტერესების დაცვას.*

არაფინანსური კორპორაციების მთავარი საქმიანობაა საბაზრო საქონლისა და არაფინანსური მომსახურების წარმოება. არაფინანსური კორპორაციების სექტორში შედის:

- ყველა **რეზიდენტი არაფინანსური კორპორაცია** (ფართო გაგებით, ეას-ში კორპორაციის გაგება კანონით არ შემოისაზღვრება) მათი აქციონერების რეზიდენტობისგან დამოუკიდებლად;
- **არარეზიდენტი საწარმოების ფილიალები,** რომლებიც ხანგრძლივად საქმიანობენ მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე;
- ყველა **რეზიდენტი არაკომერციული ორგანიზაცია,** რომელიც აწარმოებს საბაზრო საქონელს და არაფინანსურ მომსახურებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაფინანსური სექტორის **ქვესექტორებია**:

- საჯარო არაფინანსური კორპორაციები;
- ეროვნული კერძო არაფინანსური კორპორაციები, და
- საზღვარგარეთის მიერ კონტროლირებადი არაფინანსური კორპორაციები

ფინანსური კორპორაციების სექტორი მოიცავს ყველა რეზიდენტ კორპორაციას, რომელთა ძირითადი საქმიანობაა ფინანსური მომსახურება ფინანსური შუამავლობის, დაზღვევის, საპენსიო ფონდებისა და ფინანსური შუამავლობისთვის ხელის შეწყობის ჩათვლით. ამ სექტორში შედის აგრეთვე ის არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსდება ფინანსური ბუნების მქონე კორპორაციების მიერ და რომელთა ფუნქციაა ასეთი საწარმოების ხელშეწყობა და მათი ინტერესების დაცვა. ფინანსური კორპორაციების სექტორში შედის:

- ყველა **რეზიდენტი ფინანსური კორპორაცია** (ეას-ის კონცეფციით, არ არის შეზღუდული კანონმდებლობით) მათი აქციონერების რეზიდენტობისგან დამოუკიდებლად;
- **არარეზიდენტი საწარმოების ფილიალები,** რომლებიც ხანგრძლივად საქმიანობენ ფინანსურ სფეროში მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე;
- **ყველა რეზიდენტი არაკომერციული ორგანიზაცია,** რომელიც აწარმოებს საბაზრო ფინანსურ მომსახურებას.

ფინანსური მომსახურების წარმოება მოიცავს ფინანსურ შუამავლობას, ფინანსური რისკის მენეჯმენტს, ლიკვიდურობის ტრანსფორმაციას ან დამხმარე ფინანსურ საქმიანობას. როგორც წესი, ფინანსური საქმიანობა მკაცრად რეგულირებადია, ამიტომ ერთეულები, რომლებიც ფინანსური მომსახურებით არიან დაკავებული, არ აწარმოებენ სხვა საქონელსა და მომსახურებას. უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ საქონლის მწარმოებლები ან საცალო მოვაჭრეები თვითონ გასცემენ სამომხმარებლო კრედიტებს, ასევე თვითონ ყიდიან ობლიგაციებს ფულისა და კაპიტალის ბაზრებზე, თუმცა ეას-ში ისინი მაინც არაფინანსურ სექტორში კლასიფიცირდებიან. ეს იმით აიხსნება, რომ არაფინანსური საწარმო ფინანსური საქმიანობის გასაწევად არ ქმნის ახალ ინსტიტუციურ ერთეულს, ანუ დამხმარე კორპორაციას და ასეთი საწარმოსთვის ფინანსური საქმიანობა მეორადი საქმიანობაა.

ასეთივე მიდგომა გამოიყენება ფინანსური კორპორაციების ქვესექტორების გამოყოფის დროს. მაგალითად, ბევრი ცენტრალური ბანკი ითავსებს კომერციულ საქმიანობასაც, თუმცა ის მაინც კლასიფიცირდება ქვესექტორში „ცენტრალური ბანკები“. ამასთან, ცენტრალური ბანკი ან მონეტარული ფუნქციების მატარებელი სააგენტოები, რომლებიც არ ფუნქციონირებენ ცენტრალური მთავრობისგან დამოუკიდებლად, არ განიხილება ფინანსური სექტორის ქვესექტორში „ცენტრალური ბანკები“.

სამთავრობო ან სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორი ძირითადად მოიცავს ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ მთავრობებს სოცდაზღვევის ფონდებთან ერთად. ამასთან, ამ სექტორში შედის აგრეთვე არაკომერციული ერთეულები, რომლებიც მთავრობის ან სოცდაზღვევის ფონდების მიერ კონტროლირებადი არასაბაზრო მწარმოებლები არიან.

სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორში ინსტიტუციები ახორციელებენ საკანონმდებლო, იურიდიულ და აღმასრულებელ საქმიანობას. ასეთი ტიპის ინსტიტუციები აწვდიან საქონელს ან მომსახურებას მთელ საზოგადოებას ან ინდივიდუალურ შენამეურნეობებს, ახდენენ შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილებას ტრანსფერების საშუალებით.

თუ არაკომერციული ინსტიტუციები საბაზრო წარმოებაში არიან ჩართული, მაშინ ისინი გვევლინებიან კორპორაციების სექტორის შემადგენელ ნაწილად, ხოლო თუ ისეთ არასაბაზრო საქმიანობას ეწევიან, რაც მთავრობის მიერ კონტროლდება, მაშინ სამთავრობო სექტორში ერთიანდებიან. ყველა დანარჩენი რეზიდენტი არაკომერციული არასაბაზრო ორგანიზაცია, რომელიც უსასყიდლოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებში აწვდის საქონელსა და მომსახურებას

საზოგადოებას, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ინსტიტუციების სექტორში (შმაკო) შედის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაკომერციული ერთეულები ეას-ში განსხვავებულ სექტორებშია განთავსებული იმის მიხედვით, საბაზრო მწარმოებლები არიან, თუ არასაბაზრო, რა სტატუსი აქვთ აქ მომუშავეებს ან რა საქმიანობას ეწევიან ისინი. მიუხედავად ამისა, თანდათან იზრდება ინტერესი ყველა არაკომერციული ინსტიტუციის, როგორც „სამოქალაქო საზოგადოების" მიმართ. ამიტომ, ეას-ის სახელმძღვანელოში რეკომენდაციის სახით გაკეთებულია ჩანაწერი იმის შესახებ, რომ როგორც კორპორაციების, ისე სამთავრობო სექტორში მკაფიოდ მოხდეს მათი გამოყოფა ქვესექტორების სახით, რათა საჭიროების შემთხვევაში დამხმარე ცხრილებში შესაძლებელი გახდეს ყველა არაკომერციული ერთეულის საქმიანობის შეჯამება.

შმაკო-ების ერთი ნაწილი ასოციაციების მიერ არის შექმნილი იმ მიზნით, რომ მის წევრებს მოუტანოს სარგებელი. ეს მომსახურებები ძირითადად საწევრო გადასახადის ან შენატანების საფუძველზე გაიწევა. მათ მიეკუთვნება პროფესიული, სამეცნიერო საზოგადოებები, პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, მომხმარებელთა ასოციაციები, ეკლესიები, რელიგიური საზოგადოებები და ასევე სოციალური, კულტურული, რეკრეაციული და სპორტული კლუბები. შმაკო-ებს მიეკუთვნება აგრეთვე შინამეურნეობების ჯგუფები, რომლებიც თანამშრომლობენ საზოგადოებრივი პროექტების (შენობების, გზების, ხიდების, წყალსადენების და ა.შ.) მშენებლობისთვის. შეიძლება მათ არ გააჩნდეთ ლეგალური სტატუსი, მაგრამ იმავე ფუნქციებს ასრულებენ, რასაც ზემოთ განხილული ერთეულები.

მეორე ტიპის შმაკო-ები საქველმოქმედო ან დახმარების მიზნით შექმნილი ერთეულებია. ამ შემთხვევაში ისინი საქველმოქმედო ორგანიზაციის წევრების ინტერესებს კი არ ემსახურებიან, არამედ შინამეურნეობებისას, რომლებიც გაჭირვებას განიცდიან, დაზარალდნენ სტიქიური უბედურების ან ომის შედეგად. ისინი ფუნქციონირებენ შემოწირულობების საფუძველზე.

მესამე ტიპის შმაკო-ები კოლექტიურ მომსახურებას ახორციელებენ საზოგადოებისთვის კვლევების შედეგების მიწოდებით, გარემოსდაცვითი საქმიანობით და სხვ.

შინამეურნეობების სექტორი მოიცავს ყველა რეზიდენტ შინამეურნეობას. ეას-ის კონცეფციით, ფიზიკურ პირად განიხილება შინამეურნეობა ან შინამეურნეობის მიერ განხორციელებული საქმიანობა. **შინამეურნეობა** არის ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ იზიარებს შემოსავლებსა და სიმდიდრეს და კოლექტიურად მოიხმარს გარკვეულ საქონელსა და მომსახურებას,

ძირითადად ბინას და საკვებს. ინდივიდუალური შინამეურნეობების გარდა ინსტიტუციური შინამეურნეობები აერთიანებს მოხუცებულთა სახლებს, საავადმყოფოებს (მაგ. ფსიქიატრიულს), საპატიმროებს, მონასტრებს და ა.შ., სადაც დიდი ხნის განმავლობაში უხდებათ ადამიანებს ცხოვრება.

მრავალი ადამიანისგან შემდგარი შინამეურნეობის ცალკეული წევრი დამოუკიდებელ შინამეურნეობად არ განიხილება. ბევრი აქტივი ან ვალდებულება შინამეურნეობაში შეიძლება ერთობლივად ეკუთვნოდეს ორ ან მეტ წევრს, თუმცა თითოეული მათგანის მიერ მიღებული შემოსავალი ყველა წევრზე ნაწილდება. ამასთან, გადაწყვეტილებები ისეთ დანახარჯებთან დაკავშირებით, როგორიცაა საკვები და ბინა, კოლექტიურად მიიღება. ამიტომ, შეუძლებელია შინამეურნეობის თითოეული წევრისთვის ბალანსის ან სხვა რომელიმე ანგარიშის შედგენა ინდივიდუალურად. შესაბამისად, შინამეურნეობა მთლიანობაში (და არა მისი თითოეული წევრი) განიხილება როგორც ინსტიტუციური ერთეული.

შინამეურნეობების მფლობელობაში არსებული არაკორპორირებული საწარმოები ასევე განიხილება როგორც შინამეურნეობა. შინამეურნეობა ხშირად ემთხვევა ოჯახს, თუმცა შინამეურნეობის წევრები შეიძლება არ იყვნენ ერთი ოჯახის წევრები. შინამეურნეობა შეიძლება ნებისმიერი ზომის იყოს და დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც დამოკიდებულია საზოგადოებაზე, კულტურულ, რელიგიურ, კლიმატურ, გეოგრაფიულ, ისტორიულ თავისებურებებზე, განათლების დონეზე და სხვა სოციალ-ეკონომიკურ ფაქტორებზე. შინამეურნეობაში დასაქმებული პირები, რომლებიც დამსაქმებლის საცხოვრისში ცხოვრობენ, არ მიეკუთვნებიან დამსაქმებლის შინამეურნეობას, რადგან მათი საბინაო და საკვების ხარჯები არ შედის დამსაქმებლის მოხმარების ხარჯებში.

2. ეკონომიკური ოპერაციების კლასიფიკაცია

ოპერაცია არის ეკონომიკური საქმიანობისა და ეროვნული ანგარიშების სააღრიცხვო ერთეული. ეს არის ნებაყოფილობითი ურთიერთქმედება ორ სამეურნეო სუბიექტს შორის, რაც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასა და გამოყენებასთან, შემოსავლების განაწილებასა და გადანაწილებასთან, ფინანსური აქტივების შეძენასა და ფინანსური ვალდებულებების აღებასთან. ეკონომიკური ოპერაციების ტიპური მაგალითებია საქონლის ყიდვა და გაყიდვა, ხელფასის გაცემა, პენსიებისა და დახმარებების გაცემა და მიღება, კრედიტების გაცემა. ეკონომიკური ოპერაციების შედეგად ერთი ინსტიტუციური ერთეული მეორეს გაცვლის გზით ან უფასოდ გადასცემს საქონელსა და მომსახურებას, აქტივებს, საკუთრების უფლებებს.

ოპერაცია, როგორც წესი, რეგისტრირდება საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში, ამიტომ მათი უმეტესობა აღირიცხება არა **ფაქტობრივად გადახდილი, არამედ დარიცხული თანხის** მიხედვით. ოპერაცია შეიძლება განხორციელდეს ფულადი და ნატურალური ფორმით.
ეკონომიკური ოპერაციების სახეები და მათი დაჯგუფებები ასახულია ნახაზზე 3.

ნახაზი 3. **ეკონომიკური ოპერაციების სახეები და მათი დაჯგუფებები**



განხორციელების ხერხის მიხედვით ეკონომიკური ოპერაცია შეიძლება იყოს ორმხრივი (მონაწილეობს ორი აგენტი) და ცალმხრივი (ხორციელდება ერთი ეკონომიკური აგენტის ფარგლებში). ცალმხრივი ოპერაციების მაგალითი შეიძლება იყოს მწარმოებლების მიერ საკუთარი პროდუქციის მოხმარება ან საცხოვრებლის მომსახურება, რომლებიც გამოიყენება თვით მლობელების მიერ.
განხორციელების ხასიათის მიხედვით ეკონომიკური ოპერაციები იყოფა ორ ჯგუფად:

- საკომპენსაციო საფუძველზე განხორციელებული ოპერაციები, როდესაც დოვლათის, მომსახურებისა და ფულის ნაკადები იწვევს დოვლათის, მომსახურებისა და ფულის საპასუხო ნაკადებს, რასაც ტრანსაქცია ეწოდება. მათ მიეკუთვნება ეკონომიკური ოპერაციების უმეტესი ნაწილი და
- ტრანსფერტი (*ინგ.* transfer; *ფრანგ.* Transfert; *ლათ.* transferre) - ოპერაცია, როდესაც დოვლათის, მომსახურებისა და ფულის ნაკადებს არ

უპირისპირდება დოვლათის, მომსახურებისა და ფულის შემხვედრი ნაკადები.

თავის მხრივ, **ტრანსფერტები იყოფა მიმდინარე** (მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისათვის) და **კაპიტალურ** ტრანსფერტებად (ძირითადი კაპიტალის დაგროვებისათვის).

- **მიმდინარე ტრანსფერტების** მაგალითია პირდაპირი გადასახადები ქონებასა და შემოსავლებზე და ა.შ., ჯარიმები, სხვადასხვა მოსაკრებელი და ნებაყოფილობითი შენატანი, საჩუქრები, სოციალური დაზღვევის შენატანები და სხვ.
- **კაპიტალურ ტრანსფერტებს** მიეკუთვნება სახელმწიფოს მიერ სტიქიური უბედურების ან საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება, სხვა ქვეყნებში კაპიტალურ მშენებლობაზე გაღებული უსასყიდლო ასიგნებები ეკონომიკური დახმარების სახით, აქტივებზე საკუთრების უფლების უსასყიდლო გადაცემა (ფულისა და მატერიალური საბრუნავი საშუალებების ან მათი შესაძენი სახსრების გარდა).

ტრანსფერტები იყოფა აგრეთვე **სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ტრანსფერტებად**. სახელშეკრულებო ტრანსფერტების მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ საკუთრებიდან მიღებული ზოგიერთი შემოსავალი (პროცენტები, დივიდენდები და ა.შ.).

ობიექტის ხასიათის მიხედვით ეკონომიკური ოპერაციები იყოფა **მიმდინარე და კაპიტალურად.** ოპერაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული სიმდიდრის მატებას - კაპიტალურია. ოპერაციებს, რომლებიც დაკავშირებულია მიმდინარე მოხმარებასთან, მიმდინარე ოპერაციები ეწოდება.

ეას-ში ოპერაციების კლასიფიკაცია ხორციელდება ერთდროულად სექტორებისა და დარგების მიხედვით. **ეკონომიკური ოპერაციები ეას-ში იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:**

1. საქონლისა და მომსახურების ოპერაციები
2. განკარგვითი (ანუ შემოსავლების) ოპერაციები
3. ფინანსური ოპერაციები

პროდუქტებისა და მომსახურების ოპერაციებს მიეკუთვნება: ეკონომიკის სექტორებსა და დარგებში პროდუქტებისა და მომსახურების წარმოება, გაცვლა და გამოყენება. ისინი მოიცავენ არა მხოლოდ მოცემულ პერიოდში წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურების ოპერაციებს, არამედ ოპერაციებს უკვე არსებული პროდუქტებით, ე.ი. წინა პერიოდებში წარმოებული და იმპორტირებული პროდუქტებით.

განკარგვითი ოპერაციები – ოპერაციები, რომელთა მიზანია შემოსავლების, აქტივების განაწილება, გადანაწილება და აგრეთვე დანაზოგების გადანაწილება. **ფინანსური ოპერაციები** დაკავშირებულია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ფინანსური აქტივებისა და პასივების ცვლილებებთან (ოპერაციები ფინანსური ინსტრუმენტებით - ფინანსური აქტივების შეძენა, ვალდებულებების აღება; მაგალითად, სესხის აღება, დეპოზიტის მატება და ა.შ.).

ოპერაციები აგრეთვე შეიძლება იყოს ფაქტობრივი (საბაზრო ღირებულების მქონე) და გაანგარიშებითი (შეფასებების, პირობითი გაანგარიშებების საფუძველზე).

- **ფაქტობრივ ოპერაციებს მიეკუთვნება** საქონლისა და მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებული ოპერაციები, ფინანსური ოპერაციები და განკარგვითი ოპერაციები.
- **გაანგარიშებით ოპერაციებს მიეკუთვნება** ნატურალური გადახდები მომუშავეებისათვის, საკუთარი წარმოების პროდუქციის მოხმარება, წამგებიანი ფინანსური ორგანოების მომსახურება, პირობითი საცხოვრებელი რენტა.

გარდა ოპერაციებისა, ეას-ში გათვალისწინებულია **„სხვა ნაკადების“ კატეგორია,** რომელიც ახასიათებს აქტივების ცვლილებას არაორდინალური მოვლენების შედეგად (ხანძარი, წყალდიდობა, კატასტროფები და სხვა). ამ კატეგორიას არა აქვს შეხება ოპერაციებთან, რომლებიც გულისხმობენ ნებაყოფილობით ურთიერქმედებას ორ და მეტ პარტნიორს შორის. ამის გამო „სხვა ნაკადებთან“ მიმართებით ჩანაწერები კეთდება **აქტივების სხვა ცვლილებების ანგარიშებში,** სადაც გათვალისწინებულია ამგვარი ცვლილებები.

3. ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია

სტატისტიკაში კლასიფიკაციები გამოიყენება ინდივიდების, საწარმოების, საქმიანობების და ა.შ. ჯგუფებში თავმოყრის მიზნით განსაზღვრული პრინციპებისა და კრიტერიუმების მიხედვით. სტანდარტული სტატისტიკური კლასიფიკაცია წარმოადგენს დისკრეტული კატეგრიების ნაკრებს, რომლიც შეიძლება გამოვიყენოთ სტატისტიკურ კვლევაში ან ადმინისტრაციულ წყაროებში რეგისტრირებული კონკრეტული ცვლადისთვის სტატისტიკური სამუშაოების წარმოებისა და პრეზენტაციის მიზნით. ეროვნული სტატისტიკური სამსახურები პასუხისმგებელნი არიან ეროვნული სტანდარტული სტატისტიკური კლასიფიკაციების დანერგვაზე, განვითარებაზე, გამოყენებასა და განახლებაზე.

საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციები შემუშავებული და მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ეროვნული და საერთაშორისო კომუნიკაციისა და შესადარისობის სტანდარტიზაციის მიზნით.
ეას-ში ფართოდ გამოიყენება ზოგორც ზოგადი, ისე უშუალოდ ეას-ისთვის შექმნილი კლასიფიკაციები.
ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ეას-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კლასიფიკაციაა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მშპ-ის დარგობრივი სტრუქტურის წარდგენა სწორედ ამ კლასიფიკაციის ბაზაზე ხდება (ნახაზი 4.) ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი სეკ 006-2016 წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების ეროვნული სისტემის შემადგენელ ნაწილს.

ნახაზი 4. **მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა საქმიანობის სახეების კალსიფიკატორის მიხედვით**



ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია შეესაბამება ევროპულ კლასიფიკატორს NACE Rev. 2.(აბრევიატურა წარმოდგება ფრანგული დასახელებისგან: Nomenclature générale des activités économiques dans les Communautés Européennes” (Statistical classification of economic activities in the European Community).

კლასიფიკაციის ობიექტებს (საკლასიფიკაციო სიმრავლის ელემენტს) წარმოადგენენ ეკონომიკური საქმიანობის სახეები. ეს კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა, რომ ეკონომიკური მონაცემები ანალიზის, გადაწყვეტილებების მიღებისა და პოლიტიკის შემუშავებისთვის შესაფერის ფორმატში შეგროვდეს. ეას-ში მისი გამოყენების ძირითადი მიმართულებებია წარმოების ანგარიშისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიშის შემუშავება საქმიანობის სახეების მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა საქმიანობის სახეების მიხედვით მივიღოთ შემდეგი აგრეგატები: გამოშვება, შუალედური მოხმარება, დამატებული ღირებულება, მომუშავეთა შრომის ანაზღაურება და მთლიანი საოპერაციო მოგება. ამ კლასიფიკაციას იყენებს ასევე რესურსებისა და გამოყენების ცხრილები, საიდანაც ვიგებთ, როგორ ხდება პროდუქტებს წარმოება და გამოყენება სხვადასხვა დარგში. NACE-ის ძირითადი კატეგორიებია:

ეკონომიკური საქმიანობა - პროცესი, რომლის საშუალებითაც მიიღება პროდუქცია (საქონელი ან მომსახურება). ეკონომიკურ საქმიანობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა გაერთიანებულია რესურსები (მოწყობილობები, სამუშაო ძალა, ტექნიკური საშუალებები, ნედლეული) კონკრეტული პროდუქციის შესაქმნელად.

ძირითადი საქმიანობის სახე - ეკონომიკური საქმიანობის სახე, რომელსაც შეაქვს უმეტესი წვლილი სტატისტიკური ერთეულების დამატებულ ღირებულებაში. საწარმოს ძირითადი საქმიანობა მოიცავს ძირითად პროდუქტს და ნებისმიერ თანამდე პროდუქციას (რომელიც აუცილებლად მოყვება ძირითად პროდუქციას, მაგალითად, კარაქის დღვების დროს მიიღება დო);

მეორეხარისხოვანი საქმიანობა - ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს პროდუქციის (საქონელი, მომსახურება) წარმოებას;

დამხმარე საქმიანობა - საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ძირითადი საქმიანობის სახის უზრუნველსაყოფად შუალედური საქონლის ან მომსახურების მიწოდებით, მხოლოდ აღნიშნული ერთეულის მიერ გამოსაყენებლად (გადატანა, შენახვა, შესყიდვა, დაცვა და ა.შ.). როგორ წესი დამხმარე საქმიანობის შედეგი არ არის საქონელი და მომსახურება, რომელიც გაიყიდება.

საკლასიფიკაციო ერთეულია **დაწესებულება**, ე,ი. ერთეული, რომლის მიერ წარმოებული პროდუქცია, გამოყენებული ტექნოლოგია, დანახარჯების სტრუქტურა და გამოშვების გამოყენების გზები შედარებით ერთგვაროვანია.

მაგალითად, ერთი და იგივე საქონლისა და მომსახურების წარმოებისას სხვადასხვა საწარმოო მეთოდი გამოიყენება. ცალკეული სახის საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში სრულიად განსხვავებული დანახარჯები გამოიყენება. მაგალითად, შაქრის მიღება შესაძლებელია როგორც შაქრის ლერწმის, ისე ჭარხლის

გადამუშავებით, ხოლო ელექტროენერგიის მიღება შესაძლებელია ქვანახშირის, ნავთობის გადამუშავებით ან ატომური და ჰიდროელექტროსადგურების მეშვეობით. ამასთან, წარმოების მრავალი სახე თანამდე (მომყოლი) პროდუქციის დამუშავებით არის დაკავებული, თუმცა მათი გამოყენება სრულიად განსხვავებულია.

ეროვნული ეკონომიკის დარგების გამოსაყოფად (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ტრანსპორტი, მშენებლობა და ა.შ.), რომლებსაც მიეკუთვნებიან საკლასიფიკაციო ობიექტები, კლასიფიკატორში შემოღებულია „სექცია" და "ქვესექცია", რომლებიც აღინიშნება ლათინური ალფაბეტის მთავრული ასოებით.

კლასიფიკატორის დაჯგუფებების უფრო ღრმა დეტალიზაცია (განყოფილება, ჯგუფი, კლასი, ქვეკლასი) აღინიშნება ციფრული კოდებით.

მაგალითი: კოდი B 05.10, სადაც

B – სექცია "სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება"

05 – განყოფილება "ნახშირის და ლიგნიტის მოპოვება"

05.1 – ჯგუფი "ქვანახშირის მოპოვება"

05.10 – კლასი "ქვანახშირის მოპოვება"

05.10.0 – ქვეკლასი "ქვანახშირის მოპოვება".

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაციაში ეკონომიკის დარგების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი სექციები:

სექციაA სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა

სექციაB სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება

სექციაC დამამუშავებელი მრეწველობა

სექციაD ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება

სექციაE წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები

სექციაF მშენებლობა

სექციაG საბითუმო და საცალო ვაჭრობა. ავტომობილების დამოტოციკლების რემონტი სასტუმროები და რესტორნები

სექციაH ტრანსპორტი და დასაწყობება

სექციაI განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები

სექციაJ ინფორმაცია და კომუნიკაცია

სექციაK საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები

სექციაL უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები

სექციაM პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები

სექციაN ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
სექციაO სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება
სექციაP განათლება
სექციაQ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები
სექციაR ხელოვნება, გართობა და დასვენება
სექციაS სხვა სახის მომსახურება
სექციაT შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის
სექციაU ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები *წყარო:* საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი.
წყარო: ეკონომიკური საქმიანობის სახეები. რედაქცია 2. საქსტატი, თბილისი, 2016

http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/klasifikacia/NACE%20Rev%202_Georgian_2016.pdf

4. პროდუქციის კლასიფიკაცია საქმიანობის სახეობათა მიხედვით

საქართველოში **პროდუქციის კლასიფიკაცია** შეესაბამება ევროპულ სტანდარტს - CPA (Classification of Products by Activity) .

ინსტიტუციურ ერთეულებს, როგორიცაა კორპორაციები, შეუძლიათ სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების წარმოება. საქონელი და მომსახურება სხვადასხვა წარმოების პროცესის შედეგია, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება გამოყენებული მასალებითა და ნედლეულით, მანქანა-მოწყობილობების სახეებით, გამოყენებული სამუშაო ძალითა და ტექნოლოგიით. სხვა სიტყვებით, წარმოების პროცესი განსხვავებულია საქმიანობის სახეების მიხედვით. ძირითადი პროდუქტების კლასიფიკაცია ემყარება საქონლისა და მომსახურების ფიზიკურ მახასიათებლებს, ხოლო საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ამასთან ერთად ითვალისწინებს დანახარჯებს და ტექნოლოგიას. ძირითადი პროდუქტების კლასიფიკაცია გულისხმობს, რომ საქონლისა და მომსახურების თითოეული სახე საქმიანობის ერთი რომელიმე სახის შედეგია, თუმცა განსხვავებული კრიტერიუმების გამოყენების გამო, ეს ყოველთვის არ ხერხდება. მაგალითად, თუ სოკო ადამიანის მიერ არის მოშენებული, მაშინ ის წარმოადგენს საქმიანობის სახის - „სოფლის

მეურნეობა“ შედეგს, ხოლო თუ ველურად იზრდება ტყეში, მაშინ „მეტყევეობის“ პროდუქციაა. ასევე ჰიდროელექტროსადგურები და ატომური ელექტროსადგურები საქმიანობის სხვადასხვა სახეებში გვხვდება, თუმცა მათი საქმიანობის შედეგი ერთია - ელექტროენერგია. ამიტომ ხშირად მიმართავენ ფორმულას „ბევრი ერთისკენ“ ან „ერთი ბევრისკენ“.

მაგალითად, ყველაზე აგრეგირებულ დონეზე საქმიანობის სახეების კლასიფიკაციის **სექციაC**-ს „დამამუშავებელი მრეწველობა“ პროდუქტების კლასიფიკაციაში შეესაბამება **კარი C** „დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია“. თითოეული კარი იყოფა მრავალ ქვეკარად, თავად, ჯგუფად, კლასად, სახეობად და ქვესახეობად.

ეას-ში ძირითადი პროდუქტების კლასიფიკაციის გამოყენების ერთ-ერთი მიმართულებაა შინამეურნეობების მიერ გამოყენებული საქონლისა და მომსახურების ფართო წრის ჩაშლა (დეზაგრეგაცია) კონკრეტულ მუხლებად, ასევე სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შმაკოების დანახარჯების კლასიფიცირებისთვის საქონლის ან მომსახურების ტიპის მიხედვით. ასევე, პროდუქტების კლასიფიკაცია გამოიყენება რესურსებისა და გამოყენების ცხრილების დასაბალანსებლად. ამ თვალსაზრისით, ყველა ძირითადი აგრეგატის დაბალანსება პროდუქტების მიხედვით ხდება (ნახაზი 5).

ნახაზი 5. **ძირითადი პროდუქტების კლასიფიკაციის გამოყენება რესურსებისა და გამოყენების ცხრილებში**

რესურსები 2015 წელს (მიმდინარე ფასებში მლნ. ლარი)

	საქმიანობის სახეები / საქონელი და მომსახურება	A	B	C	D	E	F
		სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	თევზჭერა, თევზმოშენება	სამთამოპოვებითი მრეწველობა	დამამუშავებელი მრეწველობა	ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება	მშენებლობა
A	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	3,838.6	0.0	0.0	392.7	0.0	0.1
B	თევზჭერა, თევზმოშენება	0.0	15.9	0.0	4.1	0.0	0.0
C	სამთამოპოვებითი მრეწველობა	0.0	0.0	472.7	11.8	0.0	4.5
D	დამამუშავებელი მრეწველობა	1.6	10.6	16.9	9,657.0	0.1	41.1
E	ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება	0.0	0.0	0.0	0.2	1,238.9	1.6
F	მშენებლობა	0.0	0.0	11.5	55.3	32.7	4,754.0
G	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	2.4	0.1	1.4	47.9	0.6	6.2
H	სასტუმროები და რესტორნები	0.0	0.0	0.0	19.3	0.1	8.7
I	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	0.2	0.0	1.0	7.0	0.2	421.2
J	საფინანსო საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
K	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების კანონი	1.2	0.2	22.8	25.6	7.0	8.2
L	სახელმწიფო მმართველობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
M	განათლება	0.0	0.0	0.0	0.2	0.0	0.0
N	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	0.0	0.0	0.0	0.1	0.0	0.0
O+P	სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება; შინამოსახლეობა	0.0	0.0	0.0	3.4	0.0	0.4
Tot1	რესურსები, სულ	3,843.9	26.8	526.4	10,224.8	1,279.5	5,246.0

ეას-ში გამოიყენება აგრეთვე ვაჭრობის საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია SITC, რომლითაც ხდება ეას-ში იმპორტისა და ექსპორტის კლასიფიკაცია. მისი საშუალებით ხდება საქონლის დეტალების იდენტიფიცირება სხვადასხვა მიზნიდან გამომდინარე: საბაჟო, სტატისტიკური და ანალიტიკური. საქმიანობის სახეების, პროდუქციისა და ვაჭრობის კლასიფიკაციები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

წყარო: პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკაცია საქმიანობის სახეობათა მიხედვით.

http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/klasifikacia/sek%20_CPA_%20002-99.pdf

5. ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით

ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში მიზნობრივი დანიშნულებით მოხმარებისა და უფრო ზოგადი ხარჯების ანალიზისთვის ეას იყენებს სპეციალურ კლასიფიკაციებს: ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით COICOP, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიზნობრივი ხარჯების კლასიფიკაცია COPNI (Classification of the purposes of non-profit institutions, serving households), სახელმწიფო მართვის ორგანოების ფუნქციების COFOG (Classification of the functions of government) და მწარმოებელთა ხარჯების კლასიფიკაცია COPP (Classification of the outlays of producers).

ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით COICOP (Classification of Individual Consumption by Purpose) 14 ჯგუფისგან შედგება, რომელთაგან პირველი 12 შინამეურნეობების ინდივიდუალური ხარჯებია, ხოლო ბოლო 2 შმაკოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ განხორციელებული ნატურალური სახის ტრანსფერტებია. COICOP-ში გათვალისწინებულია ხარჯების შემდეგი ჯგუფები:

- საკვები პროდუქტები და უალკოჰოლო სასმელები
- ალკოჰოლური სასმელები
- ტანსაცმელი და ფეხსაცმელი
- საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სხვა სათბობი
- საოჯახო მოხმარების საგნები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და საცხოვრებლის შენახვასთან დაკავშირებული ყოველდღიური საქმიანობა

- ჯანდაცვა
- ტრანსპორტი
- კავშირგაბმულობა
- დასვენება და კულტურა
- განათლება
- სასტუმროები და რესტორნები
- სხვა საქონელი და მომსახურება
- შმაკოების ინდივიდუალური მოხმარების ხარჯები
- სახელმწიფო მართვის ორგანოების ინდივიდუალური მოხმარების ხარჯები

თითოეული ჯგუფი იყოფა მრავალ ქვეჯგუფად. მაგალითად, ჯგუფი ტრანსპორტი იყოფა შემდეგ ქვეჯუფებად: სატრანსპორტო საშუალების შესყიდვა; პერსონალური სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია; სატრანსპორტო მომსახურება.
ამ კლასიფიკაციის ბაზაზე მიიღება ეას-ით განსაზღვრული შინამეურნეობების მოხმარების მონაცემები, რაც ასახავს დანახარჯების უახლეს სტრუქტურას. ეროვნული ანგარიშებიდან მიღებული წონების გამოყენება სამომხმარებლო კალათის ფორმირების პროცესში წარმოადგენს ერთ-ერთ არსებით რეკომენდაციას, რომელსაც ევროსტატი სთავაზობს თავის წევრ-ქვეყნებს. COICOP-ის ძირითადი ჯგუფები და ქვეჯგუფები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე:
http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/samomxmareblo%20kalatis%20metodologiis%20shesaxeb%202017.pdf

6. სახელმწიფო მართვის ორგანოების ფუნქციების კლასიფიკაცია

სახელმწიფო მართვის ორგანოების ფუნქციების კლასიფიკაცია COFOG (Classification of Functions of Governments) გამოიყენება სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯების კლასიფიცირებისათვის და იძლევა სახელმწიფო მართვის ორგანოების კოლექტიური და ინდივიდუალური მოხმარების განცალკევების საშუალებას. ამ კლასიფიკაციის ძირითადი ქვედანაყოფებია:

- ზოგადი ხასიათის საზოგადოებრივი მომსახურება
- თავდაცვა
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
- ეკონომიკური საკითხები
- გარემოს დაცვა
- საბინაო და კომუნალური მომსახურება
- კულტურა, დასვენება და რელიგია

- განათლება
- სოციალური დაზღვევა

მოცემულ კლასიფიკაციაში დაჯგუფებულია არა საქმიანობის სახეები, არამედ სახელმწიფო მართვის ორგანოების ფუნქციები, თუმცა ამ კატეგორიებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს.

7. გადასახადებისა და სუბსიდიების კლასიფიკაცია

ეას-ში განასხვავებენ გადასახადების შემდეგ კატეგორიებს: ერთი მხრივ, მიმდინარე და კაპიტალურ გადასახადებს და მეორე მხრივ, გადასახადებს წარმოებასა და იმპორტზე და გადასახადებს შემოსავლებზე.

გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე ეას-ში განიხილება როგორც სახელმწიფო მართვის ორგანოების პირველადი შემოსავლები, ხოლო **გადასახადები შემოსავალზე** და საკუთრებაზე - როგორც გადანაწილებითი შემოსავლები (ტრანსფერტები).

გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე იყოფა ორ ჯგუფად: გადასახადები პროდუქტებზე და სხვა გადასახადები წარმოებაზე, რაც მნიშვნელოვანია გამოშვების შეფასების კონტექსტში. გადასახადები პროდუქტებზე (დღგ-სა და იმპორტზე გადასახადის გარდა) შედის მწარმოებლის ფასებში გაანგარიშებული დამატებული ღირებულების შემადგენლობაში, მაგრამ არ შედის დამატებულ ღირებულებაში საბაზისო ფასებში.

გადასახადების კლასიფიკაციის სქემას შემდეგი სახე აქვს:

I. მიმდინარე გადასახადები (1+2)

1. გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე

გადასახადები პროდუქტებზე (დღგ, აქციზი, გადასახადები გაყიდვებზე და სხვა).

სხვა გადასახადები წარმოებაზე (მიწის, შენობის, შრომის ანაზღაურების ფონდის, სატრანსპორტო საშუალებების გადასახადები და სხვ.).

2. გადასახადები შემოსავალსა და ქონებაზე (მოგების გადასახადები, საშემოსავლო გადასახადები, წარმოებაში გამოუყენებელი ქონების გადასახადები).

II. კაპიტალური გადასახადები (მემკვიდრეობის გადასახადები, საკუთრების ნაჩუქრობის გადასახადები და კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციების სხვა გადასახადები)

III. ყველა გადასახადი (I+II)

გადასახადების სხვადასხვა ტიპი ეას-ის სხვადასხვა ანგარიშში რეგისტრირდება. მაგალითად, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე რეგისტრირდება

შემოსავლების ფორმირების ანგარიშში, გადასახადები შემოსავალსა და ქონებაზე - შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშში, კაპიტალური გადასახადები - კაპიტალის ანგარიშში.

სუბსიდიები - ბიუჯეტიდან განხორციელებული გადახდები ინსტიტუციური ერთეულებისათვის ფასების პოლიტიკის შედეგად (ფასები ვერ ფარავენ წარმოების დანახარჯებს) გამოწვეული ზარალის ანაზღაურებისა ან/და წარმოების დონეზე ზემოქმედების მიზნით. სუბსიდია ითვლება ნეგატიურ გადასახადად წარმოებასა და იმპორტზე, ამიტომ სუბსიდიების კლასიფიკაცია სიმეტრიულია წარმოებასა და იმპორტზე გადასახადების კლასიფიკაციისა, ანუ ეას-ში განასხვავებენ სუბსიდიებს პროდუქტებზე (იგი წარმოებული და რეალიზებული საქონლის რაოდენობის ან ღირებულების პროპორციულია) და სხვა სუბსიდიებს წარმოებაზე (იგი წარმოებისათვის სუბსიდირებული ფაქტორების პროპორციულია).

სხვა სუბსიდიები წარმოებაზე ჩაირთვება საბაზისო ფასებში გამოსახულ დამატებულ ღირებულებაში, მაგრამ არ ჩაირთვება მწარმოებლის ფასებში შეფასებულ დამატებულ ღირებულებაში.

ყველა სუბსიდია ჩაირთვება ე.წ. ფაქტორულ ღირებულებაში, რომელიც გამორიცხავს ყველა გადასახადს წარმოებასა და იმპორტზე.

ეას-ში გამოიყენება ასევე ეკონომიკური აქტივების კლასიფიკაცია, რასაც შემდგომში გავეცნობით.

საკვანძო მომენტები

- ეას-ში ეკონომიკა 5 სექტორად იყოფა: არაფინანსური კორპორაციები, ფინანსური კორპორაციები, მთავრობა (სახელმწიფო მართვის ორგანოები), შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ინსტიტუციები და შინამეურნეობები. ამასთან, „დანარჩენი მსოფლიო“ ფაქტობრივად ეას-ის მეექვსე სექტორად განხილება.
- ინსტიტუციური ერთეული (იე) არის ეკონომიკური ერთეული, რომელიც ფლობს ეკონომიკურ აქტივებს, შეუძლია საკუთარი სახელით ვალდებულებების აღება, მონაწილეობს ეკონომიკურ საქმიანობაში და ახორციელებს ტრანსაქციებს სხვა ერთეულებთან.
- გამოყოფენ იე-ს ორ მთავარ სახეობას: ფიზიკური პირები (ინდივიდები ან ინდივიდთა ჯგუფები შინამეურნეობებში) და იურიდიული ან საზოგადოებრივი (სოციალური) პირები.
- კორპორაციები აწარმოებენ ბაზრისთვის და მათი მიზანია პროდუქციის გაყიდვა ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასებში.
- თუ არაკორპორირებული საწარმოები მოქმედებენ როგორც კორპორაციები, მაშინ მათ უწოდებენ კვაზიკორპორაციებს.
- სახელმწიფო მართვის ორგანოები აფინანსებენ და ორგანიზებას უწევენ საქონლისა და მომსახურების მიწოდებას შინამეურნეობებისა და მთლიანად მოსახლეობისთვის, ამიტომ ეწევიან ხარჯებს საბოლოო მოხმარებაზე.
- შინამეურნეობები უპირველესად მომხმარებლები არიან, თუმცა წარმოებაც შეუძლიათ. ხშირად ამ წარმოების მასშტაბი მცირეა და მოიცავს არაფორმალურ და არსებობისთვის აუცილებელ აქტივობებს.
- არაფინანსური სექტორის ძირითად ნაწილს შეადგენს ყველა რეზიდენტი არაფინანსური კორპორაცია, თუმცა აქ შედის აგრეთვე ის არაკომერციული ერთეულები, რომლებიც საქონლისა და საბაზრო მომსახურების წარმოებაში არიან ჩართული.
- ფინანსური კორპორაციების სექტორი მოიცავს ყველა რეზიდენტ კორპორაციას, რომელთა ძირითადი საქმიანობაა ფინანსური მომსახურება ფინანსური შუამავლობის, დაზღვევის, საპენსიო ფონდებისა და ფინანსური შუამავლობისთვის ხელის შეწყობის ჩათვლით. ამ სექტორში შედის აგრეთვე ის არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსდება ფინანსური ბუნების მქონე კორპორაციების მიერ.
- თუ არაკომერციული ინსტიტუციები საბაზრო წარმოებაში არიან ჩართული, მაშინ ისინი გვევლინებიან კორპორაციების სექტორის შემადგენელ ნაწილად,

ხოლო თუ ისეთ არასაბაზრო საქმიანობას ეწევიან, რაც მთავრობის მიერ კონტროლდება, მაშინ სამთავრობო სექტორში ერთიანდებიან. ყველა დანარჩენი რეზიდენტი არაკომერციული არასაბაზრო ორგანიზაცია, რომელიც უსასყიდლოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებში აწვდის საქონელსა და მომსახურებას საზოგადოებას, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ინსტიტუციების სექტორში (შმაკო) შედის.

- ❖ ოპერაცია არის ეკონომიკური საქმიანობისა და ეროვნული ანგარიშების სააღრიცხვო ერთეული. ეს არის ნებაყოფილობითი ურთიერთქმედება ორ სამეურნეო სუბიექტს შორის, რაც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასა და გამოყენებასთან, შემოსავლების განაწილებასა და გადანაწილებასთან, ფინანსური აქტივების შეძენასა და ფინანსური ვალდებულებების აღებასთან.
- ❖ სტატისტიკაში კლასიფიკაციები გამოიყენება ინდივიდების, საწარმოების, საქმიანობების და ა.შ. ჯგუფებში თავმოყრის მიზნით განსაზღვრული პრინციპებისა და კრიტერიუმების მიხედვით.
- ❖ ეას-ში გამოიყენება შემდეგი კლასიფიკაციები: NACE, CPA, SITC, COICOP, COPNI, COFOG და COPP.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქეთევან მარშავა, მაია მინდორაშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თეორია, პრაქტიკა, ანალიზი. თსუ, 2008.

2. The 2008 SNA – concepts in brief. A complement to the System of National Accounts. World Bank
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/2008SNA-ConceptsBrief.pdf

3. The 2008 SNA – compilation in brief. A complement to the System of National Accounts. World Bank
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/2008SNA-CompilationBrief.pdf

4. The System of National Accounts, 2008 (2008 SNA)
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf

5. საქსტატი. მეთოდოლოგია. კლასიფიკაციები.
http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=976&lang=geo

6.http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Building_the_System_of_National_Accounts_-_business_register_and_statistical_classifications#Main_classifications

ტესტები და სავარჯიშოები

1. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში შიდა ეკონომიკის ურთიერთქმედება დანარჩენ მსოფლიოსთან რეალურად ძალიან მნიშვნელოვანია, ამის გამო ეას-ში:

ა) ეკონომიკა 5 სექტორად იყოფა

ბ) ეკონომიკა 6 სექტორად იყოფა

გ) დანარჩენი მსოფლიოს სექტორი სრულიად მართებულად განიხილება მეექვსე სექტორად

2. მონიშნეთ არასწორი ვარიანტი:

ა) ინსტიტუციური ერთეულები ფლობენ აქტივებს და შეუძლიათ ვალდებულებების აღება

ბ) გადასახადებს იხდიან როგორც კორპორაციები, ისე შინამეურნეობები

გ) ყველა დასაქმებული შინამეურნეობას მიეკუთვნება და მათი შრომის ანაზღაურება შინამეურნეობების შემოსავლის მთავარი წყაროა

დ) ბაზარზე საქონელსა და მომსახურებას სხვადასხვა სექტორი ყიდის ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასებში და ეს მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა

3. ეას-ში გამოიყოფა ----- ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა. მიუთითეთ თითოეული სექტორის საქმიანობის სახე(ები):

სექტორი	წარმოება	მოხმარება	კაპიტალის დაგროვება
ფინანსური და არაფინანსური კორპორაციები			
მთავრობა			
შინამეურნეობები			
არაკომერციული ორგანიზაციები			

4. მიუთითეთ დაწესებულების სტატუსი:

დაწესებულება	კორპორაცია	არაკორპორირებული საწარმო	კვაზიკორპორაცია
სააქციო საზოგადოება „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“			
სააქციო			

საზოგადოება „საქართველოს რკინიგზა“			
აუდიტორული ფირმა შპს „მრჩეველი“			
უცხოური საწარმოს ფილიალი „ატლანტა ტრეიდი“			
თბილისის ნაძალადევის რაიონის დაცვის პოლიცია			
თსუ			

5. ა) მოათავსეთ თითოეული ინსტიტუციური ერთეული შესაბამის სექტორში (აღნიშვნისთვის გამოიყენეთ ● სიმბოლო).

	არაფინანსური კორპორაციები	ფინანსური კორპორაციები	მთავრობა	შინამეურნეობები	შმაკოები
1. ფერმერი					
2. სკოლა					
3. ადგილობრივი ბაზრის მოვაჭრე					
4. ექიმები საზღვრებს გარეშე					
5. არაალკოჰოლური სასმელის მწარმოებელი					
6. საკეტების ქარხანა					
7. ეროვნული ბანკი					
8. სტატისტიკის ეროვნული სამსახური					
9. დურგლების პროფკავშირი					
10. საავადმყოფო					
11. თვითდასაქმე-ბული დამლაგებელი					
12. სუპერმარკეტი					

13. კომერციული ბანკი					
14. ეროვნული რკინიგზა					
15. ადგილობრივი თვითმმართველობა					
16. საკვებით გარემოვაჭრე					
17. სავალუტო საბჭო					
18. ეროვნული ავიახაზები					
19. პატიმარი (გრძელვადიანი)					
20. ადგილობრივი ეკლესია					

ბ) ზოგიერთ შემთხვევაში არასაკმარისი ინფორმაცია არ გვაძლევს საშუალებას, რომ ინსტიტუციური ერთეული ერთ რომელიმე სექტორს მივაკუთვნოთ, ამიტომ მიუთითეთ ყველა შესაძლებელი ვერსია (1 და 2 შევსებულია მაგალითის სახით)

	არაფინანსური კორპორაციები	**ფინანსური კორპორაციები**	**მთავრობა**	**შინამეურნეობები**	**შმაკოები**
1. ფერმერი	არაკორპორირებული საწარმოა, ამიტომ შინამეურნეობაა				
2. სკოლა	დამოკიდებულია მფლობელზე (მაგ. კერძო სკოლა, სახელმწიფო სკოლა ან რელიგიური ორგანიზაციის სკოლა)				
3. ადგილობრივი ბაზრის მოვაჭრე					
4. ექიმები საზღვრებს გარეშე					
5. არაალკოჰოლური სასმელის მწარმოებელი					
6. საკეტების ქარხანა					
7. ეროვნული ბანკი					
8. სტატისტიკის ეროვნული სამსახური					
9. დურგლების პროფკავშირი					
10. საავადმყოფო					
11. თვითდასაქმებული დამლაგებელი					
12. სუპერმარკეტი					

13. კომერციული ბანკი	
14. ეროვნული რკინიგზა	
15. ადგილობრივი თვითმმართველობა	
16. საკვებით გარემოვაჭრე	
17. სავალუტო საბჭო	
18. ეროვნული ავიახაზები	
19. პატიმარი (გრძელვადიანი)	
20. ადგილობრივი ეკლესია	

6. მოიძიეთ 10 რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეული და მოათავსეთ შესაბამის სექტორებში:

ინსტიტუციური ერთეული	სექტორი
1.	
2.	
3.	
4.	
5.	
6.	
7.	
8.	
9.	
10.	

7. ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება ფინანსურ სექტორს:

ა) სახელმწიფო ხაზინა

ბ) სადაზღვევო ორგანიზაცია

გ) ფინანსთა სამინისტრო

დ) პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

8. ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება შმაკო-ების სექტორს:

ა) საპენსიო ფონდი

ბ) საქველმოქმედო ფონდი

გ) სახელმწიფო დაზღვევის ფონდი

დ) საინვესტიციო ფონდი

10. პოლიტიკური პარტიები, რელიგიური ორგანიზაციები და პროფკავშირები შედის:

ა) შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების (შმაკო) სექტორში

ბ) შინამეურნეობების სექტორში

გ) დანარჩენი მსოფლიოს სექტორში

დ) არაფინანსური დაწესებულებების სექტორში

11. ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება არაფინანსურ სექტორს:

ა) საქველმოქმედო ფონდი

ბ) კომერციული ბანკი

გ) კერძო უმაღლესი სასწავლებელი

დ) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

12. შინამეურნეობების სექტორი არ მოიცავს:

ა) იურიდიული სტატუსის არმქონე არარეზიდენტ შინამეურნეობებს

ბ) იურიდიული სტატუსის არმქონე რეზიდენტ შინამეურნეობებს

გ) ცალკეულ ინდივიდებს, რომელთა სამეწარმეო საქმიანობის გამოცალკევება შეუძლებელია მათი საოჯახო მეურნეობისგან

დ) ინდივიდთა ჯგუფებს, რომელთა სამეწარმეო საქმიანობის გამოცალკევება შეუძლებელია მათი საოჯახო მეურნეობისგან

13. მონიშნეთ არასწორი ვერსია:

ა) სექტორი იქმნება ერთგვაროვანი ინსტიტუციური ერთეულების დაჯგუფებით

ბ) ყველა სექტორი რეალურად ერთმანეთისგან არ განსხვავდება

გ) სექტორში ერთეულების გაერთიანება ეკონომიკური საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე ხდება

დ) სექტორები ერთმანეთისგან განსხვავდება ეკონომიკური მიზნებით, ფუნქციებით და ქცევით

14. მონიშნეთ არასწორი ვერსია:

ა) კორპორაციები აწარმოებენ ან/და აგროვებენ, მაგრამ არ არიან საბოლოო მომხმარებლები

ბ) მთავრობა აწარმოებს, აგროვებს და საბოლოო მომხმარებელია

გ) ყველა შინამეურნეობა საბოლოო მომხმარებელია, ის არ შეიძლება ჩართული იყოს წარმოებისა და დაგროვების პროცესებში

დ) მთავრობა, შინამეურნეობები და შმაკოები საბოლოო მომხმარებლები არიან

15. სახელმწიფო მართვის ორგანოების:

ა) მიზანია საქონლისა და მომსახურების მიწოდება შინამეურნეობებისა და მთლიანად მოსახლეობისთვის

ბ) ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე გაიწევა

გ) მიერ მიწოდება უფასოდ, ან არასაბაზრო ფასებში ხდება

დ) მიერ არ ხდება შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილება-გადანაწილება

16. მინიშნეთ არასწორი ვარიანტი. შინამეურნეობები:

ა) უპირველესად მომხმარებლები არიან, თუმცა წარმოებაც შეუძლიათ

ბ) მოიცავს არაფორმალურ და არსებობისთვის აუცილებელ აქტივობებს

გ) მოიცავს ასევე სოცდაზღვევის ფონდებს

დ) მოიცავს შინამეურნეობებთან არსებულ არაკორპორირებულ საწარმოებს

17. სწორია/არასწორია:

- იმისათვის, რომ ინსტიტიუციური ერთეულები სექტორებში გავაერთიანოთ, უპირველეს ყოვლისა უნდა გავარკვიოთ მოცემული იე რეზიდენტია თუ არარეზიდენტი
- თუ იე არარეზიდენტია, ის აუცილებლად დანარჩენი მსოფლიოს სექტორში იქნება
- თუ რეზიდენტი იე შინამეურნეობა არ არის, მაშინ ის შეიძლება იყოს, კორპორაცია, მთავრობა ან შმაკო
- თუ იე არასაბაზრო მწარმოებელია ის ან ფინანსური ან არაფინასური კორპორაციაა
- თუ არასაბაზრო მწარმოებელი იე მთავრობის მიერ არ არის კონტროლირებადი, მაშინ ის შმაკოა
- ფინანსური კორპორაცია შეიძლება იყოს სახელმწიფო, კერძო და უცხოური
- ღვინის მწარმოებელთა ასოციაცია შმაკოა
- საპატრიარქოს საავადმყოფო არაფინანსურ სექტორშია

18. არაფინანსური კორპორაციების სექტორში არ შედის:

ა) საჯარო არაფინანსური კორპორაციები

ბ) არარეზიდენტი არაფინანსური კორპორაციები

გ) კერძო არაფინანსური კორპორაციები

დ) საზღვარგარეთის მიერ კონტროლირებადი არაფინანსური კორპორაციები

19. ფინანსური კორპორაციების სექტორის ძირითადი საქმიანობაა:

ა) ფინანსური შუამავლობა

ბ) დაზღვევა

გ) შემოსავლების განაწილება და გადანაწილება

დ) საპენსიო ფონდები

20. ფინანსური მომსახურების წარმოება მოიცავს:

ა) სხვა საქონლისა და მომსახურების წარმოებასაც

ბ) ფინანსური რისკის მენეჯმენტს
გ) ლიკვიდურობის ტრანსფორმაციას
დ) დამხმარე ფინანსურ საქმიანობას

21. ავეჯის მწარმოებელი ფირმა თვითონ გასცემს სამომხმარებლო კრედიტს საკუთარი პროდუქციის გაყიდვის დროს. ეს ფირმა:

ა) არაფინანსურ სექტორში შედის
ბ) ფინანსურ სექტორში შედის

22. ეას-ის მიხედვით, ცენტრალური ბანკი, რომელიც მთავრობისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს:

ა) სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორში შედის
ბ) ფინანსურ სექტორში შედის

23. სამთავრობო ან სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორში შედის:

ა) ქალაქის საკრებულო
ბ) ქალაქის მერია
გ) საფონდო ბირჟა
დ) პარლამენტი
ე) განათლების სამინისტრო
ვ) შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ინსტიტუცია

24. სწორია/არასწორია:

ა) ოჯახისგან დამოუკიდებლად მცხოვრები ერთი პირი ცალკე შინამეურნეობად განიხილება
ბ) ოჯახის წევრები და არაწევრები, რომლებიც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, ერთ შინამეურნეობას ქმნიან
გ) შინამეურნეობაში დასაქმებული პირები ამ შინამეურნეობას მიეკუთვნებიან
დ) მოხუცებულთა სახლებში მცხოვრები პირები ერთ შინამეურნეობაში ცხოვრობენ
ე) მონასტრებში მცხოვრები ბერები სტატისტიკური თვალსაზრისით ერთ შინამეურნეობას არ წარმოადგენენ

25. შმაკოს მიეკუთვნება:

ა) პოლიტიკური პარტია
ბ) მწვანეთა კავშირი
გ) წითელი ჯვარი
დ) საქველმოქმედო ფონდი
ე) შინამეურნეობის ფერმა
ვ) მაღაროელთა პროფკავშირი
ზ) ტურიზმის ასოციაცია

26. ოპერაცია შეიძლება იყოს:

ა) ერთმხრივი და ორმხრივი

ბ) განაწილებითი და გადანაწილებითი

გ) პირდაპირი და ირიბი

დ) ფაქტობრივი და გაანგარიშებითი

27. ეას-ში ოპერაცია არ შეიძლება იყოს:

ა) საკომპენსაციო საფუძველზე და ტრანსფერტი

ბ) მიმდინარე და კაპიტალური

გ) სახელშეკრულებ და არასახელშეკრულებო

დ) ნებაყოფილობითი და სავალდებულო

28. მონიშნეთ არასწორი:

ა) საჩუქარი კაპიტალური ტრანსფერტია

ბ) სტიქიური უბედურების შედეგად დამდგარი ზარალის ანაზღაურება ტრანსფერტია

გ) პროცენტი სახელშეკრულებო ტრანსფერტია

დ) განკარგვითი ოპერაციებით ხდება შემოსავლების ან აქტივების განაწილება

29. მონიშნეთ სწორი:

ა) მომუშავეებისთვის ნატურალური გადახდები ფაქტობრივი ოპერაციებია

ბ) „სხვა ნაკადები“ აქტივების სხვა ცვლილებებში აისახება

გ) პირობითი საცხოვრებელი რენტა ფაქტობრივი ოპერაციაა

დ) ფინანსურ ოპერაციებს მიეკუთვნება პროდუქტებისა და მომსახურების წარმოება, გაცვლა და გამოყენება

30. სწორია/არასწორია:

- საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციები შემუშავებული და მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ
- სტატისტიკაში კლასიფიკაციები გამოიყენება ინდივიდების, საწარმოების, საქმიანობების და ა.შ. ჯგუფებში თავმოყრის მიზნით განსაზღვრული პრინციპებისა და კრიტერიუმების მიხედვით
- ეას-ში ფართოდ გამოიყენება უშუალოდ ეას-ისთვის შექმნილი კლასიფიკაციები
- ეას-ში ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაციის გამოყენების ძირითადი მიმართულებებია წარმოების ანგარიში და შემოსავლების ფორმირების ანგარიში

- ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაციის გამოყენებით მიიღება დამატებული ღირებულება, მომუშავეთა შრომის ანაზღაურება და ეროვნული შემოსავალი
- ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს პროდუქციის წარმოებას - დამხმარე საქმიანობაა
- დაწესებულება არის ერთეული, რომლის მიერ წარმოებული პროდუქცია, გამოყენებული ტექნოლოგია, დანახარჯების სტრუქტურა და გამოშვების გამოყენების გზები შედარებით ერთგვაროვანია

31. ძირითადი პროდუქტების კლასიფიკაცია ემყარება საქონლისა და მომსახურების ფიზიკურ მახასიათებლებს, ხოლო საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ამასთან ერთად ითვალისწინებს ---------- და ----------.

32. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ საქონლისა და მომსახურების თითოეული სახე საქმიანობის ერთი რომელიმე სახის შედეგია? პასუხი დაასაბუთეთ მაგალითებით.

33. მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურას საქსტატი აქვეყნებს:

ა) „ნეისის“ მიხედვით

ბ) „სიპიაის“ მიხედვით

გ) „კოიკოპის“ მიხედვით

დ) „კოფოგის“ მიხედვით

34. ეას-ში იყენებენ შემდეგ კლასიფიკაციებს:

ა) COFOG

ბ) COICOP

გ) COPP

დ) COPNI

35. მონიშნეთ არასწორი ვარიანტი:

ა) ყველა სუბსიდია ჩაირთვება ე.წ. ფაქტორულ ღირებულებაში, რომელიც გამორიცხავს ყველა გადასახადს წარმოებასა და იმპორტზე

ბ) გადასახადები პროდუქტებზე არის დღგ, აქციზი და გადასახადები გაყიდვებზე

გ) სხვა გადასახადები წარმოებაზე არის მიწის, შენობის, შრომის ანაზღაურების ფონდის და სატრანსპორტო საშუალებების გადასახადები

დ) საკუთრების ნაჩუქრობის გადასახადი მიმდინარე გადასახადია

თემა 4

კრებსითი ეროვნული ანგარიშების სისტემის სტრუქტურა და აგების ზოგადი პრინციპები. წარმოების ანგარიში

ამ თემაში განხილულია ეას-ის სტრუქტურა და აგების ძირითადი პრინციპები, წარმოების ანგარიში, მთლიანი გამოშვების გაანგარიშების მეთოდოლოგიის ზოგადი პრინციპები, ასევე, შუალედური მოხმარების ცნება და გაანგარიშების ზოგადი პრინციპები.

1. ეას-ის სტრუქტურა და აგების ძირითადი პრინციპები

ანგარიშები ეას-ის მნიშვნელოვანი ელემენტია. ისინი გამოიყენება როგორც რეზიდენტ ინსტიტუციურ ერთეულებს, ისე მოცემული ქვეყნის რეზიდენტებსა და დანარჩენი მსოფლიოს რეზიდენტებს შორის განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების რეგისტრირებისათვის.

ანგარიშებში ყოველი ცალკეული ეკონომიკური ოპერაცია კი არ რეგისტრირდება, არამედ ეკონომიკური ოპერაციების ჯგუფების შესაბამისი კრებსითი რაოდენობრივი მახასიათებლები (მაგალითად, მოხმარება, დაგროვება, ექსპორტი). ამასთან, ზოგიერთი ჩანაწერი წარმოადგენს არა ეკონომიკურ ოპერაციას (ნებაყოფილობით ურთიერთქმედებას ორ და მეტ ინსტიტუციურ ერთეულს შორის), არამედ აქტივების ცვლილებას არაორდინალური მოვლენების (ხანძარი, სტიქიური უბედურება, ომები და სხვ.) ან ინფლაციის შედეგად.

და ბოლოს, ზოგიერთი ჩანაწერი ანგარიშში წარმოადგენს ეკონომიკური პროცესის სხვადასხვა ასპექტის ანალიტიკურ კრებსით მაჩვენებელს. ამ მაჩვენებელთა დიდი ნაწილი (მაგალითად, დამატებული ღირებულება, დანაზოგი, პირველადი შემოსავლების სალდო) გაიანგარიშება საბალანსო მეთოდით, ე.ი. როგორც სხვაობა ჩანაწერების ჯამებს შორის რესურსებსა და გამოყენებაში.

ეროვნული ანგარიშების შედგენის ძირითადი პრინციპებია:

თანმიმდევრობის პრინციპი - ეას-ში ანგარიშები აიგება კვლავწარმოების ციკლის თანმიმდევრობის მიხედვით:

წარმოება ➡ შემოსავლების ფორმირება ➡ შემოსავლების განაწილება ➡ შემოსავლების გამოყენება

„T" ფორმის პრინციპი - ყველა ანგარიში შედგება ორი განყოფილებისაგან (სვეტი), მარჯვენა მოიცავს „რესურსებს", მარცხენა -„გამოყენებას".

წარმოების ანგარიში	
გამოყენება	**რესურსები**

ორმაგი ჩაწერისა და ანგარიშების შეკავშირების პრინციპი (საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპი) - ეას-ში ყოველი ოპერაცია ორჯერ აისახება: წინა ანგარიშის განყოფილებაში ,,გამოყენება" და მომდევნო ანგარიშის განყოფილებაში ,,რესურსები".

წარმოების ანგარიში		შემოსავლების ფორმირების ანგარიში	
გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები
მშპ			მშპ

ამა თუ იმ ანგარიშის ყოველ მუხლს საკორესპონდენტო მუხლი გააჩნია სხვა ანგარიშში, რაც მისი საიმედობის დამატებით კონტროლს უზრუნველყოფს და აკავშირებს ანგარიშებს.

საბალანსო მეთოდის პრინციპი - ყველა ეკონომიკური ნაკადი რეგისტრირდება ბალანსის ფორმით.

წარმოების ანგარიში	
გამოყენება	რესურსები
სულ რესურსები =	სულ გამოყენება

გაანგარიშებითი კატეგორიების პრინციპი - დამაბალანსებელი მუხლი უწინარესად არის გაანგარიშებითი კატეგორია, რომლის დანიშნულებაა არა მხოლოდ რესურსებისა და მათი გამოყენების მოცულობებს შორის ბალანსის უზრუნველყოფა, არამედ ამა თუ იმ ეკონომიკური პროცესის დახასიათება, რაც მას მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ მაჩვენებლად აქცევს.

წარმოების ანგარიში	
გამოყენება	რესურსები
2. შუალედური მოხმარება 3. დამატებული ღირებულება = 1 -2	1. გამოშვება

სულ რესურსები = 2 +3	სულ გამოყენება =1

ეას-ის სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს **ანგარიშები და საბალანსო ცხრილები.**

ანგარიში ასახავს ოპერაციებს, აქტივებს ან სამეურნეო ერთეულების ვალდებულებებს. ის წარმოადგენს ორმხრივ ცხრილს, სადაც ჯამებს შორის ტოლობა მიიღწევა **დამაბალანსებელი მუხლის** მეშვეობით და ეს დამაბალანსებელი მუხლი ამავე დროს მაკროეკონომიკური მაჩვენებელია. დამაბალანსებელი მუხლი იძლევა ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადასვლისა და ანგარიშების ერთ სისტემაში შეკავშირების საშუალებას.

ეას-ში არსებობს ანგარიშების მკაფიო კლასიფიკაცია:

- ანგარიშები ეკონომიკის **ინსტიტუციური სექტორებისათვის**
- ანგარიშები **ეკონომიკის დარგებისათვის**
- ანგარიშები **ცალკეული ეკონომიკური ოპერაციებისათვის**
- ანგარიშები **მთლიანად ეკონომიკისათვის (კონსოლიდირებული ანგარიშები)**

ანგარიშები იყოფა შემდეგ სამ ჯგუფად:

1. მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები
2. დაგროვების ანგარიშები
3. აქტივებისა და პასივების ბალანსები

1. მიმდინარე ანგარიშები უკავშირდება წარმოებას, შემოსავლების წარმოქმნას, განაწილებას და გამოყენებას. ყოველი ანგარიშის რესურსები იწყება წინა ანგარიშის გამოყენების ნაწილში ასახული დამაბალანსებელი მუხლით. მიმდინარე ანგარიშების ბოლო დამაბალანსებელი მუხლია დანაზოგი, რომელიც ეას-ის კონცეფციით წარმოადგენს ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში ან დანარჩენ მსოფლიოში წარმოებული შემოსავლის ნაწილს, რომელიც არ გამოიყენება საბოლოო მოხმარებისთვის.

მიმდინარე ოპერაციების ანგარიშებია:

- წარმოების ანგარიში
- შემოსავლების ფორმირების ანგარიში
- პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში
- შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში
- შემოსავლების განაწილების ანგარიში (ნატურალურ ფორმაში)
- კორექტირებული განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში.

2. დაგროვების ანგარიშებში აისახება ცვლილებები აქტივებსა და ვალდებულებებში და კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება (სხვაობა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის). დაგროვების ანგარიშებში აისახება ყველა ცვლილება, რასაც ადგილი ჰქონდა ორ ბალანსს შორის რაიმე პერიოდის განმავლობაში.

დაგროვების ანგარიშებია:

- კაპიტალის ოპერაციების ანგარიში
- ფინანსური ანგარიში
- აქტივებში სხვა ცვლილებების ანგარიში:
    1. აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებების ანგარიში
    2. გადაფასების ანგარიში.

3. აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსები შეიცავს მონაცემებს აქტივებისა და ვალდებულებების მარაგებისა და კაპიტალის წმინდა ღირებულების შესახებ. აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი და საბოლოო ბალანსები ანგარიშების თანმიმდევრობის ნაწილს წარმოადგენს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ბალანსები არ დგება, დაგროვების ანგარიშების სწორად შესადგენად აუცილებელია მათ შორის არსებული კონცეპტუალური ურთიერთკავშირის სწორი გაგება.

აქტივებისა და პასივების(ვალდებულებების) ბალანსებია:

- აქტივებისა და პასივების ბალანსი პერიოდის დასაწყისისათვის.
- აქტივებისა და პასივების ბალანსი პერიოდის ბოლოსათვის.

ქვემოთ, ცხრილში 1 მოცემულია ეას-ის ანგარიშების სტრუქტურა, დამაბალანსებელი მუხლები და ძირითადი აგრეგატები.

ცხრილი 1. **ეას-ის ანგარიშების, დამაბალანსებელი მუხლებისა და ძირითადი აგრეგატების შემაჯამებელი ცხრილი**

ანგარიში	დამაბალანსებელი მუხლი	ძირითადი აგრეგატები
მიმდინარე ანგარიშები		
წარმოების ანგარიში		
წარმოების ანგარიში	დამატებული ღირებულება	შიდა პროდუქტი (მშპ, წშპ)
შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების ანგარიშები		
შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშები		
შემოსავლების ფორმირების ანგარიში	მოგება/შერეული შემოსავალი	
პირველადი შემოსავლების	პირველადი შემოსავლების	ეროვნული

განაწილების ანგარიში	სალდო	შემოსავალი (მეშ, წეშ)
სამეწარმეო შემოსავლების ანგარიში	სამეწარმეო შემოსავალი	
სხვა პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში	პირველადი შემოსავლების სალდო	
შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში	განკარგვადი შემოსავალი	ეროვნული განკარგვადი შემოსავალი
შემოსავლების გადანაწილების ანგარიში ნატურალური ფორმით	კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი	
შემოსავლების გამოყენების ანგარიშები		
განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში	დანაზოგი	ეროვნული დანაზოგი
კორექტირებული განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში	დანაზოგი	ეროვნული დანაზოგი
დაგროვების ანგარიშები		
კაპიტალის ანგარიში	წმინდა დაკრედიტება(+)/წმინდა სესხება(-)	
ფინანსური ანგარიში	წმინდა დაკრედიტება(+)/წმინდა სესხება(-)	
აქტივებში სხვა ცვლილებების ანგარიში		
აქტივების მოცულობის სხვა ცვლილებების ანგარიში		
გადაფასების ანგარიში		
აქტივებისა და პასივების ბალანსები		
აქტივებისა და პასივების საწყისი ბალანსი	კაპიტალის წმინდა ღირებულება	ეროვნული სიმდიდრე
ცვლილებები აქტივებსა და ვალდებულებებში	კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება	
აქტივებისა და პასივების საბოლოო ბალანსი	კაპიტალის წმინდა ღირებულება	ეროვნული სიმდიდრე
წვლილი კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილებაში		
კაპიტალის ოპერაციების ანგარიში	კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება დაზოგვისა და კაპიტალური ტრანსფერტების შედეგად	
აქტივებში სხვა ცვლილებების ანგარიში	კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება აქტივებში სხვა ცვლილებების შედეგად	
გადაფასების ანგარიში	კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება ნომინალური ჰოლდინგური მოგების/ზარალის შედეგად	

წყარო: System of National Accounts 2008.

2. წარმოების ანგარიში

წარმოების ანგარიში ეას-ის პირველი ანგარიშია. წარმოების პროცესის შედეგს წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების გამოშვება, რომელიც აისახება ანგარიშის რესურსებში. წარმოების პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელია სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების გამოყენება, რომელსაც შუალედური მოხმარება ეწოდება. სხვაობა გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის ქმნის დამატებულ ღირებულებას (დღ). ეს ანგარიში შეიძლება შევადგინოთ როგორც ცალკეული ინსტიტუციური ერთეულებისთვის, ისე ინსტიტუციური სექტორებისა და საქმიანობის სახეებისთვის. კონცეპტუალურად, წარმოების ანგარიში თითოეული ერთეულის წარმოების ანგარიშის აგრეგირებული ფორმაა მთელი ეკონომიკის მასშტაბით. მისი **დამაბალანსებელი მუხლია დღ** (ეს არის მუხლი და არა ოპერაცია, რომელსაც შეიძლება დავაკვირდეთ). ყველა მიმდინარე ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლის მსგავსად, დამატებული ღირებულება შეიძლება გავიანგარიშოთ როგორც **მთლიან, ისე წმინდა საფუძველზე**. წმინდა დამატებული ღირებულება მიიღება მთლიანი დამატებული ღირებულებიდან ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამორიცხვის შედეგად, რომელიც შუალედურ მოხმარებაში არ შედის.

წარმოების ანგარიშს შემდეგი სახე აქვს:

წარმოების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
2. შუალედური მოხმარება	1. გამოშვება
3. მთლიანი დამატებული ღირებულება (1-2)	
სულ გამოყენებულია (2+3)	სულ რესურსები (1)

რადგან წარმოების ანგარიში ეას-ის პირველი ანგარიშია, მთელი სისტემისათვის მეტად მნიშვნელოვანია თვით წარმოების განსაზღვრა და მისი გაანგარიშების მეთოდი. მეტიც, ინფორმაცია წარმოების შესახებ თავისთავად ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანია.

ჩანართი 1. **ისევ წარმოების შესახებ**

როგორც ადრე აღვნიშნეთ, **წარმოება** ზოგადად შეიძლება განვმარტოთ, როგორც საქმიანობა, რომლის პროცესშიც საწარმო ეწევა დანახარჯებს პროდუქციის (გამოშვების) საწარმოებლად. წარმოებული პროდუქცია სხვა ინსტიტუციურ ერთეულებს გადაეცემა ინდივიდუალურად ან კოლექტიურად.
ბუნებრივი პროცესები არ ითვლება ეკონომიკურ წარმოებად, თუმცა მათ შედეგებს შეიძლება ეკონომიკური ღირებულება ჰქონდეს. *მაგალითად,* თევზის არარეგულირებადი მომრავლება საერთაშორისო წყლებში არ არის წარმოება, ხოლო თევზის მოშენება - წარმოებაა.
ეკონომიკური აზრით, საწარმოო საქმიანობა შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რასაც ახორციელებს ერთი ადამიანი მეორისათვის, ხოლო ძილი, კვება, ფიზიკური ვარჯიში - ადამიანის პირველად საქმიანობათა რიგს განეკუთვნება და არა წარმოებას, რაც შეეხება რეცხვას, საკვების მომზადებას, ბავშვების მოვლას, ეს საქმიანობა შეიძლება სხვას გადავაბაროთ, ამიტომ ისინი წარმოების საზღვრებში ექცევიან.

წარმოების სტადიაზე მშპ-ის გაანგარიშების ამოსავალი მაჩვენებელია მთლიანი გამოშვება (მგ).
მთლიანი გამოშვება - საანგარიშო პერიოდში გამოშვებული (წარმოებული) საქონლისა და მომსახურების ჯამური ღირებულებაა და მოიცავს საბაზრო და არასაბაზრო მიზნით წარმოებულ ყველა საქონელსა და მომსახურებას.
საერთაშორისო პრაქტიკაში მგ არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის შედეგების შეფასების საშუალებას, არამედ მას იყენებენ **მთლიანი დამატებული ღირებულების (მდღ)** გასაანგარიშებელ ბაზად. ეს დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ გამოშვების მოცულობაზე გავლენას ახდენს შუალედური მოხმარება, რომელშიც აისახება წარსული შრომის დანახარჯების ღირებულება. მიუხედავად ამისა, მგ-ს ზუსტი გაანგარიშება მთლიანი დამატებული ღირებულებისა და სხვა შედეგობრივი მაჩვენებლების სწორი გაანგარიშების წინაპირობაა.
ეას-2008-ის პრინციპების შესაბამისად, (თემა 2, სადაც აღნიშნულია, რომ საწარმოო საქმიანობა მოიცავს პროდუქტებისა და მომსახურების საბაზრო წარმოებას, არასაბაზრო წარმოებას და წარმოებას საკუთარი საბოლოო გამოყენებისთვის), **გამოშვება მოიცავს:**

1. **საბაზრო გამოშვებას**
2. **არასაბაზრო გამოშვებას და**
3. **გამოშვებას საკუთარი საბოლოო გამოყენებისთვის**

არჩევენ გამოშვების (პროდუქციის) ორ ძირითად სახეობას: საქონელი და მომსახურება. მომსახურება შეიძლება იყოს როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო.

საქონელი – ეს არის ფიზიკური ნივთი, რომელზეც შეიძლება საკუთრების უფლების გავრცელება. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი პირობა. საქონელს განეკუთვნება ის ნივთები, რომლებზეც არსებობს მოთხოვნა.

საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა შესაძლებელია საბაზრო გარიგებაში სხვადასხვა ინსტიტუციური ერთეულების მონაწილეობით. საქონელი შეიძლება მრავალჯერ გაიცვალოს და შესაბამისად მან შეიძლება მრავალჯერ შეიცვალოს მფლობელი. სინამდვილეში, წინასწარ შეუძლებელია იმის ცოდნა, თუ ვინ იქნება საქონლის საბოლოო მომხმარებელი (მფლობელი), ან გაიყიდება თუ არა საერთოდ. თავდაპირველად წარმოებული საქონელი მწარმოებლის ფასს სცილდება შემდგომი გაყიდვისა და გადაყიდვის ფასებით, რომელსაც **მყიდველის ფასი** ეწოდება (იგულისხმება საბითუმო და საცალო ფასები). ეკონომიკური თვალსაზრისით, საქონლის *წარმოებისა და გაცვლის მომენტების დაცილება (განცალკევება)* საქონლის დამახასიათებელი თვისებურებაა, რომელიც არა აქვს მომსახურებათა უმეტესობას.

ეას-ში ყველა საქონელი პირობითად განიხილება როგორც საქონელი, რომლის რეალიზაციაც ბაზარზე ხდება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საქონელი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო და არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის თანამდევ პროდუქტს, არ ჩაირთვება საქონლის გამოშვებაში, თუმცა შედის საქონლის გამოყენების მონაცემებში მათი ღირებულების პირობითი გადატანის გზით.

მაგალითად, ხე-მასალა, რომელიც მიიღება სახელმწიფო საგზაო სამუშაოების დროს როგორც თანამდევი პროდუქტი, არ შედის ტყის დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის გამოშვებაში, მაგრამ აღირიცხება ხე-მასალის გამოყენების მონაცემებში.

მომსახურება არ არსებობს როგორც ცალკეული ეკონომიკური ობიექტი, რომელზეც შესაძლებელია საკუთრების უფლების გავრცელება. მისი გაყიდვა წარმოებისაგან განცალკევებით შეუძლებელია.

მომსახურება არის შეკვეთით განხორციელებული გამოშვება, რომელიც მიმართულია მომხმარებელთა მდგომარეობის შეცვლისაკენ.

ეს ცვლილება შეიძლება გამოხატულ იქნეს შემდეგ ფორმებში:

- მოხმარების საგნების მდგომარეობის შეცვლა: საქონლის გადატანა, წმენდა, რემონტი და ა.შ.
- მომხმარებლის გონებრივი მდგომარეობის შეცვლა: ინფორმაცია, განათლება, გართობა და ა.შ.
- მომხმარებლის ფიზიკური მდგომარეობის შეცვლა: მომხმარებლის გადაადგილება, სამედიცინო დახმარება, მისი გარეგნობის გაუმჯობესება და ა.შ.

- ❖ მომხმარებლის ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლა: დაზღვევა, დაცვა, ფინანსური შუამავლობა, გარანტიები და ა.შ.

აღნიშნული ცვლილებები შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი. მაგალითად, განათლება და ჯანდაცვა შეიძლება აისახოს მუდმივ ცვლილებებში, რომლის ეფექტი წლების შემდეგ ვლინდება. მომსახურება შეიძლება გაეწიოს როგორც მომხმარებელთა ჯგუფებს, ისე ცალკეულ ინდივიდებს. მაგალითად, ტრანსპორტით სხვადასხვა ინსტიტუციური ერთეულების წარმომადგენელთა გადაყვანა. ზოგიერთი მომსახურება გაეწევა საზოგადოებას მთლიანობაში. მაგალითად, კანონისა და წესრიგის დაცვა, თავდაცვა და სხვ, რაც არასაბაზრო მომსახურებაა და საზოგადოებასა და ინდივიდებს სახელმწიფო მართვის ორგანოების ან შმაკოების მიერ გაეწევათ უფასოდ, ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებში. თავის მხრივ, საბაზრო მომსახურება იყოფა ორ კატეგორიად:

1. ყველა მომსახურება, ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების გარდა, და
2. ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება

პირველში შედის: საბითუმო და საცალო ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, რემონტი, ტრანსპორტით მომსახურება, კავშირგაბმულობა, არენდა და გაქირავება, ფინანსური ორგანიზაციების მომსახურება, დაზღვევა, კერძო სწავლება, ავტომობილის მართვისა და საზაფხულო სკოლები, კერძო საექიმო პრაქტიკა, მედდების მომსახურება, ფილმების წარმოება-გაქირავება და ა.შ.

ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება არის ფინანსური ორგანიზაციების მიერ წარმოებული პროდუქცია, რომელიც მოიცავს ფინანსური შუამავლობას, ფინანსური რესურსების აკუმულირებას, გადარიცხვასა და განაწილებას. იგი გამოითვლება როგორც საკუთრებიდან მიღებული შემოსავალი, რომელსაც იღებენ ფინანსური დაწესებულებები კრედიტორებისთვის გადახდილი პროცენტების გამოკლებით.

„ცოდნის მარაგის შემცველი პროდუქტები“. არსებობს მომსახურების დარგები, რომელთა მიერ წარმოებულ პროდუქციას სასაქონლო თვისებები ახასიათებს. ეს არის დარგები, სადაც ხორციელდება ინფორმაციის მიწოდება, შენახვა, გავრცელება, კავშირი, კონსულტაციები, გართობა ფართო გაგებით. აქ შედის ზოგადი და კონკრეტული ტიპის ინფორმაციის, ახალი ამბების, კონსულტანტების ანგარიშების, კინოფილმების, კომპიუტერული პროგრამების, მუსიკის და ა.შ. წარმოება. ასეთი პროდუქცია ინახება ფიზიკურ მატარებლებზე, როგორიცაა: ქაღალდი, დისკი, ფირი, დისკეტა და იყიდება როგორც ჩვეულებრივი საქონელი. აღნიშნული სახის

პროდუქციას აქვს საქონლური სახე და მასზე ვრცელდება საკუთრების უფლება, მათი გამოყენება მრავალჯერ არის შესაძლებელი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ეას-2008-ში შემოღებულია ახალი ტერმინი „ცოდნის მარაგის შემცველი პროდუქტები“, რაც გულისხმობს, რომ მათ აქვთ როგორც საქონლის, ისე მომსახურების თვისებები.

გამოშვების შეფასება ხდება მიმდინარე ფასებში. პროდუქტების საბაზრო გამოშვების შეფასების ძირითადი პრინციპია იმ საბაზრო ფასების გამოყენება, რომელიც მოქმედებდა აღნიშნული პროდუქტის წარმოების პერიოდში. საბაზრო მომსახურებათა გამოშვების აღრიცხვა ხდება მომსახურების გაწევის მომენტში. საერთოდ, გამოშვების შეფასებისთვის უმჯობესია **საბაზისო ფასების** გამოყენება, თუმცა, თუ ეს შეუძლებელია, იყენებენ **მწარმოებლის ფასებსაც.** ამ ორ ფასს შორის ის განსხვავებაა, რომ საბაზისო ფასში არ შედის გადასახადები პროდუქტებზე, მაგრამ შედის სუბსიდიები პროდუქტებზე, ხოლო მწარმოებლის ფასში საბაზისო ფასის გარდა შედის გადასახადები პროდუქტებზე (დამატებული ღირებულების გადასახადის მსგავსი გადასახადების გარდა) და გამოირიცხება სუბსიდიები პროდუქტებზე.

გამოშვების შეფასება ხდება შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

- რეალიზებული პროდუქცია
- დაუმთავრებელი წარმოება
- მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება

ამასთან, ბოლო ორი პუნქტის გაანგარიშება ხდება მარაგებში ჩადებულ და ამოღებულ მოცულობებს შორის სხვაობით.

გაყიდვის დროის დაფიქსირება ხდება ამ ოპერაციის ასახვისთანავე დებიტორთა და კრედიტორთა ანგარიშებში, ე.ი. გაყიდვის დროდ მიიჩნევა მწარმოებლიდან მომხმარებელზე საკუთრების უფლების გადასვლა, ან მომსახურების გაწევის მომენტი.

პროდუქტების გამოშვება წარმოების პროცესის დამთავრების მომენტში აღირიცხება, მაგრამ იმის გამო, რომ მგ წლის მანძილზე გაიანგარიშება, აღრიცხვის მომენტში პროდუქტები *მზადყოფნის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება.* ამიტომ არჩევენ პროდუქტების შემდეგ კატეგორიებს: **მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება.**

მზა პროდუქცია - პროდუქტები, რომელთა წარმოება საბოლოოდ დასრულებულია მოცემული რეზიდენტი სამეურნეო ერთეულის ფარგლებში (საწარმო, ორგანიზაცია, ფერმერული მეურნეობა და ა.შ.). უმრავლეს შემთხვევაში პროდუქციის მზადყოფნის მომენტი ფორმდება დოკუმენტურად (პროდუქციის მიღება ტექნიკური კონტროლის აქტით, პროდუქციის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელმოწერილია დამკვეთისა

და დამამზადებლის მიერ). სხვა შემთხვევაში, მზადყოფნის მომენტი ემთხვევა რეალიზაციის მომენტს (პროდუქციის მიყიდვას სახელმწიფოსათვის ან გაყიდვას სხვა საბაზრო არხებით). მზადყოფნის მომენტის დაფიქსირება არ ხდება (არ რეგისტრირდება) ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება საკუთარი მოხმარებისათვის, ინდივიდუალური მშენებლობის წარმოება და სხვ. ამ შემთხვევაში მზადყოფნის მომენტად ითვლება ტექნოლოგიური პროცესის დასრულება. სავაჭრო ობიექტებში საკვები პროდუქტების სახით გვხვდება მზა პროდუქციის სახეობა, როგორიცაა ნახევარფაბრიკატები - ეს არის პროდუქტები, რომელთა წარმოება მიყვანილია მზადყოფნის გარკვეულ ეტაპამდე და კვლავ საჭიროებენ გადამუშავებას საბოლოო მოხმარების მიზნით.

დაუმთავრებელი წარმოება - ეს არის პროდუქტები, რომელთაც არ გაუვლიათ დამუშავების სრული ციკლი იმისთვის, რომ მოხდეს მათი მიწოდება სხვა ინსტიტუციური ერთეულებისთვის. დაუმთავრებელი წარმოება ყველა დარგში გვხვდება, თუმცა ის უფრო მნიშვნელოვანია იმ დარგებში, სადაც ერთეული მზა პროდუქციის წარმოებას საკმაო დრო სჭირდება. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, გემთმშენებლობაში, საბინაო მშენებლობასა და პროგრამული უზრუნველყოფის ან ფილმების წამოებაში. სოფლის მეურნეობაში დაუმთავრებელი წარმოება იზომება იმ დანახარჯებით, რომელიც გაწეულია მომავალი წლის მოსავლის მისაღებად, აგრეთვე იმ დანახარჯებით, რომლებიც გაწეულია მრავალწლიან ნარგავებზე სამეურნეო გამოყენებისათვის დადგენილ ასაკამდე. დაუმთავრებელი მშენებლობა განისაზღვრება როგორც მშენებლობის მიერ დამთავრებული და დამკვეთის მიერ ანაზღაურებული ცალკეული კონსტრუქციული ელემენტებისა და სამშენებლო სამუშაოთა ღირებულება. მიუხედავად იმისა, რომ დაუმთავრებელი წარმოება გაყიდვას არ ექვემდებარება, აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მასზე საკუთრების უფლების გადასვლა, მაგალითად, საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში. დაუმთავრებელი წარმოების შემცირება ნიშნავს, რომ მან გადაინაცვლა მზა პროდუქციის კატეგორიაში.

ჩანართი 2. **როგორ გავიანგარიშოთ მთლიანი გამოშვება?**

ამოცანა

საწყისი ინფორმაცია

წლის განმავლობაში უალკოჰოლო გაზიანი სასმელების მწარმოებელი ყიდის 25,000 ბოთლ მაში რეგულარს (*Mushy Regular)* და 15,000 ბოთლ მაში ლაითს (*Mushy Lite).* (სხვათა შორის, არასოდეს გამისინჯავს ეს სასმელები :) თქვენ? :)

საბაზისო ფასებია:

- *მაში რეგულარის* - 3 კვაჩა (the basic monetary unit of Zambia and Malawi, equal to 100 ngwee in Zambia and 100 tambala in Malawi)
- *მაში ლაითის* - 4 კვაჩა.

წლის დასაწყისში საწარმოს საწყობში იყო 15,000 კვაჩას ღირებულების სასმელის მარაგი, ხოლო წლის ბოლოსთვის 12,000 კვაჩასი.

გაიანგარიშეთ გამოშვება.

მინიშნება: გამოშვება ტოლია გაყიდვებს დამატებული მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება.

ამოხსნა:

გაყიდვების მოცულობა

მაში რეგულარი 25,000 x 3 = 75,000 კვაჩა
მაში ლაითი 15,000 x 4 = 60,000 კვაჩა
სულ გაყიდვები: 135,000 კვაჩა

მარაგების ცვლილება

საწყისი მარაგი ორივე სასმელის მიხედვით: 15,000
მარაგი წლის ბოლოს: 12,000
მზა პროდუქციის მარაგების მატება: 12,000 – 15, 000 = -3,000

გამოშვება

გაყიდვები: 135,000 კვაჩა
მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება: -3,000 კვაჩა
გამოშვება სულ 135,000 + (-3,000) = 132,000 კვაჩა

ჩაულრმავდით

გამოშვების გაზომვა

გამოშვების გაზომვა ეს-ის შედგენის ერთ-ერთი ურთულესი საფეხურია. ზოგადად, საქონლისა და მომსახურების საბაზრო გამოშვებაზე (რომელიც ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასებით იყიდება) დაკვირვება შესაძლებელია, რაც

ადმინისტრაციული წყაროების, ეკონომიკური დაკვირვებების ან აღწერების საფუძველზე მიიღწევა, თუმცა ამას ვერ ვიტყვით არასაბაზრო გამოშვებასა და გამოშვებაზე საკუთარი გამოყენებისთვის. ამ შემთხვევაში ეროვნული მოანგარიშეები იმპუტაციას მიმართავენ, რაც გულისხმობს საფუძვლად საბაზრო ფასების ან წარმოების ღირებულების გამოყენებას. პირობითი საზომების მიღება საბაზრო გამოშვების ცალკეულ შემთხვევებშიც ხდება.

წარმოება - საწარმოს მიერ განხორციელებული პროცესია. ზოგჯერ ძნელი გასარკვევია, რას აწარმოებს საწარმო: **საქონელს თუ მომსახურებას.** მაგალითად, თუ ნავთობგადამამუშავებელი საწარმო ახორციელებს მის საკუთრებაში არსებული ნედლი ნავთობის გადამუშავებას, მაშინ ის საქონელს აწარმოებს (გასუფთავებულ ბენზინს); თუ ნავთობგადამამუშავებელი საწარმო ახორციელებს სხვა ერთეულის საკუთრებაში არსებული ნედლი ნავთობის გადამუშავებას, მაშინ ის ამ ერთეულისთვის გადამუშავების მომსახურებას აწარმოებს. თუ საწარმოები სხვადასხვა ინსტიტუციურ ერთეულებს ეკუთვნის, მაშინ ამოსავალი პრინციპია **ეკონომიკური საკუთრების ცნება**. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ვერ იღებს გადაწყვეტილებას *წარმოების მოცულობაზე, საქონლის სარეალიზაციო ფასსა და იმაზე, თუ ვისთვის ხდება საქონლის წარმოება,* უნდა ვიფიქროთ, რომ მას საქონელზე არ გააჩნია ეკონომიკური საკუთრება და ამიტომ მის გამოშვებაში მხოლოდ გადამუშავების მომსახურების ღირებულება უნდა შევიტანოთ. აღსანიშნავია, რომ ეას-2008-ის მიხედვით, ის სცნობს საკუთრების ყველანაირ ცვლილებას, როგორც იურიდიულს, ისე ეკონომიკურს. იურიდიული მესაკუთრისგან განსხვავებით, მაკროეკონომიკურ ანგარიშებში მფლობელი ყოველთვის ეკონომიკური მესაკუთრეა. იურიდიული მესაკუთრე შეიძლება განსხვავდებოდეს ეკონომიკური მესაკუთრისგან, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ეს ერთი და იგივე პირია.

მაგალითი 1. **A** საწარმომ (ფერმერი), რომელიც დამოუკიდებელი ინსტიტუციური ერთეულია, მიყიდა პროდუქცია (მაგ. ხორბალი) ასევე დამოუკიდებელ ინსტიტუციას, **B** საწარმოს. **B** საწარმომ (წისქვილი) ის გამოიყენა თავის გამოშვებაში (ფქვილი).

ეს საბაზრო გამოშვების განაწილების ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა: ხორბლის გაყიდვა შევა **A** საწარმოს გამოშვებაში და **B** საწარმოს შუალედურ მოხმარებაში.

მაგალითი 2. ვთქვათ, **A** და **B** საწარმოები ერთ ინსტიტუციას ეკუთვნის. **A** ქვანახშირს მოიპოვებს, ხოლო **B** ქვანახშირიდან ელექტროენერგიას აწარმოებს. **A**

ქვანახშირს არ ყიდის ბაზარზე, ხოლო **B** ყიდის ბაზარზე გამომუშავებულ ენერგიას. **B** წყვეტს, რა მოცულობის ელექტროენერგია უნდა აწარმოოს და რა მოცულობის ქვანახშირი უნდა მიიღოს **A**-სგან.

როდესაც ერთი ინსტიტუციის ფილიალებს შორის გადაადგილდება საქონელი, არ ხდება საკუთრების ცვლილება, რადგან მფლობელი არ იცვლება. *თუ საქონელი **A**-დან მოძრაობს მის **B** ფილიალში და შემდეგ **B** ყიდის გადამუშავებულ საქონელს ღია ბაზარზე, რეგისტრირდება მფლობელის ცვლილება.* ამ შემთხვევაში ეას 2008-ის მიხედვით, **B** თავის თავზე იღებს რისკებს, აწესებს ფასს და პოულობს მყიდველებს. ამდენად, **B**-ს გამოშვება არის ელექტროენერგიის ღირებულება, ხოლო **A**-ს გამოშვება არის ქვანახშირი, რომელიც **B**-ს შუალედურ მოხმარებაში შედის.

მაგალითი 3. ამ შემთხვევაში, **A** და **B** ერთი საწარმოს ფილიალებია: **A** არის ჩაის პლანტაცია, ხოლო **B** ამუშავებს და პაკეტებში აფასოებს ჩაის. ბაზარზე ჩაის პაკეტებს ყიდის **A**. *ამ შემთხვევაში არ ხდება მფლობელის ცვლილება და რისკებსაც თავის თავზე იღებს **A**.* ამდენად, გამოშვებაში შედის **A**-ს გამოშვებული პაკეტების ღირებულება, ხოლო **B**-ს გამოშვება არის გადამუშავების ღირებულება, რაც **A**-ს შუალედურ მოხმარებაში შედის.

მაგალითი 4. განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც საწარმო **A**, რომელიც ფლობს საქონელს, აგზავნის მას სხვა, **B** საწარმოში გადამუშავების მიზნით. პირველი საწარმო ფლობს ქსოვილებს და შეკერილ ტანსაცმელს, ხოლო მეორე მხოლოდ კერავს მას და არ იღებს თავის თავზე წარმოების რისკებს, არ აწესებს ფასს და არ პოულობს მყიდველებს. ამდენად, **A**-ს გამოშვება იქნება ტანსაცმლის ღირებულება, ხოლო **B**-სი კი - გადამუშავების მომსახურების ღირებულება.

გაითვალისწინეთ, რომ:

- *საქონელი და მომსახურება, რომელიც იწარმოება და მოიხმარება ერთიდაიმავე საწარმოს მიერ, არ განიხილება არც გამოშვებად და არც შუალედურ მოხმარებად.*
- *თუ საწარმო თავისი ხარჯით აშენებს ძირითად კაპიტალს, მაგალითად საწყობს, მაშინ ეს ღირებულება შედის მთლიან გამოშვებაში და კაპიტალის დაგროვებაში გაითვალისწინება.*
- *თუ შინამეურნეობის არაკორპორირებული საწარმო აწარმოებს სიმინდს, რომლის ღირებულებაა 200-ია და აქედან 50-ს თვითონ მოიხმარს, 200 შედის შინამეურნეობის გამოშვებაში და 50 საბოლოო მოხმარების ხარჯებში გაითვალისწინება.*

3. შუალედური მოხმარების არსი და გაანგარიშების ზოგადი პრინციპები

მთლიანი დამატებული ღირებულებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების სიზუსტე ბევრად არის დამოკიდებული არა მხოლოდ მთლიანი გამოშვების სტატისტიკურ დახასიათებაზე, არამედ **შუალედური მოხმარების** აღრიცხვაზეც.

შუალედური მოხმარება მოცემულ პერიოდში პროდუქტებისა და მომსახურების წარმოების პროცესში მოხმარებული პროდუქტებისა (ძირითადი კაპიტალის გარდა) და მომსახურების ღირებულებაა. ე.ი შუალედური მოხმარება განივთებული შრომის დანახარჯების მაჩვენებელია.

შუალედური მოხმარების შეფასება ყოველთვის მყიდველის ფასებში ხდება. მყიდველის ფასი არის თანხა, რასაც მყიდველი იხდის (გამოსაქვითი დღგ-ის ან ყველა სხვა სახის გამოსაქვითი გადასახადის გამოკლებით) პროდუქციის მიწოდებს სანაცვლოდ. მასში არ შედის სუბსიდიები, მაგრამ შედის მწარმოებლის მიერ გაწეული ტრანსპორტირების ან სხვა სახის მომსახურების ხარჯები. შუალედური მოხმარება მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- მატერიალური დანახარჯები
- არამატერიალური მომსახურება
- სამივლინებო ხარჯები ტრანსპორტითა და სასტუმროთი სარგებლობის ნაწილში
- შუალედური მოხმარების სხვა ელემენტები.

მატერიალური დანახარჯები - შრომის საგნების დანახარჯები პროდუქტებისა და მომსახურების წარმოებაზე. მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ნედლეული და მასალები
- ნახევარფაბრიკატები და დეტალები
- ყველა სახის საწვავი, რომელიც გამოიყენება ენერგიის საწარმოებლად, გათბობისათვის, ტრანსპორტისა და წარმოების მომსახურების მიზნით
- შესაფუთი მასალების წმინდა ღირებულება (შესყიდვა რეალიზაციის გამოკლებით)
- შუალედური მოხმარების ან გამოშვების დანაკარგების ანაზღაურება
- მომუშავეთათვის აუცილებელი ინსტრუმენტებისა და სპეცდანიშნულების სამუშაო ტანსაცმლის დანახარჯების ანაზღაურება
- საკვებისა და სხვა ნაკეთობების შესყიდვა სასტუმროების, რესტორნებისა და კაფეების მიერ, საავადმყოფოების მიერ მედიკამენტებისა და კვების პროდუქტების შესყიდვა, სასწავლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული შესყიდვები მოსწავლეთათვის და სხვ.

- შინამეურნეობების მიერ ინსტრუმენტების, სამუშაო ტანსაცმლის, სამშენებლო მასალების, თესლისა და პირუტყვის საკვების შეძენა საკუთარი სამეურნეო მიზნებისათვის
- საკვებისა და ტანსაცმლის შეძენა ჯარისთვის.

არამატერიალურ დანახარჯებში (მომსახურებაში) შედის:

- საქონლის ხარისხის კონტროლი
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ექსპერიმენტის ჩასატარებელი ხარჯები
- ფინანსური შუამავლობისა და დაზღვევის ხარჯების ანაზღაურება
- საწარმოს მომუშავეთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯების ანაზღაურება.
- საწარმოს მომუშავეთათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება
- შენობების, ნაგებობების, მანქანა-მოწყობილობების საარენდო გადასახადების გადახდა
- კომუნალური მომსახურების ხარჯები, ნარჩენების უტილიზაცია და დასუფთავება
- იურიდიული მომსახურებისა და რეკლამის ხარჯები
- საქონლის სერტიფიკაციისა და ლიცენზირების ანაზღაურება
- სახანძრო და ობიექტების დაცვის ხარჯების ანაზღაურება
- ფინანსური შუამავლობის პირობით გამოთვლილი მომსახურება
- მომსახურება, რომელსაც ეწევა სხვა საწარმოები ნედლეულის გადამუშავებაზე, რემონტსა და ექსპლუატაციაზე მოცემული საწარმოსათვის
- საკუთარი და დაქირავებული ტრანსპორტით გაწეული სატრანსპორტო მომსახურება, კავშირგაბმულობისა და გამოთვლითი ცენტრების მომსახურება

შუალედური მოხმარება არ მოიცავს:

- კაპიტალური სახის დანახარჯებს – შენობებისა და ნაგებობების მშენებლობასა და კაპიტალურ რემონტს, მანქანა-მოწყობილობების მნიშვნელოვან რენოვაციას
- სოციალურ დახმარებას ნატურალური ფორმით
- საარენდო გადასახადს მიწით სარგებლობისათვის
- მომუშავეთა და მათი ოჯახის წევრებისათვის გაწეულ სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ მომსახურებას, რომელიც არ არის დაკავშირებული წარმოებასთან.

თითოეული დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შუალედური მოხმარების გაანგარიშებას აქვს თავისებურებანი, მაგალითად, მრეწველობაში გაანგარიშებები ხორციელდება საწარმოთა სამ ჯგუფში:

1. იმ საწარმოების მიხედვით, რომლებიც წარადგენენ სრულ ანგარიშგებას წარმოების შედეგებისა და დანახარჯების შესახებ. ანგარიშგება შეიცავს ყველა მაჩვენებელს, რომელიც საჭიროა შუალედური მოხმარების განსაზღვრისათვის.
2. დამხმარე სამრეწველო საწარმოთა მიხედვით, რომლებიც არ ახორციელებენ დანახარჯების აღრიცხვას. შმ გაიანგარიშება შემდეგი წესით: მთლიანი გამოშვება გადამრავლდება პირველი ჯგუფის საწარმოთა შმ-ის ხვედრით წილზე.
3. შინამეურნეობათა სამრეწველო საქმიანობის შმ განისაზღვრება მგ-ის გადამრავლებით შმ-ის ხვედრით წილზე, რომელიც დგინდება საექსპერტო გზით სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე.

სოფლის მეურნეობაში შმ-ის შემადგენლობაში ერთიანდება შემდეგი დანახარჯები:

- თესლი და სანერგე მასალა
- პირუტყვის საკვები
- შხამქიმიკატები და სასუქი
- ნავთობპროდუქტები, საწვავი და ენერგია
- დამხმარე და სამშენებლო მასალები ძირითადი კაპიტალის მიმდინარე რემონტისათვის
- ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ზოოვეტერინარული და ზოოტექნიკური მომსახურებანი
- მიწების გაუმჯობესებაზე, მელიორაციასა და ქიმიზაციაზე გაწეული ხარჯები
- პირუტყვის დაცემისაგან მიყენებული ზარალი და დანაკარგები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტრანსპორტირებისა და შენახვის შედეგად

მშენებლობაში შმ მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- სამშენებლო მასალები, კონსტრუქციები და დეტალები
- სათბობი, საწვავი, ორთქლი და ენერგია
- ძირითადი კაპიტალის ექსპლუატაციასა და რემონტზე დახარჯული მასალები
- სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების არენდა
- მცირეფასიანი ინვენტარისა და ინსტრუმენტების ცვეთა.

ჩაუღრმავდით

ეას-ში გამოყენებული ფასები

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის პრაქტიკაში ეკონომიკური ოპერაციები აღირიცხება მათი განხორციელების მომენტისათვის არსებულ **მიმდინარე საბაზრო ფასებში დარიცხვის მეთოდით**.

პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) გამოშვების შეფასება ხდება საბაზისო ფასებში, შუალედური მოხმარებისა კი - მყიდველის ფასებში.

საბაზისო ფასი არის თანხა, რომელსაც მწარმოებელი იღებს წარმოებული პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) სანაცვლოდ (საკომპენსაციოდ), მისი წარმოების ან გაყიდვის გამო ყველა სახის გადასახადის გამოკლებით და სუბსიდიის დამატებით.

მყიდველის ფასი არის თანხა, რომელსაც იხდის მყიდველი მოცემულ დროსა და ადგილზე პროდუქციის (საქონლის და მომსახურების) მიწოდების სანაცვლოდ. ამისათვის, საბაზისო ფასს ემატება მთლიანი დანარიცხები, რომელიც მოიცავს: სავაჭრო-სატრანსპორტო ფასნამატებს და გადასახადებს პროდუქციაზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადებს) სუბსიდიების გარეშე.

ჩანართი 3. **მშპ-ის გაანგარიშება წარმოების მეთოდით**

მთლიანი შიდა პროდუქტი ეკონომიკის ფუნქციონირების მთავარი საშედეგო მაკროეკონომიკური მაჩვენებელია. იგი გამოიყენება საერთაშორისო შედარებების, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის გაანგარიშებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლების დახასიათების მიზნით.

მშპ არის წლის მანძილზე მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულება შუალედური მოხმარების გამოკლებით.

საწარმოს, დარგის, სექტორის დონეზე მშპ-ს შეესაბამება მაჩვენებელი მთლიანი დამატებული ღირებულება.

მშპ-ში შედის აგრეთვე ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ჩვენს პრაქტიკაში ამორტიზაცია). მიუხედავად იმისა, რომ წმინდა მაჩვენებლების გამოთვლა ძალიან მნიშვნელოვანია, ძირითადი კაპიტალის მოხმარების გაზომვა აღდგენითი ღირებულების ბაზაზე დღეისათვის გაძნელებულია, ამიტომ პრიორიტეტი ენიჭება მდღ-ის გამოთვლას.

წარმოების მეთოდით მშპ-ის გაანგარიშება ხდება წარმოების ანგარიშის ბაზაზე და მისი მიღება შესაძლებელია სხვადასხვა ხერხით:

1. მშპ საბაზრო ფასებში = შიდა ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში - შუალედური მოხმარება + გადასახადები პროდუქციაზე - სუბსიდიები პროდუქტებზე

წარმოების მიხედვით ***BY PRODUCTION***						
მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში *Output at Basic prices*	P.1	36,430.7	39,292.9	40,551.3	43,927.3	48,250.5
შუალედური მოხმარება *Intermediate Consumption*	P.2	15,455.3	16,787.6	17,216.3	18,831.6	20,782.0
დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში ***Value Added at basic prices***	**B.1g**	**20,975.4**	**22,505.3**	**23,335.0**	**25,095.7**	**27,468.4**
(+) გადასახადები პროდუქციაზე (+) *Taxes on production*	D.21	3,492.7	3,790.0	3,659.5	4,203.6	4,445.4
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე (-) *Subsidies on production*	D.31	124.1	128.0	147.2	148.8	158.3
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში ***Gross Domestic Product at market prices***	**B.1*g**	**24,344.0**	**26,167.3**	**26,847.4**	**29,150.5**	**31,755.6**

წყარო: საქართველოს ეროვნული ანგარიშები. სტატისტიკური კრებული,თბილისი, 2017. გვ.20. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/krebuli2015.pdf

2. მშპ საბაზრო ფასებში = დამატებული ღირებულების ჯამი საქმიანობის სახეების მიხედვით (საბაზრო ფასებში)

გამოშვება საქმიანობის სახეების მიხედვით	**2014**	**2015**
A+B სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	3 582,8	3 872,9
C სამთომოპოვებითი მრეწველობა	345,1	506,9
D დამამუშავებელი მრეწველობა	7 653,3	7 988,6
E ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	1 156,4	1 373,4
C1 პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	2 069,2	2 228,2
F მშენებლობა	4 446,2	5 359,5
G ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	5 759,7	5 986,9
H სასტუმროები და რესტორნები	1 323,3	1 550,5
I1 ტრანსპორტი	3 123,0	3 473,9
I2 კავშირგაბმულობა	1 016,0	1 048,1
J საფინანსო საქმიანობა	1 386,5	1 676,0
K ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	2 370,0	2 786,8
K1 საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	896,4	946,3
L სახელმწიფო მმართველობა	3 321,5	3 412,2

M განათლება	1 551,2	1 627,1
N ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1 975,5	2 148,4
O სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1 920,1	2 231,5
P შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	31,0	33,1
(=) გამოშვება საბაზისო ფასებში	43 927,3	48 250,5
(+) გადასახადები პროდუქციაზე	4 203,6	4 445,4
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	148,8	158,3
(=) გამოშვება საბაზრო ფასებში	47 982,1	52 537,6

შუალედური მოხმარება	**2014**	**2015**
A+B სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	1 254,7	1 365,3
C სამთომოპოვებითი მრეწველობა	140,8	206,8
D დამამუშავებელი მრეწველობა	4 988,6	5 234,9
E ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	444,4	525,7
C1 პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	1 406,4	1 514,4
F მშენებლობა	2 673,8	3 201,6
G ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	1 374,2	1 398,3
H სასტუმროები და რესტორნები	727,7	856,6
I1 ტრანსპორტი	1 194,1	1 292,2
I2 კავშირგაბმულობა	323,1	333,3
J საფინანსო საქმიანობა	522,7	631,5
K ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	852,3	1 002,1
K1 საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	55,4	58,5
L სახელმწიფო მმართველობა	842,6	866,0
M განათლება	275,0	288,5
N ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	460,5	500,9
O სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	887,7	1 031,6
P შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	2,6	2,8
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	405,1	471,1
სულ	18 831,6	20 782,0

დამატებული ღირებულება	**2014**	**2015**
A+B სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა;	2 328,1	2 507,6

თევზჭერა, მეთევზეობა		
C სამთომოპოვებითი მრეწველობა	204,3	300,1
D დამამუშავებელი მრეწველობა	2 664,7	2 753,7
E ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	712,0	847,7
C1 პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	662,9	713,8
F მშენებლობა	1 772,4	2 157,9
G ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	4 385,5	4 588,7
H სასტუმროები და რესტორნები	595,6	693,9
I1 ტრანსპორტი	1 928,9	2 181,7
I2 კავშირგაბმულობა	692,9	714,8
J საფინანსო საქმიანობა	863,8	1 044,5
K ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1 517,8	1 784,6
K1 საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	841,0	887,8
L სახელმწიფო მმართველობა	2 478,9	2 546,2
M განათლება	1 276,1	1 338,6
N ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1 514,9	1 647,5
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1 032,4	1 199,9
P შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	28,4	30,3
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	-405,1	-471,1
(=) მშპ საბაზისო ფასებში	25 095,7	27 468,4
(+) გადასახადები პროდუქციაზე	4 203,6	4 445,4
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	148,8	158,3
(=) მშპ საბაზრო ფასებში	29150,5	31 755,6

3. მშპ საბაზრო ფასებში = ეკონომიკის სექტორებში მდღ-ს ჯამი (საბაზრო ფასებში). საქართველოში ამ მეთოდით არ ხდება მშპ-ის გაანგარიშება, რადგან საქსტატს ჯერ არ აქვს სექტორული ანგარიშები.

მშპ-ის გაანგარიშება წარმოების სტადიაზე ასახავს წარმოების წყაროებს. მასში აღრიცხულია საანგარიშო პერიოდის მთლიანი გამოშვება (წარმოების ფასებში) შუალედური მოხმარების გამოკლებით (მოხმარების ფასებში). იგი საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ თითოეული დარგის ან სექტორის წვლილი მშპ-ის შექმნაში და ავსახოთ ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა და განვითარების ხასიათი.

ჩანართი 4. **როგორ შევადგინოთ წარმოების ანგარიში ინსტიტუციური ერთეულებისთვის**

წარმოების ანგარიშის შედგენის მიზნით განვიხილოთ 2 ინსტიტუციური ერთეულის საწარმოო საქმიანობა, რომელთაგან ერთი შინამეურნეობის არაკორპორირებული ფერმერული მეურნეობაა, ხოლო მეორე - საცხობი კომპანია. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ ორი კომპანიის მიერ წარმოების პროცესში განხორციელდა შემდეგი ტრანსაქციები:

ფერმერული მეურნეობა		**საცხობი**	
გაყიდა ხორბალი (სუბსიდიების გარეშე)	1000	გაყიდა პური (გადასახადების ჩათვლით)	1800
დაიტოვა ხორბალი საკუთარი მოხმარებისთვის	500		
იყიდა თესლი	150	იყიდა ხორბალი	1000
გამოიყენა სასუქი	30	გადაიხადა ელექტროენერგიის გადასახადი	100
გადაიხადა ირიგაციის ხარჯი	20	გადაიხადა სხვა მომსახურების ხარჯები	50
დაქირავებულ მუშებს აუნაზღაურა ხელფასი	450	შრომის ანაზღაურება და ხელფასი	200
მიიღო სუბსიდიები პროდუქტებზე	100	გადაიხადა გადასახადები პროდუქტებზე	80
		სხვა გადასახადები წარმოებაზე	10

გავითვალისწინოთ, რომ ფერმისა და საცხობის მიერ ძირითადი კაპიტალის მომხმარება შესაბამისად 40 და 70-ია. ახლა ავაგოთ წარმოების ანგარიში როგორც ფერმის, ისე საცხობისთვის:

ფერმის წარმოების ანგარიში

გამოყენება		**რესურსები**	
შუალედური მოხმარება	**200**	მთლიანი გამოშვება (მგ)	**1600**
თესლი	150	საბაზრო გამოშვება	1100
სასუქი	30	საკუთარი მოხმარებისთვის	500
ირიგაცია	20	არასაბაზრო გამოშვება	×
მთლიანი დამატებული ღირებულება (მდღ)	**1400**		
ძირითადი კაპიტალის მოხმარება(ძკმ)	40		
წმინდა დამატებული	1360		

ღირებულება (წდღ)			

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ხორბალს, რომელიც 1000-ად გაიყიდა, დაემატა სუბსიდია 100. ამდენად, მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში 1100-ის ტოლია. ასევე, საბაზისო ფასებშია ასახული ხორბალი საკუთარი მოხმარებისთვის, ხოლო შუალედური მოხმარება წარმოადგენს თესლის, სასუქისა და ირიგაციის ღირებულებათა ჯამს = (150 + 30 + 20).

მიაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ *შრომის ანაზღაურება არ შედის შუალედურ მოხმარებაში*, ეს მუხლი შემდეგში შეგვხვდება შემოსავლების ფორმირების ანგარიშში.

საცხობის წარმოების ანგარიში

გამოყენება		**რესურსები**	
შუალედური მოხმარება	**1150**	მთლიანი გამოშვება (მგ)	**1720**
ხორბლის შესყიდვა	1000	საბაზრო გამოშვება	1720
ელექტროენერგიის ხარჯი	100	საკუთარი მოხმარებისთვის	0
სხვა მომსახურების ხარჯები	50	არასაბაზრო გამოშვება	×
მთლიანი დამატებული ღირებულება (მდღ)	**570**		
ძირითადი კაპიტალის მოხმარება(ძკმ)	70		
წმინდა დამატებული ღირებულება (წდღ)	500		

ამ შემთხვევაში, საბაზისო ფასებში გამოსახული მთლიანი გამოშვებიდან გამოირიცხება გადასახადი პროდუქტებზე 1720 = (1800 - 80). მიაქციეთ ყურადღება, რომ ორივე ანგარიშში მდღ და წდღ საბაზისო ფასებშია გამოსახული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში შუალედური მოხმარების დატალები ჩაშლილი სახით არ არის ხოლმე ნაჩვენები, რადგან ჩამონათვალი ძალიან გრძელია და ამიტომ აგრეგირებული სახით გვხვდება. აგრეთვე, შემდეგში ვნახავთ, რომ **სხვა გადასახადები წარმოებაზე** გამოჩნდება შემოსავლების ფორმირების ანგარიშში.

მთელი ეკონომიკის მასშტაბით მშპ-ის საბაზისო ფასებში ასახვისთვის, წარმოების ანგარიშის რესურსებში შემოდის მუხლი:

გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე - სუბსიდიები.

ეს მუხლი ასევე გვხვდება შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენებაში და ისინი ერთმანეთს აბათილებენ, ხოლო შემოსავლების განაწილების ანგარიშში კვლავ ჩნდება რესურსებში და ხდება მისი გათვალისწინება ეროვნულ შემოსავალში.

საკვანძო მომენტები

- ❖ ანგარიში ასახავს ოპერაციებს, აქტივებს ან სამეურნეო ერთეულების ვალდებულებებს. ის წარმოადგენს ორმხრივ ცხრილს, სადაც რესურსებისა და გამოყენების ჯამებს შორის ტოლობა მიიღწევა დამაბალანსებელი მუხლის მეშვეობით.
- ❖ ანგარიშები იყოფა სამ ჯგუფად: მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები, დაგროვების ანგარიშები და აქტივებისა და პასივების ბალანსები.
- ❖ მიმდინარე ანგარიშები უკავშირდება წარმოებას, შემოსავლების წარმოქმნას, განაწილებას და გამოყენებას.
- ❖ დაგროვების ანგარიშებში აისახება ცვლილებები აქტივებსა და ვალდებულებებში და კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება.
- ❖ წარმოების ანგარიში ეას-ის პირველი ანგარიშია. წარმოების პროცესის შედეგს წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების გამოშვება, რომელიც აისახება ანგარიშის რესურსებში. გამოყენებაში აისახება შუალედური მოხმარება, ხოლო დამატებული ღირებულება ამ ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია.
- ❖ ეკონომიკური აზრით, საწარმოო საქმიანობა შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რასაც ახორციელებს ერთი ადამიანი მეორისათვის, ხოლო ძილი, კვება, ფიზიკური ვარჯიში - ადამიანის პირველად საქმიანობათა რიგს განეკუთვნება და არა წარმოებას, რაც შეეხება რეცხვას, საკვების მომზადებას, ბავშვების მოვლას, ეს საქმიანობა შეიძლება სხვას გადავაბაროთ, ამიტომ ისინი წარმოების საზღვრებში ექცევიან.
- ❖ მთლიანი გამოშვება - საანგარიშო პერიოდში გამოშვებული (წარმოებული) საქონლისა და მომსახურების ჯამური ღირებულებაა და მოიცავს საბაზრო და არასაბაზრო მიზნით წარმოებულ ყველა საქონელსა და მომსახურებას.
- ❖ საქონელი – ეს არის ფიზიკური ნივთი, რომელზეც შეიძლება საკუთრების უფლების გავრცელება. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი პირობა. საქონელს განეკუთვნება ის ნივთები, რომლებზეც არსებობს მოთხოვნა.
- ❖ მომსახურება არ არსებობს როგორც ცალკეული ეკონომიკური ობიექტი, რომელზეც შესაძლებელია საკუთრების უფლების გავრცელება. მისი გაყიდვა წარმოებისაგან განცალკევებით შეუძლებელია.
- ❖ გამოშვების შეფასებისთვის უმჯობესია საბაზისო ფასების გამოყენება. საბაზისო ფასში არ შედის გადასახადები პროდუქტებზე, მაგრამ შედის სუბსიდიები პროდუქტებზე.
- ❖ შუალედური მოხმარება მოცემულ პერიოდში პროდუქტებისა და მომსახურების წარმოების პროცესში მოხმარებული პროდუქტებისა

(ძირითადი კაპიტალის გარდა) და მომსახურების ღირებულებაა. ე.ი შუალედური მოხმარება განივთებული შრომის დანახარჯების მაჩვენებელია. შუალედური მოხმარების შეფასება ყოველთვის ხდება მყიდველის ფასებში. მყიდველის ფასში არ შედის სუბსიდიები, მაგრამშედის გადასახადები და სავაჭრო-სატრანსპორტო დანამატები.

- მშპ არის წლის მანძილზე მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულება შუალედური მოხმარების გამოკლებით.
- საწარმოს, დარგის, სექტორის დონეზე მშპ-ს შეესაბამება მაჩვენებელი მთლიანი დამატებული ღირებულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქეთევან მარშავა, მაია მინდორაშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თეორია, პრაქტიკა, ანალიზი. თსუ, 2008.

2. The 2008 SNA – concepts in brief. A complement to the System of National Accounts. World Bank
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/2008SNA-ConceptsBrief.pdf

3. The 2008 SNA – compilation in brief. A complement to the System of National Accounts. World Bank
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/2008SNA-CompilationBrief.pdf

4. The System of National Accounts, 2008 (2008 SNA)
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf

5. მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ზოგადი მეთოდოლოგია. საქსტატი
http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/GDP%20Brief%20Methodology.pdf

6. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2016. სტატისტიკური პუბლიკაცია. საქსტატი
http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/National_Accounts_pub_2016.pdf6.

7. Statistical Institute for Asia and the Pacific Economic and Social Commission of Asia and the Pacific United Nations. An Introduction to System of National Accounts – Integrated Transaction Accounts. Lesson V PRODUCTION ACCOUNT and GENERATION OF INCOME ACCOUNT - Main entries & data needs. Reading Materials.
http://www.unsiap.or.jp/e-learning/el_material/sna/1411_sna_int4/sna_int4_L5_Reading_Material.pdf

ტესტები და სავარჯიშოები

1. რისთვის გამოიყენება ანგარიშები ეას-ში?

ა) რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულებისა და დანარჩენი მსოფლიოს რეზიდენტებს შორის განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების რეგისტრირებისათვის

ბ) მხოლოდ რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების მიერ განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების რეგისტრირებისათვის

2. ანგარიშებში რეგისტრირდება:

ა) ყოველი ცალკეული ეკონომიკური ოპერაცია

ბ) ეკონომიკური ოპერაციების შესაბამისი ჯგუფები

გ) აქტივების ცვლილება, რაც დაკავშირებულია ინფლაციასა და არაორდინალურ მოვლენებთან

დ) ანალიტიკური კრებსითი მაჩვენებლები

3. ანგარიშებში რეგისტრირდება საანგარიშო პერიოდში:

ა) კონკრეტული შინამეურნეობის მიერ განხორციელებული შესყიდვები

ბ) შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება

გ) ღვინის ცალკეული სახეობის ექსპორტი საქართველოდან ჩინეთში

დ) საქართველოდან დანარჩენ მსოფლიოში განხორციელებული ექსპორტი

ე) ქარიშხალის შედეგად მიყენებული ზარალი

ვ) მარაგში ჩადებულ ხორბალზე ფასების მატება

ზ) დამატებული ღირებულება, რომელიც არ არის ეკონომიკური ოპერაცია

4. სწორია თუ არასწორია? დამაბალანსებელი მუხლი:

ა) ეკონომიკური ოპერაციაა

ბ) უზრუნველყოფს რესურსებისა და გამოყენების ტოლობას

გ) ყოველთვის რესურსების მხარეს გვხვდება

დ) ყოველთვის გამოყენების მხარეს გვხვდება

ე) ზოგჯერ რესურსების მხარეს გვხვდება და ზოგჯერ გამოყენების მხარეს

ვ) გაანგარიშებითი კატეგორიაა

5. სწორია თუ არასწორია? ეას-ის ანგარიშებში:

ა) ყველა ეკონომიკური ნაკადი რეგისტრირდება ბალანსის ფორმით

ბ) დამაბალანსებელი მუხლი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია

გ) ყოველი ოპერაცია ორჯერ აისახება: წინა ანგარიშის რესურსებში და მომდევნო ანგარიშის გამოყენებაში

დ) დაცულია კვლავწარმოების ციკლის ეტაპების თანმიმდევრობა

ე) მარჯვნივ რესურსებია, ხოლო მარცხნივ - გამოყენება
ვ) შეკავშირება იმით მიიღწევა, რომ ამა თუ იმ ანგარიშის ყოველ მუხლს საკორესპონდენტო მუხლი გააჩნია სხვა ანგარიშში
ზ) რესურსებსა და გამოყენებას შორის ბალანსის მისაღწევად საკმარისია მათი ჩაწერა ორ სვეტში

6. მიმდინარე ოპერაციების ანგარიშებია:

ა) შემოსავლების ფორმირების
ბ) წარმოების
გ) ფინანსური
დ) შემოსავლების გამოყენების
ე) აქტივებისა და პასივების ბალანსები

7. დაგროვების ანგარიშებია:

ა) კაპიტალის
ბ) შემოსავლების მეორადი განაწილების
გ) შემოსავლების განაწილების ნატურალურ ფორმაში
დ) გადაფასების

8. მონიშნეთ წარმოების ანგარიშის მაჩვენებლები:

ა) შუალედური მოხმარება
ბ) საქონლისა და მომსახურების გამოშვება ძირითად ფასებში
გ) მთლიანი დაზოგვა
დ) მთლიანი დაგროვება
ე) მთლიანი დამატებული ღირებულება

9. მონიშნეთ წარმოების ანგარიშის „რესურსების" მუხლები:

ა) საქონლის საბაზრო გამოშვება
ბ) გამოშვება საკუთარი მოხმარებისთვის
გ) შუალედური მოხმარების მატერიალური მუხლები
დ) მთლიანი დამატებული ღირებულება
ე) ძირითადი კაპიტალის მოხმარება
ვ) წმინდა დამატებული ღირებულება

10. მონიშნეთ მაჩვენებელი, რომელიც საწარმოს დონეზე შეესაბამება მშპ-ს:

ა) გამოშვება
ბ) დამატებული ღირებულება
გ) მთლიანი შემოსავალი
დ) რეალიზებული პროდუქცია
ე) მოგება

11. რომელი მაჩვენებელი აკავშირებს „წარმოების" და მის მომდევნო „შემოსავლების ფორმირების" ანგარიშებს?

ა) ეკონომიკის მთლიანი მოგება

ბ) მთლიანი დამატებული ღირებულება

გ) მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი

დ) მთლიანი გამოშვება

12. მონიშნეთ არასწორი ვარიანტი:

ა) წარმოების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია დღ

ბ) ყველა მიმდინარე ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი მთლიან ან/და წმინდა საფუძველზე გამოითვლება

გ) დამატებული ღირებულება შეიძლება გავიანგარიშოთ როგორც მთლიან, ისე წმინდა საფუძველზე

დ) ძირითადი კაპიტალის მოხმარება შუალედურ მოხმარებაში შედის

13. შეიძლება ვთქვათ თუ არა, რომ საქმიანობა, რომელიც შეიძლება სხვას გადავაბაროთ, წარმოების საზღვრებში ექცევა? პასუხი დაასაბუთეთ.

ა) დიახ

ბ) არა

---

14. მთლიანი გამოშვება:

ა) წარმოების სტადიაზე მშპ-ის გაანგარიშების ამოსავალი მაჩვენებელია

ბ) საანგარიშო პერიოდში გამოშვებული საქონლისა და მომსახურების ჯამური ღირებულებაა

გ) საერთაშორისო პრაქტიკაში ეკონომიკური საქმიანობის შედეგების შეფასების მნიშვნელოვანი საშუალებაა

დ) საანგარიშო პერიოდში საბაზრო და არასაბაზრო მიზნით წარმოებული საქონელი და მომსახურებაა

ე) მის მოცულობაზე გავლენას ახდენს შუალედური მოხმარება

ვ) დამატებული ღირებულების გასააანგარიშებელ ბაზად გამოიყენება

ზ) მისი ზუსტი გაანგარიშება მთლიანი დამატებული ღირებულებისა და სხვა შედეგობრივი მაჩვენებლების სწორი გაანგარიშების წინაპირობაა

15. მონიშნეთ არასწორი ვარიანტი:

ა) გამოშვება მოიცავს როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო გამოშვებას და ასევე გამოშვებას საკუთარი გამოყენებისთვის
ბ) გამოშვებაში არჩევენ საქონლის და მოსახურების გამოშვებას
გ) საქონელზე ვრცელდება საკუთრების უფლება
დ) წარმოებისა და გაცვლის მომენტების განცალკევება ახასიათებს მომსახურებათა უმეტესობას

16. სწორია/არასწორია:

ა) მომსახურება შეიძლება გაეწიოს როგორც მომხმარებელთა ჯგუფებს, ისე ცალკეულ ინდივიდებს.
ბ) მომსახურებით გამოწვეული ცვლილებები ყოველთვის დროებითია
გ) არასაბაზრო მომსახურებას ეწევიან სახელმწიფო მართვის ორგანოები და შმაკოები
დ) ცოდნის მარაგის შემცველ პროდუქტებს საქონლის ფორმა აქვთ, თუმცა მომსახურებას მიეკუთვნებიან
ე) მომხმარებლის ფიზიკური მდგომარეობის შეცვლა ხდება შემდეგი მომსახურებით: წმენდა, ინფორმაციის მიღება, გართობა, დაზღვევა, სამედიცინო დახმარება

17. ცოდნის მარაგის შემცველი პროდუქტებია:

ა) დისკზე ჩაწერილი მუსიკა
ბ) კინოფილმი
გ) ფირზე გადატანილი ინფორმაცია
დ) კომპიუტერული პროგრამები

18. გამოშვების შეფასება ხდება მიმდინარე ფასებში, ამისთვის უმჯობესია:

ა) ფაქტორული ფასები
ბ) საბაზისო ფასები
გ) საბოლოო მომხმარებლის ფასები
დ) მწარმოებლის ფასები

19. საბაზისო ფასში:

ა) არ შედის გადასახადები პროდუქტებზე
ბ) შედის გადასახადები პროდუქტებზე
გ) შედის სუბსიდიები პროდუქტებზე
დ) არ შედის სუბსიდიები პროდუქტებზე

20. რას უდრის გამოშვება, თუ მიმდინარე პერიოდში რეალიზებულმა პროდუქციამ შეადგინა 250; ხოლო მზა პროდუქციის მარაგები შემცირდა 40-ით. პასუხი დაასაბუთეთ:

21. დაფიქსირდება თუ არა გაყიდვის დროდ შემდეგი ქმედებები:

ა) მომხმარებელმა სუპერმარკეტში ნაღდ ფულზე შეიძინა პროდუქტი

ბ) მომხმარებელმა სუპერმარკეტში უნაღდოდ შეიძინა პროდუქტი

გ) მომხმარებელმა ჰიპერმარკეტში განვადებით შეიძინა გრძელვადიანი მოხმარების საგანი

დ) მომხმარებელმა განახორციელა ავეჯის შეძენა ელექტონულ ფორმატში

ე) მომხმარებელმა სილამაზის სალონში შეიჭრა თმა

ვ) მომხმარებელმა იმგზავრა საზოგადოებრივი ტრანსპორტით

ზ) მომხმარებელმა შეიძინა მაცივარი, რომლსაც 5 დღის ვადაში მიიტანს სავაჭრო კომპანია ადგილზე

22. მონიშნეთ შუალედური მოხმარების კომპონენტები:

ა) ძირითადი კაპიტალის მოხმარება

ბ) დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება

გ) გაწული მომსახურების ღირებულება

დ) მატერიალური დანახარჯების ღირებულება

ე) სამივლინებო დანახარჯები

ვ) პროდუქციის დანაკარგები, რომელიც არ არის ჩართული მატერიალურ დანახარჯებში

23. მონიშნეთ არასწორი ვარიანტი. შუალედური მოხმარება:

ა) მთლიანი გამოშვების მსგავსად საბაზისო ფასებში გამოისახება

ბ) მთლიანი გამოშვებისგან განსხვავებით მყიდველის ფასებში გამოისახება

გ) მოცემულ პერიოდში პროდუქტებისა და მომსახურების წარმოების პროცესში მოხმარებული პროდუქტებისა და მომსახურების ღირებულებაა მყიდველის ფასებში

დ) გამოისახება იმ ფასში, რომელშიც არ შედის სუბსიდიები, მაგრამ შედის მწარმოებლის მიერ გაწეული ტრანსპორტირების ან სხვა სახის მომსახურების ხარჯები

24. 2015 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის, ნადირობის, სატყეო მეურნეობის და თევზჭერის შუალედური მოხმარება 1 365 მლნ ლარი იყო, რაც მთლიანი გამოშვების 35%-ია. საქსტატის ვებ გვერდზე PC Axis-ის დახმარებით (NACE-ის მიხედვით კლასიფიცირებული საქმიანობის სახეების მიხედვით) გამოთვალეთ 2016 წელს თითოეული საქმიანობის ხვედრითი წილი (%) მთლიან გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებაში. დაადგინეთ, საქმიანობის რომელ სახეებშია შმ-ის ხვედრითი წილი გამოშვებაში უმცირესი და უდიდესი. შედეგები შეგიძლიათ წარმოადგინოთ ელექტრონულად ან ატვირთოთ ფბ ჯგუფში.

http://pc-axis.geostat.ge/Menu.aspx?rxid=eff0029e-4dd9-4a7d-b706-5ff95d545957&px_language=ka&px_db=Database&px_type=PX

25. შუალედური მოხმარება განივთებული შრომის დანახარჯების მაჩვენებელია. შედის თუ არა ძირითადი კაპიტალის მოხმარება შუალედურ მოხმარებაში? რატომ? პასუხის გასაცემად გაიხსენეთ სტატ2:

26. შუალედური მოხმარების მატერიალური მუხლი არ არის:

ა) ნახევარფაბრიკატები და დეტალები

ბ) სამუშაო ტანსაცმელი

გ) საქონლის ხარისხის კონტროლი

დ) ყველა სახის საწვავი

27. შუალედური მოხმარების მატერიალური მუხლია:

ა) შესაფუთი მასალების წმინდა ღირებულება

ბ) რეკლამის ხარჯი

გ) სახანძრო დაცვის ხარჯები

დ) სასტუმროსთან დაკავშირებული სამივლინებო ხარჯები

28. შუალედური მოხმარება არ არის:

ა) შუალედური მოხმარების ან გამოშვების დანაკარგების ანაზღაურება

ბ) კაპიტალური სახის ხარჯები

გ) იურიდიული მომსახურება

დ) ჯარისთვის საკვების შეძენა

29. შუალედური მოხმარებაა:

ა) საქონლის სერტიფიკაციისა და ლიცენზირების ანაზღაურება

ბ) სოციალური დახმარება ნატურით

გ) შენობების კაპიტალური რემონტი

დ) დაზღვევის ხარჯები

30. *შეხსენება:* **საბაზისო** ფასი არის თანხა, რომელსაც **მწარმოებელი** იღებს წარმოებული პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) სანაცვლოდ

(საკომპენსაციოდ), მისი წარმოების ან გაყიდვის გამო ყველა სახის ---------- გამოკლებით და სუბსიდიის ----------. **მყიდველის** ფასი არის თანხა, რომელსაც იხდის **მყიდველი** მოცემულ დროსა და ადგილზე პროდუქციის (საქონლის და მომსახურების) მიწოდების სანაცვლოდ. ამისათვის, საბაზისო ფასს ემატება მთლიანი დანარიცხები, რომელიც მოიცავს: ---------- **ფასნამატებს და** ---------- პროდუქციაზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადებს) **სუბსიდიების გარეშე.**

31. გვაქვს შემდეგი მონაცემები რეგიონის ეკონომიკური საქმიანობის შესახებ (მლნ. ლარი): ანაზღაურებადი საშინაო მომსახურება - 50; სამომხმარებლო საქონლის რემონტი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში - 95; საქონლის წარმოება შინამეურნეობების მიერ ბაზარზე გასატანად - 216; მფლობელების მიერ სამომხმარებლო ნივთების შეკეთება - 24; ფარული წარმოება - 30; არაკანონიერი წარმოება - 22; საკუთარ სახლში ცხოვრების პირობითი რენტა - 53; შრომის ანაზღაურება ნატურალური ფორმით -21; ბარტერული წესით გაცვლილი პროდუქტები და მომსახურება - 15. წარმოების მოცულობა ტოლია:

526 მლნ. ლარი

502 მლნ. ლარი

474 მლნ. ლარი

421 მლნ. ლარი

32. გაიანგარიშეთ მატერიალური დანახარჯების წილი შუალედურ მოხმარებაში, თუ მოცემულია: ნედლეული და მასალები 400, საწვავი 35, საქონლის ხარისხის კონტროლის ანაზღაურება 168, საკვებისა და ნაკეთობების შესყიდვები 120, ინსტრუმენტები და სამუშაო ტანსაცმელი 56, რეკლამის ხარჯი 1200, სოციალური დახმარება ნატურალური ფორმით 200, შენობის მშენებლობის ხარჯები 4500.

30,9%

20,9%

40,9%

45,9%

33. გაიანგარიშეთ არამატერიალური დანახარჯების წილი შუალედურ მოხმარებაში თუ მოცემულია: ნედლეული და მასალები 400, საწვავი 35, საქონლის ხარისხის კონტროლის ანაზღაურება 168, სახანძრო დაცვის ხარჯი 40, საკვებისა და ნაკეთობების შესყიდვები 120, ინსტრუმენტები და სამუშაო ტანსაცმელი 56, რეკლამის ხარჯი 1200, სოციალური დახმარება ნატურალური ფორმით 200, შენობის მშენებლობის ხარჯები 4500.

54,3%

69,7%

74,3%

84,3%

34. შეადგინეთ ამოცანა 31, 32 და 33 ამოცანების მიხედვით (სადაც პირობაში იქნება შუალედური მოხმარებისა და მთლიანი გამოშვების ჩაშლა), დააბალანსეთ დამატებული ღირებულებით და წარმოადგინეთ T ფორმის წარმოების ანგარიშის სახით:

35. ჩანართი 4-ის მიხედვით შეადგინეთ წარმოების ანგარიში სხვადასხვა ინსტიტუციური ერთეულისთვის და წარმოადგინეთ T ფორმის ანგარიშის სახით:

თემა 5

შემოსავლების განაწილების, გადანაწილებისა და გამოყენების ანგარიშები

ამ თემაში განხილულია წარმოების ანგარიშის მომდევნო მიმდინარე ანგარიშები: შემოსავლების ფორმირების, პირველადი შემოსავლების განაწილების, შემოსავლების მეორადი განაწილების, აგრეთვე შემოსავლების გადანაწილების ანგარიში ნატურალური ფორმით და შემოსავლების გამოყენების ანგარიში.

ნაწილი I

1. შემოსავლების ფორმირების ანგარიში

წარმოების ანგარიშის შემდეგ ეას-ის ანგარიშების ინტეგრირებული თანმიმდევრობა გრძელდება შემოსავლების **განაწილებისა და გადანაწილების ანგარიშებით.** შემოსავლების განაწილების ანგარიშები შეიძლება შემდეგი სახით დავაჯგუფოთ:

1. შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშები:

1.1 შემოსავლების ფორმირების ანგარიში

1.2 პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

2. შემოსავლების გადანაწილების ანგარიშები:

2.1 შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში

2.2 შემოსავლების გადანაწილების ანგარიში ნატურალური ფორმით

3. შემოსავლების გამოყენების ანგარიშები

3.1 განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში

3.2 კორექტირებული განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში

თავის მხრივ, შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშები მოიცავს ორ ანგარიშს: **შემოსავლების ფორმირებისა და პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშებს**.

შემოსავლების ფორმირების ანგარიში წარმოების ანგარიშის მსგავსად, ნაკადების ანგარიშია და დგება როგორც სექტორების, ისე საქმიანობის სახეებისთვის (დარგებისათვის). ამ ანგარიშში გრძელდება წარმოებასთან დაკავშირებული ტრანსაქციები. იგი ასახავს მშპ-ის გამოყენებას ინსტიტუციური ერთეულებისა და შინამეურნეობების პირველადი შემოსავლების წარმოქმნის მიზნით.

პირველად შემოსავლებს მიეკუთვნება:

ა) შემოსავლები საწარმოო საქმიანობიდან:

- დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება
- გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე
- მოგება და შერეული შემოსავლები

ბ) შემოსავლები საკუთრებიდან:

- პროცენტები
- საწარმოთა (კორპორაციების) განაწილებული მოგება. დივიდენდები
- რენტა
- სადაზღვევო პოლისების პრემიები

შემოსავლების ფორმირების ანგარიშში შემოსავლები საკუთრებიდან არ აისახება. აქ რეგისტრირდება მხოლოდ გამანაწილებელი ოპერაციები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება საწარმოო პროცესებს. შემოსავლების ფორმირების ანგარიშის მაჩვენებელთა სისტემაში შედის:

- დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება
- გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე
- საწარმოთა მთლიანი მოგება
- მოსახლეობის შერეული შემოსავლები.

ამ ანგარიშის **რესურსების** ნაწილში მოცემულია მშპ საბაზისო ფასებით და სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე, ხოლო **გამოყენება** მოიცავს დაქირავებულთა შრომის ანაზღაურებას, გადასახადებს წარმოებასა და იმპორტზე, ძირითადი კაპიტალის მოხმარებასა და მოგებას.

აღნიშნული ანგარიშის მონაცემები საშუალებას იძლევა შევადაროთ შრომის ანაზღაურების დონეები ცალკეული სექტორებისა და დარგების მიხედვით და დავაკავშიროთ ისინი წარმოებულ მშპ-თან. გარდა ამისა, თუ გამოვიყენებთ მომუშავეთა რიცხოვნობის მაჩვენებლებს დარგებსა და სექტორებში, შესაძლებელია შრომის მწარმოებლურობის გამოთვლა.

განვიხილოთ უფრო დეტალურად აღნიშნული ანგარიშის მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგია.

პირველადი შემოსავლების ფორმირების ანგარიში	
გამოყენება	**რესურსები**
4. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება 5. გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე **6. მთლიანი მოგება და შერეული შემოსავალი (3 - 4 - 5)** **7. სულ (4 + 5+6)**	1. მშპ საბაზისო ფასებში 2. სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე **3. სულ (1 + 2)**

რესურსების მაჩვენებლები. რესურსების მთავარი მაჩვენებელია მშპ ან მთლიანი დამატებული ღირებულება ცალკეული სექტორებისა და დარგებისათვის, რომელიც გადმოდის წარმოების ანგარიშის გამოყენების ნაწილიდან. ამ ანგარიშში შემოსავლების ფორმირების წყაროს წარმოადგენს მშპ წარმოებასა და იმპორტზე გაწეული სუბსიდიების დამატებით.

სუბსიდიები არის მიმდინარე ტრანსფერტები (მიმდინარე არაკომპენსირებადი გადარიცხვები), რომელსაც სახელმწიფო ეწევა სამეურნეო რეზიდენტ-ერთეულებისათვის მათ მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფასებსა და შემოსავლებზე ზემოქმედების მიზნით, რითიც ქმნის ნიადაგს გარკვეული ეკონომიკური თუ სოციალური პოლიტიკის გასატარებლად. ხშირად სუბსიდიები გამოიყენება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა და ექსპორტის (იმპორტის) სტიმულირებისათვის.

სუბსიდიები, რომელიც აღნიშნულ ანგარიშში გვხვდება, განსხვავდება კაპიტალური ტრანსფერტებისაგან, რადგან ეს უკანასკნელი გამოიყენება მწარმოებელთა დაგროვების დაფინანსებისათვის, ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოებისა და სხვა კაპიტალური დანახარჯებისათვის.

სუბსიდიები ორ ნაწილად იყოფა: **სუბსიდიები წარმოებაზე და სუბსიდიები იმპორტზე.** თავის მხრივ, სუბსიდიები წარმოებაზე იყოფა: **სუბსიდიები პროდუქტებზე და სხვა სუბსიდიები წარმოებაზე**.

ნახაზი 1. **სუბსიდიების კლასიფიკაცია შემოსავლების ფორმირების ანგარიშში**



სუბსიდიები პროდუქტებზე არის სუბსიდიები, რომელიც დაირიცხება წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების ერთეულზე და შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც გარკვეული ფულადი თანხა პროდუქტისა და მომსახურების ღირებულების ან რაოდენობის ერთეულზე, ამასთან, შეიძლება განისაზღვროს პროცენტებში ერთეულის ღირებულებასთან. სუბსიდიები პროდუქტებზე გაიწევა წარმოებული, გაყიდული ან საექსპორტოდ წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურებათა ღირებულების ან რაოდენობის პროპორციულად. სუბსიდიები გაიწევა, როდესაც გასაყიდი ფასი დაიყვანება წარმოების საშუალო დანახარჯების ზღვარს ქვემოთ და რაიმე პროდუქციის რეალიზაცია ხდება სახელმწიფოს მიერ რეგულირებული ფასებით.

სხვა სუბსიდიები წარმოებაზე არის სუბსიდიები, რომელსაც საწარმოები იღებენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებიდან წარმოების ფაქტორთა გამოყენებისათვის. იგი მოიცავს:

- განსაკუთრებული კონტინგენტის მომუშავეთა გამოყენებას: ინვალიდების, უმუშევრების დასაქმებას
- რაიმე სახეობის ნედლეულისა და ენერგიის გამოყენების სტიმულირებას
- გარემოს დაბინძურების შემცირების სტიმულირებას (წარმოების ნარჩენების დამატებითი დამუშავება)

სუბსიდიები იმპორტზე არის გადარიცხვები სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც აწარმოებენ შესყიდვებს არარეზიდენტებისაგან და მათ მიყიდვას რეზიდენტებზე უფრო დაბალ ფასებში.

სუბსიდიები ექსპორტზე წარმოადგენს გადარიცხვებს ბიუჯეტიდან სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ყიდულობენ საქონელსა და მომსახურებას რეზიდენტებისაგან და ყიდიან არარეზიდენტებზე უფრო დაბალ ფასებში.

გამოყენების მაჩვენებლები. მათ მიეკუთვნება: შრომის ანაზღაურება, არაპირდაპირი გადასახადები და მთლიანი მოგება.

შრომის ანაზღაურება მოიცავს მოცემულ პერიოდში ყველა ფულად და ნატურალურ ანაზღაურებას დაქირავებულის მიერ შესრულებული სამუშაოსთვის. მასში შედის:

- ხელფასი
- სოციალური დაზღვევის ფაქტობრივი და პირობითი ანარიცხები

აღსანიშნავია, რომ ეას-ში აისახება ე.წ. **დარიცხული** და არა გადახდილი ხელფასი. ე.ი. ის ხელფასი, რომელიც უნდა მიეცეს მომუშავეს, თუმცა ხელზე მან შეიძლება ნაკლები მიიღოს, რაც წარმოიქმნის საწარმოს დავალიანებას მომუშავის მიმართ. სოციალური დაზღვევის ანარიცხები შეიძლება იყოს როგორც ფაქტობრივი, ისე პირობითად დარიცხული.

ფაქტობრივი ანარიცხები მოიცავს მეწარმეთა მიერ დასაქმებულთა სასარგებლოდ წარმოებულ გადარიცხვებს სხვადასხვა სოციალური დაზღვევის ფონდებსა და საპენსიო ფონდებში. **პირობითად დარიცხული** კი ის დახმარებებია, რომელსაც საწარმოები და დაწესებულებები უშუალოდ უწევენ თავის მომუშავეებს (დაღუპულთა ოჯახებს, პროფესიული ტრავმებისა და დაავადებების მქონე პირთა დახმარება და სხვ.).

გადასახადები წარმოებაზე მოიცავს: გადასახადებს პროდუქტებზე და სხვა გადასახადებს წარმოებაზე.

გადასახადები პროდუქტებზე გადაიხდება მწარმოებელი ან გამყიდველი რეზიდენტის მიერ პროდუქტებისა და მომსახურების რაოდენობის ან ღირებულების პროპორციულად. ასეთი სახის გადასახადებია: დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, გადასახადი რეკლამაზე, საავტომობილო გზებით სარგებლობაზე და სხვ.

სხვა გადასახადები წარმოებაზე მოიცავს: გადასახადებს წიაღისეულითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე, ვაჭრობის უფლებაზე, ბირჟების ლიცენზირებაზე, მიწის გადასახადს, ქონებრივ გადასახადს და სხვ.

გადასახადები იმპორტზე შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენების ნაწილში აისახება იმპორტზე სუბსიდიების გამოუკლებლად. იმპორტირებული

საქონელი, რომელზეც ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე ხდება გადასახადების გადახდა, კვლავ შეიძლება გახდეს დაბეგვრის ობიექტი იმის მიხედვით, თუ როგორ მიმოიქცევა ეკონომიკაში.

იმპორტულ საქონელზე დაწესებულია საიმპორტო ბაჟი, რომლის მიზანი შეიძლება იყოს სახელმწიფოს შემოსავლის ზრდა ან იმპორტის შეზღუდვა რეზიდენტი ერთეულების სასარგებლოდ.

გადასახადები ექსპორტზე გადაიხდება, როდესაც საქონელი ტოვებს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიას. მონაცემები გადასახადების შესახებ ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ისინი გვიქმნიან წარმოდგენას ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკისა და სხვადასხვა დარგებსა და სექტორებში საგადასახადო ტვირთის გადანაწილების პროპორციების შესახებ.

ნახაზი 2. **გადასახადების კლასიფიკაცია შემოსავლების ფორმირების ანგარიშში**



შემოსავლების ფორმირების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია ეკონომიკის მთლიანი მოგება, ანუ შერეული შემოსავალი. მისი გამოთვლისათვის მშპ-ს უნდა დავაკლოთ მომუშავეთა შრომის ანაზღაურება და აგრეთვე წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე (სუბსიდიების გამოკლებით). თუ ასეთი სახით მიღებულ მთლიან მოგებას დავაკლებთ ძირითადი კაპიტალის მოხმარებას, მივიღებთ წმინდა მოგებას.

მთლიანი (წმინდა) მოგება დამატებული ღირებულების ის ნაწილია, რომელიც რჩება მწარმოებელთან შრომის ანაზღაურებისა და წმინდა გადასახადების გადახდის შემდეგ. აღნიშნული მუხლის საშუალებით იზომება წარმოებისაგან მიღებული მოგება ან ზარალი საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების გათვალისწინებამდე.

აღსანიშნავია, რომ ეას-ში მოგება რამდენადმე განსხვავდება ბუღალტრული მოგებისაგან. საქმე იმაშია, რომ მოგება დასაბეგრი მაჩვენებელია, ამიტომ მისი გაანგარიშება განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. ეას-ში მოგების სტატისტიკური განსაზღვრა განსხვავდება მოგების ბუღალტრული განსაზღვრისგან (დაბეგვრის ინტერესებიდან გამომდინარე). მაგალითად, საწარმოთა ზოგიერთი დანახარჯი, რომელიც სცილდება დადგენილ ნორმატივს, შეიძლება ისევე დაიბეგროს, როგორც მოგება, თუმცა სტატისტიკის თვალსაზრისით, ის მოგებად არ ჩაითვლება.

ეას-ის მიხედვით, საწარმოთა მოგების გარდა, მოგება მოიცავს აგრეთვე **არაკორპორირებული საწარმოების შერეულ შემოსავლებს**, რომელიც აერთიანებს როგორც ამ საწარმოების მოგებას, ასევე შრომის ანაზღაურებას (კერძო მეწარმეობა დაქირავებული შრომის გარეშე, პირად-დამხმარე მეურნეობა, თავისუფალი პროფესიების პირთა შემოსავლები, საავტორო ჰონორარები და სხვ.).

მოგება, ანუ შერეული შემოსავალი წარმოადგენს შემოსავლების გადამეტების მაჩვენებელს ხარჯებზე საარენდო და საკუთრებიდან მიღებულ შემოსავლებზე (ფინანსურ აქტივებზე, მიწასა და სხვა არასაწარმოო აქტივებზე) გადასახადების გადახდამდე.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება. აქ ძირითადი პრობლემაა ძირითადი კაპიტალის მოხმარების სიდიდის დადგენა. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში გამოიყენება ძირითადი კაპიტალის უწყვეტი გადაფასების მეთოდი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ძირითადი კაპიტალის საბაზრო (აღდგენითი) ღირებულების დადგენა ხდება სპეციალური მათემატიკური მოდელის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (რამდენიმე ათეული წელი) კაპიტალური დაბანდებების მოცულობას, ძირითადი კაპიტალის გასვლის ნორმებს და სხვ. აღნიშნული პრაქტიკის დანერგვა ჯერ არ განხორციელებულა ჩვენთან, თუმცა მუშაობა ამ მიმართულებით მიმდინარეობს.

ძირითადი კაპიტალის მოხმარებაში ჩაირთვება აგრეთვე მოსალოდნელი დანაკლისი და დანაკარგები (ხანძარი, უბედური შემთხვევა). თუ ძირითადი კაპიტალი დაზღვეულია, მაშინ მოსალოდნელი დანაკარგის თანხა სადაზღვევო გადასახადების ჯამის ტოლია, ხოლო თუ არ არის დაზღვეული, გამოდიან იმ თანხიდან, რაც საჭირო იქნებოდა აღნიშნული დანაკარგების დაზღვევისათვის.

ძირითადი კაპიტალის მოხმარებას ანგარიშობენ ცვეთისა (ამორტიზაციისა) და სალიკვიდაციო ღირებულების (ჯართის) ჯამით.

ჩანართი 1. **როგორ შევადგინოთ შემოსავლების ფორმირების ანგარიში ინსტიტუციური ერთეულებისთვის**

შემოსავლების ფორმირების ანგარიშის შედგენის მიზნით კვლავ განვიხილოთ წარმოების ანგარიშში გამოყენებული 2 ინსტიტუციური ერთეულის საწარმოო საქმიანობა, რომელთაგან ერთი შინამეურნეობის არაკორპორირებული ფერმერული მეურნეობაა, ხოლო მეორე - საცხობი კომპანია. გაგახსენებთ, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ ორი კომპანიის მიერ წარმოების პროცესში განხორციელდა შემდეგი ტრანსაქციები:

ფერმერული მეურნეობა		საცხობი	
გაყიდა ხორბალი (სუბსიდიების გარეშე)	1000	გაყიდა პური (გადასახადების ჩათვლით)	1800
დაიტოვა ხორბალი საკუთარი მოხმარებისთვის	500		
იყიდა თესლი	150	იყიდა ხორბალი	1000
გამოიყენა სასუქი	30	გადაიხადა ელექტროენერგიის გადასახადი	100
გადაიხადა ირიგაციის ხარჯი	20	გადაიხადა სხვა მომსახურების ხარჯები	50
დაქირავებულ მუშებს აუნაზღაურა ხელფასი	450	შრომის ანაზღაურება და ხელფასი	200
მიიღო სუბსიდიები პროდუქტებზე	100	გადაიხადა გადასახადები პროდუქტებზე	80
		სხვა გადასახადები წარმოებაზე	10

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ფერმისა და წისქვილის წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიშები იქნება:

ფერმის წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიშები

გამოყენება		**რესურსები**	
წარმოების ანგარიში			
შუალედური მოხმარება	**200**	მთლიანი გამოშვება (მგ)	**1600**
თესლი	150	საბაზრო გამოშვება (საბაზისო ფასებში)	1100
სასუქი	30	საკუთარი მოხმარებისთვის	500
ირიგაცია	20	არასაბაზრო გამოშვება	×
მთლიანი დამატებული	**1400**		

ღირებულება (მდღ)			
ძირითადი კაპიტალის მოხმარება(ძკმ)	40		
წმინდა დამატებული ღირებულება (წდღ)	**1360**		
შემოსავლების ფორმირების ანგარიში			
დაქირავებულთა ანაზღაურება	**450**	*წმინდა შიდა პროდუქტი*	**1360**
სხვა გადასახადები წარმოებაზე (გადასახადები - სუბსიდიები)	0		
წმინდა მოგება	**910**		

საცხობის წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიშები

გამოყენება		**რესურსები**	
შუალედური მოხმარება	**1150**	მთლიანი გამოშვება (მგ)	**1720**
ხორბლის შესყიდვა	1000	საბაზრო გამოშვება	1720
ელექტროენერგიის ხარჯი	100	საკუთარი მოხმარებისთვის	0
სხვა მომსახურების ხარჯები	50	არასაბაზრო გამოშვება	×
მთლიანი დამატებული ღირებულება (მდღ)	**570**		
ძირითადი კაპიტალის მოხმარება(ძკმ)	70		
წმინდა დამატებული ღირებულება (წდღ)	**500**		
შემოსავლების ფორმირების ანგარიში			
დაქირავებულთა ანაზღაურება	**200**	*წმინდა შიდა პროდუქტი*	**500**
სხვა გადასახადები წარმოებაზე (გადასახადები - სუბსიდიები)	10		
წმინდა მოგება	**290**		

აღსანიშნავია, რომ ორივე ერთეულისთვის წარმოების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლები მდღ და წდღ საბაზისო ფასებშია გამოსახული. ფერმისთვის შემოსავლების ფორმირების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია შერეული შემოსავალი (რადგან შინამეურნეობის სექტორშია), ხოლო საცხობისთვის - საოპერაციო მოგება (რადგან კორპორაციების სექტორშია).

ასე ხდება ამ ორი ანგარიშის აგება ყველა მწარმოებელი ერთეულისთვის, იქნება ეს დაწესებულება, თუ საწარმო. ეს ანგარიშები აიგება როგორც ეკონომიკის ყველა სეგმენტის, ისე მთელი ეკონომიკისთვის. მთელი ეკონომიკის მასშტაბით

აგრეგირების დროს წარმოების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი იქნება მშპ საბაზისო ფასებში.
მშპ-ს ასახვისათვის საბაზრო ფასებში წარმოების ანგარიშს მთელი ეკონომიკისთვის აქვს დამატებითი მუხლი რესურსების ნაწილში „წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე“. ეს მუხლი ასევე გვხვდება შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენებაშიც. დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება ჩაშლილია ხელფასისა და სოციალური დაზღვევის ანარიცხების მუხლებად, რომელთაგან უკანასკნელი შეიძლება იყოს როგორც ფაქტობრივი, ისე პირობითად დარიცხული.

ჩანართი 2. **მშპ-ის გაანგარიშება შემოსავლების (განაწილების) მეთოდით**

როგორც წინა თემაში ვნახეთ, წარმოების მეთოდით მშპ-ს გაანგარიშება ხდება წარმოების ანგარიშის ბაზაზე. შემოსავლების (განაწილების) მეთოდი გამოიყენება მშპ-ის განაწილების სტადიაზე. ეს არის პირველადი შემოსავლების ჯამი, რომელიც რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების მიერ ნაწილდება საქონლისა და მომსახურების მწარმოებელთა შორის: **დაქირავებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურებას + წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე + მთლიანი საოპერაციო მოგება + მთლიანი შერეული შემოსავლები.**
საქართველოში შემოსავლების ფორმირების ანგარიშს საქსტატი შემდეგი სახით აქვეყნებს*(მლნ. ლარი):

	2015
რესურსები	..
B.1g მთლიანი შიდა პროდუქტი	31 755.6
K.1 (-) ძირითადი კაპიტალის მოხმარება	3 273,5
B.1n (=) შიდა პროდუქტი, წმინდა	28 482.0
გამოყენება	..
D.1 შრომის ანაზღაურება	9 189,8
D.11 ხელფასები	9 189,8
D.12 სოციალური ანარიცხები	0,0
D.2 გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	4 778,8
D.21 გადასახადები პროდუქციაზე	4 445,4
D.211 დამატებული ღირებულებისა და აქციზის გადასახადები	4 376,1
D.212 გადასახადი იმპორტზე დღგ-სა და აქციზის გარდა	69,2
D.29 სხვა გადასახადები წარმოებაზე	333,4
D.3 (-) სუბსიდიები პროდუქციაზე	158,3
B.2g მთლიანი საოპერაციო მოგება	12 222,2

B.3g მთლიანი შერეული შემოსავალი	5 723,0
B.2n საოპერაციო მოგება, წმინდა	9 259,1
K.1_HH (-) დარიცხული ცვეთა შინამეურნეობების სექტორში	310,4
B.3n შერეული შემოსავალი, წმინდა	5 412,7

** წშპ-ის გაანგარიშებისათვის გამოყენებულია საწარმოთა წლიური სტატისტიკური გამოკვლევებიდან მიღებული დარიცხული ცვეთის მონაცემები ძირითად საშუალებებზე; ხელფასების გაანგარიშებისათვის გამოყენებულია შინამეურნეობების გამოკვლევიდან დაქირავებით დასაქმებიდან მიღებული ხელფასისა და სხვა დანამატების მონაცემები; სოციალური ანარიცხების გაანგარიშება ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს წლიურ მონაცემებს ფაქტიურად მიღებული საგადასახადო შემოსავლების შესახებ;* ***მთლიანი საოპერაციო მოგება*** *გაანგარიშებულია დამაბალანსებელი სტრიქონის სახით;* ***მთლიანი შერეული შემოსავლის*** *გაანგარიშებისათვის გამოყენებულია მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში შესული არაფორმალური სექტორის (შინამეურნეობების კუთვნილი არაკორპორირებული საწარმოების) მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების მონაცემები.*

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2016 / საქსტატი. – თბილისი, 2016, გვ. 122.

ჩაულრმავდით

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიშის აგების დროს

- წარმოების ანგარიში ეფუძნება წარმოების იგივეობას:
  მშპ (საბაზრო ფასებში) = მდღ(საბაზისო ფასებში) - შმ + წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე
- შემოსავლების ფორმირების ანგარიში ეფუძნება შემოსავლების იგივეობას:
  მშპ (საბაზრო ფასებში) = (დაქირავებულთა ანაზღაურება + საოპერაციო მოგება & შერეული შემოსავალი) რომელიც რეზიდენტ ერთეულებში იქმნება + წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე
- როგორც წესი, წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე ნაჩვენებია ანგარიშებში მთელი ეკონომიკისთვის, ეს მუხლი არ გვხვდება ეკონომიკის რომელიმე სეგმენტის ანგარიშებში.
- წარმოების ანგარიშის რესურსებში გატარებული წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე და შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენებაში გატარებული წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე ერთმანეთს აბათილებენ. წმინდა გადასახადები კვლავ იჩენს თავს პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშში, ამიტომ ეს მუხლი შედის ეროვნულ შემოსავალში.

- ამგვარად, წარმოების ანგარიშში ეკონომიკის სეგმენტებისთვის გვაქვს მდღ საბაზისო ფასებში, ხოლო მთლიანად ეკონომიკისთვის - მშპ საბაზრო ფასებში.
- ინსტიტუციური ერთეულების, საქმიანობის სახეებისა და სექტორების შემოსავლების ფორმირების ანგარიშის ბაზაზე მიღებული საოპერაციო მოგებისა და შერეული შემოსავლების ჯამი ეკონომიკის მასშტაბით საოპერაციო მოგებისა და შერეული შემოსავლების ტოლია.
- შემოსავლების ფორმირების ანგარიში ასახავს რესურსებიდან შემოსავლების ნაკადების წარმოქმნას და არა მის დანიშნულებას. შემოსავლების ყველა სხვა ანგარიში ასახავს შემოსავლების განაწილების მიმართულებას (მიმღებს, დანიშნულებას) ან მისი გადანაწილების ან გამოყენების პროცესს. ეას-ის მიხედვით, შემოსავლების მიმღები არის ინსტიტუციური ერთეული და არა დაწესებულება.
- ამდენად, სხვა ანგარიშებისგან განსხვავებით, წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიშები შეიძლება ავაგოთ ცალკეული დაწესებულებების ან მათი ჯგუფების მიხედვით.
- წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიშები შეიძლება ავაგოთ საქმიანობის სახეების (NACE) მიხედვითაც, რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის შემუშავების მიზნით.
- წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიშები აგრეთვე აიგება ინსტიტუციური სექტორებისა და მთლიანად ეკონომიკისთვის.
- კორპორაციების სექტორში შემოსავლების ფორმირების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია საოპერაციო მოგება.
- შინამეურნეობების სექტორში შემოსავლების ფორმირების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი ძირითადად შერეული შემოსავალია. თუმცა, შინამეურნეობების სექტორში დამაბალანსებელი მუხლის შემადგენელ კომპონენტად გვევლინება ასევე საოპერაციო მოგებაც, რადგან საკუთარ სახლში ცხოვრების მომსახურების შედეგად წარმოებული მდღ ეას-ში განიხილება როგორც საოპერაციო მოგება.
- განმარტებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შმაკოების საოპერაციო მოგება ნულის ტოლია.

ტესტები და სავარჯიშოები

1. შემოსავლების ფორმირების ანგარიში:

ა) შემოსავლების ანგარიშების საწყისი ანგარიშია

ბ) წარმოების ანგარიშის შემდგომი ანგარიშია

გ) წარმოებისა და შემოსავლების განაწილების ანგარიშებს შორისაა

დ) დგება როგორც სექტორების, ისე საქმიანობის სახეებისთვის

ე) წარმოების ანგარიშის მსგავსად ნაკადების ანგარიშია

2. შემოსავლების ფორმირების ანგარიშში აისახება:

ა) გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე

ბ) მოგება და შერეული შემოსავლები

გ) პროცენტები

დ) სადაზღვევო პოლისების პრემიები

3. პირველადი შემოსავლების რომელ სახეს მიეკუთვნება ქვემოთ მოტანილი მაჩვენებლები:

	საწარმოო საქმიანობიდან	საკუთრებიდან
პროცენტი		
საწარმოთა განაწილებული მოგება		
გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე		
დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება		
რენტა		
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტირებული შემოსულობები		
მოგება ან შერეული შემოსავალი		

4. მონიშნეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიშის მაკორესპონდირებელი მუხლ(ებ)ი წარმოების ანგარიშთან:

ა) ეკონომიკის მთლიანი მოგება

ბ) შუალედური მოხმარება

გ) შერეული შემოსავალი

დ) მშპ

5. მონიშნეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიშის რესურსების მუხლ(ებ)ი:

ა) მშპ

ბ) მთლიანი მოგება

გ) მთლიანი შერეული შემოსავლები

დ) სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე

ე) გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე

6. მონიშნეთ ეკონომიკის მთლიანი მოგების გაანგარიშების სწორი მეთოდიკა:

ა) მდღ - შრომის ანაზღაურება

ბ) მდღ - შრომის ანაზღაურება - წმინდა გადასახადები წარმოებაზე

გ) მთლიანი პირველადი შემოსავლები + მიმდინარე ტრანსფერტების სალდო

დ) მთლიანი პირველადი შემოსავლები + შემოსავლების სალდო საკუთრებიდან (დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული/დანარჩენი მსოფლიოსათვის გადაცემული)

7. მონიშნეთ სწორი თანაფარდობები:

ა) ეკონომიკის მთლიანი მოგება მეტია წმინდა მოგებაზე ძირითადი კაპიტალის მოხმარების თანხით

ბ) ეკონომიკის მთლიანი მოგება ნაკლებია მშპ-ზე საბაზრო ფასებში მომუშავეთა ხელფასისა და წარმოებაზე წმინდა გადასახადების ჯამით

გ) მთლიანი გადასახადები წარმოებაზე = გადასახადები წარმოებაზე - სუბსიდიები წარმოებაზე

დ) წმინდა გადასახადები იმპორტზე = გადასახადები იმპორტზე - სუბსიდიები იმპორტზე

8. მონიშნეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენების მუხლ(ები):

ა) გადასახადები წარმოებაზე

ბ) სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე

გ) შრომის ანაზღაურება

დ) მთლიანი მოგება

ე) მთლიანი დამატებული ღირებულება

9. მონიშნეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენების მუხლ(ები):

ა) მთლიანი შიდა პროდუქტი (საბაზრო ფასებში)

ბ) გამოშვება (საბაზისო ფასებში)

გ) სხვა გადასახადები წარმოებაზე

დ) გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე

ე) ეკონომიკის მთლიანი მოგება (შერეული შემოსავალი)

ვ) მთლიანი განკარგვადი შემოსავალი

10. სუბსიდიები:

ა) ნიადაგს ქმნის გარკვეული ეკონომიკური თუ სოციალური პოლიტიკის გასატარებლად

ბ) მიმდინარე ტრანსფერტებია

გ) გაეწევა სამეურნეო რეზიდენტ-ერთეულებს მათ მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფასებსა და შემოსავლებზე ზემოქმედების მიზნით

დ) ხშირად გამოიყენება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა და ექსპორტის (იმპორტის) სტიმულირებისათვის

11. სუბსიდიები:

ა) არ განსხვავდება კაპიტალური ტრანსფერტებისაგან, რადგან ორივე გამოიყენება მწარმოებელთა დაგროვების დაფინანსებისათვის

ბ) ოთხ ნაწილად იყოფა

გ) წარმოებაზე იყოფა: სუბსიდიები პროდუქტებზე და სხვა სუბსიდიები წარმოებაზე

დ) სუბსიდიები იმპორტზე ორად იყოფა

12. სუბსიდიები პროდუქტებზე:

ა) არის სუბსიდიები, რომელიც დაირიცხება წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების ერთეულზე

ბ) შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც გარკვეული ფულადი თანხა პროდუქტისა და მომსახურების ღირებულების ან რაოდენობის ერთეულზე

გ) შეიძლება განისაზღვროს პროცენტებში ერთეულის ღირებულებასთან

დ) სუბსიდიები პროდუქტებზე გაიწევა წარმოებული, გაყიდული ან საექსპორტოდ წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურებათა ღირებულების ან რაოდენობის პროპორციულად

13. სხვა სუბსიდიები წარმოებაზე არის სუბსიდიები, რომელსაც:

ა) საწარმოები იღებენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებიდან წარმოების ფაქტორთა გამოყენებისათვის

ბ) იღებენ სავაჭრო ორგანიზაციები იმპორტული საქონლის გასაყიდად რეზიდენტებზე უფრო დაბალ ფასებში

გ) საწარმოები იღებენ გარემოს დაბინძურების შემცირების სტიმულირების მიზნით

დ) იღებენ სავაჭრო ორგანიზაციები არარეზიდენტებისთვის უფრო დაბალ ფასებში მისაყიდად

14. შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენებას არ მიეკუთვნება:

ა) მოგება

ბ) შრომის ანაზღაურება

გ) მშპ

დ) შუალედური მოხმარება

15. შრომის ანაზღაურება:

ა) მოიცავს მოცემულ პერიოდში დაქირავებულის ყველა ფულად ანაზღაურებას

ბ) მოიცავს მოცემულ პერიოდში დაქირავებულის ყველა ნატურალურ ანაზღაურებას

გ) ეას-ში გაითვალისწინება დარიცხული თანხით

დ) მოიცავს ხელფასს და სოციალური დაზღვევის ფაქტობრივ და პირობით გადარიცხვებს

16. თუ მეწარმე დასაქმებულის სასარგებლოდ გადარიცხავს თანხას კერძო საპენსიო ფონდში, ეს იქნება:

ა) სოციალური დაზღვევის ფაქტობრივი გადარიცხვები

ბ) სოციალური დაზღვევის პირობითი გადარიცხვები

17. თუ მეწარმე დასაქმებულს დაეხმარება პროფესიული ტრამვის მიღების გამო, ეს იქნება:

ა) სოციალური დაზღვევის ფაქტობრივი გადარიცხვები

ბ) სოციალური დაზღვევის პირობითი გადარიცხვები

18. გადასახადები პროდუქტებზე არის:

ა) დამატებული ღირებულების გადასახადი

ბ) გადასახადი წიაღისეულით სარგებლობაზე

გ) ლიცენზირებაზე

დ) აქციზი

ე) გადასახადი რეკლამაზე

ვ) მიწისა და ქონების გადასახადი

19. მონიშნეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი:

ა) მშპ

ბ) ეკონომიკის მთლიანი მოგება

გ) დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება

დ) მთლიანი გამოშვება

20. თუ მთლიან მოგებას დავაკლებთ ძირითადი კაპიტალის მოხმარებას, მივიღებთ:

ა) წმინდა მოგებას

ბ) წმინდა შემოსავალს

გ) შერეულ შემოსავალს

21. მთლიანი მოგება:

ა) დამატებული ღირებულების ის ნაწილია, რომელიც რჩება მწარმოებელთან შრომის ანაზღაურებისა და წმინდა გადასახადების გადახდის შემდეგ

ბ) დამატებული ღირებულების ის ნაწილია, რომელიც რჩება მწარმოებელთან შრომის ანაზღაურების ან წმინდა გადასახადების გადახდის შემდეგ

გ) არის მუხლი, რომლის საშუალებით იზომება წარმოებისაგან მიღებული მოგება ან ზარალი საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების გათვალისწინების შემდეგ

დ) არის მუხლი, რომლის საშუალებით იზომება წარმოებისაგან მიღებული მოგება ან ზარალი საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების გათვალისწინებამდე

22. რომელი მუხლ(ებ)ი შეესაბამება შერეული შემოსავალს:

ა) შემოსავლების ჯამი სხვადასხვა საქმიანობიდან

ბ) სხვადასხვა ინსტიტუციური ერთეულების ერთობლივი შემოსავალი

გ) ფიზიკური პირის შემოსავალი სამეწარმეო საქმიანობიდან

დ) შინამეურნეობების შემოსავლები, რომელთა დაყოფა შრომის ანაზღაურებად და მოგებად შეუძლებელია

23. შეადგინეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიში შემდეგი პირობითი მონაცემების საფუძველზე:

მთლიანი გამოშვების ღირებულება საბაზისო ფასებში	1200
სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე	38
არაპირდაპირი გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე	350
შუალედური მოხმარება	615
შრომის ანაზღაურება	716
ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	164

ამოხსნა:

24. მოცემულია შემდეგი მაჩვენებლები (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი):

ეკონომიკის მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები	3620
დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება	4270
არაპირდაპირი გადასახადები, სულ	1213
მათ შორის გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე	936
სუბსიდიები, სულ	312
მათ შორის სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე	274

შეადგინეთ წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიშები, თუ შუალედური მოხმარება მთლიანი გამოშვების 47%-ია საბაზისო ფასებში.

ამოხსნა:

25. გვაქვს შემდეგი მონაცემები რეგიონის ეკონომიკის ფუნქციონირების შესახებ (მლნ. ლარი):

მომუშავეთა შრომის ანაზღაურება	233
არაპირდაპირი გადასახადები, სულ	85

მათ შორის გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე	69
სუბსიდიები, სულ	17
მათ შორის სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე	17
ეკონომიკის მთლიანი მოგება	309
შუალედური მოხმარება	498

განსაზღვრეთ მშპ საბაზრო ფასებში, აგრეთვე ეკონომიკის მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში.

ამოხსნა:

26. მოხმარების რომელ სახეს მიეკუთვნება თითოეული მაჩვენებელი:

	შუალედური	**საბოლოო**
მსუბუქი ავტომობილის და სხვა გრძელვადიანი მოხმარების საგნების შეძენა		
სატვირთო ავტომობილის შეძენა		
თესლისა და ნერგების შეძენა		
სახლის ან ბინის შეძენა		
საკუთარი მოხმარებისთვის შინამეურნეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა		
შენობის საარენდო		

გადასახადი		
მოგება ან შერეული შემოსავალი		

27. გაიანგარიშეთ შრომის ანაზღაურება, თუ მთლიანი საოპერაციო მოგება 10 980 მლნ, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე 4 448 მლნ, სუბსიდიები პროდუქციაზე 148 მლნ; მშპ 29 150 მლნ.

ამოხსნა:

28. შეავსეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიშის ცარიელი სტრიქონები:

რესურსები	
მთლიანი შიდა პროდუქტი	**9,824.3**
(-) ძირითადი კაპიტალის მოხმარება	**976.8**
(=) შიდა პროდუქტი, წმინდა	
გამოყენება	
შრომის ანაზღაურება	**1,641.1**
ხელფასები	**1,269.8**
სოციალური ანარიცხები	
გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	
გადასახადები პროდუქციაზე	**892.1**

დამატებული ღირებულებისა და აქციზის გადასახადები	**791.9**
გადასახადი იმპორტზე დღგ-სა და აქციზის გარდა	**100.1**
სხვა გადასახადები წარმოებაზე	**134.1**
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	**57.3**
მთლიანი საოპერაციო მოგება	**4,397.1**
საოპერაციო მოგება, წმინდა	
მთლიანი შერეული შემოსავალი	**2,817.3**
(-) დარიცხული ცვეთა შინამეურნეობების სექტორში	
შერეული შემოსავალი, წმინდა	**2,704.1**

მონიშნეთ სწორი:

29. კომპანიის მიერ გადახდილი გადასახადები პროდუქციაზე:

ა) წარმოების ანგარიშის შუალედური მოხმარება (შმ)

ბ) წარმოების ანგარიშის რესურსი

გ) არცერთი

დ) ორივე (ა და ბ)

30. საბაზრო მწარმოებლის მიერ ნედლეულის შესყიდვა, რომელიც გამოყენებული იქნება საწარმოო პროცესში, არის:

ა) შმ წარმოების ანგარიშში

ბ) საოპერაციო მოგება შემოსავლების ფორმირების ანგარიშში

გ) გამოშვება საკუთარი საბოლოო გამოყენებისთვის წარმოების ანგარიშში

დ) არცერთი

ნაწილი II

2. პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

მოცემული ანგარიშის დანიშნულებაა გვიჩვენოს, თუ როგორ გადადის დამატებული ღირებულების მწარმოებელ სექტორებში შექმნილი შემოსავალი სხვა მიმღებ სექტორებში პირველადი შემოსავლის სახით. პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშს მთელი ეკონომიკისთვის ასეთი სახე აქვს:

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში	
გამოყენება	**რესურსები**
6. შემოსავლები საკუთრებიდან, გადაცემული „დანარჩენი მსოფლიოსათვის“ **7. მთლიანი ეროვნული შემოსავალი** **8. სულ (6 + 7)**	1. მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავლები 2. შრომის ანაზღაურება 3. წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე 4. შემოსავლები საკუთრებიდან, მიღებული „დანარჩენი მსოფლიოსაგან“ **5. სულ (1 + 2 + 3 + 4)**

ინსტიტუციური ერთეულების ან სექტორების დონეზე:

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში	
გამოყენება	**რესურსები**
6. შემოსავლები საკუთრებიდან, გადაცემული „დანარჩენი მსოფლიოსათვის“ **7. პირველადი შემოსავლების სალდო (5 – 6)**	1. მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავლები 2. შრომის ანაზღაურება 3. გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე -სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე 4. შემოსავლები

8. სულ (6 + 7)	საკუთრებიდან, მიღებული „დანარჩენი მსოფლიოსაგან“ **5. სულ (1 + 2 + 3 + 4)**

ანგარიშის **რესურსების ნაწილი** ორი ძირითადი სახის შემოსავლებისაგან შედგება:

- **პირველში შედის:** დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება, რომელსაც იღებენ შინამეურნეობები, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე სუბსიდიების გამოკლებით და საწარმოთა მოგება ან შერეული შემოსავლები. აღნიშნულ პირველად შემოსავლებს იღებენ რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ წარმოების პროცესში, ან ამ პროცესში მონაწილეობენ გადასახადების გადახდის გზით.
- **მეორე სახის შემოსავლებია:** ფინანსურ და არაწარმოებულ აქტივებზე (ბუნებრივი რესურსები მიწის ჩათვლით) საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები.

ეას-ში **შემოსავლები საკუთრებიდან** შემდეგი სახით კლასიფიცირდება: პროცენტები, კორპორაციების განაწილებული მოგება, მათ შორის დივიდენდები, რეინვესტირებული შემოსავლები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან, შემოსავლები სადაზღვევო პოლისების ფლობიდან, რენტა.



პროცენტები საკუთრებიდან მიღებული შემოსავლის ისეთი ფორმაა, რომელსაც იღებენ ფინანსური აქტივების მფლობელები. მათ მიეკუთვნება: საშემნახველო შენატანები, ფასიანი ქაღალდები (აქციების გარდა), სესხები ან დებიტორთა სხვა ანგარიშები. ყველა ეს ფინანსური მოთხოვნა წარმოადგენს დებიტორთა ვალდებულებებს კრედიტორების მიმართ.

კორპორაციათა განაწილებული შემოსავალი (მოგება) შედგება დივიდენდებისა და კვაზიკორპორაციების შემოსავლების ამოღებებისაგან.

- **დივიდენდი** წარმოადგენს საკუთრებიდან მიღებული შემოსავლის ფორმას იმ შემთხვევაში, როდესაც აქციონერი თავის სახსრებს გადასცემს კორპორაციის განკარგულებაში (აქციების ყიდვის გზით).
- **კვაზიკორპორაციების ამოსაღები შემოსავალი** - საკუთრებიდან შემოსავლის ეს ფორმა დაერიცხება კვაზიკორპორაციის მფლობელს საწარმოში ინვესტირებული სახსრების შესაბამისად.

თუ კორპორაციაში ან კვაზიკორპორაციაში უცხოელი ინვესტორი ახორციელებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას, ამ საწარმოს ეწოდება **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საწარმო.**

ჩაუღრმავდით

დივიდენდები, რომელსაც უცხოელ ინვესტორებს უხდიან, ეას-ში განიხილება როგორც საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების საერთაშორისო ნაკადები. ეას-ის მოთხოვნების შესაბამისად დანაზოგები ან გაუნაწილებელი მოგება უნდა განვიხილოთ როგორც უცხოელი ინვესტორებისათვის გადარიცხული (საწარმოში საკუთრების წილის პროპორციულად) და შემდეგ რეინვესტირებული. ტექნიკურად ეს ხორციელდება ორი ჩანაწერით საწარმოთა და უცხოელი ინვესტორის ანგარიშებზე. პირველი - პირველადი შემოსავლების ანგარიშში, როგორც პირობითად გამოთვლილი გადარიცხვის თანხა, ხოლო მეორე - რეინვესტირების პირობითი თანხა, რომელიც კაპიტალის ანგარიშში აისახება აქციებისა და აქტივების სხვა ფორმით.

სიცოცხლის დაზღვევის რეზერვებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი განიხილება როგორც შინამეურნეობების შემოსავალი სადაზღვევო პოლისების შეძენიდან.

რენტას იღებენ არაწარმოებული აქტივების (წიაღისეული, მიწა) მფლობელები სხვა ინსტიტუციური ერთეულებისათვის გადაცემული აქტივით სარგებლობისათვის.

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში ასახავს აგრეთვე ფაქტორული შემოსავლების მიღებას (ან გადაცემას) საზღვარგარეთიდან. ფაქტორულ შემოსავლებს მიეკუთვნება, მაგალითად, საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ მიღებული ხელფასი ან საქართველოს საწარმოების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული მოგება, რომელიც შემდგომ გადმოირიცხება საქართველოში საბოლოო მოხმარების ან დაგროვების მიზნით. ამასთან, საწარმოები და ცალკეული მოქალაქეები უნდა იყვნენ რეზიდენტები. შესაბამისად, უცხოელი მოქალაქეებისა და საწარმოების შემოსავლები, რომლებიც არ არიან რეზიდენტები, არ მოიხმარება ჩვენს ტერიტორიაზე და ამიტომ გამოირიცხება აღნიშნული ანგარიშიდან. შედეგად პირველადი შემოსავლების სიდიდე რამდენადმე იცვლება, ამ მაჩვენებელს მთელი ეკონომიკის მასშტაბით ეწოდება ეროვნული შემოსავალი, ხოლო ცალკეული სექტორების დონეზე - პირველადი შემოსავლების სალდო.

როდესაც წარმოების ანგარიშიდან პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშზე გადავდივართ, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ცნებები ,,პროდუქტი" და ,,შემოსავალი". კერძოდ, მშპ წარმოებისთვის დამახასიათებელი მაჩვენებელია, ხოლო ეროვნული შემოსავალი - რეზიდენტი ერთეულების შემოსავლებისა. მშპ და ეროვნული შემოსავალი ერთმანეთისაგან განსხვავდება საზღვარგარეთიდან მიღებული და საზღვარგარეთისთვის გადარიცხული შემოსავლების სალდოს სიდიდით. სალდოს ეს სიდიდე საქართველოსთვის შეიძლება საკმაოდ მცირე იყოს (475 მლნ. ლარი 2016 წლისთვის) და ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ, მაგრამ ეკონომიკური შინაარსის მიხედვით აქ ხდება გადასვლა ერთი კატეგორიიდან მეორეზე, კერძოდ, წარმოებიდან შემოსავლების კატეგორიებზე.

დამაბალანსებელი მუხლია **პირველადი შემოსავლების სალდო**. ეს არის ყველა მიღებული და გადახდილი შემოსავლების სხვაობა.

მთელი ეკონომიკის მასშტაბით პირველადი შემოსავლების სალდო ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამორიცხვამდე შეადგენს **მთლიან ეროვნულ შემოსავალს** (მეშ).

მეშ = მშპ + შემოსავლების სალდო საზღვარგარეთიდან.

თუ მეშ-ს გამოვაკლებთ ძირითადი კაპიტალის მოხმარებას, მივიღებთ წმინდა ეროვნულ შემოსავალს:

წეშ = მეშ - ძირითადი კაპიტალის მოხმარება

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში ასახავს რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების ან სექტორების საქმიანობას არა მწარმოებლების, არამედ პირველადი შემოსავლების მიმღებთა როლში. რადგან ამ ანგარიშს უკვე აღარ გააჩნია უშუალო კავშირი წარმოებასთან, ამიტომ იგი დგება მხოლოდ ინსტიტუციური ერთეულებისა და სექტორებისათვის (და არა ცალკეული დარგისათვის).

	2011	2012	2013	2014	2015
რესურსები **Resources**					
მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავლები *Gross operating surplus and gross mixed income*	14,276.6	14,911.6	15,007.0	16,260.6	17,945.3
შრომის ანაზღაურება *Compensation of employees*	6,440.0	7,328.5	8,069.0	8,590.3	9,189.8
გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე *Taxes on production and on imports*	3,751.5	4,055.2	3,918.5	4,448.4	4,778.8
(-) სუბსიდიები *(-) Subsidies*	124.1	128.0	147.2	148.8	158.3
შემოსავლები საკუთრებიდან, მიღებული "დანარჩენი მსოფლიოსაგან" *Property income receivable from the rest of the world*	1,273.7	1,778.8	1,535.4	1,738.0	1,893.9
რესურსები, სულ ***Total resources***	**25,617.7**	**27,946.1**	**28,382.7**	**30,888.5**	**33,649.5**
გამოყენება ***Uses***					
შემოსავლები საკუთრებიდან, გადაცემული "დანარჩენი მსოფლიოსათვის" *Property income payable to the rest of the world*	1,986.0	2,020.5	2,042.1	2,005.9	2,764.6
მთლიანი ეროვნული შემოსავალი *Gross National Income*	23,631.7	25,925.6	26,340.7	28,882.5	30,884.8
გამოყენება, სულ ***Total uses***	**25,617.7**	**27,946.1**	**28,382.7**	**30,888.5**	**33,649.5**

ჩანართი 1. **როგორ ავაგოთ პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში**

ამოცანა

გვაქვს შემდეგი მონაცემები ეკონომიკის მიხედვით (მლნ. ლარი):

1. მთლიანი გამოშვების ღირებულება ძირითად ფასებში 7748.04
2. არაპირდაპირი გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე 542.15
3. სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე 132.63
4. შუალედური მოხმარება 3612.07

5.	სხვა გადასახდები წარმოებაზე (წმინდა)	254.28
6.	მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები	1958.53
7.	დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული შემოსავლები საკუთრებიდან	80.74
8.	დანარჩენი მსოფლიოსათვის გადაცემული შემოსავლები საკუთრებიდან	273.23

შეადგინეთ პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში.

ამოხსნა:

პირველად ვაწარმოებთ საბაზრო ფასებში მშპ-ს გაანგარიშებას გამოშვების, შუალედური მოხმარებისა და წმინდა გადასახადების საფუძველზე:

7748.0 - 3612.0 + 542.15 - 132.63 = 4545.49

შემდეგ ავაგოთ შემოსავლების ფორმირების ანგარიში, გავაინგარიშოთ შრომის ანაზღაურება როგორც რესურსებისა და გამოყენების ცნობილი მუხლების სხვაობა:

შემოსავლების ფორმირების ანგარიში

გამოყენება	**რესურსები**
დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება = 4545.49 - 663.8 - 1958.53 = 1923.16 წმინდა არაპირდაპირი გადასახადები = 542.15 - 132.63 + 254.28 = 663.8 **ეკონომიკის მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები =** 4545.49 – (1923.16 + 663.8) = 1958.53	მშპ საბაზრო ფასებში = 7748.0 - 3612.0 + 542.15 - 132.63 = 4545.49
სულ 4545.49	სულ 4545.49

პირველადი შემოსავლების განაწილებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამ ანგარიშის რესურსებში გადმოდის შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენების ძირითადი მუხლები.

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

გამოყენება	**რესურსები**
„დანარჩენი მსოფლიოსთვის“ გადაცემული შემოსავლები საკუთრებიდან 273.23 **მთლიანი ეროვნული შემოსავალი** **(პირველადი შემოსავლების სალდო)** 4626.23-273.23=4353.0	დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება 1923.16 წმინდა არაპირდაპირი გადასახადები 663.8 ეკონომიკის მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები 1958.53 „დანარჩენი მსოფლიოდან“ მიღებული შემოსავლები საკუთრებიდან 80.74
სულ 4626.23	სულ 4626.23

3. შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში

აღნიშნული ანგარიში გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება ეკონომიკის, ინსტიტუციური ერთეულებისა და სექტორების შემოსავლების ტრანსფორმაცია მათ განკარგვად შემოსავლებად მიმდინარე ტრანსფერტების მიღების/გაცემის ხარჯზე ნატურალური სოციალური ტრანსფერტების გარეშე.

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში **მნიშვნელოვანია ცალკეული სექტორებისათვის და ნაკლებად მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის მთლიანობაში.** სექტორულ ანგარიშებში გადანაწილების ოპერაციები გატარდება ორჯერ ორმაგი გატარების პრინციპიდან გამომდინარე. ყველა ამ ოპერაციის გატარების შედეგად სექტორებისათვის მიიღება მაჩვენებელი - მთლიანი განკარგვადი შემოსავალი, ხოლო ეკონომიკის მასშტაბით - მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი (მეგშ). სექტორის ან ინსტიტუციური ერთეულის მიერ გადახდილი ტრანსფერტები გატარდება მარცხნივ - განაწილებაში, ხოლო მიღებული - მარჯვნივ, რესურსებში.
მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია. ის მიიღება ინსტიტუციური ერთეულის, სექტორის პირველადი

შემოსავლების სალდოზე მიღებული ტრანსფერტების დამატებით და გაცემული ტრანსფერტების გამოკლებით (სოციალური ტრანსფერტების გარდა ნატურალური ფორმით).

რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკას, მთლიანი ან წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი შეიძლება მივიღოთ შემდეგნაირად: მთლიან ან წმინდა ეროვნულ შემოსავალს ემატება რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების მიერ არარეზიდენტებისაგან მიღებული ყველა მიმდინარე ფულადი და ნატურალური ტრანსფერტი და აკლდება ყველა მიმდინარე ფულადი და ნატურალური ტრანსფერტი, რომელსაც არარეზიდენტები იღებენ მოცემული ქვეყნის რეზიდენტებისაგან. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მეგშ გარკვეული თვალსაზრისით უკეთესი მაჩვენებელია, ვიდრე მეშ.

ემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშს ასეთი სახე აქვს:

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში	
გამოყენება	**რესურსები**
4. მიმდინარე ტრანსფერტები გადაცემული „დანარჩენი მსოფლიოსათვის“ **5. მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი** **6. სულ (4 + 5)**	1. მთლიანი ეროვნული შემოსავალი 2. მიმდინარე ტრანსფერტები მიღებული „დანარჩენი მსოფლიოსაგან“ **3. სულ (1 + 2)**

ტრანსფერტი არის ოპერაცია, როდესაც ერთი ინსტიტუციური ერთეული მეორეს წარუდგენს საქონელს, მომსახურებას ან აქტივს ამ უკანასკნელისაგან რაიმე ეკვივალენტური საქონლის, მომსახურების ან აქტივის (‘quid pro quo’) მიღების გარეშე. ტრანსფერტი ფულადი ფორმით არის ნაღდი ფულის ან ანაბრის გადარიცხვა მეორე ერთეულისათვის რაიმე ეკვივალენტის მიღების გარეშე. ტრანსფერტი ნატურალური ფორმით - საკუთრების უფლების გადაცემა რაიმე საქონელსა ან აქტივზე, მომსახურების გაწევა ეკვივალენტის გარეშე.

ტრანსფერტების გამსხვილებულ კლასიფიკაციას შემდეგი სახე აქვს:

- გადასახადები შემოსავლებზე, სიმდიდრეზე და სხვ.

- სოციალური დაზღვევის ანარიცხები
- სოციალური დახმარება
- სხვა მიმდინარე ტრანსფერტები

საქართველოში უკანასკნელ წლებში შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშს ასეთი სახე აქვს:

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში
SECONDARY DISTRIBUTION OF INCOME ACCOUNT

	2011	2012	2013	2014	2015
რესურსები ***Resources***					
მთლიანი ეროვნული შემოსავალი *Gross National Income*	23,631.7	25,925.6	26,340.7	28,882.5	30,884.8
მიმდინარე ტრანსფერტები, მიღებული "დანარჩენი მსოფლიოსაგან" *Current transfers receivable from the rest of the world*	2,431.5	2,504.7	2,636.1	2,766.3	3,682.6
რესურსი, სულ ***Total resources***	**26,063.2**	**28,430.2**	**28,976.8**	**31,648.8**	**34,567.5**
გამოყენება ***Uses***					
მიმდინარე ტრანსფერტები, გადაცემული "დანარჩენი მსოფლიოსათვის" *Current transfers payable to the rest of the world*	217.6	178.9	198.1	240.4	229.4
მთლიანი განკარგვადი შემოსავალი *Gross Disposable Income*	25,845.6	28,251.4	28,778.7	31,408.4	34,338.0
გამოყენება, სულ ***Total uses***	**26,063.2**	**28,430.2**	**28,976.8**	**31,648.8**	**34,567.5**

შემოსავლების გადანაწილების ანგარიში ნატურალური ფორმით წარმოადგენს შინამეურნეობების, შმაკო-ებისა და სახელმწიფო ორგანოების ინტერესის სფეროს. თითოეული ამ სექტორისათვის აღნიშნული ანგარიშის შედგენის საფუძველზე მიიღება მაჩვენებელი **კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი**. ეს მაჩვენებელი განკარგვადი შემოსავლისაგან განსხვავდება ნატურალური სოციალური ტრანსფერტების მოცულობით, როგორიცაა ჰუმანიტარული დახმარება, არაკომერციული ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული უფასო დასვენება, უფასო საბავშვო ბაღი, საახალწლო დღესასწაულების გამართვა და ა.შ.).

შედეგად, შინამეურნეობების კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი აღმოჩნდება მეტი, ხოლო შმაკო-ებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების - უფრო ნაკლები განკარგვად შემოსავალზე.

ჩანართი 2. **როგორ ავაგოთ შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში**

ამოცანა

გვაქვს შემდეგი მონაცემები ეკონომიკის მიხედვით (მლნ. ლარი):

1.	მთლიანი გამოშვების ღირებულება საბაზრო ფასებში	2000
2.	არაპირდაპირი გადასახადები წარმოებაზე	70
3.	არაპირდაპირი გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე	140
4.	შუალედური მოხმარება	1150
5.	სუბსიდიები წარმოებაზე	15
6.	სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე	27
7.	ხელფასი და სოციალური დაზღვევის ანარიცხები	555
8.	დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული შემოსავლები საკუთრებიდან	34
9.	დანარჩენი მსოფლიოსათვის გადაცემული შემოსავლები საკუთრებიდან	30
10.	დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული ტრანსფერ-ტები	29
11.	დანარჩენი მსოფლიოსათვის გადარიცხული ტრანსფერტები	25

ამოხსნა:

ჯერ ავაგოთ **პირველადი შემოსავლებს განაწილების ანგარიში**, რომელსაც ასეთი სახე ექნება:

გამოყენება	**რესურსები**
სუბსიდიები 15+27=42 გადახდილი შემოსავლები საკუთრებიდან 30 **მთლიანი ეროვნული შემოსავალი** 884-42-30=812	შრომის ანაზღაურება 555 არაპირდაპირი გადასახადები 70+140=210 მთლიანი მოგება/მთლიანი შერეული შემოსავლები (2000-1150)-555-210=85 მიღებული შემოსავლები საკუთრებიდან 34
სულ 884	სულ 884

შემდეგ ავაგოთ **შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში:**

გამოყენება	რესურსები
გადახდილი მიმდინარე ტრანსფერტები 25 **მთლიანი განკარგვადი შემოსავალი** 913-42-30-25=816	ეროვნული შემოსავალი 812 მიღებული მიმდინარე ტრანსფერტები 29
სულ 841	სულ 841

4. შემოსავლების გამოყენების ანგარიში

შემოსავლების გამოყენების ანგარიშის **რესურსს შეადგენს ეროვნული განკარგვადი შემოსავალი**, რომელიც გამოიყენება ეროვნულ საბოლოო მოხმარებად და ეროვნულ დანაზოგად.

ეროვნული საბოლოო მოხმარება - ეს არის შემდეგი სექტორების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე:

- შინამეურნეობები
- სახელმწიფო მართვის ორგანოები
- შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები.

ეროვნული მოხმარების უდიდესი ნაწილი (საქართველოში დაახლოებით 70%) შინამეურნეობების საბოლოო მოხმარებაზე მოდის. ის მოიცავს რეზიდენტი შინამეურნეობების მოხმარებას როგორც მოცემული ქვეყნის, ისე სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ტერიტორიაზე.

შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯები მოიცავს შინამეურნეობების მიერ სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ყიდვას (გარდა სახლებისა და ბინების ყიდვისა), შინამეურნეობებზე ნატურალური ფორმით გადაცემული სამომხმარებლო საქონლის ღირებულებას (მაგალითად, შრომის ანაზღაურება ნატურალური ფორმით, პროდუქციის მიღება ფერმერული მეურნეობიდან და სხვ.) და აგრეთვე საცხოვრისის მომსახურებას, რომელსაც სახლებისა და ბინების მფლობელები ეწევიან საკუთარი მოხმარებისათვის.

შინამეურნეობების დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე მოიცავს:

ა) ახალი მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოხმარების საგნების შეძენას.

ბ) საბაზრო მომსახურების შეძენას, რომელიც მოიცავს:

- ❖ ბინისა და კომუნალური გადასახადების გადახდას
- ❖ სასტუმროში ცხოვრების დანახარჯებს

- საყოფაცხოვრებო მომსახურების ანაზღაურებას (აბანო, სამრეცხაო, საპარიკმახერო, ფოტოატელიე, გაქირავების პუნქტები, ცნობათა ბიურო და აშ)
- ფასიანი სამედიცინო მომსახურება
- ბილეთების შეძენა კინოში, თეატრში, მუზეუმსა და სხვა კულტურულ, საგანმანათლებლო და გართობის ობიექტებში
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა
- სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება
- ბინის, მანქანის, მოწყობილობების დაქირავება
- ფინანსური, იურიდიული და სხვა მომსახურება
- კურსები, ტრენინგები, სხვადასხვა წრეები
- შინამოსამსახურის ანაზღაურება

გ) შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის პროდუქტების დამზადება

დ) შრომის ანაზღაურება ნატურალური ფორმით

ე) უფასო (ან დაბალი ფასებით) მოსამსახურეთა უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებით, კლუბებით, სტადიონებით, დასასვენებელი სახლებით და აშ)

ვ) სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაწეული სოციალური დახმარება ნატურალური ფორმით

ზ) პირობითი რენტა საკუთარ ბინაში ცხოვრებისათვის

თ) საზღვარგარეთიდან მიღებული და გაგზავნილი საჩუქრების ღირებულების სალდო

სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები (საქართველოში დაახლოებით 20%) - სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ წარმოებული არასაბაზრო მომსახურების ღირებულებას დამატებული საქონლის შესყიდვები შინამეურნეობებისთვის გადასაცემად. ამასთან, ამ კატეგორიაში არ ჩაირთვება შინამეურნეობების ნაწილობრივი გადახდები სახელმწიფო მართვის ორგანოების მომსახურებაზე, რომლებსაც ძირითადად არასაბაზრო ხასიათი აქვს.

სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე =
სახელმწიფო მართვის ორგანოების არასაბაზრო მომსახურების გამოშვება

- გაწეულ მომსახურებებზე შინამეურნეობების ნაწილობრივი გადახდები

+ სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ განხორციელებული საქონლის შესყიდვები შინამეურნეობებისთვის გადასაცემად

+ შინამეურნეობებისათვის საქონლისა და მომსახურების შეძენის ხარჯების ანაზღაურება სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდების ხარჯზე.

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების (შმაკო) საბოლოო მოხმარების ხარჯები - ამ ორგანიზაციების მიერ წარმოებული არასაბაზრო მომსახურების ღირებულების ტოლია. ეას-ში პირობითად ითვლება, რომ შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების საბოლოო მოხმარების ყველა ხარჯი ინდივიდუალური მოხმარების ხარჯებია.

აღსანიშნავია, რომ ეას-ში ხდება გამიჯვნა საბოლოო მოხმარების ორ კონცეფციას შორის: პირველი კონცეფცია არის **ხარჯების კონცეფცია**, ხოლო მეორე - **ფაქტობრივი საბოლოო მოხმარების კონცეფცია**. პირველი კონცეფცია უკავშირდება ინსტიტუციურ ერთეულებს, რომლებიც ეწევიან დანახარჯებს საბოლოო მოხმარებაზე, ხოლო მეორე კონცეფცია (ფაქტობრივი მოხმარება) - ინსტიტუციურ ერთეულებს, რომლებიც სარგებელს იღებენ საბოლოო მოხმარების დანახარჯებიდან. მაგალითად, სახელმწიფო მართვის ორგანოები ეწევიან ხარჯებს განათლებაზე, ხოლო შინამეურნეობები - ამისგან სარგებელს ღებულობენ.

შინამეურნეობების ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება ტოლია:

შინამეურნეობების მიერ საბოლოო მოხმარებაზე გაწული ხარჯების ჯამს
+ სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული ინდივიდუალური ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე
+ შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების საბოლოო მოხმარების ხარჯები.

სახელმწიფო მართვის ორგანოების ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება მათი კოლექტიური მოხმარების ხარჯების ტოლია. ამგვარად, მთლიანად ეკონომიკისათვის საბოლოო მოხმარების ხარჯების საერთო ჯამი ფაქტობრივი მოხმარების მთლიანი ჯამის ტოლია. საბოლოო მოხმარების აღნიშნული ორი კონცეფცია ეკონომიკური ანალიზის სხვადასხვა მიმართულებასა და მიზანს შეესატყვისება.

განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში
USE OF DISPOSABLE INCOME ACCOUNT

	2011	2012	2013	2014	2015
რესურსები ***Resources***					
მთლიანი განკარგვადი შემოსავალი *Gross Disposable Income*	25,845.6	28,251.4	28,778.7	31,408.4	34,338.0
რესურსები, სულ ***Total resources***	**25,845.6**	**28,251.4**	**28,778.7**	**31,408.4**	**34,338.0**
გამოყენება ***Uses***					
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე *Final Consumption Expenditures*	22,487.3	23,733.2	23,671.8	25,570.7	28,456.9
მათ შორის: *Of which:*					
შინამეურნეობები *Households*	17,160.3	18,220.3	18,622.1	20,117.4	21,518.2
შმაკ *NPISH*	896.4	880.3	571.0	587.7	659.5
სახელმწიფო მართვის ორგანოები *General government*	4,430.5	4,632.5	4,478.7	4,865.6	6,279.2
მთლიანი დანაზოგი *Gross saving*	3,358.3	4,518.2	5,107.0	5,837.7	5,881.1
გამოყენება, სულ ***Total uses***	**25,845.6**	**28,251.4**	**28,778.7**	**31,408.4**	**34,338.0**

შინამეურნეობების საბოლოო მოხმარებაში არ შედის:

ა) სახლების, ბინების შეძენა (შედის ძირითადი კაპიტალის დაგროვებაში)

ბ) სხვადასხვა საქონლის შეძენა საწარმოო მიზნებისათვის (შუალედური მოხმარება):

- სამშენებლო მასალების შეძენა;
- ვეტერინარული, იურიდიული მომსახურება, ჯოგის დაზღვევა, სამეურნეო ნაგებობებისა და მანქანების დაზღვევა;
- სამეურნეო შენობების, მანქანების, ინვენტარის არენდა;
- ბინათმფლობელების მიერ ჩატარებული მიმდინარე რემონტი, მასალების შეძენასთან ერთად (დამქირავებლები ანალოგიურ ხარჯებს აერთიანებენ საბოლოო მოხმარებაში);
- შინამეურნეობის წევრების მიერ ერთმანეთისათვის გაწეული მომსახურება (შინამოსამსახურის მომსახურება შედის საბოლოო მოხმარებაში)

სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხარჯები მოიცავს უფასო მომსახურების ღირებულებას ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, მეცნიერების, ზოგადი მართვის, თავდაცვისა და სხვა სფეროებში. აღნიშნული დაწესებულებების საბოლოო მოხმარება მოცავს დანახარჯებს საქონლისა და მომსახურების შეძენაზე, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე, გადასახადებსა და ამორტიზაციაზე.

შემოსავლების გამოყენების ანგარიში საშუალებას გვაძლევს გავიანგარიშოთ მშპ საბოლოო გამოყენების (დანახარჯების) მეთოდით. ამ მიდგომით მშპ გაიანგარიშება როგორც **საბოლოო მოხმარებისა და მთლიანი დაზოგვის ჯამი ექსპორტ-იმპორტის სალდოს გათვალისწინებით.**

	2016
P.3 **ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე**	28 241,5
P.3 შინამეურნეობები	21 272,3
P.3 შმაკო (შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები)	716,0
P.3 სახელმწიფო მართვის ორგანოები	6 253,2
P.31 ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება	2 683,6
P.32 კოლექტიური მომსახურება	3 569,6
P.5 **(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება**	11 136,6
P.51 (+) ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	10 310,3
P.52 მარაგების ცვლილება	826,2
P.53 ფასეულობის შეძენა, წმინდა	...
P.6 **(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი**	14 837,8
P.61 საქონლის ექსპორტი	6 938,1
P.62 მომსახურების ექსპორტი	7 899,7
P.7 **(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი**	20 187,5
P.71 საქონლის იმპორტი	16 095,5
P.72 მომსახურების იმპორტი	4 092,0
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში	34 028,5

ჩანართი 3. **როგორ ავაგოთ შემოსავლების გამოყენების ანგარიში**

ამოცანა

გვაქვს შემდეგი პირობით მონაცემები ეროვნული ეკონომიკის მიხედვით (მლნ. ლარი):

1. შრომის ანაზღაურება 2150
2. არაპირდაპირი გადასახადები 375
3. სუბსიდიები 47
4. ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთიდან მიღებული 43
5. ფაქტორული შემოსავლები, საზღვარგარეთ გადაცემული 58
6. ნატურალური სოციალური ტრანსფერტები, მიღებული 36
7. ნატურალური სოციალური ტრანსფერტები, გადაცემული 28

8. მიმდინარე ტრანსფერტები, მიღებული 148
9. მიმდინარე ტრანსფერტები, გადაცემული 121
10. შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება 1934
11. მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარება 217
12. შმაკო-ების საბოლოო მოხმარება 437
13. ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია 325
14. მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები 687
15. შინამეურნეობების შენატანები საპენსიო ფონდებში 88
16. შინამეურნეობების შემოსავლები საპენსიო ფონდებიდან 79

ააგეთ შემოსავლების გამოყენების ანგარიში.

ამოხსნა:

განვსაზღვროთ მაჩვენებლები, რომლებიც აუცილებელია შემოსავლების გამოყენების ანგარიშის შესადგენად.

1) მშპ საბაზრო ფასებში: 2150 + (375-47) + 687 = 3165

2) მეშ საბაზრო ფასებში: 3165 + 43 – 58 = 3150

3) მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი: 3150 + (148-121) = 3177

4) კორექტირებული მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი: 3177 + (36-28) = 3185.

ახლა შევადგინოთ **შემოსავლების გამოყენების ანგარიში:**

გამოყენება	**რესურსები**
შინამეურნეობების შენატანები საპენსიო ფონდებში 88 შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება 1934 მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარება 217 შმაკოების საბოლოო მოხმარება 437 **მთლიანი დაზოგვა** 588 ძირითადი კაპიტალის მოხმარება 325 წმინდა დაზოგვა 263	კორექტირებული მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი 3185 შინამეურნეობების შემოსავლები საპენსიო ფონდებიდან 79
სულ გამოყენება 3264	სულ რესურსები 3264

საკვანძო მომენტები

- პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშის დანიშნულებაა გვიჩვენოს, თუ როგორ გადადის დამატებული ღირებულების მწარმოებელ სექტორებში შექმნილი შემოსავალი სხვა მიმღებ სექტორებში პირველადი შემოსავლის სახით.
- პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშში სამეწარმეო შემოსავალთან ერთად რესურსებში შედის საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები.
- პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში ასახავს აგრეთვე ფაქტორული შემოსავლების მიღებას (ან გადაცემას) საზღვარგარეთიდან.
- როდესაც წარმოების ანგარიშიდან პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშზე გადავდივართ, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ცნებები ,,პროდუქტი" და ,,შემოსავალი". კერძოდ, მშპ წარმოებისთვის დამახასიათებელი მაჩვენებელია, ხოლო ეროვნული შემოსავალი - რეზიდენტი ერთეულების შემოსავლებისა.
- პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია მთლიანი ეროვნული შემოსავალი.
- შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება ეკონომიკის, ინსტიტუციური ერთეულებისა და სექტორების შემოსავლების ტრანსფორმაცია მათ განკარგვად შემოსავლებად მიმდინარე ტრანსფერტების მიღების/გაცემის ხარჯზე.
- შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში მნიშვნელოვანია ცალკეული სექტორებისათვის და ნაკლებად მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის მთლიანობაში.
- შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი.
- კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი განსხვავდება განკარგვადი შემოსავლისაგან ნატურალური სოციალური ტრანსფერტების მოცულობით, როგორიცაა ჰუმანიტარული დახმარება, არაკომერციული ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული უფასო დასვენება, უფასო საბავშვო ბაღი, საახალწლო დღესასწაულების გამართვა და ა.შ.).
- შემოსავლების გამოყენების ანგარიშის რესურსს შეადგენს ეროვნული განკარგვადი შემოსავალი, რომელიც გამოიყენება ეროვნულ საბოლოო მოხმარებად და ეროვნულ დანაზოგად.
- შემოსავლების გამოყენების ანგარიში საშუალებას გვაძლევს გავიანგარიშოთ მშპ საბოლოო გამოყენების (დანახარჯების) მეთოდით. ამ მიდგომით მშპ

გაიანგარიშება როგორც საბოლოო მოხმარებისა და მთლიანი დაზოგვის ჯამი ექსპორტ-იმპორტის სალდოს გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქეთევან მარშავა, მაია მინდორაშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თეორია, პრაქტიკა, ანალიზი. თსუ, 2008.

2. The 2008 SNA – concepts in brief. A complement to the System of National Accounts. World Bank
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/2008SNA-ConceptsBrief.pdf

3. The 2008 SNA – compilation in brief. A complement to the System of National Accounts. World Bank
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/2008SNA-CompilationBrief.pdf

4. The System of National Accounts, 2008 (2008 SNA)
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf

ტესტები და სავარჯიშოები

1. პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში:

ა) გვიჩვენებს, თუ როგორ გადადის დამატებული ღირებულების მწარმოებელ სექტორებში შექმნილი შემოსავალი სხვა მიმღებ სექტორებში

ბ) წარმოების ანგარიშის მომდევნო ანგარიშია

გ) შემოსავლების ფორმირების ანგარიშის მომდევნო ანგარიშია

დ) აიგება მთელი ეკონომიკის, ინსტიტუციური ერთეულების და სექტორების დონეზე

2. პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშის რესურსები:

ა) ორი ძირითადი სახის შემოსავლისაგან შედგება

ბ) საწარმოო საქმიანობიდან და საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების ჯამის ტოლია

გ) მხოლოდ საკუთრებიდან მიღებული შემოსავლებით ივსება

დ) შემოსავლების ფორმირების ანგარიშის მსგავსად, მხოლოდ საწარმოო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს ითვალისწინებს

3. საწარმოო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებია:

ა) საწარმოთა მოგება ან შერეული შემოსავლები

ბ) მიწის საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები

გ) წმინდა გადასახადები

დ) ბუნებრივი რესურსების საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები

4. საკუთრებიდან მიღებული შემოსავლებია:

ა) არაწარმოებული აქტივების ფლობიდან

ბ) შინამეურნეობების სექტორის შრომის ანაზღაურება

გ) ფინანსური აქტივების ფლობიდან

დ) შინამეურნეობების შერეული შემოსავლები

5. მონიშნეთ შემოსავლების განაწილების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლის გაანგარიშების სწორი მეთოდიკა:

ა) ეკონომიკის მთლიანი მოგება + შრომის ანაზღაურება + საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სალდო და მიმდინარე ტრანსფერტების სალდო (მიღებული/ გაცემული საზღვარგარეთ) + წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე

ბ) საბოლოო მოხმარება + მთლიანი დაგროვება + ექსპორტ-იმპორტის სალდო საბოლოო მოხმარება + მთლიანი დაზოგვა

გ) ეკონომიკის მთლიანი მოგება + შრომის ანაზღაურება + საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სალდო (მიღებული-გაცემული საზღვარგარეთ) + წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე

6. მონიშნეთ პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი მთელი ეკონომიკისთვის:

ა) პირველადი შემოსავლების სალდო

ბ) ეკონომიკის მთლიანი მოგება

გ) მთლიანი ეროვნული შემოსავალი

დ) მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი

7. პროცენტები საკუთრებიდან მიღებული შემოსავლის ისეთი ფორმაა, რომელსაც იღებენ:

ა) აქციონერები

ბ) ფინანსური აქტივების მფლობელები

გ) კვაზიკორპორაციის მფლობელები

დ) სადაზღვევო პოლისების მფლობელები

ე) არაწარმოებული აქტივების მფლობელები

8. რენტას იღებენ:

ა) ფინანსური აქტივების მფლობელები

ბ) არაწარმოებული აქტივების მფლობელები

გ) კვაზიკორპორაციის მფლობელები

დ) სადაზღვევო პოლისების მფლობელები

9. ფაქტორული შემოსავლების მიღება (ან გადაცემა) საზღვარგარეთი(სთვის)დან აისახება:

ა) წარმოების ანგარიშში

ბ) შემოსავლების ფორმირების ანგარიშში

გ) პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშში

დ) პირველადი შემოსავლების გამოყენების ანგარიშში

10. ფაქტორულ შემოსავლებს მიეკუთვნება:

ა) საქართველოს რეზიდენტი მოქალაქის მიერ საზღვარგარეთ მიღებული ხელფასი

ბ) საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქის მიერ საზღვარგარეთ მიღებული ხელფასი

გ) საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული მოგება, რომელიც შემდგომ გადმოირიცხება საქართველოში საბოლოო მოხმარების მიზნით

დ) საქართველოს რეზიდენტი საწარმოების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული მოგება, რომელიც შემდგომ გადმოირიცხება საქართველოში დაგროვების მიზნით

11. როდესაც წარმოების ანგარიშიდან პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშზე გადავდივართ, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ცნებები:

ა) საქონელი და მომსახურება

ბ) მოგება და შერეული შემოსავალი

გ) მიმდინარე და კაპიტალური ტრანსფერტები

დ) პროდუქტი და შემოსავალი

12. მონიშნეთ სწორი:

ა) მშპ წარმოებისთვის დამახასიათებელი მაჩვენებელია

ბ) მშპ ახასიათებს რეზიდენტი ერთეულების შემოსავლებს

გ) თუ განსხვავება მშპ-სა და მეშ-ს შორის დიდი არ არის, მაშინ მეშ-ის ეკონომიკური შინაარსი მშპ-ს ემთხვევა

დ) რაც არ უნდა მცირე იყოს განსხვავება მშპ-სა და მეშ-ს შორის, ყოველთვის ხდება გადასვლა წარმოებიდან შემოსავლების კატეგორიებზე

13. მონიშნეთ სწორი:

ა) თუ საზღვარგარეთიდან მიღებული და საზღვარგარეთისთვის გადარიცხული შემოსავლების სალდო დადებითია, მაშინ მშპ მეშ-ზე ნაკლებია

ბ) თუ მეშ-ს გამოვაკლებთ საზღვარგარეთიდან მიღებული და საზღვარგარეთისთვის გადარიცხული შემოსავლების სალდოს სიდიდეს, მივიღებთ წეშ-ს

გ) საქართველოს მშპ მეშ-ზე მეტია, რადგან საზღვარგარეთიდან მიღებული და საზღვარგარეთისთვის გადარიცხული შემოსავლების სალდო უარყოფითია

დ) მეშ-ის განსაზღვრის დროს მნიშვნელობა არ აქვს რომელი ეკონომიკური ტერიტორიიდან იღებენ მოცემული ქვეყნის რეზიდენტები შემოსავლებს

14. პირველადი შემოსავლების სალდო არის:

ა) ყველა მიღებული და გადახდილი შემოსავლების სხვაობა

ბ) ყველა მიღებული და გადახდილი შემოსავლების სხვაობა საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების გარდა

გ) ყველა მიღებული და გადახდილი შემოსავლების სხვაობა საზღვარგარეთიდან მიღებული შემოსავლების გარდა

დ) ყველა მიღებული და გადახდილი შემოსავლების სხვაობა ფაქტორული შემოსავლების გარდა

15. მონიშნეთ სწორი:

ა) მთელი ეკონომიკის მასშტაბით პირველადი შემოსავლების სალდო ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამორიცხვამდე შეადგენს მთლიან ეროვნულ შემოსავალს

ბ) მეშ = მშპ + შემოსავლების სალდო საზღვარგარეთიდან

გ) წეშ = მეშ - ძირითადი კაპიტალის მოხმარება

დ) პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში ასახავს რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების ან სექტორების საქმიანობას არა მწარმოებლების, არამედ პირველადი შემოსავლების მიმღებთა როლში

16. მონიშნეთ სწორი:

ა) წარმოების ანგარიში დგება როგორც ინსტიტუციური ერთეულებისა და სექტორებისათვის, ისე ცალკეული დარგისათვის

ბ) წარმოების ანგარიშის მსგავსად, პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში დგება როგორც ინსტიტუციური ერთეულებისა და სექტორებისათვის, ისე ცალკეული დარგისათვის

გ) შემოსავლების ფორმირების ანგარიშის მსგავსად, პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში დგება ცალკეული დარგისათვის

დ) წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიშისგან განსხვავებით, პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში დგება მხოლოდ ინსტიტუციური ერთეულებისა და სექტორებისათვის

17. შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში:

ა) დგება ეკონომიკის, ინსტიტუციური ერთეულებისა და სექტორების მიხედვით

ბ) გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება მიღებული შემოსავლების ტრანსფორმაცია განკარგვად შემოსავლებად

გ) მიიღება პირველადი შემოსავლების სალდოზე მიმდინარე ტრანსფერტების სალდოს დამატებით ნატურალური სოციალური ტრანსფერტების გარეშე

დ) მნიშვნელოვანია ცალკეული სექტორებისათვის და ნაკლებად მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის მთლიანობაში

18. მთლიანი განკარგვადი შემოსავალი:

ა) შემოსავლების მეორადი განაწილების დამაბალანსებელი მუხლია

ბ) ეკონომიკის მასშტაბით ეწოდება ეროვნული განკარგვადი შემოსავალი

გ) გატარდება შემოსავლების მეორადი განაწილების გამოყენებაში

დ) მიიღება ეროვნულ შემოსავალზე მიღებული ტრანსფერტების დამატებისა და გადახდილი ტრანსფერტების გამოკლების შედეგად

19. შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშის მუხლებია:

ა) მთლიანი ეროვნული შემოსავალი

ბ) მიმდინარე ტრანსფერტები მიღებული „დანარჩენი მსოფლიოსაგან“

გ) „დანარჩენი მსოფლიოდან“ მიღებული შემოსავლები საკუთრებიდან
დ) „დანარჩენი მსოფლიოსთვის“ გადაცემული შემოსავლები საკუთრებიდან

20. მონიშნეთ სწორი:

ა) დანარჩენი მსოფლიოსთვის გადაცემული ტრანსფერტები შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშის რესურსებშია მოთავსებული
ბ) თუ საქონელი, მომსახურება ან აქტივი არ იცვლება ეკვივალენტურ საქონელზე, მომსახურებასა ან აქტივზე, მაშინ ეს ოპერაცია ტრანსფერტია
გ) ტრანსფერტი ფულადი ფორმით არის ნაღდი ფულის ან ანაბრის გადარიცხვა მეორე ერთეულისათვის რაიმე ეკვივალენტის მიღების გარეშე
დ) ტრანსფერტი ნატურალური ფორმით არის საკუთრების უფლების გადაცემა რაიმე საქონელსა ან აქტივზე, მომსახურების გაწევა ეკვივალენტის გარეშე

21. ტრანსფერტებს მიეკუთვნება:

ა) დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება
ბ) სოციალური დაზღვევის ანარიცხები
გ) პენსია
დ) სოციალური დახმარება

22. მონიშნეთ სწორი:

ა) მთლიანი ეროვნული შემოსავლისა და დანარჩენი მსოფლიოსგან მიღებული მიმდინარე ტრანსფერტების ჯამი მთლიანი განკარგვადი შემოსავლისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის გადაცემული მიმდინარე ტრანსფერტების ჯამის ტოლია
ბ) თუ დანარჩენი მსოფლიოსგან მიღებული მიმდინარე ტრანსფერტები აჭარბებს გაცემულს, მაშინ განკარგვადი შემოსავალი მეტი აღმოჩნდება ეროვნულ შემოსავალზე
გ) თუ დანარჩენი მსოფლიოსგან მიღებულ ტრანსფერტებს გამოვაკლებთ გაცემულს, მივიღებთ წმინდა ტრანსფერტებს
დ) თუ დანარჩენი მსოფლიოსგან მიღებულ ტრანსფერტებს გამოვაკლებთ გაცემულს, მივიღებთ ტრასფერტების სალდოს

23. კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი:

ა) წარმოადგენს შინამეურნეობების, შმაკო-ებისა და სახელმწიფო ორგანოების ინტერესის სფეროს
ბ) განკარგვადი შემოსავლისაგან განსხვავდება ნატურალური სოციალური ტრანსფერტების მოცულობით
გ) ასახავს შმაკოებისა და მართვის ორგანოების მიერ შინამეურნეობებისათვის ორგანიზებული უფასო დასვენების, ჰუმანიტარული დახმარებისა და სხვ. ხარჯებს

დ) შინამეურნეობების კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი ყოველთვის მეტია შმაკო-ებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების კორექტირებულ განკარგვად შემოსავალზე

24. მონიშნეთ შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი:

ა) მთლიანი დანაზოგი

ბ) მთლიანი მოგება

გ) მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი

დ) წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება

25. მონიშნეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიშის მაკორესპონდირებელი მუხლები პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშთან:

ა) ეკონომიკის მთლიანი მოგება (შერეული შემოსავლები)

ბ) სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე

გ) გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე

დ) პირველადი შემოსავლების სალდო

ე) მშპ საბაზრო ფასებში

26. ეროვნული განკარგვადი შემოსავალი:

ა) შემოსავლების გამოყენების ანგარიშის რესურსს შეადგენს

ბ) გამოიყენება ეროვნულ საბოლოო მოხმარებად და ეროვნულ დანაზოგად

გ) აბალანსებს შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშს

27. ეროვნულ საბოლოო მოხმარებაში შედის:

ა) შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება

ბ) სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარება

გ) შმაკოების მოხმარება

დ) შუალედური მოხმარება

28. შინამეურნეობების დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე მოიცავს:

ა) სამშენებლო მასალების შეძენას

ბ) ახალი მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოხმარების საგნების შეძენას

გ) შინამოსამსახურის მომსახურებას

დ) ბინის, მანქანის, მოწყობილობების დაქირავებას

29. მონიშნეთ სწორი:

ა) ხარჯების კონცეფცია უკავშირდება ინსტიტუციურ ერთეულებს, რომლებიც ეწევიან დანახარჯებს საბოლოო მოხმარებაზე

ბ) ფაქტობრივი მოხმარების კონცეფცია უკავშირდება ინსტიტუციურ ერთეულებს, რომლებიც სარგებელს იღებენ საბოლოო მოხმარების დანახარჯებიდან

გ) მთლიანად ეკონომიკისათვის საბოლოო მოხმარების ხარჯების საერთო ჯამი ფაქტობრივი მოხმარების მთლიანი ჯამის ტოლი არ არის

დ) ფაქტობრივი მოხმარების კონცეფციის თანახმად, შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება საკუთართან ერთად, სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შმაკოების საბოლოო მოხმარების ხარჯებსაც მოიცავს

30. შინამეურნეობების საბოლოო მოხმარებაში შედის:

ა) სამეურნეო შენობების, მანქანების, ინვენტარის არენდა

ბ) ჯოგის დაზღვევა

გ) პირობითი რენტა საკუთარ ბინაში ცხოვრებისათვის

დ) სახლის შეძენა

31. 1, 2 და 3 ჩანართის მიხედვით შეადგინეთ ამოცანები და ააგეთ შემოსავლების ანგარიშები.

თემა 6

დაგროვების ანგარიშები

ამ თემაში განხილულია მიმდინარე ანგარიშების მომდევნო და სისტემის დამაბოლოებელი დაგროვების ანგარიშები. განსაზღვრულია დაგროვების ანგარიშების უმნიშვნელოვანესი ელემენტი - ეკონომიკური აქტივები, აქტივების საზღვრები ეას-ში, მათი კლასიფიკაცია და განხილულია კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშები.

ნაწილი I

1. დაგროვების ანგარიშები

აქამდე ჩვენ მიერ განხილული ანგარიშები მიეკუთვნებოდა მიმდინარე ანგარიშთა ტიპს, რადგან ყველაფერი, რაც ამ ანგარიშებში აისახება, მიმდინარე პერიოდში მთავრდება. ეას-ში ტერმინი ,,მიმდინარე" ასახავს რეგულარულად განმეორებით პროცესს, რომელიც უშუალოდ კაპიტალს არ ეხება.

ეას-ის დაგროვების ანგარიშები მოიცავს:

- კაპიტალის ანგარიშს
- ფინანსური ანგარიშს
- აქტივების ცვლილებებისა და გადაფასების ანგარიშებს.

ბალანსებისა და დაგროვების ანგარიშების კავშირი კარგად ასახავს მარაგებისა და ნაკადების შესაბამისობის ლოგიკას. ამასთან, გვიჩვენებს ეკონომიკასა და მის სექტორებში კაპიტალის წმინდა ღირებულებას (აქტივებს მინუს ვალდებულებები) და ეკონომიკური პროცესების დიდ მრავალფეროვნებას, რაც მათი ეკონომიკური ქცევის გაგებაში გვეხმარება.

აღსანიშნავია, რომ დაგროვების ანგარიშები და საბალანსო ცხრილები მჭიდროდ უკავშირდება საკუთრებას. თუ ბალანსში აქტივებისა და ვალდებულებების ფლობა დროის მომენტისთვის არის მოცემული, დაგროვების ანგარიშებში აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების ასახვა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ხდება. სწორედ ამიტომ, კაპიტალისა და ფინანსურ ანგარიშებში „გამოყენების" და „რესურსების" ნაცვლად გვაქვს „ცვლილებები აქტივებში" და „ცვლილებები ვალდებულებებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებაში". დაგროვების ანგარიშებით სრულდება სისტემაში მონაწილეთა ტრანსაქცების აღწერა, რაც საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ შესაბამისობას „რეალურ" და „ფინანსურ" ეკონომიკებს შორის. დაგროვების ანგარიშები დგება ინსტიტუციური ერთეულების, სექტორებისა და მთლიანად ეკონომიკისთვის. ამ ანგარიშებში აისახება საკუთრების ცვლილება როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ აქტივებზე. არაფინანსური აქტივების ყველა ცვლილება ჩაიწერება კაპიტალის ანგარიშში, ხოლო ფინანსური აქტივებისა - ფინანსურ ანგარიშში. განსაზღვრის მიხედვით, ფინანსური აქტივების ტრანსაქციების ბალანსი კაპიტალის ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლის („წმინდა დაკრედიტება/სესხება") ტოლია.

დაგროვების ანგარიშების უმნიშვნელოვანესი ელემენტია **ეკონომიკური აქტივები.** ეკონომიკური აქტივები ის ობიექტებია, რომლებიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- ინსტიტუციური ერთეულების მხრიდან მათზე ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ვრცელდება საკუთრების უფლება.
- ეკონომიკური აქტივების მფლობელები მათი ფლობისა და სარგებლობის საფუძველზე გარკვეული პერიოდის მანძილზე იღებენ ეკონომიკურ სარგებელს.

  აქტივისგან ეკონომიკური სარგებლის მიღება შესაძლებელია მისი საწარმოო პროცესში გამოყენებიდან და სხვებისთვის მისი გამოყენების უფლების გადაცემიდან (პროცენტი, დივიდენდი, რენტა). ეკონომიკური სარგებლის მიღება ასევე შესაძლებელია აქტივის, როგორც ღირებულების შემნახველის ფუნქციის გამოყენებიდან (მოსალოდნელი ჰოლდინგური მოგების ან ზარალის ჩათვლით), რაც შეიძლება განხორციელდეს აქტივის განკარგვით (გაყიდვა, გაცვლა და ა.შ.) ან მისი ჩამოწერით.

ჩაულრმავდით

აქტივების საზღვრების გაფართოება ეას-ში

ეას 2008-ში „მეცნიერული კვლევებისა და დამუშავებების“ (R&D) გამოშვება კაპიტალიზირებულია ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტებში; თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ამ სახის საქმიანობას არავითარი სარგებელი არ მოაქვს მწარმოებლისთვის (მესაკუთრისთვის), ის გატარდება როგორც შუალედური მოხმარება. ეას-ში მეცნიერული კვლევები და დამუშავებები აღქმულია როგორც სისტემატურად განხორციელებადი შემოქმედებითი საქმიანობა „დაგროვილი ცოდნის“ მარაგის გასაფართოვებლად, რომელიც მოიცავს ადამიანის, კულტურის, საზოგადოების შეცნობას და ამ ცოდნის გამოყენებას ახალი პროგრამების შემუშავების მიზნით.

ეას-2008-ის კონცეფციით, სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორში ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება მოიცავს დანახარჯებს შეიარაღების სისტემებზე. ითვლება, რომ ეს სისტემები მუდმივად გამოიყენება თავდაცვის მომსახურების გაწევის დროს (მშვიდობის პირობებშიც), რაც მათ შემაკავებელ ეფექტში გამოიხატება. ამიტომ, რეკომენდებულია სამხედრო იარაღის გაერთიანება ფიქსირებულ, ანუ ძირითად კაპიტალში.

ერთჯერადი გამოყენების ობიექტები, როგორიცაა ამუნიცია, რაკეტები, ბომბები და ა.შ. რომელთა ამოქმედება შეიარაღების სისტემებიდან ხდება, ეას-ში გატარდება როგორც სამხედრო მარაგები (საბრუნავი კაპიტალი).

მომიჯნავე შემთხვევები

ეას-2008-ში განხილულია რამდენიმე სასაზღვრო საკითხი: კერძოდ, არ არსებობს მკაფიო ზღვარი შუალედურ მოხმარებასა (IC) და ძირითადი კაპიტალის მთლიან

ფორმირებას (GFCF) შორის. ამ შემთხვევაში, უნდა ვიხელმძღვანელოთ პრაქტიკული მოსაზრებებით - კონცეფციის მიხედვით, IC ზომავს პროდუქციისა და მომსახურების ღირებულებას, რომელიც წარმოების პროცესში გარდაიქმნება ან მთლიანად მოიხმარება, ხოლო GFCF ზომავს ძირითადი კაპიტალის შესყიდვებს წარმოების პროცესში არაერთჯერადი გამოყენებისთვის. მომიჯნავე შემთხვევების მაგალითებია:

მცირე იარაღები: მცირე ზომის იარაღები(ინსტრუმენტები) უნდა მივაკუთვნოთ შუალედურ მოხმარებას, თუ რეგულარულად ხდება მათი შესყიდვა, მაგრამ დანახარჯები მანქანებთან და მოწყობილობებთან შედარებით მცირეა.

ტექნიკური მომსახურება და რემონტი: რეგულარული ტექნიკური მომსახურება და რემონტი ძირითადი კაპიტალის სამუშაო მდგომარეობის შესანარჩუნებლად წარმოადგენს შუალედურ მოხმარებას. ამასთან, კაპიტალური რემონტი და განახლება (რენოვაცია), რაც ზრდის ძირითადი კაპიტალის ეფექტიანობას ან სიმძლავრეს და ახანგრძლივებს აქტივის სამსახურის ვადას, ითვლება ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებად.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება: ყველა დანახარჯი, რაც დაკავშირებულია სასარგებლო წიაღისეულის მოძიებასთან, შედეგის მიუხედავად ითვლება ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებად.

სამხედრო ტექნიკა: ეას-1993-ის თანახმად, სამხედრო იარაღი და მიწოდებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა, როგორიცაა გემები და თვითმფრინავები, განიხილება შუალედურ მოხმარებაში. ის სამხედრო ნაგებობები და აღჭურვილობა (აქტივები), რომლებიც სამოქალაქო მიზნითაც გამოიყენება - შენობები, გზები, აეროდრომები და სატვირთო მანქანები, უნდა განვიხილოთ როგორც ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება.

2008 წლის ეას-ის თანახმად, ერთჯერადი გამოყენების იარაღი, როგორიცაა საბრძოლო მასალები, ტყვია-წამალი, ასაფეთქებელი საშუალებები, რაკეტები, ბომბები და სხვა განიხილება როგორც სამხედრო ინვენტარი; ამასთან, გარკვეული ტიპის ბალისტიკური რაკეტები უკიდურესად დესტრუქციული შესაძლებლობებით, რომლებიც აგრესორების შემაკავებელად გამოიყენება, ძირითად კაპიტალს წარმოადგენს, რადგან შეესაბამება მის საკლასიფიკაციო კრიტერიუმს. პოლიციის მიერ შეძენილი იარაღი ასევე განიხილება როგორც ძირითადი კაპიტალი.

ჩაულრმავდით

ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები - რამდენიმე მაგალითი

ასეთი ტიპის აქტივებს ეას-1993-ში *არამატერიალური აქტივები* ეწოდებოდა. ეს წარმოადგენს საკუთრების უფლების დაწესებას "ცოდნაზე" ერთი ან სხვადასხვა ფორმით. "ცოდნის" შემქმნელ ინსტიტუციურ ერთეულს აქვს არჩევანის უფლება: შეინარჩუნოს მათზე საკუთრება, გაყიდოს ის, ან გარკვეული პერიოდით სხვას გადასცეს სარგებლობის უფლება საფასურის გადახდის საფუძველზე.
ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები ასეთი სახით არის კლასიფიცირებული ეას-2008-ში:

- *მეცნიერული კვლევები და დამუშავებები,* როგორიცაა საწარმოო პროცესისთვის საინჟინრო დიზაინის განვითარება - საკუთარი გამოყენებისთვის ან ლიზინგის მიზნით.
- *სასარგებლო წიაღისეულის მოძიება და მარაგების შეფასება* - ეს მუხლი აღქმულია როგორც ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტის შესყიდვის ხარჯები, რომელიც ჩაიდება საწარმოს ძირითადი კაპიტალის დაგროვებაში.
- *კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზები* - საკუთრი მოხმარებისთვის ან გასაყიდად პროგრამული პროდუქტების შექმნა.
- *ლიტერატურის, ხელოვნებისა და გასართობი ჟანრის ნაწარმოებების ორიგინალები* - ფილმების ორიგინალების, ხმოვანი ჩანაწერების, ხელნაწერების, მოდელების, რადიო და ტელე-პროგრამების, მუსიკალური წამოდგენების, სპორტული ღონისძიებების, ლიტერატურული და ხელოვნების ნიმუშების ჩანაწერები ან ფიზიკური სახით არსებობა.
- *ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტები.*

აქტივების კლასიფიკაცია

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა-2008-ის მიხედვით, ძირითადი საკლასიფიკაციო ცვლილებები შეეხო ფიქსირებულ აქტივებს, ხოლო საბრუნავ კაპიტალს დაემატა მხოლოდ ერთი ქვეკატეგორია „სამხედრო დანიშნულების მატერიალური საბრუნავი საშუალებები“. ეას-ში ყველა აქტივი ორ ძირითად ჯგუფად იყოფა - არაფინანსურ და ფინანსურ აქტივებად. არაფინანსური აქტივების მსხვილი ჯგუფებია:

წარმოებული არაფინანსური აქტივები

- ძირითადი კაპიტალი
- საბრუნავი კაპიტალი
- ფასეულობები

არაწარმოებული არაფინანსური აქტივები

- ბუნებრივი რესურსები
- კონტრაქტები, იჯარის ხელშეკრულებები და ლიცენზიები

- გუდვილი და მარკეტინგული აქტივები

ჩანართი 1. **აქტივების კლასიფიკაცია ეას-2008-ის მიხედვით**

I. არაფინანსური აქტივები

1. წარმოებული აქტივები

1.1. ძირითადი კაპიტალი

- საცხოვრებელი შენობები
- სხვა შენობები და ნაგებობები
  - არასაცხოვრებელი შენობები
  - სხვა ნაგებობები
  - მიწის გაუმჯობესება
- მანქანები და მოწყობილობები
  - სატრანსპორტო საშუალებები
  - საინფორმაციო, კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები
  - სხვა მანქანები და მოწყობილობები
- შეიარაღების სისტემები
- კულტივირებადი ბიოლოგიური რესურსები
  - პროდუქტული პირუტყვი
  - მრავალწლიანი პროდუქტული სასოფლო-სამეურნეო კულტურები და ნარგავები
- არაწარმოებულ აქტივებზე საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები
- ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები
  - მეცნიერული კვლევები და დამუშავებები
  - სასარგებლო წიაღისეულის მოძიება და მარაგების შეფასება
  - კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზები
  - ლიტერატურის, ხელოვნებისა და გასართობი ჟანრის ნაწარმოებების ორიგინალები
  - ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტები

1.2. მატერიალური საბრუნავი კაპიტალის მარაგები

- ნედლეული და მასალები
  - დაუმთავრებელი წარმოება

კულტივირებადი ბიოლოგიური რესურსების დაუმთავრებელი წარმოება

სხვა დაუმთავრებელი წარმოება

მზა პროდუქცია

სამხედრო დანიშნულების მატერიალური საბრუნავი საშუალებები

ხელმეორედ გადასაყიდი საქონელი

1.3. ფასეულობანი

ძვირფასი ქვები და ლითონები

ანტიკვარიატი და ხელოვნების სხვა ნიმუშები

სხვა ფასეულობები

2. არაწარმოებული აქტივები

2.1. ბუნებრივი რესურსები

მიწა

სასარგებლო წიაღისეული

არაკულტივირებადი ბიოლოგიური რესურსები

წყლის რესურსები

სხვა ბუნებრივი რესურსები

რადიოსიხშირეების დიაპაზონები

სხვა

2.2. კონტრაქტები, იჯარის ხელშეკრულებები და ლიცენზიები

დაპატენტებული ობიექტები

საოპერაციო ლიზინგის გადასაცემი ხელშეკრულებები

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნებართვები

საქონლისა და მომსახურების მიღების განსაკუთრებული უფლებები მომავალ პერიოდში

2.3. გუდვილი და მარკეტინგული აქტივები

II. ფინანსური აქტივები

მონეტარული ოქრო და სესხებისს სპეციალური უფლებები

ნაღდი ფული და დეპოზიტები

სასესხო ფასიანი ქაღალდები

სესხები

სააქციო კაპიტალი და აქციები & საინვესტიციო ფონდების საპაიო შენატანები

დაზღვევის, საპენსიო უზრუნველყოფისა და სტანდარტიზებული გარანტიების პროგრამები
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და თანამშრომლების საფონდო ოფციები
კრედიტორებისა და დებიტორების სხვა ანგარიშები.

ჩაულრმავდით

არაფინანსური აქტივების დახასიათება

არაფინანსური აქტივები - ინსტიტუციური ერთეულების მფლობელობაში არსებული ობიექტებია, რომელთა ფლობას, შენახვასა და გამოყენებას მოაქვს რეალური ან პოტენციური ეკონომიკური სარგებელი დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. წარმოშობის მიხედვით ისინი იყოფა **წარმოებულ და არაწარმოებულ აქტივებად.**

არაფინანსური წარმოებული აქტივები იქმნება საწარმოო პროცესის შედეგად და შედგება სამი ძირითადი ელემენტისაგან: **ძირითადი კაპიტალი, მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგები (საბრუნავი კაპიტალი) და ფასეულობანი.**

ძირითადი კაპიტალი - ეს არის საწარმოო აქტივები, რომლებიც საწარმოო პროცესში გამოიყენება მრავალჯერ ან მუდმივად, ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

განვიხილოთ ძირითადი კაპიტალის ზოგიერთი მუხლი:

საცხოვრებელ შენობებს (საცხოვრისს) მიეკუთვნება შენობები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენება საცხოვრებლად ბინების სახით, მათ შორისაა საცხოვრისებთან დაკავშირებული ნაგებობანი, მაგალითად, ავტოფარეხი და ყველა მოწყობილობა, რომელიც ჩვეულებრივ გვხვდება საცხოვრებელ შენობებში, აგრეთვე მცურავი სახლები, გადასატანი სახლები და სახლი-ფურგონები, რომლებიც გამოიყენება როგორც მოსახლეობის ძირითადი საცხოვრისი, აგრეთვე ისტორიული ძეგლები, რომლების იდენტიფიცირებულია როგორც საცხოვრებელი შენობები.

სხვა შენობები და ნაგებობანი - ეს არის არასაცხოვრებელი შენობები და ნაგებობანი (მაგალითად, საწყობები, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების შენობები, სასტუმროები, რესტორნები, სასწავლო შენობები და საავადმყოფოები, გზატკეცილები, ხიდები, მეტროპოლიტენი, კაშხლები, კავშირგაბრულობისა და ელექტროგადამცემი ხაზები, მაგისტრალური მილგაყვანილობები და სხვ.).

მანქანები და მოწყობილობები - ესაა ადამიანებისა და ტვირთის გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალებები, მანქანები და მოწყობილობები, საინფორმაციო, კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები. ეროვნული სიმდიდრის ეს ელემენტი არ მოიცავს შინამეურნეობების მიერ საბოლოო მოხმარებისათვის

შეძენილ მანქანებს და მოწყობილობებს (მაგალითად, მსუბუქი ავტომობილი). ისინი აღირიცხება საცნობარო მუხლში - "ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელი შინამეურნეობებში". მაგრამ, თუ ასეთი მანქანები და მოწყობილობანი გამოიყენება შინამეურნეობაში საწარმოო პროცესის განსახორციელებლად, მაშინ ისინი უნდა მიეკუთვნოს ძირითად კაპიტალს.

შეიარაღების სისტემები – ეს არის სატრანსპორტო საშუალებები და სხვა მოწყობილობები, როგორიცაა სამხედრო გემები, წყალქვეშა ნავები, სამხედრო თვითმფრინავები, ტანკები, რაკეტების გადასატანი და ასამოქმედებელი დანადგარები, რომელთაც საომარი დანიშნულება აქვთ, ხოლო მშვიდობის დროს – შემაკავებელი.

კულტივირებადი ბიოლოგიური რესურსები - სოფლის მეურნეობაში ძირითადი კაპიტალის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, რომელიც მოიცავს პროდუქტიული, საჯიშე და მუშა პირუტყვის, ხეხილის ბაღების, ვენახების და სხვა რეგულარულად მსხმოიარე მცენარეების პლანტაციების ღირებულებას. კულტივირებადი აქტივების დაუმთავრებელი წარმოება (მაგ. მრავალწლიანი ნარგავები, თუ მათ არ მიუღწევიათ სიმწიფის ასაკისათვის, ანუ არასხმოიარე ან მოზარდეული და სუქებაზე დაყენებული პირუტყვი მიეკუთვნება მატერიალურ საბრუნავ საშუალებებს).

ასევე, ძირითადი კაპიტალი შედგება სასარგებლო წიაღისეულის საძიებო ხარჯებისაგან, იმ ობიექტების ღირებულებებისგან, რომლებიც შექმნილია ადამიანის შრომით და წარმოდგენილია ინფორმაციის სახით ელექტრო-გამოთვლითი მანქანების (კომპიუტერების) პროგრამულ უზრუნველყოფაში, აგრეთვე ლიტერატურის, ხელოვნებისა და გასართობი ჟანრის ნაწარმოებების ორიგინალებისაგან. ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედის აგრეთვე კომპიუტერული ბაზების გაფართოების, შეძენისა და დამუშავებისათვის საჭირო მსხვილი დანახარჯები. იგულისხმება, რომ ეს ბაზები გამოიყენება ერთ წელზე მეტი ვადით, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა მათი რეალიზაცია ბაზარზე.

აქტივების შეფასება

როგორც სისტემის სხვა ნაწილში, დაგროვების ანგარიშებშიც მუხლები მიმდინარე საბაზრო ღირებულებებით არის ჩაწერილი. წარმოებული აქტივების შემთხვევაში, თუ ისინი ძირითად კაპიტალს წარმოადგენენ, უნდა მოხდეს ძირითადი კაპიტალის მოხმარების გათვალისწინებასაც. გამონაკლისის სახით, ძირითადი კაპიტალის მოხმარების გათვალისწინება ხდება არაწარმოებული აქტივების შემთხვევაშიც, მაგ. თუ ამ აქტივების ღირებულებაში შედის წარმოებული საქონელი და მომსახურება (მაგალითად, მიწის გაუმჯობესება).

კაპიტალის წმინდა ღირებულება (სააქციო საზოგადოების შემთხვევაში სააქციო კაპიტალი) ინსტიტუციური ერთეულის აქტივებისა და ვალდებულებების სხვაობის ტოლია. კვაზიკორპორაციების შემთხვევაში, კაპიტალის წმინდა ღირებულება ნულის ტოლი უნდა იყოს, რადგან მათი ვალდებულებები ნარჩენი სახით მიიღება. ყველა სხვა ერთეულისთვის კაპიტალის წმინდა ღირებულება დადებითი ან უარყოფითია და დამოკიდებულია მისი აქტივებისა და ვალდებულებების თანაფარდობაზე. ეს იმით აიხსნება, რომ სააქციო ვალდებულებების მიმდინარე საბაზრო ღირებულება მათი საერთო ვალდებულებების გაანგარიშებაში გამოიყენება და შეიძლება აქციონერთა სახსრების ტოლი არ იყოს.

2. კაპიტალის ანგარიში

კაპიტალის ანგარიშში აისახება არაფინანსური აქტივების შესყიდვა და გამოყენება ტრანსაქციებში ჩართული ინსტიტუციური ერთეულების მიერ და კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება დაზოგვისა და კაპიტალური ტრანსფერტების ხარჯზე. აქ აგრეთვე მოცემულია არაფინანსური აქტივების დაფინანსების წყაროები.
მთელი ეკონომიკისთვის კაპიტალის ანგარიშის სქემა შემდეგი სახისაა:

ცვლილებები აქტივებში		ცვლილებები ვალდებულებებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებაში	
კაპიტალის ანგარიში			
		დანაზოგი (წმინდა)	**205**
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	376	კაპიტალური ტრანსფერტების მიღება "დანარჩენი მსოფლიოდან"	62
ძირითადი კაპიტალის შესყიდვებს მინუს გაყიდვები	359	კაპიტალური ტრანსფერტების გადაცემა "დანარჩენი მსოფლიოსათვის"	-65
არაწარმოებულ აქტივებზე საკუთრების უფლების გადაცემის ხარჯები	17		
მარაგების ცვლილება	28		
ფასეულობების შესყიდვებს მინუს გაყიდვები	10		
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-222		
არაწარმოებული აქტივების შესყიდვებს მინუს გაყიდვები	0		

		ცვლილებები კაპიტალის წმინდა ღირებულებაში დანაზოგისა და კაპიტალური ტრანსფერტების ხარჯზე	202
წმინდა დაკრედიტება (+)/ წმინდა სესხება(-)	**10**		

ჩანართი 2. **კაპიტალის ოპერაციების ანგარიში, საქართველო**
(ეს ანგარიში საქსტატის მიერ ქვეყნდება 2010 წლიდან)

კაპიტალის ოპერაციების ანგარიში მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	
	2015
ცვლილებები ვალდებულებებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებაში	
მთლიანი დანაზოგი	6,099.1
კაპიტალური ტრანსფერტების მიღება "დანარჩენი მსოფლიოდან"	147.8
კაპიტალური ტრანსფერტების გაცემა "დანარჩენი მსოფლიოსათვის"	-0.6
სულ	**6,246.3**
ცვლილებები აქტივებში	
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება **ძირითადი კაპიტალის სახეების მიხედვით:**	**9,032.0**
საცხოვრებელი დანიშნულების შენობები	810.4
არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები	2465.1
სხვა ნაგებობები	1325.4
მიწის არსებითი გაუმჯობესება	15.4
სატრანსპორტო მოწყობილობები	1087.3
კომპიუტერული ტექნიკა	478.7
სხვა მოწყობილობები	1664.9
სარძევე და სანაშენე პირუტყვი	870.8
მრავალწლიანი ნარგავები	213.9
პროგრამული უზრუნველყოფა	73.6
სხვა ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები	26.5
მარაგების ცვლილება	**972.3**

წმინდა დაკრედიტება (+)/ წმინდა სესხება(-) დასტატისტიკური განსხვავება	**-3,758.0**
სულ	**6,246.3**

რესურსების ნაწილში ძირითადი მაჩვენებელია **მთლიანი დანაზოგი,** რომელიც გადმოტანილია შემოსავლების გამოყენების ანგარიშიდან. შედარებით პატარა ქვეყნისათვის ეს მაჩვენებელი შეიძლება უარყოფითიც იყოს.

კაპიტალური ტრანსფერტები არის საინვესტიციო გრანტები ფულადი სახით ან ნატურით, რომელსაც ახორციელებს მთავრობა ან დანარჩენი სამყარო რეზიდენტი ან არარეზიდენტი ერთეულებისთვის მათ მიერ შეძენილი ძირითადი კაპიტალის სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსების მიზნით. ეს შეიძლება იყოს კაპიტალური ხასიათის საჩუქრები, გადასახადები კაპიტალზე, მემკვიდრეობა და შემოწირულობანი არარეზიდენტებისგან და სხვ. მიმდინარე ტრანსფერტებისგან განსხვავებით, კაპიტალური ტრანსფერტები გავლენას არ ახდენს დაზოგვაზე.

რესურსების ჯამი წარმოდგენილია მუხლით **ცვლილებები კაპიტალის წმინდა ღირებულებაში დანაზოგისა და კაპიტალური ტრანსფერტების ხარჯზე.** ეს არ არის დამაბალანსებელი მუხლი. ის შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი და გვიჩვენებს რესურსების მოცულობას, რომელიც ერთეულის ან სექტორის მიერ გამოიყენება არაფინანსური და ფინანსური აქტივების შესაძენად. მისი გაანგარიშება ხდება შემდეგი სახით: დაზოგვას დაემატება მიღებული კაპიტალური ტრანსფერტები და გამოაკლდება გაცემული კაპიტალური ტრანსფერტები.

კაპიტალის ანგარიშის **გამოყენების ნაწილში** არჩევენ არაფინანსური აქტივების ხუთი კატეგორიის ცვლილებას:

1. ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება(დაგროვება)
2. ძირითადი კაპიტალის მოხმარება
3. მარაგების ცვლილება
4. ფასეულობათა წმინდა შესყიდვები და
5. არაწარმოებული არაფინანსური აქტივების შესყიდვებს მინუს გაყიდვები.

ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება(ძკმფ) არის მატერიალური და არამატერიალური საწარმოო აქტივების ერთობლიობა. ეს აქტივები საწარმოო პროცესში მონაწილეობენ მრავალჯერ ან მუდმივად ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. სწორედ მრავალჯერადი მოხმარება და არა გამძლეობა იქცა ძირითადი კაპიტალის განსაზღვრის მნიშვნელოვან კრიტერიუმად. ზოგიერთი პროდუქტი, მაგალითად, ნახშირი, ძალიან დიდხანს ინახება, მაგრამ ერთხელ მოიხმარება და ამიტომ არ წარმოადგენს ძირითად კაპიტალს. ძკმფ ასე გაიზომება:

მოცემული პერიოდის განმავლობაში რეზიდენტი მწარმოებლების მიერ ძირითადი კაპიტალის შესყიდვებს მინუს გაყიდვები პლუს არაწარმოებულ აქტივებზე საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, ძკმფ შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.

ასევე, ძირითადი კაპიტალი შედგება სასარგებლო წიაღისეულის საძიებო ხარჯებისაგან, იმ ობიექტების ღირებულებებისგან, რომლებიც შექმნილია ადამიანის შრომით და წარმოდგენილია ინფორმაციის სახით ელექტრო-გამოთვლითი მანქანების (კომპიუტერების) პროგრამულ უზრუნველყოფაში, აგრეთვე ლიტერატურის, ხელოვნებისა და გასართობი ჟანრის ნაწარმოებების ორიგინალებისაგან. ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედის აგრეთვე კომპიუტერული ბაზების გაფართოების, შეძენისა და დამუშავებისათვის საჭირო მსხვილი დანახარჯები. იგულისხმება, რომ ეს ბაზები გამოიყენება ერთ წელზე მეტი ვადით, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა მათი რეალიზაცია ბაზარზე.

ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

1. ეკონომიკური ერთეულის მიერ წარმოებული (სამეურნეო წესით) ან ნაყიდი შენობები, ნაგებობები, მანქანები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები
2. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასა და შეძენაზე გაწეული დანახარჯები
3. ცვლილებანი ჯოგის მატებაში (საჯიშე, მუშა, მეხორცული, პროდუქტიული ჯიშები)
4. დანახარჯები, რომელიც გაიწევა ძირითადი კაპიტალის ნორმალური სამსახურის ვადის გასაგრძელებლად ან ძირითადი კაპიტალის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით
5. გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯები
6. მიწის გასაუმჯობესებლად გაწეული კაპიტალური ხასიათის დანახარჯები
7. მიწის, ძირითადი კაპიტალის, ტყის მასივებისა და არამატერიალური აქტივების საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები გადასახადების ჩათვლით და ა.შ.

ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაში არ შედის:

1. მცირე ინსტრუმენტები, სამუშაო ტანსაცმელი, სათადარიგო ნაწილები, მცირეფასიანი მოწყობილობა (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთ წელზე მეტხანს გვემსახურება).
2. შინამეურნეობების მიერ შეძენილი გრძელვადიანი მოხმარების საგნები (მიეკუთვნება შინამეურნეობების საბოლოო მოხმარებას).

3. მიწის, სასარგებლო წიაღისეულის, ტყის მასივებისა და აგრეთვე არაწარმოებული აქტივების შესყიდვები (აისახება მუხლში „არაწარმოებული კაპიტალის შესყიდვებს მინუს გაყიდვები“).

მარაგების ცვლილებაში იგულისხმება მარაგებში ჩადებისა და ამოღების ღირებულებათა სხვაობა. ეს არის ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია და გადასაყიდი საქონელი.

მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგებში ერთიანდება ყველა ის პროდუქტი, რომელიც მოცემული პერიოდისათვის აქვს სამეურნეო ერთეულს და არ შედის ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებაში. მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგებში შედის:

- სამრეწველო საქონლის მარაგები (ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, საწვავი, მზა არარეალიზებული პროდუქცია)
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარაგები
- სუქებაზე დაყენებული პირუტყვი, მოზარდეული, ბოცვერი, ფრინველი და ფუტკარი
- დაუმთავრებელი წარმოება
- სხვა მარაგები (შეძენილი ხელახალი გაყიდვისათვის).

მარაგების ცვლილება მოცემული პერიოდისათვის გაიანგარიშება როგორც პერიოდის ბოლოსა და დასაწყისში არსებული მარაგების სალდო. მნიშვნელოვანია, რომ პერიოდის ბოლოსა და დასაწყისში მარაგები შეფასდეს ერთსა და იმავე ფასებში, ან საშუალო ფასებში. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიქმნება ეფექტი, რასაც ჰოლდინგური მოგება ეწოდება. ეს არის მოგება, რომელსაც მატერიალური აქტივების მფლობელი იღებს ინფლაციის შედეგად. ინფლაციის შედეგად იზრდება მატერიალური აქტივების ფასი და ეს შესაბამისად დამატებით მოგებას ქმნის. ჰოლდინგური მოგება გადაფასების ანგარიშში აისახება. მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოების მატება ან კლება მიმდინარე საბაზისო ფასებში აისახება, ხოლო გადასაყიდი საქონელი - მყიდველის ფასებში.

ფასეულობები - ძვირფასი ლითონები და ქვები, ანტიკვარიატი, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ისინი იგივე საშემნახველი საშუალებებია. ამასთან, იგულისხმება, რომ დროთა განმავლობაში მათი რეალური ღირებულება არ იცვლება. მათი შეფასება ხდება მყიდველის ფასებში გაყიდვის საკომისიოების დამატებით. ფასეულობათა წმინდა შესყიდვები მოიცავს შესყიდვებისა და გაყიდვების სხვაობას.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება - აისახება კაპიტალის ანგარიშის მარცხენა მხარეს აქტივების ცვლილებაში. ეს არის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში

მოხმარებული ძირითადი კაპიტალის ღირებულება ნორმალური ცვეთისა და ვარგისიანობის გათვალისწინებით, რაც შემთხვევით დანაკარგებსაც მოიცავს. ძირითადი კაპიტალის მარაგების გაანგარიშება რეკომენდებულია მუდმივი ინვენტარიზაციის საფუძველზე მიმდინარე პერიოდის მყიდველის ფასებში.

არაწარმოებული არაფინანსური აქტივების შესყიდვებს მინუს გაყიდვები მოიცავს მიწასა და სხვა არამატერიალურ აქტივებს (სასარგებლო წიაღისეულის, არაკულტივირებადი აქტივებისა და წყლის რესურსების მარაგებს), რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს საქონლისა და მომსახურების წარმოებაში. თავის მხრივ, მიწა არ მოიცავს მიწისზედა (შენობები და სხვა ნაგებობები) ან მიწისქვეშა (გზები, გვირაბები) ნაგებობებს, ვენახებს, ხეხილის ბაღებს. **არაწარმოებული არაფინანსური აქტივები** ეას-ში წარმოდგენილია სამი ტიპის აქტივებით:

- ბუნებრივი რესურსები
- კონტრაქტები, იჯარის ხელშეკრულებები და ლიცენზიები და
- გუდვილი და მარკეტინგული აქტივები.

კონტრაქტები, იჯარის ხელშეკრულებები და ლიცენზიები: ეს არის კონტრაქტები, იჯარა და ლიცენზიები, რომლებიც ფასის დაწესების უპირატესობას ანიჭებენ მფლობელებს და მფლობელს უფლება აქვს კანონიერად მოახდინოს ამ უპირატესობის რეალიზაცია. აქ გამოიყოფა ოთხი ქვე-კატეგორია: საბაზრო საოპერაციო ლიზინგი, როგორიცაა მაღალ ფასში შენობა-ნაგებობის იჯარის უფლება, ნებართვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, როგორიცაა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება მობილური ტელეფონებისთვის, კონკრეტული საქმიანობის განხორციელების ნებართვა, როგორიცაა სპირტიანი სასმელებით საცალო ვაჭრობის ლიცენზიები, მომავალი საქონლისა და მომსახურების ექსკლუზიურად გამოშვების უფლება, როგორიცაა გამომცემლის ექსკლუზიური უფლება, გამოაქვეყნოს ახალი ნამუშევარი ან სატელევიზიო მაუწყებლობის უფლებები სპორტული ღონისძიების ტრანსლაციაზე.

გუდვილი და მარკეტინგული აქტივები: ეს არის კონტრაქტები, იჯარა და ლიცენზიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფასის უპირატესობას მფლობელებისთვის და მფლობელს უფლება აქვს კანონიერად მიიღოს სარგებელი ამ უპირატესობიდან. გუდვილი: შეთავაზებული პრემია, რომელიც აღემატება აქტივებისა და ვალდებულებების წმინდა ღირებულებას. მარკეტინგული აქტივები: ისეთი მუხლები, როგორიცაა ბრენდის სახელები, სავაჭრო ნიშნები, ლოგოები და დომენის სახელები.

ეას-ში გუდვილისა და მარკეტინგული აქტივების აღიარება აქტივებად ხდება მხოლოდ მათი გაყიდვის ან შესყიდვის დროს, როდესაც ხდება ფაქტის დადასტურება.

ჩანართი 3. **კაპიტალის ანგარიშის ტიპური ამოცანების ამოხსნა**

ამოცანა 1

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ეროვნული ეკონომიკის შესახებ (მლნ. ლარი):

1.	ძირითადი კაპიტალის მოქმედებაში შესვლა	**2960**
2.	ინვესტიციები ეკონომიკაში	3140
3.	დაუმთავრებელი მშენებლობის მატება	**180**
4.	ძირითადი კაპიტალის კაპიტალური რემონტის ღირებულება	**212**
5.	მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების შეფასება	2116
6.	დანახარჯები მიწის გაუმჯობესებაზე	**109**
7.	დანახარჯები გეოლოგიურ-საძიებო და საპროექტო სამუშაოებზე	**84**
8.	მოწყ. და ინვენტარის შეძენა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ	**46**
9.	წიგნების შეძენა ბიბლიოთეკებისათვის	**38**
10.	მოსახლეობის ინდივიდუალური მშენებლობა	**460**
11.	პროგრამული პროდუქტების დამზადება და შეძენა	**45**
12.	მრავალწლიანი ნარგავების მოშენება	**52**
13.	მუშა და პროდუქტიული პირუტყვის ღირებულების მატება	**89**
14.	მოსახლეობის მიერ გრძელვადიანი მოხმარების საგნების შეძენა	512
15.	მატერიალური საბრუნავი ფონდების ღირებულების მატება	42
16.	რკინიგზისა და ტრასების კაპიტალური რემონტი	**54**
17.	საკუთრების უფლების გადაცემის ხარჯები მიწაზე	**33**

გაიანგარიშეთ ძირითადი კაპიტალის მთლიანი და წმინდა ფორმირება, თუ ძირითადი კაპიტალის მოხმარება მთლიანი დაგროვების 58%-ია.

ამოხსნა:

1. ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება = 2960 +180 + 212 + 109 +84 + 46 + 38 + 460 + 45 + 52 + 89 + 54 + 33 = 4362.
2. ძირითადი კაპიტალის მოხმარება = 4362 * 0.58 = 2529.96.
3. ძირითადი კაპიტალის წმინდა დაგროვება = 4362 – 2529.96 = 1832.04.

ამოცანა 2

გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ეროვნული ეკონომიკის შესახებ (მლრდ. ლარი):

1.	მთლიანი ეროვნული შემოსავალი	3350
2.	სოციალური ნატურალური ტრანსფერტები, მიღებული	48
3.	სოციალური ნატურალური ტრანსფერტები, გაცემული	40
4.	მიმდინარე ტრანსფერტები, მიღებული	105
5.	მიმდინარე ტრანსფერტები, გაცემული	97
6.	მიწისა და არამატერიალური აქტივების შეძენა საზღვარგარეთ	22
7.	მიწისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვა საზღვარგარეთ	24
8.	კაპიტალური ტრანსფერტები, მიღებული	36
9.	კაპიტალური ტრანსფერტები, გაცემული	28
10.	შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება	2145
11.	მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარება	328
12.	შმაკოების საბოლოო მოხმარება	395
13.	წმინდა დაკრედიტება (+), წმინდა სესხება (-)	?
14.	ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	427
15.	მარაგების წლის დასაწყისში	258
16.	მარაგები წლის ბოლოს	270
17.	ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	316

გაიანგარიშეთ ერის წმინდა დაკრედიტება (+), წმინდა სესხება (-) და შეადგინეთ კაპიტალის ანგარიში.

ამოხსნა:

განვსაზღვროთ აუცილებელი შუალედური მაჩვენებლები:

1. განკარგვადი მთლიანი ეროვნული შემოსავალი:

3350 + (105 - 97) = 3358

2. კორექტირებული განკარგვადი მთლიანი ეროვნული შემოსავალი:

3358 + (48 - 40) = 3366

3. მთლიანი დანაზოგი:

3366 – 2145 - 328 - 395 = 422

4. წმინდა დანაზოგი:

422 – 316 = 106.

5. ერის წმინდა დაკრედიტება (+)/ წმინდა სესხება (-):

422 + (36 – 28) – (22 – 24) – 427 - (270 - 258) = (-7) წმინდა სესხება.

შევადგინოთ კაპიტალის ანგარიში:

ცვლილებები აქტივებში		ცვლილებები ვალდებულებებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებაში	
კაპიტალის ანგარიში			
		მთლიანი დანაზოგი	**422**
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	427	კაპიტალური ტრანსფერტების მიღება "დანარჩენი მსოფლიოდან"	36
მარაგების ცვლილება	12	კაპიტალური ტრანსფერტების გადაცემა "დანარჩენი მსოფლიოსათვის"	-28
არაწარმოებული აქტივების შესყიდვებს მინუს გაყიდვები	-2		
		ცვლილებები კაპიტალის წმინდა ღირებულებაში დანაზოგისა და კაპიტალური ტრანსფერტების ხარჯზე	430
წმინდა დაკრედიტება (+)/ წმინდა სესხება(-)	**-7**		

ტესტები და სავარჯიშოები

1. მიმდინარე ანგარიშები უკავშირდება:

ა) წარმოებას

ბ) შემოსავლების ფორმირებას

გ) აქტივების ცვლილებას

დ) კაპიტალურ ტრანსფერტებს

2. მიმდინარე ანგარიშებში აისახება:

ა) საქონლისა და მომსახურების ნაკადები

ბ) კაპიტალის მარაგები

გ) შემოსავლების გამოყენების მიმართულებები

დ) კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება

3. მონიშნეთ სწორი:

ა) მიმდინარე ანგარიშების ოპერაციები მიმდინარე პერიოდში მთავრდება

ბ) ბალანსში აქტივებისა და ვალდებულებების ფლობა დროის მომენტისთვის არის მოცემული

გ) დაგროვების ანგარიშები დგება ინსტიტუციური ერთეულების, სექტორებისა და მთლიანად ეკონომიკისთვის

დ) დაგროვების ანგარიშებში აისახება საკუთრების ცვლილება როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ აქტივებზე

4. ეას-ის დაგროვების ანგარიში მოიცავს:

ა) შემოსავლების მოხმარების ანგარიშს

ბ) კაპიტალის ანგარიშს

გ) ფინანსურ ანგარიშს

დ) აქტივების ცვლილებებისა და გადაფასების ანგარიშებს

5. მონიშნეთ არასწორი:

ა) დაგროვების ანგარიშები და საბალანსო ცხრილები მჭიდროდ უკავშირდება საკუთრებას

ბ) კაპიტალისა და ფინანსურ ანგარიშებში „გამოყენების“ ნაცვლად გვაქვს „ცვლილებები აქტივებში“

გ) „რესურსების“ ნაცვლად გვაქვს „ცვლილებები ვალდებულებებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებაში“

დ) ტერმინი ,,მიმდინარე” ასახავს რეგულარულად განმეორებით პროცესს, რომელიც უშუალოდ კაპიტალს ეხება

6. შეავსეთ გამოტოვებული:

---------- და დაგროვების ანგარიშების კავშირი კარგად ასახავს მარაგებისა და ---------- შესაბამისობის ლოგიკას. ამასთან, გვიჩვენებს ეკონომიკასა და მის ------- კაპიტალის ------- ღირებულებას (აქტივებს ------ ვალდებულებები) და ეკონომიკური პროცესების დიდ მრავალფეროვნებას, რაც მათი ეკონომიკური ------- გაგებაში გვეხმარება.

7. მონიშნეთ სწორი:

ა) დაგროვების ანგარიშებში აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების ასახვა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ხდება

ბ) დაგროვების ანგარიშებით სრულდება სისტემაში მონაწილეთა ტრანსაქციების აღწერა

გ) დაგროვების ანგარიშებით უზრუნველყოფილია შესაბამისობა „რეალურ“ და „ფინანსურ“ ეკონომიკებს შორის

დ) დაგროვების ანგარიშებში აისახება საკუთრების ცვლილება როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ აქტივებზე

8. მონიშნეთ არასწორი:

ა) არაფინანსური აქტივების ყველა ცვლილება ჩაიწერება კაპიტალის ანგარიშში

ბ) არაფინანსური აქტივების ზოგიერთი ცვლილება ჩაიწერება კაპიტალის ანგარიშში

გ) ფინანსური აქტივების ყველა ცვლილება ფინანსურ ანგარიშში აისახება

დ) ფინანსური აქტივების ტრანსაქციების ბალანსი კაპიტალის ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლის („წმინდა დაკრედიტება/სესხება“) ტოლია

9. აქტივისგან ეკონომიკური სარგებლის მიღება შესაძლებელია:

ა) საწარმოო პროცესში გამოყენებიდან

ბ) სხვებისთვის მისი გამოყენების უფლების გადაცემიდან

გ) გაყიდვიდან

დ) სამსახურის ვადის გასვლის შედეგად ჩამოწერიდან

10. ეას-ში მეცნიერული კვლევები:

ა) ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტებს მიეკუთვნება, თუ ამ საქმიანობას სარგებელი მოაქვს

ბ) ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტებს მიეკუთვნება მაშინაც კი, თუ ამ საქმიანობას სარგებელი მოაქვს

გ) შუალედურ მოხმარებას მიეკუთვნება, თუ ამ საქმიანობას სარგებელი მოაქვს

დ) შუალედურ მოხმარებას მიეკუთვნება, თუ ამ საქმიანობას სარგებელი არ მოაქვს

11. ეას-2008-ის კონცეფციით:

ა) დანახარჯები შეიარაღების სისტემებზე ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების ნაწილია

ბ) დანახარჯები შეიარაღების სისტემებზე შუალედური მოხმარებაა

გ) ტყვიები, ბომბები, სასროლი მასალა შუალედური მოხმარებაა

დ) ტყვიები, ბომბები, სასროლი მასალა ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების შემადგენელია

12. მონიშნეთ სწორი:

ა) ეას-2008-ში არამატერიალურ აქტივებს ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები ეწოდა

ბ) ინტელექტუალური საკუთრების მფლობელს უფლება აქვს შეინარჩუნოს ის, გაყიდოს ან გარკვეული დროით გაასხვისოს

გ) არამატერიალური აქტივების ერთ-ერთი სახეობა, როგორიცაა ლიტერატურის, ხელოვნებისა და გასართობი ჟანრის ნაწარმოებების ორიგინალები, შეიძლება არსებობდეს ფიზიკური ან ჩანაწერის სახით

დ) ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტების გაერთიანება ძირითადი კაპიტალის დაგროვებაში განაპირობა მათზე გაწეული ხარჯების მნიშვნელოვანმა მოცულობამ

13. მონიშნეთ არასწორი:

ა) შუალედურ მოხმარებასა და ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებას შორის ზღვრის გასავლებად უნდა ვიხელმძღვანელოთ პრაქტიკული მოსაზრებებით

ბ) შუალედური მოხმარება ითვალისწინებს ძირითადი კაპიტალის შესყიდვებს წარმოების პროცესში არაერთჯერადი გამოყენებისთვის

გ) თუ მცირე იარაღებზე გაწეული ხარჯები აჭარბებს მანქანებსა და მოაწყობილობებზე გაწეულ ხარჯებს, ისინი შუალედურ მოხმარებაში უნდა გავაერთიანოთ

დ) ბალისტიკური რაკეტები ძირითად კაპიტალს განეკუთვნება

14. სწორია/არასწორია:

- ეას-ში ყველა აქტივი ორ ძირითად ჯგუფად იყოფა
- მიწის გაუმჯობესება ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტია
- წარმოებული არაფინანსური აქტივები სამ ჯგუფად იყოფა
- არაწარმოებული არაფინანსური აქტივები სამ ჯგუფად იყოფა
- სხვა ნაგებობები არაფინანსური წარმოებული აქტივია
- ეკონომიკა ექვს სექტორად იყოფა
- ანტიკვარიატი და ხელოვნების სხვა ნიმუშები ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტებია
- ეას-ის ანგარიშები მიმდინარე და დაგროვების ანგარიშებად იყოფა

15. დაგროვების ანგარიშებში:

ა) მუხლები მიმდინარე საბაზრო ღირებულებებით არის ჩაწერილი

ბ) ძირითადი კაპიტალის გამოყენება მოიცავს ძირითადი კაპიტალის მოხმარებასაც

გ) კვაზიკორპორაციების გარდა ყველა სხვა ერთეულისთვის კაპიტალის წმინდა ღირებულება ან დადებითია ან უარყოფითი და დამოკიდებულია მისი აქტივებისა და ვალდებულებების თანაფარდობაზე

დ) აისახება აგრეთვე შინამეურნეობების მიერ საბოლოო მოხმარებისათვის შეძენილი მანქანები და მოწყობილობები

16. კაპიტალის ანგარიშის:

ა) რესურსების საწყისი მუხლია დანაზოგი, რომელიც შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენებიდან გადმოდის

ბ) რესურსების საწყისი მუხლია დანაზოგი, რომელიც შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშიდან გადმოდის

გ) რესურსების საწყისი მუხლია დანაზოგი, რომელიც შემოსავლების გამოყენების ანგარიშიდან გადმოდის

დ) რესურსების საწყისი მუხლია დანაზოგი, რომელიც შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშიდან გადმოდის

17. რომელი მუხლი არ გატარდება კაპიტალის ანგარიშში:

ა) ბანკიდან სესხის აღება

ბ) მანქანა-დანადგარების შესყიდვა საწარმოს მიერ

გ) მიწის შესყიდვა

18. რომელი მუხლი გატარდება კაპიტალის ანგარიშში:

ა) აქციების შესყიდვა

ბ) შინამეურნეობის მიერ ავტომობილის შეძენა

გ) დანახარჯები მცირე შეკეთებასა და რემონტზე (კოსმეტიკურ რემონტზე)

დ) სამთავრობო გრანტი შენობის მშენებლობაზე

19. რომელი მუხლი არ მიეკუთვნება ძირითად კაპიტალს:

ა) დანახარჯები მიწის გაუმჯობესებაზე

ბ) დანახარჯები კვლევებზე

გ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის ხარჯები

დ) მთავრობის მიერ შეიარაღების სისტემების შესყიდვა

20. რომელი მუხლი შედის ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაში:

ა) მცირე ინსტრუმენტები ერთ წელზე მეტი გამძლეობით

ბ) შინემურნეობების მიერ შეძენილი გრძელვადიანი მოხმარების საგნები

გ) მნიშვნელოვანი შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

დ) მიწის შესყიდვა

21. მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება გატარდება:

ა) წარმოების ანგარიშის რესურსებში

ბ) კაპიტალის ანგარიშის აქტივების ცვლილებაში

გ) ორივე, ა) და ბ)

დ) არცერთი

22. არმიისთვის ამუნიციის შეძენა გატარდება:

ა) წარმოების ანგარიშის გამოყენებაში

ბ) კაპიტალის ანგარიშის აქტივების ცვლილებაში

გ) არცერთი

დ) ა და ბ

23. კაპიტალის ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია:

ა) დანაზოგი

ბ) ცვლილებები კაპიტალის წმინდა ღირებულებაში

გ) ძირითადი კაპიტალის მოხმარება

დ) წმინდა დაკრედიტება/სესხება

24. ცვლილებები კაპიტალის წმინდა ღირებულებაში დანაზოგისა და კაპიტალური ტრანსფერტების ხარჯზე:

ა) არის კაპიტალის ანგარიშის რესურსების ჯამი

ბ) დამაბალანსებელი მუხლია

გ) დადებითი ან უარყოფითია

დ) ერთეულის ან სექტორის მიერ გამოიყენება არაფინანსური და ფინანსური აქტივების შესაძენად

25. კაპიტალის ანგარიშის გამოყენების მუხლებია:

ა) მარაგების ცვლილება

ბ) ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება

გ) დაზოგვა

დ) არაწარმოებული არაფინანსური აქტივების შესყიდვებს მინუს გაყიდვები

26. ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება ასე გაიზომება: მოცემული პერიოდის განმავლობაში **.....** მწარმოებლების მიერ ძირითადი კაპიტალის შესყიდვებს **.....** გაყიდვები **.....** არაწარმოებულ აქტივებზე საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები.

27. ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაში არ შედის:

ა) გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯები

ბ) შინამეურნეობების მიერ შეძენილი გრძელვადიანი მოხმარების საგნები

გ) მიწის გასაუმჯობესებლად გაწეული კაპიტალური ხასიათის დანახარჯები

დ) მიწის შესყიდვები

28. მარაგებს მიეკუთვნება:

ა) დაუმთავრებელი წარმოება

ბ) მზა პროდუქცია

გ) ძვირფასი ლითონები

დ) პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასა და შეძენაზე გაწეული დანახარჯები

29. მუხლი „არაწარმოებული არაფინანსური აქტივების შესყიდვებს მინუს გაყიდვები“ შეეხება:

ა) მიწას

ბ) გუდვილს

გ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლებას

დ) ბრენდის ლოგოს

30. მონიშნეთ სწორი:

ა) პირუტყვის საჯიშე, მუშა, მეხორცული, პროდუქტიული ჯიშები ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაში გაითვალისწინება

ბ) მიწის, სასარგებლო წიაღისეულის, ტყის მასივებისა და აგრეთვე არაწარმოებული აქტივების შესყიდვები ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაში არ გაითვალისწინება

გ) სუქებაზე დაყენებული პირუტყვი, მოზარდეული, ბოცვერი, ფრინველი და ფუტკარი მარაგების ცვლილებაში აისახება

დ) ა, ბ, გ მუხლები კაპიტალის ანგარიშის რესურსია

31. გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ეროვნული ეკონომიკის შესახებ (მლრდ. ლარი):

1.	მთლიანი ეროვნული შემოსავალი	1870
2.	სოციალური ნატურალური ტრანსფერტები, მიღებული	26
3.	სოციალური ნატურალური ტრანსფერტები, გაცემული	28
4.	მიმდინარე ტრანსფერტები, მიღებული	73
5.	მიმდინარე ტრანსფერტები, გაცემული	70
6.	მიწისა და არამატერიალური აქტივების შეძენა საზღვარგარეთ	13
7.	მიწისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვა საზღვარგარეთ	11
8.	კაპიტალური ტრანსფერტები, მიღებული	24
9.	კაპიტალური ტრანსფერტები, გაცემული	21
10.	შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება	?
11.	მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარება	156
12.	შმაკოების საბოლოო მოხმარება	199
13.	წმინდა დაკრედიტება (+), წმინდა სესხება (-)	15
14.	ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება	255
15.	მატერიალური საბრუნავი საშუალებები წლის დასაწყისში	110
16.	მატერიალური საბრუნავი საშუალებები წლის ბოლოს	114
17.	ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	172

შეადგინეთ კაპიტალის ანგარიში და გაიანგარიშეთ შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება.

32. გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები ეროვნული ეკონომიკის შესახებ (მლრდ. ლარი):

1.	ძირითადი კაპიტალის მოქმედებაში შესვლა	210
2.	ინვესტიციები ეკონომიკაში	2370
3.	ძირითადი კაპიტალის რემონტის ღირებულება	144
4.	მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების შეფასება	1834
5.	დანახარჯები მიწის გაუმჯობესებაზე	75
6.	დანახარჯები გეოლოგიურ-საძიები და საპროექტო სამუშაოებზე	46
7.	მოწყობ. და ინვენტარის შეძენა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ	31
8.	წიგნების შეძენა ბიბლიოთეკებისათვის	29
9.	მოსახლეობის ინდივიდუალური მშენებლობა	344
10.	პროგრამული პროდუქტების დამზადება და შეძენა	130
11.	მრავალწლიანი ნარგავების მოშენება	41
12.	მუშა და პროდუქტიული პირუტყვის ღირებულების მატება	72
13.	მოსახლეობის მიერ გრძელვადიანი მოხმარების საგნების შეძენა	386
14.	მატერიალური საბრუნავი კაპიტალის ღირებულების მატება	55
15.	რკინიგზისა და ტრასების კაპიტალური რემონტი	12
16.	ამონაგები ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან	384
17.	საკუთრების უფლების გადაცემის ხარჯები მიწაზე	?
18.	ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება	3244
19.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	?
20.	ძირითადი კაპიტალის წმინდა დაგროვება	1459

განსაზღვრეთ უცნობი ელემენტები.

ნაწილი II

3. ფინანსური ანგარიში

კაპიტალის ანგარიშში აისახება სახსრების გამოყენება არაფინანსური აქტივების დაგროვების მიზნით, ხოლო ფინანსურ ანგარიშში ის, თუ როგორ ხდება ფინანსური აქტივების შევსება შექმნილი დეფიციტის პირობებში: დამატებითი ფინანსური ვალდებულებების (ვალების) აღებით თუ ფინანსური აქტივების ხარჯვით. ან პირიქით, ფინანსური აქტივების სიჭარბის შემთხვევაში - სხვა აქტივების შეძენა ხდება, თუ ვალდებულებების შემცირება (ვალების გასტუმრება). ე.ი. ფინანსური ანგარიში გვიჩვენებს ფინანსური რესურსების განაწილების მექანიზმს კრედიტორ-სექტორებსა და მოვალე-სექტორებს შორის, მაგრამ არ სცემს პასუხს კითხვაზე, თუ ვინ ვის აფინანსებს. ამისათვის უფრო დეტალური ცხრილების შედგენაა საჭირო. ფინანსურ ანგარიშში აქტივებისა და ვალდებულებების იგივე კლასიფიკაცია გამოიყენება, რაც ბალანსებში. ანგარიშის მარცხენა მხარეს ჩაიწერება ფინანსური აქტივების შეძენას მინუს გაყიდვები, ხოლო მარჯვნივ - ვალდებულებების წარმოშობას მინუს გადახდები.

ფინანსური ანგარიშის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ როგორც აქტივების, ისე პასივებისათვის გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტების ერთი და იგივე კლასიფიკაცია:

ცვლილებები აქტივებში		ცვლილებები ვალდებულებებსა და წმინდა კაპიტალში	
ფინანსური ანგარიში			
		წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება	**10**
ფინანსური აქტივების წმინდა შესყიდვა	436	ფინანსური ვალდებულებების წმინდა შესყიდვა	426
მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები (სსუ)	-1	მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები (სსუ)	
ნაღდი ფული და დეპოზიტები	89	ნაღდი ფული და დეპოზიტები	102
სასესხო ფასიანი ქაღალდები	86	სასესხო ფასიანი ქაღალდები	74
სესხები	78	სესხები	47
სააქციო კაპიტალი და აქციები & საინვესტიციო ფონდების საპაიო შენატანები	107	სააქციო კაპიტალი და აქციები & საინვესტიციო ფონდების საპაიო შენატანები	105
დაზღვევის, საპენსიო უზრუნველყოფისა და სტანდარტიზებული გარანტიების პროგრამები	48	დაზღვევის, საპენსიო უზრუნველყოფისა და სტანდარტიზებული გარანტიების პროგრამები	48
წარმოებული ფინანსური	14	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	11

ინსტრუმენტები და თანამშრომლების საფონდო ოფციები		და თანამშრომლების საფონდო ოფციები	
დებიტორებისა და კრედიტორების სხვა ანგარიშები	15	დებიტორებისა და კრედიტორების სხვა ანგარიშები	39

ანგარიშის მარცხენა ნაწილში მოცემულია შესასწავლი სექტორის აქტივებში ცვლილება, სახელდობრ, ფინანსური აქტივების წმინდა შეძენა (ანუ შეძენა გაყიდვის გამოკლებით). მარჯვენა მხარეს მოცემულია ცვლილებები პასივებში. დამაბალანსებელი მუხლი "წმინდა დაკრედიტება (+) ან ვალის წმინდა აღება(-)" გადმოდის კაპიტალის ანგარიშიდან. მაჩვენებლები "აქტივების ან პასივების წმინდა შეძენა" ფინანსური ანგარიშის საბალანსო მაჩვენებლებია, რომლებიც მიიღება მის შემდგომ განლაგებული მაჩვენებლების შეჯამების გზით. ისინი შეიძლება იყოს დადებითი (თუ ხდება აქტივების შეძენა) და უარყოფითი (თუ ხდება აქტივების გაყიდვა ან ვალდებულების აღება).

ფინანსურ ანგარიშში გამოიყოფა **ფინანსური აქტივების შემდეგი კატეგორიები:**

1. მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები (სსუ)
2. ნაღდი ფული და დეპოზიტები
3. სასესხო ფასიანი ქაღალდები
4. სესხები
5. სააქციო კაპიტალი და აქციები&საინვესტიციო ფონდების საპაიო შენატანები
6. დაზღვევის, საპენსიო უზრუნველყოფისა და სტანდარტიზებული გარანტიების პროგრამები
7. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და თანამშრომლების საფონდო ოფციები
8. დებიტორებისა და კრედიტორების სხვა ანგარიშები.

ეას-ის **ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ორი კრიტერიუმი:**

1. აქტივის სამართლებრივი მახასიათებლები, ანუ კრედიტორისა და დებიტორის ურთიერთდამოკიდებულების აღწერა, და
2. აქტივის ლიკვიდურობა, ანუ მისი მიმოქცევის უნარი, გადაცემის შესაძლებლობა, კონვერტირებადობა.

ყველაზე ლიკვიდურია ის აქტივები, რომლებიც მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი საჯარიმო სანქციის გარეშე შეიძლება გადაიცვალოს სხვა ფინანსურ აქტივებზე,

საქონელსა და მომსახურებაზე. მას მიეკუთვნება ოქრო, ნაღდი ფული და დეპოზიტები. დეპოზიტები იყოფა გადასაყვან (ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში) და გადაუყვანელ დეპოზიტებად, მათ შორის უკანასკნელი ნაკლებლიკვიდურია.
შედარებით ნაკლებლიკვიდურია ისეთი ფასიანი ქაღალდებიც, როგორიცაა ვექსილი და ობლიგაცია. გადახდის ვადის ხანგრძლივობის გამო (მოკლევადიანი 1 წლამდე, გრძელვადიანი - წელზე მეტი) ყველაზე ნაკლებლიკვიდურია დაზღვევის, საპენსიო უზრუნველყოფისა და სტანდარტიზებული გარანტიების პროგრამები და დებიტორთა და კრედიტორთა სხვა ანგარიშები.
აქტივის თითოეულ სახეობას ფინანსური ინსტრუმენტების ანგარიშში თავისებურება გააჩნია, კერძოდ:
მონეტარული ოქრო არის ოქრო, რომელიც ფინანსური აქტივის ან საერთაშორისო რეზერვის სახით ინახება ფულად-საკრედიტო დაწესებულებაში. იგი არ მოიცავს ოქროს სამრეწველო გადამუშავებისათვის, ან ეას-ის მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულ ფასეულობას.
ნაღდი ფული - მოიცავს ბანკნოტებსა და მონეტებს მიმოქცევაში და გამოიყენება როგორც გადახდის საშუალება. გამონაკლისია სამახსოვრო მონეტები, რომლებიც ფაქტობრივად მიმოქცევაში არ ხვდება. ნაღდი ფული აქტივის სახით ყველა სექტორში გვხვდება. არჩევენ ნაღდ ფულს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.
დეპოზიტები მიმდინარე ანგარიშებზე (გადასაყვანი დეპოზიტები), რომლებიც დაუყოვნებლივ თავიანთი ნომინალური ღირებულების მიხედვით შეიძლება ვაქციოთ ქვეყნის ვალუტად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მიეკუთვნება ჩეკები, ბანკის საგადასახადო დავალებები და სხვ. დანარჩენ დეპოზიტებს მიეკუთვნება გადაუყვანელი დეპოზიტები, რომლებიც შეუზღუდავად არ შეიძლება გადავაქციოთ ქვეყნის ვალუტად.
სასესხო ფასიანი ქაღალდები არის ფულადი დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს წარმომდგენის ქონებრივ უფლებებს. ფასიანი ქაღალდები ორი სახისაა: სახელობითი და წარმომდგენზე. სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალი შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად: აქციები და სასესხო ვალდებულებები. ეას-ში ისინი განიხილება როგორც ფინანსური აქტივების განსხვავებული კატეგორიები.
სესხები ფინანსური აქტივებია, რომელსაც კრედიტორები უშუალოდ წარუდგენენ მოვალეს. როგორც წესი, სესხის გაფორმება ხდება დოკუმენტურად, გადაცემის უფლების გარეშე. ამ კატეგორიაში შედის სამომხმარებლო კრედიტი (განვადება), კომერციული კრედიტის დაფინანსება, ფინანსური ლიზინგი.
აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს გარკვეული წილის შეტანას სააქციო (საწესდებო) კაპიტალში, რაც უფლებას აძლევს მის მფლობელს მიიღოს

მოგების წილი ანუ დივიდენდი. ეკონომიკური ბუნების მიხედვით აქცია არ არის სასესხო ხელშეკრულება. ინვესტორი თავის სახსრებს გადასცემს, ასე ვთქვათ ,,სამუდამო" სარგებლობაში, ე.ი. მის გაბანკროტებამდე, ან დაშლამდე.

ფინანსური ვალდებულებების უმრავლესობა წარმოიშობა კრედიტორის მიერ დებიტორზე განსაზღვრული რესურსების გადაცემის დროს. ამასთან, კრედიტორი იძენს მოთხოვნას მოვალეზე, ხოლო მოვალე ამ ვალის გადახდის პასუხისმგებლობას. ზოგიერთ შემთხვევაში კრედიტორი იძენს განუხრელ უფლებას ვალის დაბრუნებაზე (დეპოზიტი, სესხი, ფასიანი ქაღალდები აქციის გარდა), სხვა შემთხვევებში ასეთი კატეგორიული ურთიერთობები არ არსებობს და ეას-ში კორპორაციათა პასუხისმგებლობა ინვესტორის მიმართ შეტანილია მოლაპარაკების (შეთანხმების) საფუძველზე.
ფინანსური აქტივების ზოგიერთი სახეობისათვის ფინანსური პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება. მათ მიეკუთვნება მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები (სსუ).
სსუ - ეს არის საერთაშორისო სარეზერვო აქტივები, რომლებიც ინახება სსფ-ის წევრ ცენტრალურ ბანკებში. ეს არის სხვა სარეზერვო აქტივების მიღების უფლება (უცხოური ვალუტა).

ჩაულრმავდით

სისტემის ფარგლებში ფინანსურ ტრანსაქციებს ყოველთვის ახლავს თან პარალელური ტრანსაქციები - ფინანსური ან არაფინანსური. ეას-ში მრავალი ტრანსაქცია მთლიანად ფინანსურ ანგარიშში გატარდება. მაგალითად, როდესაც ერთი სახის ფინანსური აქტივის გაცვლა ხდება მეორე სახის ფინანსურ აქტივზე (კომპანიის აქციების შესყიდვა ნაღდი ფულით ან დეპოზიტის საშუალებით), ასევეა, როდესაც ვალდებულებების დაფარვა ფინანსური აქტივებით ხდება. როდესაც ფინანსური ტრანსაქციის მეორე მონაწილე არაფინანსურია, მაშინ ცვლილება აისახება წმინდა დაკრედიტება/სესხებაში.
ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ტრანსაქციები ჩაიწერება მათი შესყიდვის ან გაყიდვის ფასებით. ეს ფასები გამორიცხავს მომსახურების გადასახადებს, საკომისიოს ან გასამრჯელოს (მაგალითად, ბროკერის საკომისიო) და ისინი ცალკე გატარდება მომსახურების ხარჯებში. ფინანსური ტრანსაქციის ორივე მონაწილისთვის ოპერაციის გატარება ერთი და იმავე დროს უნდა მოხდეს. თუ ტრანსაქციის მეორე მონაწილე არაფინანსურია (მაგალითად, როდესაც სამომხმარებლო კრედიტი ფორმდება საქონელზე ან მომსახურებაზე), მაშინ,

ფინანსურთან ერთად, ჩანაწერი კეთდება შესაბამის არაფინანსურ ანგარიშშიც. თუ ტრანსაქციის ორივე მონაწილე მხარე ფინანსურია, მაშინ ფინანსურ ანგარიშში ჩანაწერი გაკეთდება აქტივზე საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ.

4. საქონლისა და მომსახურების ანგარიში

საქონლისა და მომსახურების ანგარიში ახასიათებს პროდუქტებისა და მომსახურების რესურსებს და მათი გამოყენების მიმართულებას მთელი ეკონომიკის მასშტაბით. იგი წარმოადგენს ეას-ის თავისებურ კრებსით ცხრილს. ამ ანგარიშს აქვს შემდეგი სახე:

საქონლისა და მომსახურების ანგარიში	
რესურსები	**გამოყენება**
1. გამოშვება 2. იმპორტი 3. წმინდა გადასახადები პროდუქტებზე	4. შუალედური მოხმარება 5. საბოლოო მოხმარება 6. მთლიანი დაგროვება 7. ექსპორტი
სულ (1 + 2 + 3)	**სულ (4 + 5 + 6 + 7)**

ამ ანგარიშის საფუძველზე შესაძლებელია მშპ-ის გაანგარიშება ორი მეთოდით: საწარმოო და საბოლოო გამოყენების. საქონლისა და მომსახურების ანგარიშის (სმა) მაჩვენებლების ურთიერთკავშირი სხვა ანგარიშების მაჩვენებლებთან მოყვანილია ქვემოთ ცხრილში:

სმა-ს რესურსები	**ურთიერთკავშირი სხვა ანგარიშებთან**
გამოშვება საბაზისო ფასებში	წარმოების
საქონლისა და მომსახურების იმპორტი	დანარჩენი მსოფლიოს
გადასახადები პროდუქციაზე	წარმოების
სუბსიდიები პროდუქციაზე	წარმოების
სმა-ს გამოყენება	
შუალედური მოხმარება	წარმოების
დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე	შემოსავლების გამოყენების
მთლიანი კაპიტალის ფორმირება	კაპიტალის
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	დანარჩენი მსოფლიოს

დამაბალანსებელი მუხლი ფორმდება მაჩვენებელში ,,სტატისტიკური განსხვავება", იგი ახასიათებს ყველა ანგარიშის შედგენის დროს დაშვებულ შეცდომას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 4-5%-ს.

საქართველოში საქონლისა და მომსახურების ანგარიშს ასეთი სახე აქვს:

საქონლისა და მომსახურების ანგარიში

GOODS AND SERVICES ACCOUNT

	2011	2012	2013	2014	2015
რესურსები ***Resources***					
გამოშვება საბაზისო ფასებში *Output at basic prices*	36,430.7	39,292.9	40,551.3	43,927.3	48,250.5
საქონლისა და მომსახურების იმპორტი *Import of goods and services*	13,334.2	15,124.3	15,475.2	17,627.3	20,571.7
გადასახადები პროდუქციაზე *Taxes on products*	3,492.7	3,790.0	3,659.5	4,203.6	4,445.4
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე *(-) Subsidies on products*	124.1	128.0	147.2	148.8	158.3
რესურსები, სულ ***Total resources***	**53,133.5**	**58,079.2**	**59,538.8**	**65,609.5**	**73,109.3**
გამოყენება ***Uses***					
შუალედური მოხმარება *Intermediate consumption*	15,455.3	16,787.6	17,216.3	18,831.6	20,782.0
დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე *Final consumption expenditures*	22,487.3	23,733.2	23,671.8	25,570.7	28,456.9
მთლიანი კაპიტალის ფორმირება *Gross capital formation*	6,368.0	7,575.4	6,652.9	8,688.9	9,595.8
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი *Exsport of goods and services*	8,822.9	9,983.0	11,997.9	12,518.3	14,274.6
გამოყენება, სულ ***Total uses***	**53,133.5**	**58,079.2**	**59,538.8**	**65,609.5**	**73,109.3**

5. ,,დანარჩენი მსოფლიოს" სექტორის ანგარიშები

ეას-ში აისახება არა მარტო მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების ეკონომიკური ოპერაციები, არამედ რეზიდენტ და არარეზიდენტ ერთეულებს შორის ურთიერთობებიც, რაც ,,დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშებით რეგულირდება.

,,დანარჩენი მსოფლიოს" სექტორი მოიცავს საზღვარგარეთის ინსტიტუციურ ერთეულებს - არარეზიდენტებს, რომლებიც აწარმოებენ გარიგებებს და ეკონომიკურ ოპერაციებს მოცემული ქვეყნის რეზიდენტ ინსტიტუციურ ერთეულებთან.

,,დანარჩენი მსოფლიოს" სექტორში ერთიანდება აგრეთვე მოცემული ქვეყნის გეოგრაფიულ ტერიტორიაზე განლაგებული უცხო ქვეყნის საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო ბაზები, საერთაშორისო ორგანიზაციები.

,,დანარჩენი მსოფლიოს" სექტორი გვევლინება შემოსავლებისა და გასავლების ჩამკეტ რგოლად და გვიჩვენებს საგარეო კავშირების რომელი სტრუქტურის ბაზაზე ხდება ქვეყნის შიგნით შემოსავლებისა და გასავლების დაბალანსება.

,,დანარჩენი მსოფლიოს" სექტორი განიხილება მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების თვალთახედვით. ის, რაც ,,დანარჩენი მსოფლიოსათვის" რესურსია, მოცემული ქვეყნისათვის - განაწილებაა.

მოცემული სექტორის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ არის დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის არც ერთ კონკრეტულ სახეობასთან. ამიტომ ამ სექტორისათვის არ არის საჭირო ანგარიშთა სრული კრებული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების ანგარიშები მოიცავს დანარჩენი მსოფლიოს ოპერაციათა ელემენტებს, ამიტომ ,,დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშები დამატებითია შიდა ეკონომიკის ანგარიშებისათვის.

ეას-ში ასახული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა მოიცავს: საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს, ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ექსპორტსა და იმპორტს, საერთაშორისო კოოპერაციას, შრომითი რესურსების საერთაშორისო მოძრაობას, ინვესტიციების მოძრაობას, საერთაშორისო ტურიზმს, საერთაშორისო-სატრანსპორტო, სადაზღვევო, საკრედიტო, საანგარიშსწორებო ოპერაციებს, ერთობლივი საწარმოების საქმიანობას უცხოური კაპიტალის მონაწილეობით.

,,დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიში **ორი ნაწილისაგან** შედგება:

1. მიმდინარე ოპერაციების ქვეანგარიში და
2. კაპიტალური დანახარჯების ქვეანგარიში.

მიმდინარე ოპერაციების ქვეანგარიში ასახავს შემოსავლების მოძრაობას საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების შეძენის მიზნით, იმ პირობების გათვალისწინებით, რაც მიღებულია გარიგებების საერთაშორისო პრაქტიკაში. ანგარიშის **დამაბალანსებელი მუხლია მიმდინარე ოპერაციების სალდო ,,დანარჩენ მსოფლიოსთან".** გაიანგარიშება როგორც სხვაობა რეზიდენტების მიერ მიღებულ და არარეზიდენტების მიერ მიღებულ შემოსავლებს შორის. სალდო დადებითია, როდესაც რეზიდენტების შემოსავლები აჭარბებს არარეზიდენტების შემოსავლებს.

კაპიტალური დანახარჯების ქვეანგარიში ასახავს საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალითა და არამატერიალური აქტივებით. ამ ქვეანგარიშის **დამაბალანსებელი მუხლია წმინდა დაკრედიტება (+) ან წმინდა სესხება(-).**

6.ეროვნული სიმდიდრე

ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ობიექტური და სრული შეფასება, მისი სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა სტატისტიკის მნიშვნელოვან ამოცანად გვევლინება. ეს მონაცემები აუცილებელია სახელმწიფო მართვის ორგანოებისთვის, რათა განახორციელონ ეკონომიკური განვითარების ანალიზი, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, გადაწყვეტილებების მიღება არსებული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, დაბეგვრის სრულყოფის პრობლემების გადაწყვეტა. ეროვნული სიმდიდრის შესახებ მონაცემები აუცილებელია სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის, რომლებიც შეისწავლიან მაკროეკონომიკას, აგებენ პროგნოზულ მოდელებს, აანალიზებენ ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს, იკვლევენ ეკონომიკაზე ეკოლოგიური პროცესების ზეგავლენას, ატარებენ ალტერნატიულ გაანგარიშებებს, აფართოებენ ეკონომიკური ანალიზის საზღვრებს. გარდა ამისა, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის შეფასებამ შეიძლება დააინტერესოს ინვესტორები, მათ შორის, უცხოელები.

აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ ეროვნული სიმდიდრის ოფიციალური სტატისტიკა და ექსპერიმენტული გაანგარიშებები, რომლებიც ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ცალკეული მეცნიერების მიერ. დღეისთვის ეროვნული სიმდიდრისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ოფიციალური სტატისტიკა, რომლის ელემენტები მუშავდება და ქვეყნდება სტატისტიკური ორგანოების მიერ, ეყრდნობა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის ვარიანტს. იგი მოიცავს ეროვნული სიმდიდრის კონცეფციის დაწვრილებით აღწერას, განსაზღვრავს მის ძირითად ელემენტებსა და შეფასების მეთოდებს.

საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკა მშპ-სა და ეროვნული შემოსავლისაგან დამოუკიდებლად მუშავდებოდა. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (ეროვნული ანგარიშების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დამუშავებისას) იქნა ინტეგრირებული ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებლები ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საერთო სტრუქტურაში. შედარებით სრულად და თანმიმდევრობით ეს ინტეგრაცია, ე. ი. გაანგარიშების მეთოდების შეთანხმება და შესაბამისი მაჩვენებლების შეფასება, განხორციელებული იყო ეას-93-ის დამუშავების დროს.

ზოგადი კონცეფცია და განსაზღვრა

ეროვნული სიმდიდრის კონცეფცია შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

ეროვნული სიმდიდრე არის მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამი რაიმე თარიღისათვის (წლის დასაწყისში ან ბოლოსათვის).

კაპიტალის წმინდა ღირებულება არის ინსტიტუციური ერთეულის ყველა ეკონომიკური აქტივის (არაფინანსური და ფინანსური) ღირებულებასა და მათ ფინანსურ ვალდებულებათა სიდიდეს შორის სხვაობა.

მთლიანად ეკონომიკისათვის ეროვნული სიმდიდრე უდრის არაფინანსური აქტივების ღირებულებას დამატებული წმინდა ფინანსური მოთხოვნები დანარჩენ მსოფლიოსთან. ეროვნული სიმდიდრე შეიძლება აგრეთვე განსაზღვრული იყოს, როგორც ეკონომიკის სექტორების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამი, მათი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.

ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ საზღვარგარეთის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სალდო, ვინაიდან ეროვნული ეკონომიკის სექტორებს შორის წარმოქმნილი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგდაიფარება.

ეროვნულ სიმდიდრეში ჩართული უნდა იყოს მხოლოდ ის აქტივები, რომლებზეც კონკრეტულ სამეურნეო სუბიექტებს შეუძლიათ გაავრცელონ საკუთრების უფლება (ასეთი აქტივებს ეკონომიკური აქტივები ეწოდება).

ეროვნულ სიმდიდრეს არ მიეკუთვნება მოძიებული ბუნებრივი რესურსები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ იყო ჩართული ეკონომიკურ პროცესში, არ წარმოადგენს კონკრეტული ინსტიტუციური ერთეულების საკუთრებას. ყველა აქტივი და ვალდებულება უნდა შეფასდეს იმ მომენტისათვის არსებულ საბაზრო ფასებში და არა მათი შეძენის ფასებში, რასაც ხშირად ადგილი აქვს საბუღალტრო აღრიცხვაში.

ეროვნული სიმდიდრის განმარტებიდან ჩანს, რომ მის შემადგენლობაში ჩართული უნდა იყოს აქტივები, რომლებიც საზღვარგარეთ არის განთავსებული, მაგრამ მოცემული ქვეყნის რეზიდენტების საკუთრებაა (მაგალითად, საელჩოების, საკონსულოების, წარმომადგენლობების და ა. შ. შენობები და ქონება) და, პირიქით: აქტივები, რომლებიც განთავსებულია მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ არარეზიდენტების საკუთრებაა, არ შეიძლება ჩაითვალოს მოცემული ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრედ. თუმცა საზღვარგარეთ განთავსებული კომპანიების აქტივები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივადაა შეძენილი მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ, შეიძლება შევიტანოთ მოცემული ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეში ფინანსური აქტივების მხოლოდ იმ მოცულობით, რაც ადასტურებს რეზიდენტების საკუთრების უფლებას კომპანიაზე ან მის ნაწილზე.

ჩაულრმავდით

რაც შეეხება არარეზიდენტების მიერ შეძენილ შენობებსა და მიწებს, ისინი განიხილება როგორც ფინანსური აქტივების შეძენა, რომელიც აძლევს მათ საკუთრების უფლებას მიწასა და შენობებზე. ამავე დროს, არარეზიდენტებზე მიყიდული მიწა და შენობები პირობითი რეზიდენტ-ერთეულების საკუთრებად ითვლება. ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის შეფასებისას მისი არაფინანსური აქტივების შემადგენლობაში შედის შენობებისა და მიწის ღირებულება, რომელიც გაყიდულია არარეზიდენტებზე, მაგრამ იმავდროულად ეს შეფასებები უნდა აისახოს როგორც მოცემული ქვეყნის ფინანსური ვალდებულება "დანარჩენ მსოფლიოსთან" მიმართებაში და, საბოლოო ანგარიშით, არარეზიდენტებზე გაყიდული მიწა და შენობები ამოღებული იქნება ქვეყნის ეროვნული სიმდიდრიდან. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის აქტივების მოცულობისა და საბაზრო ღირებულების განსაზღვრა რთული ამოცანაა.

ეას-ის მიხედვით, ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშება უნდა განხორციელდეს როგორც მთლიანად ეკონომიკის, ისე მისი სექტორებისათვის.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით აქტივების ღირებულებისა და შემადგენლობის მონაცემები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ეროვნული სიმდიდრის განაწილება, აქტივების ლიკვიდურობა. ძირითადი კაპიტალის შესახებ მონაცემები სექტორების მიხედვით საჭიროა მათი ინვესტიციური აქტიურობისა და დაფინანსებაზე მოთხოვნილების ანალიზისათვის, აგრეთვე წარმოების ეფექტიანობის (კაპიტალუკუგების) შესაფასებლად. მატერიალური საბრუნავი საშუალებების შესახებ მონაცემები საჭიროა მათი ბრუნვადობისა და წარმოების პროცესის უზრუნველყოფის ანალიზისათვის.

ინფორმაციის დეფიციტის გამო ჩვენთან არ ხორციელდება ეროვნული სიმდიდრის ელემენტების აღრიცხვა ეკონომიკური სექტორების მიხედვით.

ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშება მთლიანად ეკონომიკისათვის და კაპიტალის წმინდა ღირებულება ეკონომიკის სექტორებისათვის აისახება აქტივებისა და პასივების ბალანსში, რომელიც დგება პერიოდის საწყისი და საბოლოო მდგომარეობის მიხედვით.

აქტივებისა და პასივების ბალანსი

აქტივები	ოპერაციები და დამაბალანსებელი მუხლები	კაპიტალის წმინდა ღირებულება და ვალდებულებები
	აქტივებისა და პასივების ბალანსი პერიოდის დასაწყისისთვის	

*	არაფინანსური აქტივები	
*	წარმოებული აქტივები	
*	არაწარმოებული აქტივები	
*	ფინანსური აქტივები	
	ფინანსური ვალდებულებები	*
	კაპიტალის წმინდა ღირებულება	*
	ჯამური ცვლილებები აქტივებსა და ვალდებულებებში	
*	არაფინანსური აქტივები	
*	წარმოებული აქტივები	
*	არაწარმოებული აქტივები	
*	ფინანსური აქტივები	
	ფინანსური ვალდებულებები	*
	კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილების შედეგი	*
*	დანაზოგები და კაპიტალური ტრანსფერტები	*
	სხვა ცვლილებები აქტივებში	*
	ნომინალური ჰოლდინგური მოგება(ზარალი)	*
	აქტივებისა და პასივების ბალანსი პერიოდის ბოლოსთვის	
*	არაფინანსური აქტივები	
*	წარმოებული აქტივები	
*	არაწარმოებული აქტივები	
*	ფინანსური აქტივები	
	ფინანსური ვალდებულებები	*
	კაპიტალის წმინდა ღირებულება	*

აქტივებისა და პასივების ბალანსი - ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცხრილია, რადგან ის მოიცავს მონაცემებს მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ კატეგორიაზე - ეროვნული სიმდიდრის შესახებ.

პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოსათვის აქტივებისა და პასივების ბალანსის მაჩვენებლების შედარება საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ პერიოდის განმავლობაში აქტივებისა და ეროვნული სიმდიდრის ღირებულებების ცვლილება, რაც ეკონომიკური ოპერაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი ხასიათის ფაქტორების გავლენის (სტიქიური უბედურება, ხანძარი და სხვ.) შედეგია. ეს ცვლილებები რეგისტრირდება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სხვა ანგარიშებში.

რაიმე პერიოდის განმავლობაში **აქტივების ღირებულების ცვლილება** შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$\Delta_{t+1} = \boldsymbol{A_t} + \Delta_{ეკ.} + \Delta_{სხვ.} + \boldsymbol{M_p},$$

სადაც

A_t და Δ_{t+1} შესაბამისად მოცემული სახის აქტივების ღირებულებაა პერიოდის დასაწყისში და ბოლოსათვის.

$\Delta_{ეკ.}$ - საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ოპერაციების შედეგად აქტივების ღირებულების ცვლილება (წარმოება, ყიდვა-გაყიდვა, უსასყიდლოდ გადაცემა), ე.ი. ესაა სხვაობა შეძენილი და მწყობრიდან გამოსული აქტივების ღირებულებებს შორის, რაც აისახება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფინანსურ ანგარიშში და კაპიტალის ანგარიშში.

$\Delta_{სხვ.}$ - აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებების ღირებულება, დაკავშირებული არაეკონომიკურ ოპერაციებთან (სასარგებლო წიაღისეულის მოძიება, სტიქიური უბედურებები და ა. შ.). $\Delta_{სხვ.}$ აისახება აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებების ანგარიშში.

M_p - აქტივების ღირებულების ნომინალური გადიდება ან შემცირება პერიოდის განმავლობაში, განპირობებული მისი ფასის ცვლილებით, ე.ი. დადებითი ან უარყოფითი ჰოლდინგური მოგებაა. M_p აისახება ეას-ის გადაფასების ანგარიშში.

ასეთივე ურთიერთკავშირი არსებობს ფინანსურ ვალდებულებებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებას შორის.

ჩაულრმავდით

ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლის ღირებულება შინამეურნეობებში, რომელიც თავისი ეკონომიკური შინაარსით შინამეურნეობის სექტორის არაფინანსური წარმოებული აქტივებია, რეკომენდებულია ავსახოთ შინამეურნეობის სექტორის ანგარიშის დამხმარე ცხრილში, რადგან ამ ჯგუფში შემავალი მატერიალური დოვლათის ღირებულება მიეკუთვნება არა დაგროვებას, არამედ მოხმარებას.

შინამეურნეობაში ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლის აღრიცხვა რთულია, რადგან სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგებისა და საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებით მოსახლეობის მიერ დაგროვილი საოჯახო ქონების ღირებულების უშუალოდ განსაზღვრა შეუძლებელია.

ამ მაჩვენებლის გაანგარიშება წარმოებს უწყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდით. ამასთანავე, საბიუჯეტო გამოკვლევის მასალებზე დაყრდნობით და საცალო საქონელბრუნვის მონაცემების მიხედვით, განისაზღვრება მოსახლეობის მიერ ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ცალკეული სახეების (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი,

ავეჯი, ჭურჭელი, ავტომანქანა და ა.შ.) შესაძენად დახარჯული თანხა და ყოველი სასაქონლო ჯგუფის მიხედვით დგინდება ასეთი ქონების მომსახურების საშუალო ვადა.
მაგალითად, გამათბობელი დანადგარების ღირებულება, რომელთაც აქვთ 10-წლიანი მომსახურების ვადა, გამოიანგარიშება ბოლო 10 წლის განმავლობაში არსებული ფასებით მათი გაყიდვების შესახებ მონაცემების ჯამით.
ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლის ღირებულება პერიოდის ბოლოსათვის გაიანგარიშება ახლადშეძენილი ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ღირებულების დამატებით წლის განმავლობაში დაგროვებული ქონების ღირებულებაზე და მწყობრიდან გამოსული საქონლის ღირებულების გამოკლებით (რომელიც გაიანგარიშება როგორც შეძენილი საქონლის ღირებულების ფარდობა მომსახურების საშუალო ვადასთან).

საკვანძო მომენტები

- ანგარიში ასახავს ოპერაციებს, აქტივებს ან სამეურნეო ერთეულების ვალდებულებებს. ის წარმოადგენს ორმხრივ ცხრილს, სადაც რესურსებისა და გამოყენების ჯამებს შორის ტოლობა მიიღწევა დამაბალანსებელი მუხლის მეშვეობით.
- ანგარიშები იყოფა სამ ჯგუფად: მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები, დაგროვების ანგარიშები და აქტივებისა და პასივების ბალანსები.
- მიმდინარე ანგარიშები უკავშირდება წარმოებას, შემოსავლების წარმოქმნას, განაწილებას და გამოყენებას.
- დაგროვების ანგარიშებში აისახება ცვლილებები აქტივებსა და ვალდებულებებში და კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება.
- წარმოების ანგარიში ეას-ის პირველი ანგარიშია. წარმოების პროცესის შედეგს წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების გამოშვება, რომელიც აისახება ანგარიშის რესურსებში. გამოყენებაში აისახება შუალედური მოხმარება, ხოლო დამატებული ღირებულება ამ ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია.
- ეკონომიკური აზრით, საწარმოო საქმიანობა შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რასაც ახორციელებს ერთი ადამიანი მეორისათვის, ხოლო ძილი, კვება, ფიზიკური ვარჯიში - ადამიანის პირველად საქმიანობათა რიგს განეკუთვნება და არა წარმოებას, რაც შეეხება რეცხვას, საკვების მომზადებას, ბავშვების მოვლას, ეს საქმიანობა შეიძლება სხვას გადავაბაროთ, ამიტომ ისინი წარმოების საზღვრებში ექცევიან.

- მთლიანი გამოშვება - საანგარიშო პერიოდში გამოშვებული (წარმოებული) საქონლისა და მომსახურების ჯამური ღირებულებაა და მოიცავს საბაზრო და არასაბაზრო მიზნით წარმოებულ ყველა საქონელსა და მომსახურებას.
- საქონელი – ეს არის ფიზიკური ნივთი, რომელზეც შეიძლება საკუთრების უფლების გავრცელება. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი პირობა. საქონელს განეკუთვნება ის ნივთები, რომლებზეც არსებობს მოთხოვნა.
- მომსახურება არ არსებობს როგორც ცალკეული ეკონომიკური ობიექტი, რომელზეც შესაძლებელია საკუთრების უფლების გავრცელება. მისი გაყიდვა წარმოებისაგან განცალკევებით შეუძლებელია.
- გამოშვების შეფასებისთვის უმჯობესია საბაზისო ფასების გამოყენება. საბაზისო ფასში არ შედის გადასახადები პროდუქტებზე, მაგრამ შედის სუბსიდიები პროდუქტებზე.
- შუალედური მოხმარება მოცემულ პერიოდში პროდუქტებისა და მომსახურების წარმოების პროცესში მოხმარებული პროდუქტებისა (ძირითადი კაპიტალის გარდა) და მომსახურების ღირებულებაა. ე.ი შუალედური მოხმარება განივთებული შრომის დანახარჯების მაჩვენებელია. შუალედური მოხმარების შეფასება ყოველთვის ხდება მყიდველის ფასებში. მყიდველის ფასში არ შედის სუბსიდიები, მაგრამშედის გადასახადები და სავაჭრო-სატრანსპორტო დანამატები.
- მშპ არის წლის მანძილზე მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულება შუალედური მოხმარების გამოკლებით.
- საწარმოს, დარგის, სექტორის დონეზე მშპ-ს შეესაბამება მაჩვენებელი მთლიანი დამატებული ღირებულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქეთევან მარშავა, მაია მინდორაშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თეორია, პრაქტიკა, ანალიზი. თსუ, 2008.

2. The 2008 SNA – concepts in brief. A complement to the System of National Accounts. World Bank
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/2008SNA-ConceptsBrief.pdf

3. The 2008 SNA – compilation in brief. A complement to the System of National Accounts. World Bank
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/2008SNA-CompilationBrief.pdf

4. The System of National Accounts, 2008 (2008 SNA)
https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf

5. მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ზოგადი მეთოდოლოგია. საქსტატი
http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/GDP%20Brief%20Methodology.pdf
5. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2015. სტატისტიკური პუბლიკაცია. საქსტატი
http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/krebuli2015.pdf
6. Statistical Institute for Asia and the Pacific Economic and Social Commission of Asia and the Pacific United Nations. An Introduction to System of National Accounts – Integrated Transaction Accounts. Lesson V PRODUCTION ACCOUNT and GENERATION OF INCOME ACCOUNT - Main entries & data needs. Reading Materials.
http://www.unsiap.or.jp/e-learning/el_material/sna/1411_sna_int4/sna_int4_L5_Reading_Material.pdf

ტესტები და სავარჯიშოები

1. ფინანსური ანგარიში გვიჩვენებს:

ა) თუ როგორ ხდება ფინანსური აქტივების შევსება შექმნილი დეფიციტის პირობებში

ბ) თუ როგორ ხდება ფინანსური აქტივების ხარჯვა შექმნილი სიჭარბის პირობებში

გ) ფინანსური რესურსების განაწილების მექანიზმს კრედიტორ-სექტორებსა და მოვალე-სექტორებს შორის

დ) ვინ ვის აფინანსებს

2. ფინანსურ ანგარიშში:

ა) აქტივებისა და ვალდებულებების იგივე კლასიფიკაცია გამოიყენება, რაც ბალანსებში

ბ) ანგარიშის მარცხენა მხარეს ჩაიწერება ფინანსური აქტივების შეძენას მინუს გაყიდვები

გ) ანგარიშის მარჯვენა მხარეს ჩაიწერება ვალდებულებების წარმოშობას მინუს გადახდები

დ) დამაბალანსებელი მუხლია "წმინდა დაკრედიტება (+) ან ვალის წმინდა აღება(-)", რომელიც გადმოდის კაპიტალის ანგარიშიდან

3. ფინანსური ანგარიშის:

ა) საბალანსო მაჩვენებლებია "აქტივების ან პასივების წმინდა შეძენა"

ბ) "აქტივების ან პასივების წმინდა შეძენა" მიიღება მის შემდგომ განლაგებული მაჩვენებლების შეჯამების გზით

გ) "აქტივების ან პასივების წმინდა შეძენა" დადებითია, თუ ხდება აქტივების შეძენა
დ) "აქტივების ან პასივების წმინდა შეძენა" უარყოფითია, თუ ხდება ვალდებულებების შეძენა

4. ყველაზე ლიკვიდური აქტივებია:

ა) მონეტარული ოქრო

ბ) დებიტორებისა და კრედიტორების სხვა ანგარიშები

გ) ნაღდი ფული

დ) სესხები

5. მონიშნეთ სწორი:

ა) ფინანსური ანგარიშის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ როგორც აქტივების, ისე პასივებისათვის გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტების ერთი და იგივე კლასიფიკაცია

ბ) დეპოზიტები უფრო ლიკვიდური აქტივებია, ვიდრე დაზღვევის, საპენსიო უზრუნველყოფისა და სტანდარტიზებული გარანტიების პროგრამები

გ) აქტივის სამართლებრივი მახასიათებლები, ანუ აქტივის ლიკვიდურობა

დ) დეპოზიტები უფრო ნაკლებადლიკვიდურია, ვიდრე ვექსილი და ობლოგაცია

6. მონიშნეთ არასწორი:

ა) გადახდის ვადის ხანგრძლივობის გამო ყველაზე ნაკლებადლიკვიდურია დაზღვევის, საპენსიო უზრუნველყოფისა და სტანდარტიზებული გარანტიების პროგრამები

ბ) მონეტარული ოქრო მის სამრეწველო გადამუშავებასაც მოიცავს

გ) სამახსოვრო მონეტები ნაღდი ფულის კატეგორიაშია, თუმცა ის ფაქტობრივად მიმოქცევაში არ ხვდება

დ) სასესხო ფასიანი ქაღალდები მოიცავს აქციებს

7. კრედიტორი იძენს განუხრელ უფლებას ვალის დაბრუნებაზე:

ა) დეპოზიტის შემთხვევაში

ბ) სესხის შემთხვევაში

გ) სასესხო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში

დ) აქციების შემთხვევაში

8. ფინანსური პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება:

ა) სააქციო კაპიტალის და აქციების შემთხვევაში

ბ) მონეტარული ოქროს შემთხვევაში

გ) სესხების სპეციალური უფლებების შემთხვევაში

დ) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და თანამშრომლების საფონდო ოფციების შემთხვევაში

9. მონიშნეთ სწორი:

ა) ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ტრანსაქციები ჩაიწერება მათი შესყიდვის ან გაყიდვის ფასებით

ბ) ფინანსური აქტივების შესყიდვისა და გაყიდვის ფასებში არ შედის საკომისიოები და გასამრჯელო

გ) ფინანსური ტრანსაქციის ორივე მონაწილისთვის ოპერაციის გატარება ერთი და იმავე დროს უნდა მოხდეს

დ) თუ ტრანსაქციის მეორე მონაწილე არაფინანსურია, მაშინ ჩანაწერი კეთდება შესაბამის არაფინანსურ ანგარიშშიც

10. რას უდრის ფინანსური ვალდებულებების წმინდა შესყიდვა, თუ ფინანსური აქტივების წმინდა შესყიდვა 400-ია, ხოლო წმინდა დაკრედიტება 35.

ა) 435

ბ) 365

11. რას უდრის ფინანსური აქტივების წმინდა შესყიდვა, თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა შესყიდვა 250-ია, ხოლო წმინდა სესხება -20.

ა) 230

ბ) 270

12. მონიშნეთ ფინანსური ანგარიშის აქტივები:

ა) წარმოებული აქტივები

ბ) პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები

გ) სესხები

დ) აქტივების წმინდა შეძენა

ე) ვალდებულებების წმინდა შეძენა

ვ) მონეტარული ოქრო

13. საქონლისა და მომსახურების:

ა) ანგარიში ახასიათებს პროდუქტებისა და მომსახურების რესურსებს და მათი გამოყენების მიმართულებას მთელი ეკონომიკის მასშტაბით

ბ) ანგარიში წარმოადგენს ეას-ის თავისებურ კრებსით ცხრილს

გ) ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი ფორმდება მაჩვენებელში ,,სტატისტიკური განსხვავება"

დ) ანგარიში დაკავშირებულია წარმოების, შემოსავლების გამოყენების, დანარჩენი მსოფლიოსა და კაპიტალის ანგარიშებთან

14. ,,დანარჩენი მსოფლიოს" სექტორი მოიცავს:

ა) საზღვარგარეთის ინსტიტუციურ ერთეულებს - არარეზიდენტებს, რომლებიც აწარმოებენ გარიგებებს და ეკონომიკურ ოპერაციებს მოცემული ქვეყნის რეზიდენტ ინსტიტუციურ ერთეულებთან

ბ) მოცემული ქვეყნის გეოგრაფიულ ტერიტორიაზე განლაგებული უცხო ქვეყნის საელჩოებს საკონსულოებს, სამხედრო ბაზებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს

15. „დანარჩენი მსოფლიოს" სექტორი:

ა) გვევლინება შემოსავლებისა და გასავლების ჩამკეტ რგოლად

ბ) გვიჩვენებს საგარეო კავშირების რომელი სტრუქტურის ბაზაზე ხდება ქვეყნის შიგნით შემოსავლებისა და გასავლების დაბალანსება

გ) არ განიხილება მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების თვალთახედვით

დ) არ არის დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის არც ერთ კონკრეტულ სახეობასთან

16. ეას-ში ასახული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა მოიცავს:

ა) საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს

ბ) ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ექსპორტსა და იმპორტს

გ) შრომითი რესურსების საერთაშორისო მოძრაობას

დ) ერთობლივი საწარმოების საქმიანობას უცხოური კაპიტალის მონაწილეობით

17. „დანარჩენი მსოფლიოს":

ა) სექტორი არ საჭიროებს ანგარიშთა სრულ ნაკრებს

ბ) სექტორი მოიცავს დანარჩენი მსოფლიოს ოპერაციათა ელემენტებს, ამიტომ „დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშები დამატებითია შიდა ეკონომიკის ანგარიშებისათვის

გ) ანგარიში სამი ნაწილისაგან შედგება

დ) ანგარიშებში განიხილება მიმდინარე და კაპიტალური ოპერაციების ქვეანგარიშები

18. მიმდინარე ოპერაციების:

ა) ქვეანგარიში ასახავს საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალითა და არაწარმოებული აქტივებით

ბ) ქვეანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია მიმდინარე ოპერაციების სალდო „დანარჩენ მსოფლიოსთან"

გ) ქვეანგარიში ასახავს შემოსავლების მოძრაობას საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების შეძენის მიზნით

დ) ქვეანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია წმინდა დაკრედიტება (+) ან წმინდა სესხება(-)

19. მთლიანად ეკონომიკისათვის ეროვნული სიმდიდრე უდრის:

ა) საზღვარგარეთთან ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სალდოს

ბ) არაფინანსური აქტივების ღირებულებას დამატებული წმინდა ფინანსური მოთხოვნები დანარჩენ მსოფლიოსთან

გ) ეროვნული ეკონომიკის სექტორებს შორის წარმოქმნილი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სალდოს

დ) ეკონომიკის სექტორების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამს

20. ეროვნული სიმდიდრე არის:

ა) მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამი რაიმე თარიღისათვის

ბ) მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამი რაიმე პერიოდისათვის

გ) მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამი მომავალი პერიოდისათვის

დ) მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამი წლის დასაწყისში ან ბოლოსათვის

21. საქართველოს ეროვნული სიმდიდრის შემადგენლობაში შედის:

ა) საქართველოს საელჩოს შენობა გერმანიაში

ბ) აშშ-ს საელჩოს შენობა საქართველოში

გ) საქართველოს რეზიდენტის მიერ რუსეთში ნაწილობრივ შეძენილი აქტივები

დ) საქართველოში მოძიებული ბუნებრივი რესურსები

22. მთლიანად ეკონომიკისათვის ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშება აისახება:

ა) საგადასახდელო ბალანსში

ბ) კაპიტალის ანგარიშში

გ) აქტივებისა და პასივების ბალანსში

დ) რესურსები-გამოყენების ცხრილებში

23. ქვეყნის აქტივების ღირებულების ნომინალური გადიდება ან შემცირება აისახება:

ა) ეას-ის გადაფასების ანგარიშში.

ბ) აქტივებისა და პასივების ბალანსში

გ) ეას-ის სხვა ანგარიშებში

დ) ბუღალტრულ ბალანსში